

ევლია ჩელეების

მოგზაურობის წიგნი

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XXX

ევლია ჩელეზის „მოგზაურობის წიგნი“

1973

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ
О ГРУЗИИ
FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

„КНИГА ПУТЕШЕСТВИЯ“
ЭВЛИИ ЧЕЛЕБИ

*II том перевел с турецкого, исследованием и комментариями
Снабдил Г. В. Путуридзе*

Вып. II, исследование и комментарии

„LIBER PEREGRINATIONIS“
A EVLIYA ČELEBI SCRIPTUS

Tomum secundum èn ibericam traduxit commentariisque
Instruxit G. V. Puturidze

Fasciculus II, Disputatio et commentarii

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
SUMPRIBUS ACADEMIAE SCIENTIARUM GEORGIAE
ТБИЛИСИ – 1973 – TBILISIIS

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“

თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო
გიორგი ფუთურიძემ

ნ ა კ ვ. II . გამოკვლევა, კომენტარები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1973

ნაშრომში მოცემულია XVII საუკუნის განთქმული
ოსმალთა მოგზაურის ევლია ჩელების ცხოვრებისა და მო-
ღვაწეობის შესახებ ცნობები. „მოგზაურობის წიგნის“
ავტორი დახასიათებულია როგორც მოგზაური და ისტო-
რიკოსი; შეფასებულია მისი ცნობები საქართველოს წარ-
სულის შესახებ. ქრთული თარგმანის შენიშვნებში ახს-
ნილია ისტორიული მოვლენები, მუსლიმური სამყარო-
სათვის დამახასიათებელი წარმოდგენები, წეს-ჩვეუ-
ლებანი, ხატოვანი თქმანი და სხვ. ცალკეა განმარტებუ-
ლი სოციალურ-ეკონომიური, სამოხელეო, სამხედრო
და სხვა სპეციფიკური ტერმინები.

„მოგზაურობის წიგნი“ წინამდებარე II ნაკვეთი
მკითხველს დაეხმარება თხზულების შინაარსისა და მნიშ-
ვნელობის ჯეროვნად გაგებაში.

მთავარი რედაქცია: რ. კიკნაძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი,
(მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია, ნ. ჯანაშია
თურქული წყაროების სერიის რედაქტორი ს ე რ გ ი ჯ ი ქ ი ა

შესავალი

ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლურ წყაროებს და კერძოდ, ოსმალთა ისტორიკოსებისა და მოგზაურების ცნობებს შუა საუკუნეების საკმაოდ მდიდარ ოსმალურ ისტორიოგრაფიაში მოიპოვება არაერთი ავტორი, რომელიც საინტერესო და საქართველოს ისტორიისათვის უეჭველად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის (მუსტაფა ნაიმა, იბრაჰიმ ფეჩევი ალი ჩელები, ქათიბ ჩელები, მუსტაფა სელიანიქი, ევლია ჩელები და სხვ.).

ამ ავტორთა შორის, რომლებიც თავისი ქვეყნის აღწერის, ან ისტორიის თხრობისას საქართველოს ამბებსაც გადმოგვცემენ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XVII საუკუნის განთქმულ მოგზაურს ევლია ჩელების.

ევლია ჩელების ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოსადგენად ძირითადი წყაროა მისივე თხზულება, რადგან „მოგზაურობის წიგნი“ მას აღწერილი აქვს ხანგრძლივი მოგზაურობის დროს ნანახი და განცდილი, ამდენად ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერაც არის. თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა ევლია ჩელებიმ მოგზაურობაში და მისი ბიოგრაფიის შესწავლა ამ თხზულების გარეშე შეუძლებელია¹.

ევლია ჩელები დაიბადა 1611 წლის 25 მარტს სტამბოლში, უნკაფანის უბანში². ევლია ჩელების წინაპრები ქუთაჰიაში ცხოვრობდნენ; კონსტანტინეპოლის დაპყრობის (1453) შემდეგ აქ გადმოსახლდა და 147 წლის ასაკში გარდაიცვალა. ევლია ჩელების მამა დერვიშ მეჰმედ ზალი სასახლის კუდუმჯუბაში (ოქრომჭედელთა უფროსი)

¹ А. Д. Желтяков, А. С. Твeритинова, Эвлия Челеби и его «Книга путешествия» (Эвлия Челеби, Книга путешествия, вып. I, Москва 1961, გვ. 6).

ლნს პვ წს

² ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ტ. I, გვ. 212.

(اوليا چلبى سياحنامهسى، جلد ۱، استانبول، ۱۳۱۴)

იყო. მან 114 წელი (ჰიჯრით 117) იცოცხლა. სულთან სულეიმან I კანუნისა და მომდევნო სულთნების დაახლოებული პირი იყო, მათ ემსახურებოდა და ლაშქრობებშიც ახლდა (სელიმ II, მურად III, მეჰმედ III, აჰმედ I, მუსტაფა I, ოსმან II, მურად IV და იბრაჰიმ I).

1648 წლის ივნისში ევლია ჩელები ბეიზაზარში იყო, როდესაც მამის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა³. ევლიას დედა აბაზას ტომიდან იყო, აჰმედ I-ს სულთნობის დრის (1603 – 1617) სასახლეში ჩამოიყვანეს და დერვიშ მეჰმედ ზილის მიათხოვეს. იგი დეიდად ეკუთვნოდა ოსმალეთის დიდ მოხელეს მელეჟ აჰმედ-ფაშას, რომელიც ევლიას მფარველობდა, ხშირად იახლებდა ხოლმე ლაშქრობებში და სხვადასხვა დავალებით აგზავნიდა პროვინციებში.

ყმაწვილთა სასწავლებელში მეცადინეობის შემდეგ ევლია ჩელები შეიხ ულ-ისლამ ჰამიდ ეფენდის მედრესეში მიაბარეს და აქ მუდარის აჰფეს-ეფენდის ხელმძღვანელობით 6 წელიწადს სწავლობდა თურქულ, სპარსულ და არაბულ ენებს, ღვთისმეტყველებას, ისტორიასა და ლიტერატურას. მან ზეპირად იცოდა ყურანი და საადი ზადეს ყურანის საკითხავ სახლში ჰაფიზის ლოდება მიეცა. ევლია თავის თხზულებაში ამბობს, რომ მან იცოდა არაბული, სპარსული, ბერძნული, სირიული და ყირიმის თათრების ენა, დახელოვნებული იყო მუსიკაში, მხატვრობასა და ოქრომჭედლობაში⁴.

მედრესეში სწავლის შემდეგ იგი 4 წელს სულთნის სასახლეში იმყოფებოდა. აქ თავისი ბიძის დიდვეზირ მელეჟ აჰმედ-ფაშას დახმარებით მიიწვიეს ამა-სოფიას მეჩეთიდან, სადაც იგი ყურანს კითხულობდა და სულთან მურად IV-ს მოეწონა. ევლია ჩელები სასახლეშიც განაგრძობდა განათლების მიღებას; კალიგრაფიაში მეჰმედ-ეფენდი ავარჯიშებდა, მუსიკაში – დერვიშ ომერ **ჰაქლშენი**. ხშირად მუსაიფობდა მურად IV-სთან და ერთხანს მისი დაახლოებული პირი – მუსაიბი იყო.

1638 წელს იგი სიფაჰიების რეგულარულ ჯარში გაამწესეს, მაგრამ „სამხედრო კარიერა არ იტაცებდა ცნობისმოყვარე და დაუდევარ ჭაბუკს. მას მოგზაურობა სწყუროდა. ამას შემდეგ დააწყო მოგზაურობა ხან ახლომდებარე, ხან შორეულ ქვეყნებში“⁵.

ევლია ჩელების გარდაცვალების თარიღი ზუსტად ცნობილი არ არის. იგი უკანასკნელად 1671 წლის 21 მაისს გაემგზავრა მექაში და

³ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ ტ. II, გვ. 458 (ქართული თარგმანი – გვ. 425).

⁴ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ ტ. I, გვ. 246.

⁵ А. Д. Желтяков, А. С. Тверитинова. დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

აქედან 1672 წელს ეგვიპტეში ჩავიდა. 1673 წელს ეგვიპტიდან მოაწყო მოგზაურობა სუდანსა და აბისინიაში და დაბრუნდა უკანასკნელი თარიღი, რომელსაც იგი თავის თხზულებაში ახსენებს, 1678 წელია. ფიქრობენ, რომ იგი გარდაიცვალა 1682, ან 1683 წელს. როგორც ჩანს, უკანასკნელი მოგზაურობის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან „მოგზაურობის წიგნის“ წერს მოანდომა.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ ცნობილი ხელნაწერები ინახება სტამბოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ბრიტანეთის მუზეუმსა და ვენაში⁶.

„მოგზაურობის წიგნის ათივე ტომი სტამბოლში დაიბეჭდა და ერთადერთ სრულ გამოცემად ითვლება: I, II და I II ტომები – 1928 წ. 1935 წელს გამოცემული IX ტომი და 1938 წ. – X ტომი ლათინური შრიფტით არის დაბეჭდილი.

რეშათ ერემ კოჩუმ გამოსცა „მოგზაურობის წიგნის“ I და II ტომები 1938 წელს, III ტომი 1944 წ. და IV ტომი 1949 წ⁷. მაგრამ ამ გამოცემას მეცნიერული ღირებულება არა აქვს, რადგანაც შემოკლებულია (მთლიანად ამოღებულია მრავალი ადგილი, რომელიც გამომცემლის აზრით, საინტერესო არ იყო მკითხველისათვის, შემოკლებული და გამარტივებულია წინადადებები) და თანამედროვე თურქულ ენაზეა გამართული (ევლია სვლების მიერ ხმარებული არაბული და სპარსული სიტყვები შეცვლილია თურქული სიტყვებითა და ნეოლოგიზმებით, გამარტივებულია სტილი), ე. ი. პოპულარული გამოცემაა და ფართო მკითხველისთვისაა გათვალისწინებული.

ასეთივე ხასიათის გამოცემა დაიწყო ათსიზმა 1971 წელს⁸; პირველ ნაკვეთში მოთავსებულია ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ I და II ტომები შემოკლებული სახით.

1969 წელს „მოგზაურობის წიგნის“ სრულად გამოცემა დაიწყო ზუჰური დანიშმანმ, მაგრამ მასაც ახასიათებს ნაკლი – ლათინური შრიფტით არის გამოცემული და „გადმოთურქულებულია“, როგორც ეს სათაურშია აღნიშნული. ამჟამად ამ გამოცემის ხუთი ნაკვეთია გამოსული, რომლებშიც შეტანილია ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ I, II და III ტომები (პირველ და მეორე ნაკვეთშია ევლია ჩელების I ტომი, მე-3 და მე-4 ნაკვეთში – II ტომი და III-ის ნაწილი.

⁶ Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmänen und ihre Werke, Leipzig, 1927.

⁷ Evliya Çelebi Seyahatnamesi, Reşat Ekrem Kocu, Istanbul, c. I, 1938; c. II, 1938; c. III, 1944; c. IV, 1949.
C' ". Iგას. I" Iწ" ე IV4 1243 -

⁸ Arsiz, Evliya Çelebi Seyahatnamesinden secmeler, Istanbul, 1971.

მე-5 ნაკვეთში III ტომი მთავრდება). უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცემა ჩვენ ხელთ აღმოჩნდა „მოგზაურობის წიგნის“ ქართული თარგმანის გამოცემის შემდეგ. ამიტომ თარგმანისას ის არ გამოგვიყენებია.

„მოგზაურობის წიგნი“ არც ერთ ენაზე არ არის მთლიანად თარგმნილი. პირველი მკვლევარი, რომელმაც ყურადღება მიაქცია და შეისწავლა ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, იყო ავსტრიელი აღმოსავლეთმცოდნე ი. ჰამერი. მან ჯერ რამდენიმე ნაწყვეტი გამოაქვეყნა ქურთული ენისა¹⁰ და დობრუჯას თათრების ენის შესახებ¹¹. (აგრეთვე სხვა საკითხებზეც აქვს სტატიები). შემდეგ გამოსცა „მოგზაურობის წიგნის“ ორი ტომის ინგლისური თარგმანი¹². სწორედ ამ ინგლისურმა თარგმანმა გაეთქვა სახელი ევლია ჩელების და ამის შემდეგ გახდა „მოგზაურობის წიგნი“ შესწავლის საგანი და წყარო სხვადასხვა საკითხებზე შექმნილი შრომებისათვის. თხზულების ნაწილები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის აღწერას შეიცავდნენ გამოქვეყნებულია მრავალ ენაზე; ეროვნებაში – ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, რუმინულ, უნგრულ, სერბიულ, პოლონურ და ბულგარულ ენებზე. ჩვეში – რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნისადმი“ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა ამ უკანასკნელ წლებში და რამდენიმე მაღალ დონეზე შესრულებული თარგმანი გამოქვეყნდა გამოკვლევითა და კომენტარებითურთ.

1961 წელს ა. ს. ტვერიტინოვას ინიციატივითა და რედაქტორობით გამოვიდა ავტორთა კოლექტივის სივრცეში შესრულებული რუსული თარგმანი „მოგზაურობის წიგნის“ იმ ადგილებისა, რომლებიც მოლდავეთსა და უკრაინას შეეგება¹³. წიგნში შეფასებულია „მოგზაუ-

⁹ Evliya Çelebi Seyahatnamesi, c. I, türkcceleştiren Zuhuri Danişman, İstanbul, 1969. (II – 1969; III – 1970; IV – 1971; V – 1971.).

¹⁰ Hammer J., Über die Kurdische Sprache und ihre Mundarten, aus dem III Bande der Reisebeschreibung Ewlias, – «Fundgruben des Orients – Mines de L'Orient», Bd. IV, Wien, 1814, Ss. 246 – 247.

¹¹ Hammer J., Sprachproben der Tataren von Dobrudscha, aus Ewias Reisebeschreibung III. Theil, – «Fundgruben des Orients – Mines de L'Orient». Bd. V, Wien, 1816, s. 84.

¹² Narrative of travels in Europe, Asia and Afrika, in the seventeenth, by Evliya Eiendi, transl. from the Turkish by the ritter J. Hammer, London, vol. I, pt. I, 1834, pt. II, 1846; vol. II, 1850.

¹³ Э в л и я Ч е л е б и, Книга путешествия (Извлечения из сочинения турецкого путешественника XVII века)б перевод и комментарии, выпуск I Земли Молдавии и Украины, Москва, 1961.

რობის წიგნი“ როგორც საისტორიო წყარო, დართული აქვს შენიშვნები, საძიებლები და ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია „მოგზაურობის წიგნის“ გამოცემები, თარგმანები და ის შრომები, რომლებიც „მოგზაურობის წიგნის“ მასალის საფუძველზეა აგებული.

1967 წელს გამოქვეყნდა ა. ხ. საფრასტიანის სომხური თარგმანი „მოგზაურობის წიგნის“ იმ ადგილებისა, რომლებიც სომეხ ხალხსა და სომხეთის ტერიტორიას მოიცავს¹⁴.

იუგოსლავიის მიწებისა და ხალხების შესახებ ცნობები ფუნდამენტალურადაა შესწავლილი 1967 წელს ჰაზიმ საბანოვიჩის მიერ სერბულ ენაზე გამოქვეყნებულ შრომაში¹⁵. შრომას დართული აქვს შესავალი და შენიშვნები.

1969 წელს პოლონეთში გამოვიდა ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ ის ნაწყვეტები, რომლებიც პოლონეთისა და ნაწილობრივ მეზობელი ქვეყნების მიწაზე მოგზაურობას შეეხება. თარგმანი შესრულებულია ზ. აბრამოვიჩის, ა. დუბინსკისა და ს. პლასკოვიცკა-რიმკიევიჩის მიერ იეცნიეოული რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ეკუთვნის ზ. აბრამოვიჩს. ევლია ჩელების პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ სტატია ეკუთვნის იან რაიჰმანს. ამ სტატიაში წარმოდგენილია ევლია ჩელებისა და მისი თხზულების შესახებ არსებული ლიტერატურის საკმაოდ სრული მიმოხილვა¹⁶.

რაც შეეხება „მოგზაურობის წიგნის“ II ტომს, იგი ჩვენში მთლიანად თარგმნილი არ ყოფილა. ფ. კ. ბრუნმა ი. ჰამერის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმნიდან რუსულად თარგმნა რამდენიმე ნაწყვეტი თხზულების იმ ადგილებისა, რომლებიც აზოვის ბრძოლა¹⁷, შავი ზღვის სანაპიროზე მოგზაურობას¹⁸ და ამიერკავ-

¹⁴ თურქული წყაროები, III, ევლია, ჩელები. თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები ა. ხ. საფრასტიანისა, ერევანი, 1967 (Թուրքական աղբյուրներ, 3, եվ-ლია Չելեբի, Ա. խ. Սաֆրաստյանի, Երևան, 1967).

¹⁵ ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, მოგზაურობა. ნაწყვეტები იუგოსლავიის მიწების შესახებ თარგმანი. შესავალი და კომენტარები ჰაზიმ საბანოვიჩისა, სარაევო, 1967 (Evliya Čelebi, Putopis, odiumci o Jugoslabsnskim zemljama, Preveo, uvod i lebiego, (Wybor), 1969.

¹⁷ Б р у н Ф. К. Неудачная осада Азова турками в 1641 г. И занятие ими крепости по оставлении одной казаками. «Записки Одесского об-ва истории и древностей». т. VIII, Одесса, 1872.

¹⁸ Б р у н Ф. К. Путешествие турецкого туриста вдоль по восточному берегу Черного моря. «Зап. Одесского об-ва истории и древностей», т. IX, Одесса, 1875.

კასიის მდგომარეობას შეეხება¹⁹. თარგმანი უნაკლო არ არის, რადგანაც ორიგინალიდან არ არის თარგმნილი და თანაც ძალიან დამახინჯებულია აღმოსავლური ტერმინები და სახელწოდებანი – ჯერ არაბული შრიფტი არ ილევს სიზუსტის დაცვის საშუალებას, შემდეგ – ინგლისური ტრანსკრიპცია და აქედან გადმოღებული რუსული ძალზე სახეცვლილია.

„მოგზაურობის წიგნის“ II ტომის ნაწყვეტების სომხური თარგმანი ა. ხ. საფრასტიანის ზემოხსენებულ ნაშრომში მოთავსებული. „მოგზაურობის წიგნის“ II ტომის მონაცემები აქვს გამოყებული ვ. ვ. ბარტოლდს თავის სტატიაში, რომელიც ყაითაყების წარმოშობას შეეხება²⁰. ქართველ ენათმეცნიერთა შორის პირველად ი. ა. ყიფშიძემ გაითვალისწინა ევლიას მიერ ჩაწერილი ენობრივი წასალა თავის შრომაში²¹. ს. ს. ჯიქიამ შეისწავლა და სამეცნიერო სტატიების სახით წარმოადგინა „მოგზაურობის წიგნში“ არსებული მასალა ქართული და მეგრული ენების შესახებ²² და ლაზებისა და ლაზური ენის შესახებ²³.

რ. ბლაიზშტაისერმა, „მოგზაურობის წიგნის“ ის ადგილები გამოიყენა, სადაც ევლიას ჩაწერილი აქვს ქართული, მეგრული და აფხაზური ენების მასალა²⁴.

„მოგზაურობის წიგნის“ II ტომის მასალა გამოიყენა ს. ბ. აშურბეილიმ აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესზე წაკითხული მოხსენებისათვის – ევლია ჩელების „სედაჰატნამე“, როგორც წყარო XVII საუკუნის პირველი ნახევრის აზერბაიჯანის ქალაქების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად²⁵.

¹⁹ Б р у н Ф. К. Заметки турецкого туриста о состоянии Закавказского края около половины XVII в. «Кавказа», 1870. 5, 7, 14 июня.

²⁰ Б а р т о л д В. В. К вопросу о происхождении кайтаков, «Этнографическое обозрение», № 1 – 2, Москва, 1910.

²¹ И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка. Петербург, 1914, (Материалы по яфетическому языкознанию VII).

²² С. Д ж и к и я, GEORGICA – TURCICA, Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках, «Советское языкознание», т. II, Л-д, 1936.

²³ ს. ჯ ი ქ ი ა, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 6, 1954.

²⁴ R. B l e i c h s t e i n e r, Die Kaukasischen Sprachproben in Ewliya Gelebis Seyahatname, «Caucasica», II, (გვ. 84 – 124).

²⁵ С. Б. А ш у р б е й л и, Сеяхат-наме Эвлия Челеби как источник по изучению социально-экономической и политической истории городов Азербайджана в первой половине XVII века (XXV международный конгресс востоковедов, доклады делегации СССР), Москва, 1960.

აკად. ვ. გორდლევსკიმ გამოაქვეყნა შრომა ოსმალეთის ამქართა ცხოვრების შესახებ²⁶ და ძირითადად „მოგზაურობის წიგნის“ I ტომოს მასალა გამოიყენა. ვ. ს. გარბუზოვამ ევლია ჩელების მიერ აღწერილი სტამბოლის ხელოსნური ორგანიზაციების მასალაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ნაშრომი სტამბოლის ოქრომჭედლების შესახებ და იქვე ზოგადად შეაფასა ევლია ჩელების თხზულების მნიშვნელობა.²⁷

შუა საუკუნეების ოსმალეთში სამწერლო ენა ზუსტად ჩამოყალიბებული არ იყო და ყოველი მწერალი თავისებურად წერდა. ეს ე. წ. ოსმალური ენა არსებითად განსხვავდებოდა სასაუბრო ენისაგან და მით უმეტეს, თანამედროვე ლიტერატურული თურქულისაგან. ოსმალური წარმოადგენდა ხელოვნურ ნარევს თურქული, არაბული და სპარსული სიტყვებისა და გრამატიკული კონსტრუქციებისა, რომელთაც ყოველი მწერალი ნებისმიერად იყენებდა. ზოგიერთი გამოთქმა, ორაზროვანი და ხატოვანი ნათქვამი, ისტორიული ფაქტი, რაც იმდროინდელი მეოთხედისათვის გასაგები იყო, დღეს ძნელად გამოსაცნობია. თარგმანს ამნელებს ის გარემოებაც, რომ თხზულებაში აუარებელი სპეციფიური ტერმინია. ამიტომ საჭირო გახდა ჩვენი შრომის II ნაკვეთში ვრცელი შენიშვნების დართვა ტექსტის გასაგებად. გარდა ტექსტისათვის დართული შენიშვნებისა, შრომას დავურთეთ ტერმინოლოგიური შენიშვნები, რომლებშიც არსებული ლიტერატურისა და წყაროების გამოყენებით განმარტებულია სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, სამოხელეო და საყოფაცხოვრებო ტერმინები.

²⁶ Вл. Г о р д л е в с к и й, Из жизни цехов в Турции, «Записки коллегии в востоковедах», II, вып. 2, Л-д. 1927.

²⁷ В. С. Г а р б у з о в а, Эвлия Челеби о Стамбульских ювелирах XVII в., Труды отдела Востока, III, Л-д., 1940.

I

ევლია ჩელები – მოგზაური და ისტორიკოსი

ევლია ჩელები თავის ცხოვრების ამოცანად თვლიდა ქვეყნიერების მოვლას და თავისი თვალთ ნანახის აღწერას. აი რას ამბობს იგი „მოგზაურობის წიგნის II ტომის შესავალში: სულ იმას ვფიქრობდი, როგორ გავითავისუფლო თავი მამისა და დედის სასტიკი კლანჭებისაგან, ქვეყანა მოვიარო და შევძლო მსოფლიოს მოგზაური გავხდე-მეთქი... ჩემი მთავარი სურვილი იყო წავსულიყავი წმინდა ადგილებისაკენ – ბაღდადს, მექას, მედინას, ეგვიპტეს, სირიას“¹... ეს სურვილი სრულიად შემთხვევით აუსრულდა – სტამბოლის ქუჩებში სეირნობის დროს გაიგო, რომ მისი მეგობარი ბრუსას მიემგზავრებოდა და მაშინვე, სახლში არც შეუტყობინებია, ისე გაჰყვა სამოგზაუროდ. ასე დაიწყო ევლია ჩელები მოგზაურობა 1050 წლის მუჰარემის პირველ პარასკევს (1640 წ. 27. IV) და დაასრულა 1673 წელს.

როგორც ხანს ევლია ჩელები, როცა დროს იშოვიდა, დღიურებს წერდა, სადაც მარშრუტი და გეოგრაფიული პუნქტების აღწერა შეჰქონდა. თითქმის განუწყვეტელი მოგზაურობის დროს შეუძლებელი იყო ნანახი ქვეყნების დეტალური აღწერა და თან ისტორიული ექსკურსების გაკეთება. ამიტომ 1673 წლის შემდეგ, როცა მან მოგზაურობა დაამთავრა, სიცოცხლის უკანასკნელი წლები თავისი ჩანაწერების დამუშავებასა და თხზულების წერას მოანდომა. დღიურების საფუძველზე რომ არის შედგენილი მისი თხზულება, შემდეგი ადგილიდანაც ჩანს: ევლია აზოვის ლაშქრობიდან ყირიმში ჩავიდა და მოულოდნელად მოუხდა ბალაკლავადან გემით სტამბოლისკენ გამგზავრება. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „რადგანაც სალაშქროდ მივდიოდით, საწერად დრო ვერ ვიშოვე, ამ ყირიმის ქვეყნის დახასიათება, მისი საქველმოქმედო დაწესებულებებისა და ძეგლების აღწერა ვერ გავხდე“².

¹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 9 – 10.

² იქვე, გვ. 123.

მოგზაურობის დაწყებამდე ათი წლით ადრე ევლია ჩელები დაიწყო სტამბოლისა და მისი სანახების შემოვლა როგორც ჩანს, თხზულების პირველი ტომის მასალა მან შორეულ" მოგზაურობის დაწყებამდე შვაჭროგა დჰ წერა დამჯერ გვიან (I ტომში მას აღწერილი აქვს 1678 წლის ამბები), მიუხედავად იმისა, რომ იგი „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ტომის შესავალში ამბობს. „1040 1630) წლის მუჰარემის თვის პირველ რიცხვს (10.VIII) ქალაქ სტამბოლში ვიხეტიალე და შევქმენი პირველი ტომი, რომელიც შეიცავს სტამბოლის ამქართა აღწერას. რამდენადაც შეიძლებოდა მთლიანად აღვწერე ხუროთმოძღვრების ძეგლები და საქველმოქმედო დანიშნულების ნაგებობანი; აღვწერე მისი ამქრები და მათი მფარველი უზუცესები თავიანთი კანონებითა და წესებით; გადმოვეცი, თუ რა მონაწილეობა მიიღეს მათ ჯარში ბაღდადის დასაპყრობად მოწყობილი წმინდა ომის დროს“³.

მართლაც, სანამ ევლია ჩელები თავისი თხზულების წერას შეუდგებოდა, იგი უპირველესად ყოვლისა მოგზაური იყო მისი თხზულების ღირსება კი სწორედ ის არის, რომ მასი გარდა მოგზაურის დაკვირვებისა და ნანახი ქვეყნების დახასიათებას შედეგად მიღებული უამრავი ცნობისა, ისტორიული ხასიათის მეტად საინტერესო მოვლენების შესახებ მსჯელობასაც ვხვდებით. როდესაც ევლია ჩელები თხზულების წერას შეუდგა და მის მიერ ნანახი ქვეყნები უნდა აეწერა, მას ათეული წლები ამორებდა მოგზაურობის წლებს. ამიტომ იგი თავისი ნანახის აღწერას უკვე ისტორიკოსის თვალთ უდგება. ამის მაგალითად მიგვაჩნია შემდეგი: 1645 წლის გაზაფხულზე კუნძულ კრეტაზე სალაშქროდ გაემართა და ჰანიას ციხის აღებაში მიიღო მონაწილეობა. ამ ლაშქრობას რომ აღწერს, დასძენს „ჰანიის დაპყრობის შესახებ კიდევ რამდენი ათასი აღწერა ლა ქებაც კი არის“...⁴ XVII საუკუნის 70-იანი წლებისათვის, როდესაც ევლია ჩელები თავის თხზულებას წერდა 1645 წლის ამბები, რასაკვირველია, უკვე ისტორია იყო.

თავის შეხედულებას მოგზაურის მოვალეობის შესახებ ევლია ჩელები მამის სიტყვებით გადმოგვცემს: „... დიდი წმინდანების სალოცავი ადგილები მოინახულე და აღწერე ყველა სალოცავ ადგილი, ყველა ქვეყნის სადგურებში არსებული ველები და უდაბნოები, მაღალი მთები, საოცარი ხეები და ქვები, ქალაქები, სამაგალითო ძეგლები, ციხეები, მათი დამპყრობნი და აშენებულნი, მათი გარე-

³ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკ. I. ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 9 – 10.

⁴ იქვე, გვ. 158.

შემოწერილობის ზომები და შეჰქმენი თხზულება, რომელსაც „მოგზაურობის წიგნს“ დაარქმევ⁵. ეს „დავალება“ ევლია ჩელებიმ შეასრულა და მას დაურთო თავისი შეხედულება წარსულის მოვლენებისადმი; ასე ვთქვათ, პრიმიტიულად შესრულებულ ისტორიულ ასპექტში წარმოგვიდგინა მის მიერ ნანახი.

ევლია ჩელები ხან თავის ბიძას – მელექ აჰმედ-ფაშას და სხვა გავლენიან თესავებს დაჰყვებოდა ლაშქრობებში, ხან თავისი ინიციატივით მოგზაურობდა. ხშირად სპეციალური დავალებებით აგზავნიდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. ამ დავალებათა შორის ეჭვი არ არის, ზოგჯერ მთვარი ადგილი დაზვერვას ეჭირა. მისი თხზულების მრავალი ადგილი იმაზე მეტყველებს, რომ მის ცნობებს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა (შეიძლება თუ არა მდინარეზე გადასვლა; რა სიმტკიცისაა და როგორაა გამაგრებული ციხე, როგორო ბრძოლისუნარიანია ჯარი, ან მოსახლეობა, რა დამოკიდებულებაა ქვეყნის ტომებს შორის და, რაც მთავარია, როგორი დამოკიდებულება და განწყობილება აქვთ ოსმალების მიმართ). მოგზაურობდა გემით და აღწერდა სანაპირო მხარეებს, კუნძულებს; მოგზაურობდა ცხენით; გზაში შეხვდებოდა ოსმალთა ლაშქარს და მას გაჰყვებოდა, თუ გზა იმ ქვეყნისკენ ედო, რომელიც ჯერ არ ენახა; დაჰყვებოდა მლოცველთა და ვაჭართა ქარავნებს, ელჩობას და ასე მოიარა ანატოლია, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ირანი, ქურთისტანი, სირია, პალესტინა, მესოპოტამია, არაბეთის ნახევარკუნძული, ეგვიპტე, სუდანი, აბისინია, ჩრდილო კავკასია, სამხრეთი რუსეთი, ვოლგისპირეთი ყაზანამდე, ყირიმი, მოლდავეთი, უკრაინა, ბალკანეთის ნახევარკუნძული, უნგრეთი, პოლონეთი, ავსტრია და სხვ. „მოგზაურობის წიგნში“ არსებული მასალის მიხედვით ევლია ჩელების მარშრუტების მოკლე ჩამოთვლას ქვემოთ წარმოვადგენთ.

ბრუსაში ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ, 1640 წლის 19. VIII ევლია ჩელები სტამბოლიდან გაჰყვა მამამისის მიერ აღზრდილ ქეთენჯი ომერ-ფაშას, რომელიც იმ ხანებში დაინიშნა ტრაპიზონის ვილაიეთის ვალის თანამდებობაზე⁶. გემით მოგზაურობისას მან დაათვალიერა და აღწერა შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები, ნავსადგურები, ციხეები და ქალაქები. ტრაპიზონში რამდენიმე თვე დაჰყო და მისი ბეგლარ-ბეგის ელჩობას გაჰყვა სამეგრელოში⁷. ტრაპიზონ-

⁵ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 61 – 62.

⁶ იქვე, გვ. 71.

⁷ იქვე, გვ. 93.

ში რომ დაბრუნდა, 1641 წლის აპრილში შეუერთდა ლაშქრობას, რომელიც მიზნად ისახავდა კაზაკებისაგან აზოვის ციხის განთავისუფლებას⁸. მან ხომალდით გაიარა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, ქურჩის სრუტე და აზოვში ჩავიდა. აზოვის წარუმატებელ ალყაში მონაწილეობა მიიღო და ზამთარში ყირიმის ხან ბაჰადირ-გირეისთან ერთად ყირიმში ჩავიდა; 1641 – 1642 წწ. ზამთარი ყირიმში გაატარა. 1642 წლის გაზაფხულზე ისევ შეუერთდა აზოვის ლაშქრობას. სტამბოლში გემით რომ ბრუნდებოდა, ქარიშხალში მოხვედრილი გემი ჩაიძირა და ევლია ჩელებიმ დიდი წვალებით მოაღწია ბულგარეთის სანაპიროს. აქედან სტამბოლში ჩავიდა.

შემდეგი მოგზაურობა ფაქტიურად წარმოადგენდა 1645 წლის გაზაფხულზე კუნძულ კრეტას დასაპყრობლად მოწყობილ ლაშქრობას⁹.

1646 წლის სექტემბერში ევლია ჩელები არზრუმისაკენ გაჰყვა ვილაიეთის განმგებლად დანიშნულ ახლო ნათესავს დავთარდარ ზადე მეჰმედ-ფაშას¹⁰. მთელი ანატოლია გაიარა და არზრუმში ჩავიდა. აქედან რამდენჯერმე იმოგზაურა არზრუმის ვილაიეთში სხვადასხვა მხარეს. შემდეგ თავრიზის ხანის ელჩს სეიფ ალი-ხანს გააყოლეს ამაღაში თავრიზის ხანისათვის საჩუქრების მისართმევად¹¹. გაიარა ერევანი, ნახჭევანი, ყარაბაღი და თავრიზში ჩავიდა¹². თავრიზის სანახები დაათვალიერა თავრიზიდან ერევანში ჩავიდა¹³. ერევნის ხანი ამ დროს ბაქოში იყო და მისი მიწვევით ევლია ჩელები ბაქოსაკენ გაემგზავრა¹⁴. გაიარა განჯა, არეში, შაქი, ნიაზაბადი, შემახა და 1647 წლის 8 თებერვალს ბაქოში ჩავიდა¹⁵. ბაქოდან დარუბანდში ჩავიდა, დაღისტნის გზით კახეთზე გამოიარა და თბილისში ჩამოვიდა.¹⁶ თბილისში დიდხანს არ დარჩენილა; მტკვარს აღმა აჰყვა, გორი, სურამი, აწყური, ახალციხე, ხერთვისი გაიარა, არტაანი მოიარა და არზრუმში ჩავიდა¹⁷. იმავე წელს არზრუმის ვალის დავალებით ყარსზე გავლით ერევანში ჩავიდა და არზრუმში დაბრუნდა¹⁸. არზრუმის ფაშის ბრძანებით ბაიბურთის, ისპირის, თორთუმისა და სხვა ციხეების ციხისთევებს წერილები წაუღო¹⁹. თორთუმიდან გონიოში გაჰყვა ჯარს,

⁸ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 95.

⁹ იქვე, გვ. 136.

¹⁰ იქვე, გვ. 159.

¹¹ იქვე, გვ. 216.

¹² იქვე, გვ. 228.

¹³ იქვე, გვ. 263.

¹⁴ იქვე, გვ. 267.

¹⁵ იქვე, გვ. 279.

¹⁶ იქვე, გვ. 293.

¹⁷ იქვე, გვ. 304.

¹⁸ იქვე, გვ. 310.

¹⁹ იქვე, გვ. 317.

და კაზაკებთან ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა²⁰. შემდეგ სამეგრელოში ილაშქრა²¹ და 1647 წლის ნოემბერში არზრუმის სანახებში შეხვდა თავის უფროსს – არზრუმის ფაშას²². 1647 – 48 წლის ზამთარში ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლია მოიარა ფაშას ლაშქართან ერთად და 1648 წლის მარტში ანკარაში ჩავიდა²³. შემდეგ თოკათში მივიდა და აჯანყებულ ვარდარ ალი-ფაშას თავისი ფაშის წერილი მიუტანა. 1648 წლის ივნისში სტამბოლისაკენ გაემგზავრა, როცა მამის სიკვდილის ამბავი გაიგო²⁴.

შემდეგი მოგზაურობა ევლია ჩელებიმ 1648 წლის აგვისტოში დაიწყო; ამჯერად იგი დამასკოსაკენ გაჰყვა სირიის ბეგლარ-ბეგად დანიშნულ მურთაზა-ფაშას²⁵. მის სამსახურში იყო, როგორც მუეძინთა უფროსი და მისი დავალებების შესასრულებლად მოგზაურობდა ხოლმე სირიისა და პალესტინის სხვადასხვა მხარეში. ცოტა ხნის შემდეგ მურთაზა-ფაშა სივასის ბეგლარბეგად დანიშნეს და ევლია მასთან ერთად ჩავიდა სივასში²⁶. 1650 წელს მურთაზა-ფაშა გადააყენეს და ევლია ჩელები იმავე წლის 14 ივლისს სტამბოლს დაბრუნდა²⁷.

1651 წელს ევლია ჩელების ნათესავი მელექ აჰმედ-ფაშა დიდ ვეზირობიდან გადააყენეს და ოჩაკოვოს (ოზუ) ბეგლარ-ბეგად დანიშნეს. იმავე წლის სექტემბერს ევლია ჩელები მას გაჰყვა, შავი ზღვის დასავლეთი სანაპირო მოიარა და 1652 წ., როდესაც მელექ აჰმედ-ფაშა რუმელიის ბეგლარ-ბეგად დანიშნეს, სოფიაში ჩამოჰყვა²⁸. მელექ აჰმედ-ფაშა რომ გადააყენეს, ევლია ჩელები 1653 წლის ივლისში სტამბოლს დაბრუნდა²⁹.

1655 წელს მელიქ აჰმედ-ფაშა ვანის ვილაიეთის ბეგლარ-ბეგად დანიშნეს და ევლიაც მას გაჰყვა. აქედან იმოგზაურა თავრიზში, მოსულში, ჰამადანსა და ბაღდადში. 1656 წლის ივნისში სტამბოლს დაბრუნდა. 1656 წლის ივლისში იგი ისევ ოჩაკოვის ვილაიეთის

²⁰ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბილისი, 1971, გვ. 323.

²¹ იქვე, გვ. 330.

²² იქვე, გვ. 335.

²³ იქვე, გვ. 395.

²⁴ იქვე, გვ. 425.

²⁵ იქვე, გვ. 444.

²⁶ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ტ. III, გვ. 132 (იხ. სტამბოლის გამოცემა)

²⁷ იქვე, გვ. 254.

²⁸ იქვე, გვ. 370.

²⁹ იქვე, გვ. 418.

ბეგლარ-ბეგად დანიშნულ მელექ აჰმედ-ფაშას გაჰყვა და სილის-ტრია მოიარა³⁰.

1657 წლის 26 მაისს ევლია ჩელები გაჰყვა ლაშქარს, რომელიც აჯანყებული უნგრელი მთავრის – რაკოცის წინააღმდეგ მიდიოდა³¹. აქ იგი ყირიმის ხან მეჰმედ გირეი IV-ს სამსახურში შევიდა და მას ახლდა რუსეთის მიწებზე მოწყობილ თარეშებში. ამ დროს მოიარა უკრაინის ის მიწები, რომლებიც დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობენ³² და 1658 წლის იანვარში სტამბოლს დაბრუნდა³³. 1660 წელს ბალკანეთში იმოგზაურა; სოფია, ნიში, ბელგრადი მოიარა და ბოსნაში ჩავიდა, აქედან ბეგლარ-ბეგად დანიშნულ მელექ აჰმედ-ფაშას დავალებებით იგზავნებოდა სხვადასხვა მხარეს. იყო სპლიტში³⁴. ხორვატიის მთავარ ნიკოლა ზრინისთან და შემდეგ მდინარე სავა და დრავას ხეობებში³⁵.

1661 წლის იანვარში სოფიაში ჩამოვიდა მელექ აჰმედ-ფაშასთან ერთად, რომელიც ამ დროს რუმელიის ბეგლარ-ბეგად დანიშნეს. აქედან მან რამდენიმე მოგზაურობა მოაწყო და თან ფაშის დავალებებს ასრულებდა, გადასახადების აკრეფას ხელმძღვანელობდა და ლაშქრობებში მონაწილეობდა³⁶. შემდეგ ალბანეთში იმოგზაურა და 1662 წლის 4 აპრილს სტამბოლში დაბრუნდა³⁷. 1663 წელი ავსტრიის ლაშქრობაში გაატარა, მრავალი ქალაქი მოიარა და ზამთარში ბელგრადში დაბრუნდა³⁸. 1664 წლის გაზაფხულზე ჰერცოგოვინაში იმოგზაურა³⁹. ილაშქრა უნგრეთში, ბუდონიდან ერლაუში ჩავიდა, პეშტში დაბრუნდა. ზავის დადების შემდეგ ელჩად გაგზავნილი ფაშის ამალაში მოხვდა და 1665 წლის ივნისში ვენაში ჩავიდა⁴⁰. იმავე წელს ევლია ჩელები ყირიმშია. ყირიმიდან ჩრდილო კავკასიაში იმოგზაურა, გაიარა დაღისტანი, კასპიის ზღვის სანაპიროებით

³⁰ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ტ. V, გვ. 77 (იხ. სტამბოლის გამოცემა)

³¹ იქვე, გვ. 105.

³² იქვე, გვ. 147.

³³ იქვე, გვ. 233.

³⁴ იქვე, გვ. 494.

³⁵ იქვე, გვ. 508.

³⁶ იქვე, გვ. 590.

³⁷ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ტ. VI, გვ. 136 (იხ. სტამბოლის გამოცემა)

³⁸ იქვე, გვ. 402.

³⁹ იქვე, გვ. 413.

⁴⁰ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ტ. VII, გვ. 424.

ასტრახანში ჩავიდა; ვოლგას აჰყვა და ყაზანში აღმოჩნდა. ქედან მდინარე იაიკის აყოლებით ურალამდე მიაღწია და დონზე დაბრუნდა. აზოვიდან სამხრეთ უკრაინაზე, რუმინეთსა და ბულგარეთზე გავლით სტამბოლს ჩავიდა 1668 წლის 11 მაისს⁴¹.

1668 წლის 26 დეკემბერს სტამბოლიდან გავიდა, გაიარა ედირნე, სალონიკი, თესალია, მორეა. 1669 წ. ანაბოლიდან გემით წავიდა კუნძულ კრეტაზე მოწყობილ ლაშქრობაში⁴². 1670 წლის აპრილში კრეტა დატოვა და საბერძნეთში დაწყებული აჯანყების წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარს შეუერთდა⁴³. იქიდან ალბანეთზე გამოიარა, მაკედონიის ზოგიერთი მხარე დაათვალიერა და 1670 წლის 28 დეკემბერს სტამბოლს დაბრუნდა⁴⁴.

1671 წლის 21 მაისს თავის მეგობარ საილი ჩელებთან ერთად სალოცავად მექას გაემართა იმ გზით რომლითაც ჯერ არ ეარა. კუნძულ როდოსზე იყო, გაიარა ადანა, მარაშა, აინთაბი, დამასკოც ინახულა და იქიდან მექაში ჩავიდა მლოცველთა ქარავანთან ერთად.

1672 წლის ივნისში ევლია ჩელები მექადან გაჰყვა ეგვიპტისაკენ მიმავალ მლოცველებს და ეგვიპტე მოიარა. აქედან სუდანსა და აბისინიაშიც ჩავიდა (1673 წ.) და ეგვიპტეში დაბრუნდა.

რასაკვირველია, ამ მოგზაურობას არავითარი ფასი არ ექნებოდა, ევლია ჩელების დაწვრილებით რომ არ ჰქონდეს აღწერილი მოგზაურობის დროს ნანახი, განცდილი და გაგონილი.

ევლია ჩელების თხზულების დახასიათებისა და შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. ვ. ბართოლდისა და ი. ი. კრაჩკოვსკის მიერ თავიანთ შრომებში გამოთქმულ აზრს. ი. ი. კრაჩკოვსკის სტყევებით რომ ვთქვათ, ისეთმა მკაცრმა მსაჯულმა, როგორიც იყო ვ. ვ. ბართოლდი, შესაფერისად შეაფასა „მოგზაურობის წიგნი“ და თქვა, რომ თურქულ ენაზე დაწერილმა ორიგინალურმა გეოგრაფიულმა თხზულებამ – ევლია ჩელების მოგზაურობის აღწერამ – გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალის სიუხვით შორს მოიტოვა კლასიკური იერბული გეოგრაფიული შრომები⁴⁵.

⁴¹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ტ. VIII, გვ. 67 (იხ. სტამბოლის გამოცემა)

⁴² იქვე, გვ. 376.

⁴³ იქვე, გვ. 577.

⁴⁴ იქვე, გვ. 768.

⁴⁵ И. Ю. Крачковский, Арвбская географическая литература, Избранные сочинения, т. IV, М-Л-Д., стр. 627.

ევლია ჩელებიმ თავისი თხზულება შეადგინა მოგზაურობის დროს წარმოებული ჩანაწერებისა და ზოგჯერ ნაამბობის საფუძველზე, ზოგ შემთხვევაში ლიტერატურული წყაროების გამოყენებით ი. ი. კრაჩკოვსკის აზრით, სხვადასხვა ქვეყნის ყოველი კონკრეტული ობიექტი, რომელიც ევლია ჩელებიმ ანახულა, მას აღწერილი აქვს უშუალო დაკვირვების საფუძველზე და იგი შეიძლება ჩაითვალოს დიდ და ოსმალთა გეოგრაფთა შორის ყველაზე საინტერესო წარმომადგენლად⁴⁶. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ მისი თვალთა ნანახი და ამ შემთხვევაში თითქმის ყოველთვის სანდო ევლია ჩელების მიერ მოწოდებული ცნობები. იგი მრავალ ცნობას იძლევა მის მიერ ნანახი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების სხვადასხვა მხარეების შესახებ; აგვიწერს ქალაქებსა და სოფლებს, მათთვის გამართულ ბრძოლებს, სახალხო მეურნეობას, მცენარეულობას, მდინარეებსა და წყაროებს. ჩაწერილი აქვს ფოლკლორული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული მასალა (ჩაცმულობა, საჭმელ-სასმელი, ნადიმი და სანახაობანი) და სხვ. მისი აღწერილობის სხვადასხვა ადგილას გაფანტულია აურაცხელი კულტურულ-ისტორიული მასალა და მიუხედავად მრავალი გაზვიადებისა და დაშვებული შეცდომებისა, ყველაფერი ეს ასე ცოცხლად არის წარმოდგენილი, რომ ქვეყნის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების მრავალფეროვან სურათს იძლევა⁴⁷. ყველაფერი ეს თანამედროვე მეცნიერებას სრულ უფლებას აძლევს აღიაროს ევლია ჩელები მახლობელი აღმოსავლეთის დიდი მოგზაურების მთელი პლეადის ნაღვანის დამაგვირგვინებლად⁴⁸.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ „მოგზაურ/ბის წიგნში“ ევლია ჩელები თითქმის ყოველი ქვეყნის, ან დიდი ქალაქისა და ციხის აღწერას წაუძმღვარებდა ხოლმე მის ისტორიას, გადახდილ ომებსა და სხვა ისტორიული ხასიათის ცნობებს. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ მას დავახასიათებთ როგორც ისტორიკოსს.

საინტერესოა ევლია ჩელების შეხედულება ისტორიკოსის მოვალეობაზე. მისი აზრით, ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაა მის განკარგულებაში არსებული უტყუარი ცნობების გადმოცემა, სადა და ნათელი ენით წერა. ევლია ჩელები გამოთქვამს შეხედულებას, რომ ისტორიული ამბის მაღალფარდოვანი აღწერით არ უნდა შეფასდეს მოვლენის მნიშვნელობა. მაგალითად მას დაწვრილებით

⁴⁶ იქვე, გვ. 626.

⁴⁷ იქვე, გვ. 631.

⁴⁸ იქვე.

აქვს აღწერილი კუნძულ კრეტაზე ლაშქრობა და გამოთქვამს აზრს, რომ „ეს ჭეშმარიტად, ბაღდადისა და აზოვის ომებს აჭარბებს. სიმართლე რომ ითქვას, ჟამთააღმწერლები იმ ომებს მაღალფარდოვნად აღწერენ, მაგრამ ამის დამწერ მწირს კი საამისო უნარი არ შესწევს“⁴⁹. ან უფრო ქვემოთ: „ჰანიის დაპყრობის შესახებ კიდეც რამდენი აღწერა და ქებაც კი არის, მაგრამ მე, ცოდვებით სავსე მწირსა და არარაობას, მაინცდამაინც ნატიფად თხზვა და ჩემს განკარგულებაში არსებული უტყუარი ცნობების ლამაზად მოხსენება არა მქონია მიზნად. ნათელი და სადა ენით აღვწერ და ამას დავჯერდი, როგორც ნათქვამია: „ადამიანთა სიტყვა გონების მიხედვით“⁵⁰.

შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიის ტრადიციის მიხედვით იგი თავის თავს „წრფელს“, „მართალს“ უწოდებს და მკითხველს არწმუნებს თავისი თხრობის სინამდვილეში. მიუხედავად ამისა, ევლია ჩელები არ იყო ყოველთვის „წრფელი“. თავისი პოლიტიკური ტენდენციის გამოსაჩენად, მოსაზრების დასამტკიცებლად „ურჯულოების“ დასამცირებლად და ზოგჯერ თხრობის გასახალისებლად ათასნაირ გამოგონილ ამბავს, სასწაულსა და საოცრებას მოუთხრობდა მკითხველს, აზვიადებდა ოსმალთა ძლიერებას, დიდსულოვნებას, სიბრძნეს და სხვ. მრავალი ლეგენდა წმინდანების შესახებ, რომელსაც ევლია ტრადიციის მიხედვით ხშირად მიმართავს, მას ხალხური და წერილობითი წყაროებიდან აქვს გადმოღებული⁵¹. ზოგჯერ იგი იძულებული იყო ხარკი გადაეხადა ოფიციალური პირებისათვის, ექო და ედიდებინა ისინი, თუმცა გამორიცხული არ არის დაფარული ირონიაც: თავისი სისულელით ცნობილი სულთნის – იბრაჰიმ პირველის შესახებ ერთ ადგილას ასეთი გამოთქმა აქვს: – „არისტოტელივით ბრძენმა ფადიშაჰმა“..⁵²

ევლია ჩელების თხზულება შეიძლება სანიმუშო მაგალითად გამოდგეს იმის მიხედვით, თუ რა მრავალფეროვანი მასალის საფუძველზეა იგი შედგენილი. „მოგზაურობის წიგნის“ ჩონჩხს წარმოადგენს დღიურები, სადაც აღწერილია განვლილი გზა და ყოველდღიური ამბები, რაც შეიძლება მოგზაურს გადახდენოდა, ან მისი დაკვირვების ობიექტი ყოფილიყო. ამ ჩონჩხს ასხმული აქვს ავტორის შეხედულებანი ქვეყნებისა და ქალაქების ისტორიაზე, მოსახლეობის საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, ბუნებრივ პირობებზე

⁴⁹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, გვ. 152.

⁵⁰ იქვე, გვ. 158.

⁵¹ И. Ю. Крачковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 627.

⁵² „მოგზაურობის წიგნი“, გვ. 141.

და სხვა. თავისი შეხედულებების დასასაბუთებლად და ცნობების შესავსებად მას გამოყენებული აქვს მრავალგვარი საისტორიო წყარო.

„მოგზაურობის წიგნის“ შესადგენად ევლია ჩელების გამოყენებული აქვს ისტორიული თხზულებები (თურქული, არაბული, სპარსული, ბერძნული, და ლათინური), თურქული დოკუმენტები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ჩუმიზმატიკის მონაცემები, ფოლკლორი, მოგზაურების, ნათესავებისა და ნაცნობების ნაამბობი⁵³. ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ.

ისტორიული თხზულებანი ევლია ჩელების მაშინ უნდა გამოეყენებინა, როდესაც მოგზაურობას ამთავრებდა და დღიურების დამუშავებას შეუდგებოდა. მნიშვნელოვანი ქალაქების, ციხეების და იმ ადგილების აღწერისას, სადაც ღირსშესანიშნავი ამბები იყო მომხდარი, ევლია ჩელები ისტორიულ ექსკურსებს მიმართავდა და სხვადასხვა ენაზე შედგენილ მატიანეებს იყენებდა. ეს ცნობები ძირითადად შეეხება ქალაქების აშენებისა და მათ მიერ გადახდილი ბრძოლების ისტორიას, დინასტიების ისტორიას, სვადასხვა ქვეყნებს შორის მომხდარ ომებს და სხვ. მაგრამ თუ რომელიმეზე ხელი არ მიუწვდებოდა, არ ერიდებოდა, დახმარებისათვის მიემართა სხვა ისტორიკოსებისათვის. სანიმუშოდ მოვიტანთ ქალაქ ბრუსას აღწერას: „ადამის მიწაზე დაშვების შემდეგ, დედამიწის ზურგზე პირველად რომ მისი ისტორია დაწერა, იყო იდრისი... შემდეგ არიან კოტები, რომლებიც დღემდე მომხდარ ყველა ამბავს მიყოლებით წერენ: შემდეგ არიან ბერძნები, რომელთა უდიდესი მემკვიდრეა მადიანის ძე და იანკოს ძმა ბანვანი. თუმცა ებრაელებს ისტორია აქვთ, რომელსაც ჰეჯამი ეწოდება, მაგრამ იგი სანდო არ არის. არსებობს ინდოეთის ისტორიები, ჩინეთის ხაკანისა, არაბეთის, ირანის, საფრანგეთისა და ლათინთა ისტორიაც, სულ უკანასკნელია ბერძნების ისტორია. მე შევხვდი ყველა ისტორიკოსს, რომელთაც შესწავლილა ჰქონდათ ეს მატიანეები. არც ერთ მათგანში ბრუსის დამაარსებლის შესახებ (თურმე), არაფრი წერია (ხაზი ჩვენია გ. ფ.) „სულეიმან-ნამედ“ და „თოჰფედ“ წოდებულ ძველ ისტორიებში კი შემდეგნაირადაა აღწერილი“⁵⁴.

ევლია ჩელები ხშირად იშველიებს სულთნებისა და დიდი მოხელეების მიერ გაგზავნილ წერილებს თავისი მოთხრობის დასასაბუთებლად⁵⁵.

⁵³ А. И. Желтков, А. С. Тверитинова, დასახ. ნაშრომი. გვ. 10.

⁵⁴ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 13.

⁵⁵ იქვე, გვ. 410, 411 და სხვ.

რაც შეეხება ეპირგაფიკულ წყაროებს, ევლია ჩელებისათვის ისინი ერთერთი ძირითადია თხზულების შესადგენად. ერთ ადგილას მას აღნიშნული აქვს: „მე, უკნინეს მონას, რომ მკითხონ: „ამდენი სოფელი და ნაგებობანი რომ გაქვს აღწერილი, ამის შესახებ ცნობები საიდან გაქვსო, ვუპასუხებ, რომ მე ეს ცნობები მივიღე ძეგლებზე არსებული ასობით ათასი წარწერიდან, ყირიმის ყველა საქველმოქმედო დაწესებულების ვაკუფთა მფლობელების სიებიდან მენგლი-გირეი ხანის მეჩეთის ახლოს (მდებარე) მარმარილოს სვეტებზე არსებული წარწერებიდან⁵⁶. ქალაქ ბრუსის ძველი ციხის ბურჯზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერა ავტორს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ ბრუსა ერთ ხანს იზმირის მეფის ცოლის – ფიდაკას ხელში იყო⁵⁷.

ევლია ჩელებისათვის არც ნუმისმატიკური ცნობებია უცხო. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ ტრაპიზონის ოქრომჭედლობის დახასიათება, სადაც ევლია ჩელების უნახავს ფული, რომელიც სელიმს მოუჭრია საკუთარი ხელით; სელიმი ტრაპიზონში დაიბადა, ყმაწვილობისას მეზარნიშეობა უსწავლია და მამის სახელზე ფული მოუჭრია, დაასკვნის ევლია⁵⁸.

ევლია ჩელებისათვის დამახასიათებელია წყაროს მოუხსენებლობაც და მკითხველისათვის ძნელია გაერკვეს მოარულ ამბავთან აქვს საქმე, თუ ავტორის ფანტაზიასთან. 1647 წელს ევლია ჩელები აზერბაიჯანზე გამოვლით საქართველოში შემოვიდა და მისი აღწერაც, თავისი წესის მიხედვით, საქართველოს მეფეთა შთამომავლობის ისტორიით დაიწყო. აქ ევლია ჩელები აცხადებს: „მოსკოვის ხელმწიფის შთამომავლობა რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ⁵⁹. ევლია ჩელებისათვის ეცნობი არ იყო ის გარემოება, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა მყარდებოდა და შესაძლებელია, სწორედ ამიტომ სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა ზემოთ მოტანილი აზრი.

ევლია ჩელების თხზულების ისტორიულ ნაწილში მთავარი ადგილი ომების ისტორიას უჭირავს. ევლია ჩელები თავისი კლასის – ფეოდალთა კლასის შვილი იყო. მან ოსმალთა ისტორიიდან იცოდა, როგორ მარცვავდნენ ქვეყნებს ოსმალები და თვითონაც მონაწილე-

⁵⁶ „მოგზაურობის წიგნი“, ტ. VII, გვ. 661.

⁵⁷ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 14.

⁵⁸ იქვე, გვ. 90.

⁵⁹ იქვე, გვ. 297.

ობდა ოსმალთა მმართველურ ომებში, ამიტომაც მას, როგორც ისტორიკოსს და როგორც ომში მონაწილეს, ბუნებრივად კანონზომიერ მივლენად მიაჩნია „ურჯულოთა“ ქვეყნების ძარცვა. ამას იგი სრულიად ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს და საქმის ცოდნით ჩამოთვლის ხოლმე ნადავლს. როდესაც აზოვის ლაშქროა უშედეგოდ დამთავრდა, ევლია ჩელების, ისევე, როგორც ლაშქრის სარდლებს, ვერ წარმოედგინა სახლში ხელცარიელი დაბრუნება და ამიტომ „... ყველა ვეზირი, რწმუნებული და საქმის კაცები შეიკრიბნენ... ითათბირეს და დაადგინეს, რომ მოსკოვის მეფის სატახტო ქალაქამდე სარბევად გაეგზავნათ ბაჰადირ-გირეი-ხანი სამოცდაათათასიანი ჯარითა და ცხენოსნებით. ბაჰადირ-გირეი თანხლებული თათართა ტომების ჯარით დაბრუნდა გამგზავრების მე-14 დღეს. ისლამის ჯარში მან ორმოცდახუთი ათასი ტყვე და ორასი ათასი ნადავლი ცხენი მოასხა, ურიცხვი ძვირფასი ქონება, სპილენძის, კალის სხვადასხვანაირი ჭურჭელი მოიტანა. როდესაც ციხესთან მდგარ ისლამის ურდოში მოვიდა, ისლამის მეომართა მკვდარი გულები კვლავ გაცოცხლდა... თათართა ჯარის ამგვარი ნადავლით მოსვლამ ისეთი სიუხვე შექმნა, რომ ცხენი ერთ ყურუშად გაიყიდა და გაუფურჩქნავი ქალწული – ხუთ ყურუშად“⁶⁰.

ჩვეულებრივი ტონით, ისევე, როგორც რომელიმე სოფლის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობის შესახებ თხრობისას, აგვიწერს რუსეთისა და ყირიმის სახანოს საზღვრის გასწვრივ, მდინარე სუთის (მოლოჩნაია) ნაპირზე დასახლებული ადგილების მოსახლეობის მდგომარეობას, მაგ.: „ყირიმიდან კვირაში ერთხელ-ორჯერ რაზმები მოდიან ციხის ძირას, დათარეშობენ, ნადავლს იღებენ, ყირიმში მიჰქვთ და ჰყიდნიან“⁶¹. მაგრამ ევლია ჩელები წყველა-კრულვით იხსენიებს ოსმალთა აჯანყებულ ჯარს მაშინ, როდესაც ანატოლიის თურქებით დასახლებულ სოფლებში მოწმე ხდება საკუთარი მოსახლეობის აწიოკებისა; ამ ჯარის დიდი ზარალი (მდინარის გადაღახვისას რომ დაიხრჩო მრავალი და ნაძარცვი წყალში ჩაეძირათ) ევლია ჩელები ალაჰის მიერ მოვლენილ შურისძიებად ჩათვალა⁶². ამავე დროს ბოლუს სანჯაყის აღწერისას ევლია სიამაყით აღნიშნავს: „რადგანაც სოფლები ციცაბო მთებზეა შეფენილი, განსვენებულმა [სულთანმა]

⁶⁰ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 116 – 117.

⁶¹ იქვე, გვ. 119.

⁶² იქვე, გვ. 381.

ოსმანმა ამ მხარის ხალხი სისხლის ცრემლებით ატირა, სანამ დაიმორჩილებდა⁶³“.

ჩვენს ავტორს საკმაოდ სწორი წარმოდგენა აქვს მომთაბარეთა შემოსევების ხასიათის შესახებ. იგი ყოველთვის სწორად აფასებს მონღოლების როლს მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების მეურნეობის დაქვეითებაში. გასაგები გარემოების გამო ოსმალთა დაპყრობები კი რეგრესულ მოვლენად მიაჩნია. სანამ ნახჭევნის აღწერას დაიწყებდეს, მის ისტორიას გადმოგვცემს: „ეს ქალაქი ძველ დროს შაჰ-აფრასიაბის აშენებულია... მისი მეფობის დროს ნახჭევანი იმ ზომამდე კეთილმოწყობილი და გაშენებული ყოფილა, რომ მის ტრამალებზე ერთი ნაბიჯი მიწაც არ იყო თავისუფალი. შემდეგ მონღოლებმა ხარბად დაადგეს თვალი, მიწაზე დაუტეველი ჯარით მოვიდნენ და ამ ქალაქის საქვეყნო ხატოვანება წარხოცეს, დაანგრეს და გაავერანეს; მისი ციხე დაღწეს და მტვრად აქციეს. შემდეგ ოსმალთა საგვარეულოს წევრის მეჰმედ-ხან მესამის დროს ოსმალების ხელში რომ იყო, გზადაბნეული შაჰის მხრიდან ზულფაკარ ხანი მოვიდა და ნახჭევანი დაიპყრო. შემდეგ მურად-ხან მეოთხის ჯარი მოვიდა და თაბანი დასი მეჰმედ-ფაშამ აქაურობა დაიპყრო... საერთოდ ამ ქვეყანაზე ყველაფერი ვერანდება. ესეც უეჭველია, რომ ყველაფერი წარმავალია... მურად მეოთხის შემდეგ აქაურობა კიდევ უფრო აყვავდა და გაშენდა“⁶⁴.

XVI – XVII სს. მიჯნა ოსმალთა სახელმწიფოს ისტორიაში გარდატეხის პერიოდი იყო. ამ დროს ნათლად გამოჩნდა არა მარტო სახელმწიფოს დაქვეითების, სამხედრო ძლიერების შესუსტების ნიშნები, არამედ მწვავე სოციალური წინააღმდეგობანიც. ევლია ჩელები თავისი კლასის წარმომადგენლებთან ერთად, გამოსავალს ისევ დაპყრობით ომებში ხედავს. მისი აზრით ძლიერი სულთნის დროს მოპოვებული დიდი გამარჯვებები არა მარტო უხვი ნადავლის წყაროა, რომელიც შეავსებს ხაზინას და გაამდიდრებს ფეოდალებს, არამედ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ პრესტიჟს ზრდის და ამ მდგომარეობის შესანარჩუნებლად ისევ ახალი ომები და გამარჯვებები საჭირო; ამის შესახებ ევლია ჩელები წერს: „აზოვის ლაშქრობის მიზეზი: მურად-ხან მეოთხემ სამოთხის ქალაქი ბაღდადი ირანს წაართვა და ძლევამოსილი და გამარჯვებული სტამბოლს რომ მოვიდა, ყველა ურჯულომ სიმშვიდე დაკარგა. ელჩებმა ყოველი მხრიდან იწყეს მოსვლა. მშვიდობიანობის აღსადგენად უხვი სიმ-

⁶³ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 168.

⁶⁴ იქვე, გვ. 121 – 122.

ვიდრე და მრავალი ძვირფასი საჩუქარი მოართვეს. მხოლოდ მალტელებისაგან არავინ მოსულა. მათ წინააღმდეგ გასალაშქრებლად ათასი ხომალდი მომზადდა“⁶⁵.

ევლია ჩელები იცოდა, რომ სულთნის მთავრობას საშინაო მდგომარეობის გართულებისას დაპყრობითი ომების წარმოება მიაჩნდა გამოსავლად. ევლია ჩელების აქვს ერთი პატარა ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ, როდესაც დაქირავებული ჯარის მოთოკვა არ შეეძლო, მთავრობა რძოლის ველზე აგზავნიდა მას, რათა იქ ეყარა ჯავრი საკუთარ ჯარზე: „... სულთან მურადის სიკვდილის შემდეგ დაქირავებულმა მეომრებმა ურჩობა დაიწყეს და დიდევზირს თავზე დაადგნენ. მანაც იფიქრა, რომ [ამისთანა] ჯარს ლაშქრობაში უნდა წამტვრევინო ცხვირიო და მოინდომა რომელიმე ქვეყნის დალაშქვრა“⁶⁶. აქვე უნდა ღინიშნოს, რომ ევლია ჩელები სასტიკი მოწინააღმდეგეა ფეოდალთა შორის ბრძოლებისა, რომლებიც სახელმწიფოს ასუსტებენ, მაგრამ ძალაუნებურად თვითონაც უხდება ამგვარ ბრძოლებში მონაწილეობა და როგორღაც ურიგდება ბედს: „ამ წუთისოფლის ამბავი ასეთია: იმისათვის, რომ პირველობა ჩაიგდონ ხელში და ერთიმეორე დაემორჩილონ, როგორც წესი, ბეგები და ფაშები ერთმანეთზე ილაშქრებენ და იბრძვიან“⁶⁷.

ევლია ჩელები, როგორც ყველა ოსმალთა ისტორიკოსი, ჩვეულ ხერხს ხმარობს, როდესაც უნდა დაასაბუთოს ოსმალთა მიერ დაწყებული ომის კანონიერება და გარდაუვალობა. იგი იშველიებს მოწინააღმდეგის „საღვთო წერილში ნაწინასწარმეტყველებ ამბავს“. მაგალითად, როდესაც კუნძულ კრეტას დაპყრობაზე მოგვითრობს, ვრცლად აქვს აღწერილი, თუ როგორ დაიპყრეს და გამარცხეს მალტელებმა ეგვიპტეს მიმავალი კიზლარ-აღასის გემი. ეს გემი მალტელებმა მიიყვანეს კრეტაზე, რომელიც ვენეციელთა ხელში იყო. „სრული ერთი თვე ჰანიას ნავსადგურში დაჰყვეს და მთელი სიმდიდრე, ქონება, ყველა ქეპილანის ცხენი, სხივებივით ლამაზი, უმანკო ვარსკვლავივით ქალიშვილები, მშვენიერი ჭაბუკი მონები გემიდან გადმოიყვანეს და ჰანიას ციხეში გაყიდეს. რამდენ ქალიშვილს ახადეს ნამუსი, სისამაგლე და ურცხვობა ჩაიდინეს“⁶⁸. ამის შემდეგ ევლია ჩელები, რომელსაც უნდა დაასაბუთოს კრეტას ოსმალების მიერ დაპყრობის სამართლიანობა და გარდაუვალობა, კრეტას სამღვ-

⁶⁵ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 109 – 110.

⁶⁶ იქვე, გვ. 110.

⁶⁷ იქვე, გვ. 414.

⁶⁸ იქვე, გვ. 137.

დელოების ათქმევინებს: „ვאי, რომ ამ ქალაქში არ უნდა გვენახა ოს-
მალთა გალიონი, ქალიშვილები და ცხენები! ამიერიდან ხელიდან
წასულია ეს კუნძული, რადგანაც ჩვენ საღვთო წიგნში ასე წერია:
„და [თუ] მოვიდა ამ კუნძულზე ოსმალთა გალიონი, მოვიდ-
ნენ ცხენები, მოვიდნენ ქალიშვილები მათ [უნდა] მოჰყვენ თურქნი
და ჩასხდნენ თავიანთ გემში, შესხდნენ თავიანთ ცხენებზე, მიუდგნენ
ქალიშვილებსა, დაეპატრონონ ამ კუნძულსა და გააჩინონ შთამომავ-
ლობაო“⁶⁹. შემდეგ განაგრძობს თხრობას, აღწერს კრეტას ბრძო-
ლებს და დასძენს, რომ იქ მართლაც თურქები გაბატონდნენ და გამ-
რავლდნენო.

ევლია ჩელები საკმაოდ კარგად ერკვევა ოსმალთა სახელმწი-
ფოს სოციალურ ურთიერთობებში. ანატოლიის ტერიტორიის მოსახ-
ლეობის სოციალურ ფენებს დიდი ხნის წინ დაპყრობილი ტერიტო-
რიის ხალხებს იგი კარგად იცნობს და ინფორმატორი არ სჭირდე-
ბა – მხოლოდ სხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს აწარმოებს გამო-
კითხვას და მათი ნაამბობის მიხედვით მსჯელობს. ოსმალურ ისტო-
რიოგრაფიაში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ოსმალთა
სახელმწიფოს საზოგადოება ოთხი ელემენტისაგან შედგებოდა. კერ-
ძოდ, ქათიბ ჩელების მიხედვით ეს იყო: ულემები, მხედრები, ვაჭ-
რები და გლეხობა. ევლია ჩელებიც იგივე შეხედულებისაა და მთელი
თხზულების მანძილზე ამ ოთხი ფენის შესახებ აქვს ხოლმე მსჯელობა
როდესაც აღწერილობას იძლევა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში იგი სა-
ჭიროდ თვლის, ქვეყნის მეურნეობის თავისებურების აღსანიშნავად
ჩამოთვალოს საზოგადოების ფენები, რომელთა რიცხვი ამ ოთხს
სცილდება და როგორც წესი, გადასახადის გადამხდელი ქვეშევრდო-
მების – რაიას ხარჯზე ზრდის ამ რიცხვს. მოსახლეობის ფენებად
დაყოფას იგი იძლევა ხოლმე იმ თავებში, რომელსაც „მოსახლეობის
საქმიანობას“ უწოდებს. მაგალითად, როდესაც იგი ტრაპიზონს
აღწერს, ერთ-ერთი თავი მიძღვნილი აქვს ტრაპიზონის მოსახლეო-
ბის საქმიანობისადმი. ჩამოთვლილი აქვს ტრაპიზონის მოსახლეობის
ფენები (წარჩინებულები, ულემები, ვაჭრები, ხელოსნები, მეზღვაუ-
რები, მევენახე-მებაღეები და მეთევზეები), მათი საქმიანობა და რო-
გორც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სოციალური ფენისა –
ტანისამოსი: „ამ ქალაქის მოსახლეობა ძველთაგანვე შვიდი ფენაა.
ერთი ფენა წარჩინებულები, დიდებული ბეგები და ბეგთაშვილები
არიან, რომლებიც სიასამურის ქურქიან ბრწყინვალე ტანისამოსში
არიან ჩაფლულნი.

⁶⁹ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 137.

ერთი ნაწილი ელუმები, კეთილმორწმუნეები და სხვა საპატიო მდგომარეობის ხალხია. ეს ულემები დიდად განსწავლული ხალხია, რომლებიც განსაკუთრებულ ტანსაცმელ-მორთულობას ატარებენ და დიდ პატივისცემას იწვევენ.

მესამე (ფენა) ვაჭრებია, რომლებიც აზოვში, კაზაკებთან, სამეგრელოში, აბაზას ქვეყანაში, ჩერქეზეთში და ყირიმში დაიარებიან და ვაჭრობენ. შალის ფარაჯას, კონთუმს, ხიფთანს იცვამენ.

მეოთხე (ფენა) ხელოსნები არიან და ყველანი შალის ფარაჯასა და ნარმის ხალათებს იცვამენ⁷⁰.

მეხუთე (ფენა) შავი ზღვის მეზღვაურები არიან, რომელთაც აცვიათ მათთვის დამახასიათებელი ტანისამოსი – ღუზის ამწევები-სათვის: შარვალი, შალის ხიფთანი. თავზე იხვევენ ნარმის ჩაღმას ზღვაზე ვაჭრობენ და საქმიანობენ.

მეექვსე (ფენა) მევენახეები და მებაღეებია, იმიტომ, რომ ამ ქალაქის ბოზ-თეფეს მთები მთლიანად ბაღნარია და სულ დავთარში აღნიშნულია 31 ათასამდე ბაღი და ვენახი.

მეშვიდე (ფენა) მეთევზეებია, რადგანაც ტრაპიზონელებს თევზი ძალიან უყვართ⁷¹.

არზრუმის გარეუბანში მცხოვრები სომხური მოსახლეობის რაია-თებში ევლია ჩელები ქონებრივ განსხვავებას ამჩნევს: „რადგანაც ამ გარეუბნებში მეტწილად სომეხი რაიათები სახლობენ, ცამეტი ეკლესია აქვთ. მათი წეს-წვეულების მიხედვით, დაწინაურებულები ცისფერი შალის ტანისამოსს იცვამენ. თავზე პირსახოცი აქვთ წაკრული. მდაბიონი შალის გვაბანაკს იცვამენ და ფეხზე მსუბუქი ქალამანი აცვიათ. მეტად მშრომელი რაიათები არიან“⁷².

ევლია ჩელები კარგად ხედავდა გლეხთა მდგომარეობას და გლეხის მეურნეობის გაჩანაგების მიზეზად თვლიდა კლიმატურ პირობებს, მიწის სიმცირესა, მტრისაგან აოხრებას, აჯანყებულთა „ავაზაკობას“. ფეოდალთა კლასის ინტერესების დამცველი ისტორიკოსისაგან მეტი არც იყო მოსალოდნელი. მაგრამ თხზულების მთელ მანძილზე ყრუდ მაინც ისმის ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდით, საგადასახადო ვალდებულებების დამძიმებით, ფეოდალთა და მოხელეთა აღვირახსნილი მოქმედებით გამოწვეული გადატაკების მიზეზები. მისი აზრით საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება მეურნეობას გააძლიერებდა. არზრუმის ვილაიეთში მოგზაურობისას ავტორი

⁷⁰ ტრაპიზონის ხელოსნური ამქრები ცალკე აქვს აღწერილი.

⁷¹ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 89 – 90.

⁷² იქვე, გვ. 202.

აღნიშნავს, რომ კანლიდედეს „მიდამოებში მდებარე სოფლები კეთილმოწყობილი და გაშენებულია... ძველი ფადიშაჰების დროიდან მათ ხელთ აქვთ სულთნის ხელმოწერილი პატიების სიგელები იმის შესახებ, რომ ისინი გათავისუფლებულები არიან ურფის გადასახადებისაგან“⁷³. (ხაზი ჩვენი, – გ. ფ.). ე. ი. ურფის გადასახადებისაგან გათავისუფლება გლესს საშუალებას აძლევდა მეურნეობა წესიერად მიეწყო და ადამიანურად ეცხოვრა. ოსმალეთის აჯანყებული გლეხობის ძირითადი მოთხოვნებიც ხომ ურფის გადასახადებისაგან გათავისუფლება იყო.

თავისი დროის მრავალი განათლებული მოღვაწის მსგავსად ევლია ჩელებისაც მიაჩნია, რომ საჭიროა მეტი სიფრთხილით მოქცევა ძირითადი მწარმოებელი მოსახლეობისადმი, მისი რაციონალური ექსპლუატაცია, რადგანაც კარგად ესმის, რომ რაია იყო სახელმწიფოს კეთილდღეობის საფუძველი და ხაზინის შემავსებელი წყარო. დარუბანდის ციხის აღწერისას ევლია გადმოგვცემს, რომ იგი მურად-ხან მესამის დროს ოზდემირის ძე ოსმან-ფაშას სარდლობით დაპყრობილ იქნა და „რადგანაც სამართალი და მართლმსაჯულება დაცული იყო, მისი სანახები აყვავდა და გაშენდა“⁷⁴. ოსმანჯიქის სანახების სოფლების შესახებ წერს: „ამათაც გავერანებისავენ აქვთ პირი, მაგრამ ისეთი ადგილია, რომ შეიძლება მისი აყვავება“⁷⁵.

ევლია ჩელები სასტიკი მოწინააღმდეგეა გლეხების შევიწროებისა, ძარცვისა და რბევისა. „ნამირალა სეკბანებმა და სარიჯაებმა ყველას (გლეხების) ცოლ-შვილი თავიანთი სახლებიდან გამოყარეს, ჩვილი ბავშვები აკვნებიანად თოვლზე დაყარეს. კარების ზღურბლები მოგლიჯეს და მერზიფონიდან მოყოლებული აქამდე მათ მიერ ჩადენილი ჰაჯაჯისებური ძალადობა გაიმეორეს“⁷⁶. ან კიდევ „... სოფელ კურდ დერესიში მივედით. ამ ღვთისმოსავების ცოლ-შვილი გარეთ გამოყარეს და მათი აკვნები ბავშვებიანად თოვლში გაისროლეს. ამ ამბების შემდეგ მრავალი სახლი დაინგრა და დაილეწა. სამი ჩვილი ბავშვი მოკვდა. მე, მწირმა ეს ამბავი რომ ვნახე, მღელვარებამ ამიტანა და ჩემთვის ვთქვი: „ნეტავ კიდევ რა უბედურებას გამოუგზავნის ამ ჯარს ის დიდებული შურისმგებელი ღმერთი მეთქი“⁷⁷.

⁷³ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 190.

⁷⁴ იქვე, გვ. 286.

⁷⁵ იქვე, გვ. 174.

⁷⁶ იქვე, გვ. 379 – 380.

⁷⁷ იქვე, გვ. 381.

ასევე ძლიერად, გულიდან ამოსული სიტყვებით აქვს აღწერილი აჯანყებული ფაშის ჯარის მიერ ცენტრალური ანატოლიის აწიოკებული გლეხების მწუხარება, განუკითხავი ბედი, მათი უმწეო მდგომარეობა. ევლია ჩელები ფაშის ჯართან ერთად მოგზაურობის დროს სასაფლაოზე მივიდა წმინდანის აკლდამის მოსალოცად და ამბობს: „გამოჩნდა ქალი, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჩაეხუტებინა გულში. წმინდანის საფლავის წინ დააწვინა ბავშვი, თვიდან საბურავი მოიხსნა და თმები გაიწეწა. „შვილო“, დასძახოდა და მოთქვამდა. თურმე ნადირალები ამ ქალის სახლში დამდგარან და ბავშვი თოვლში გადაუგდიათ. ისიც ღამე ყინვისაგან მომკვდარა. ქალს უკან მოჰყვნენ მრავალნი საწყალნი და უმწეონი, ცულითა და შუბით დაჭრილი მოხუცები და ღირსეული ადამიანები... მათ ერთხმად დაიწყეს წყევლა-კრულვა“⁷⁸.

როგორც ვხედავთ, ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ არა მარტო გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ეკონომიური ხასიათის ცნობებს შეიცავს ევროპის, აზიისა და აფრიკის იმ მრავალი ქვეყნის შესახებ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მოიარა ავტორმა, არამედ დიდი ადგილი უჭირავს ისტორიული ხასიათის ცნობებსაც. როგორც ისტორიკოსი, ევლია ჩელები თავის დროის ისტორიკოსთა დონეზე დგას, ტიპიური წარმომადგენელია XVII საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფიისა; ეს საუკუნე კი, როგორც ცნობილია, ოსმალური ფეოდალური ისტორიოგრაფიის აყვავების ხანად ითელება.

II

ევლია ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ უხვი ცნობებია მოცემული მოგზაურის მიერ ნანახი ქართული მიწების, მოსახლეობის, ქალაქების, სოფლების, ციხეების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ნავსადგურებისა და ბაზრების შესახებ. ეს ცნობები განეკუთვნება 1640 – 41, 1646 და 1647 წლებს, მაგრამ, რადგანაც ევლია ჩელები ისტორიულ ექსკურსებსაც აკეთებდა, ადრინდელი პერიოდის შესახებ ცნობებიც მრავალფეროვანი და საინტერესოა. სანამ ამ ცნობებს განვიხილავდეთ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი.

აღმოსავლური ტრადიციის მიხედვით, ევლია ჩელები საქართველოს „გურჯისტანს“ უწოდებს, მაგრამ ამ ტერმინს სხვადასხვა

⁷⁸ „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 382.

მნიშვნელობით ხმარობს. ზოგ შემთხვევაში „გურჯისტანი“ მთელ საქართველოს აღნიშნავს და ევლია ჩელებისთან იგი წარმოადგენს გეოგრაფიულ მცნებას, მაგალითად: ერევნიდან არზრუმში რომ ბრუნდებოდა ევლია ჩელები, შურაგელის ციხეში გაჩერდა და აღწერა; იგი აქვე დასძენს – „რადგანაც მისი ნაპიერების უმრავლესობა არფა-ჩაის გაღმა მდებარეობს, ერევნის მფლობელობაშია (ე. ი. ერევნის სახანოში შედის და ირანს ეკუთვნის – გ. ფ.). ესეც საქართველოდანაა იმიტომ, მდინარე არეზისა და ზანგის ჩრდილოეთით ორმოცი დღის სავალი, კავკასიონის მთების ჩათვლით, ხაზართა ზღვამდე დაღისტანად და საქართველოდ ითვლება. მისი დასავლეთი მხარე არზრუმს აღწევს“¹. კავკასიონის შესახებ საუბრისას ევლია ჩელები ამბობს: „მისი სიგრძე ოთხმოცი დღის სავალია აზაზას ქვეყანა აღმოსავლეთ (უნდა იყოს დასავლეთი – გ. ფ.) მხარეშია. ამ მთის ძირას სამეგრელოს, გურჯისტანის (იგულისხმება ჩილდირის ვილაიეთი – გ. ფ.), აჩიკ ბაშის, შავშეთის, გურიელის, დადიანის ხალხები სახლობენ და ამ ტომებიანად საქართველოს (იგულისხმება დასავლეთ საქართველო – გ. ფ.) სიგრძე ორმოცი დღის სავალია. საქართველოს საზამთრო სადგომში, ირანის ფარგლებში მდებარე თბილისის ვილაიეთისა და ქალაქ სერირ ალლანის საზღვრები იალბუზის მთის (კავკასიონის – გ. ფ.) კალთებია და მისი სიგრძე ცხრამეტი დღის სავალია“².

საქართველო პოლიტიკურად ერთიანი აღარ იყო და ევლია ჩელებიც ტერმინ „გურჯისტანს“ სხვადასხვა ადგილას განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობს. ზოგჯერ „გურჯისტანი“ აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავს და ამ შემთხვევაში „თეიმურაზ-ხანის (ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I) სამფლობელო“ ეწოდება: „... შაქის ციხის საზღვრებისაკენ წავედი. სოფელ ზუჭურიაში მივედი. საქართველოში თეიმურაზ-ხანის სამფლობელოს ფარგლებში, თბილისის ხანისადმი დაქვემდებარებული დიდი სოფელია (ხაზი ჩვენია – გ. ფ.) მისი ქვეშევრდომები ქართველი აზნაურები, სომხები და გოქდოლაკები არიან“³. აქ ყურდღებას შემდეგი მდგომარეობაც იქცევს: თბილისში ამ დროს (1646 წ.) ირანის მიერ ქართლის ვალიდ დანიშნული როსტომ-ხანი იჯდა, რომელსაც კახეთში გამაგრებული თეიმურაზი ებრძოდა და ქართლის დამორჩილებას ცდი-

¹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვეთი I. ქართული თარგმანი, თბი-1971, გვ. 315.

² იქვე, გვ. 273.

³ იქვე, გვ. 292.

ლობდა. ამ ბრძოლაში თეიმურაზს ოსმალეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, სანამ 1642 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდებოდა. ოსმალეთს ხელს აძლევდა თეიმურაზსა და როსტომს შორის არსებული წინააღდეგობანი და ევლია ჩელებიც ოსმალეთის პოზიციას გამოხატავს, როდესაც ამბობს – თეიმურაზ-ხანის სამფლობელოში, თბილისის ხანისადმი (როსტომისადმი) დაქვემდებარებული სოფელიაო. როგორც ჩანს, ზავის შემდეგაც ოსმალეთი გასპარსელებულ როსტომ-ხანს ქართლის მეფედ არ სცნობდა, მის მტრად და ირანის მოწინააღმდეგედ თვლიდა თეიმურაზ I-ს და მხარს უჭერდა. ასეთივე სიტუაცია შეიქმნა უფრო ადრეც; პროფ. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს: „ცნობილია, რომ გამაჰმადინებულ-გასპარსელებული ბაგრატ-ხანი და სიმონ-ხანი იყვნენ არა „მეფენი“, არამედ „ხანები“ – ირანის შაჰის მოხელეები. პიეტრო დელლა ვალლეს წერილებში ლუარსაბ II და თეიმურაზ I მეფედ იწოდებიან, გასპარსელებული ბაგრატ-სიმონი კი ხანად“⁴.

როდესაც ევლია ჩელები ახსენებს სახელწოდებას – „გურჯისტანის ვილაიეთი“, აქ გულისხმობს დასავლეთ საქართველოს სამთავროებს, რომლებსაც ოსმალეთი თავის ხელდებულად თვლიდა და ცდილობდა ახალციხის საფაშოს კონტროლისთვის დაექვემდებარებინა ისინი.

„მოგზაურობის წიგნის“ I ტომში ევლია ჩელები ჩამოთვლის ოსმალეთის ყველა ვილაიეთს, დასახელებული აქვს ამ ვილაიეთებში შემავალი სანჯაყები, ზემათეები და თიმარები. ამ ვილაიეთებს შორის ცალ-ცალკე დასახელებულია „ჩილდირის, ანუ ახალციხის ვილაიეთი“ და „გურჯისტანის ვილაიეთი“.

ცნობილია, რომ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისა და ახალციხის საფაშოს დაარსების შემდეგ, ოსმალები მას უწოდებდნენ ჩილდირის ვილაიეთს, ხან ახალციხის ვილაიეთს, ან გურჯისტანის ვილაიეთს. XVII საუკუნის 40-იანი წლებისათვის ოსმალეთი დაფ-სავლეთ საქართველოს თავის ხელდებულად თვლიდა, მაგრამ რადგანაც აქ საბოლოოდ გაბატონებული არ იყო, ვერც სანჯაყები შექმნა, არც აღწერა ჩაუტარებია, თუმცა ოსმალეთის ვილაიელთა სიაში მას „გურჯისტანის ვილაიეთს“ უწოდებდა. ზედმეტი არ იქნება, თუ აქ მოვიტანთ „მოგზაურობის წიგნის“ იმ ადგილს, რომელიც „ჩილდირის ვილაიეთისა“ და „გურჯისტანის ვილაიეთის“ აღწერას შეიცავს:

⁴ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI – XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბილისი, 1958, გვ. 393.

„ჩილდირის ანუ ახალციხის ვილაიეთი: დივანის მოხელეთაგან ხაზინის დავთარდარი და სხვანი არა ჰყავს. ალაი-ბეგი და ჩერი-ბაში ჰყავს. ცამეტი სანჯაყია: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჭაჭარა-ქი, დიდი არტანი, ფოცხოვი, მაჭახელა და ფანაკი. ამათ გარდა, ოთხი სანჯაყი იურთლულის, ოჯაკლიკის და მულქიეთის წესით აქვთ მსთ ბეგებს – ფერთეჟრეჟი, ლივანა, მცირე ლივანა და შავშეთი. მაგრამ სულთან მეჰმედ მეოთხის დროს⁵ ქუთაისის ციხე ყარა მურთაზა-ფაშას ხელით იქნა დაპყრობილი და იგი სანჯაყებს შეუერთდა. ერთი სიტყვით, დემირ სერჰანის შვილები დამორჩილდნენ და იქაურობა სანჯაყი გახდა.

გურჯისტანის ვილაიეთი: აჩიკ ბაშის, შავშეთის, დადიანის, გურიელის და მეგრელისტანის ბეგები ყველანი ურჯულოები არიან, მაგრამ მურად მეოთხის დროს⁶ ყველანი დამორჩილდნენ, საფარ-ფაშა ამ მხარის მმართველი გახდა და ახალციხე მის ცენტრად იქცა. ამჟამად მათგან ყოველ წელს მოდის საჩუქრები⁷.

ევლია ჩელების ეს ცნობა აქვს მხედველობაში პროფ. ვ. გაბაშვილს, როდესაც აღნიშნავს: „... მკვლევარები მიუთითებენ ევლია ჩელების იმ ცნობაზე, საიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთი ვილაიეთი დაყოფილი არ იყო სანჯაყებად, ე. ი. არ არსებობდა ოსმალური ფეიდალური ორგანიზაცია“⁸. ამას შემდეგი გარემოებაც უნდა დავძინოთ: „ჩილდირის ვილაიეთის“ შესახებ ჩვენს მიერ მოტანილი ცნობა თითქმის ემთხვევა ევლია ჩელების თხულების I და II ტომისა⁹, კოჩიბეი გორიჯელის „რისალეს“¹⁰ და სხვა ოსმალური წყაროების მინაცვლებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობას ქუთაისის სანჯაყის შესახებ). რაც შეეხება „გურჯისტანის ვილაიეთს“, აქ ყურადღებას იქცევს შემდეგი: სანჯაყები არ არის ჩამოთვლილი (სხვა ვილაიეთებში თითქმის ყველგან ნაჩვენებია, ე. ი. „გურჯისტანის ვილაიეთი“ სანჯაყებად არ იყო დაყოფილი), ხაზგასმულია, რომ „ბეგები“ ურჯულოები – ქრისტიანები არიან და მათი განმგებელია ახალციხის ვილაიეთის ბეგლარ-ბეგი საფარ-ფაშა. ეს ცნობა იმაზე მიუთითებს, რომ მართალია, ოს-

⁵ 1648 – 1687.

⁶ 1623 – 1640.

⁷ იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“, ახალი თურქული გამოცემა, გვ. 191.

⁸ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 343.

⁹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 299 – 300.

¹⁰ KoççRey Risalesi, istanbul, 1939, გვ. 102.

მალეთი XVII საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ საქართველოს უკვე „გურჯისტანის ვილაიეთად“ თვლიდა, მაგრამ აქ, ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთისაგან განსხვავებით „ოსმალბამ“ ფეხი ვერ მოიკიდა, მათი ბატონობა არ დამყარებულა და ამიტომ ქვეყანა არ აუწერიათ; ფეოდალური ორგანიზაცია ქართელი დარჩა. იმერეთს, გურასა და სამეგრელოს ყოველწლიური ძღვენის გაგზავნა ევალებოდა, მაგრამ ამ მოვალეობას ისინი ყოველთვის არ ასრულებდნენ და მოხერხებულ დროს აშკარა ბრძოლას იწყებდნენ. ამიტომაც იყო, რომ „გურჯისტანის ვილაიეთზე“ ილაშქრებდნენ ოსმალები და იკლებდნენ, ნადავლი მიჰქონდათ და ტყვეები მიჰყავდათ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ მთელი თავია მიძღვნილი „გურჯისტანის ვილაიეთზე“ ლაშქრობის შესახებ, სადაც აღწერილია სამეგრელოს მოსახლეობის აკლება¹¹.

ევლია ჩელების მიხედვით, სამეგრელოს დიდი ნაწილი „დადიანის ქეყანა“ და ამ შემთხვევაში მასთან ერთად სახელწოდება „მეგრელისტანიც“ იხმარება. აქ იგულისმება „ურჩი აზნაურების“ ქვეყანა¹², რომელიც „ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებლობაშია“¹³ და აგრეთვე რიონის მარჯვენა ნაპირის მთლიანად ურჩი სამეგრელოს სოფლები¹⁴. საინტერესო შეხედულება აქვს ევლია ჩელების „დადიან-ბეგისა“, იმერეთის მეფისა და დასავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ – „იმის გამო, რომ ეს დადიან-ბეგი ქვეყნის დამამშვენებელი, სამართლიანი მბრძანებელი იყო, მთელი საქართველო (აქ იგულისხმება „გურჯისტანის ვილაიეთი“ – დას. საქართველო – გ. ფ.) მას დაემორჩილა ამჟამად [დასავლეთ] საქართველოში სამეგრელოსა და იმერეთის ბეგებს ისეთსავე პატივს სცემენ, როგორც მღვდელმთავრებს. ხელმწიფეები ტახტზე ასვლის დროს ამ სამეგრელოსა და იმერეთის ბეგების ხელით შემოირტყამენ ხმალს“¹⁵. „დადიან-ბეგი“ იგივე ლევან II დადიანია (1605 – 1657), რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა და განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდა. „იმერეთის ბეგია“ იმერეთის მეფე ალექსანდრე, რომლის ქვეყანა ხარაჯისა და ურფის გადასახადისაგან თავისუფალია; „დღემდე თავისუფალი არიან, უბრალოდ, ყოველწლიურად სტამბოლში ტყვეებს, შვეარდნებს, სონღუ-

¹¹ „მოგზაურობის წიგნის“, ქართული თარგმანი, გვ. 330 – 333.

¹² იქვე, გვ. 326.

¹³ იქვე, გვ. 330.

¹⁴ იქვე, გვ. 96.

¹⁵ იქვე, გვ. 298.

ლებს ჯორებს და იშვიათი სილამაზის ქართველ ქალებს აგზავნიან¹⁶.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ კარგად ჩანს, რომ თუმცა სამეგრელოს თავის ქვეყანად თვლიდა ოსმალეთი, მისი დიდი ნაწილი ფაქტიურად დამოუკიდებელი იყო. გონიოს ციხის აღწერისას ციხის გარნიზონის შესახებ ევლია ჩელები ამბობს: „რადგანაც სამეგრელოს მისადგომებზე და [ოსმალთა სახელმწიფოს] ფარგლების დასასრული, ამ ჯარს ლაშქრობა არ ევალება და ციხეს იცავს“¹⁷. თვითონ ევლია ახლდა ტრძაპიზონის ფაშის მიერ სამეგრელოში საჩუქრებით გაგზავნილ ელჩობას¹⁸. აქ მან „სამოცდაათამდე ქალაქის მსგავსი სოფელი დაათვალიერა“¹⁹. ამავე დროს, რადგანაც ზღვისპირა სამეგრელოზე ოსმალებს ადვილად მიუწვდებოდათ ხელი, დაპყრობილი და გაჩანაგებული ჰქონდათ. აქ ევლიამ კეთილნამშენი ადგილები ვერ ნახა. სამეგრელოს „მთებში კი ბალ-ვენახიანი დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია. ზღვის-ოდენა ჯარიც რომ იყოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობა“²⁰.

ზღვისპირა აფხაზეთს ევლია ჩელები დამორჩილებულად თვლის (კუთასის ტომის შესახებ ამბობს, რომ „მშვიდი და მორჩილი ხალხია, რადგანაც მათი ადგილები ძნელი მისასვლელი არ არის“²¹). მაგრამ თვითონვე აღნიშნავს, რომ მთაში ოსმალეთის გავლენა ვერ აღწევს – „ხარაჯას, ბალ-ვენახის მოსავალს აშარს არ იხდიან... ურჩი და მეამბოხე ხალხია“²², „ანაპის ციხე რომ გამაგრდეს და მეციხოვნეები ჩააყენოს, აბაზას და ჩერქეზეთის ქვეყნების დამორჩილება გაადვილდება“²³.

კახეთს ევლია ჩელები უწოდებს თეიმურაზ-ხანის ქვეყანას, როდესაც თავის თანამედროვე ამბებს აღწერს. ისტორიულად კი მისთვის კახეთი არის „ლევან-ხანის ქვეყანა“, ხან „ლევან-ხანის ძის ქვეყანა“, ხან კი „ალექსასდრე-ხანის“ და „ალექსანდრე-ხანის ძის ქვეყანა“.

¹⁶ „მოგზაურობის წიგნის“, ქართული თარგმანი, გვ. 298.

¹⁷ იქვე, გვ. 94.

¹⁸ იქვე, გვ. 93.

¹⁹ იქვე, გვ. 95.

²⁰ იქვე, გვ. 96.

²¹ იქვე, გვ. 105.

²² იქვე, გვ. 105 – 106.

²³ იქვე, გვ. 109.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ უხვი ცნობებია საქართველოს იმ მიწების შესახებაც, რომლებიც XVII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში აღარ შედიოდნენ, მაგრამ ევლია ჩელებისათვის ცნობილი იყო, რომ ისინი ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდნენ. თითქმის ყველგან ევლია ჩელების აღნიშნული აქვს ეს გარემოება. მაგალითად: „შაქის ციხე“ ძველად აუშენებია ალექსანდრეს, ქართველთა... მეფეს“²⁴. ქართველთა აშენებულია კოლას და ფანაქის ციხეები²⁵, მამირვანი²⁶, თორთუმი²⁷, „შაქის ციხე საქართველოსად ითვლება, რადგან მისი აშენებული ქართველია“²⁸.

ევლია ჩელების აზრით, **გუქმუშხანე** ალექსანდრე მაკედონელმა ააშენა და „შემდეგ ქართველების ხელში გადავიდა“²⁹. ასეთივე ხასიათის ცნობები აქვს ყოფილი ქართული მიწების მოსახლეობის შესახებ, მაგალითად: მოგზაურის ცნობით, ფანაქის მოსახლეობა სომეხი გოქდოლაკებისა და ქართველი აზნაურებისაგან შედგება³⁰. ამ ცნობის შესახებ მიხეილ სვანიძეს კარგად აქვს შენიშნული, რომ „ოსმალეთის მიერ შავშეთის დაპყრობის დაალოებით ასი წლის შემდეგ და ეფრო გვიანაც აქ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველი აზნაურები, რომლებმაც შეინარჩუნეს გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები“³¹. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მარტო შავშეთში არ ყოფილა. ევლია ჩელების ცნობით, ყარსის მიწაზე, სოფელ ბეგუმში ცხოვრობდნენ სომხები და ქართველი აზნაურები³², ჩვენი აზრით, გამუსლიმებული ქართველი აზნაურები იგულისხმებიან ევლია ჩელების იმ ცნობაში, რომელიც მამირვანის ნაჰიეს შეეხება – სოფელი იდი „მამირვანის ნაჰიეში მდებარე მუსლიმებისა და სომხების სოფელია“³³. ევლია ჩელების წესად აქვს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა დასახელოს და ახსენებს თურქებს, ლაზებს, ქართველებს, სომხებს და ა. შ. მაგრამ როდესაც არათურქი მოსახლეობის ნაწილი გამუსლიმებულია, მათ ეთნიკურ სახელწოდებას აღარ ახსენებს

²⁴ „მოგზაურობის წიგნის“, ქართული თარგმანი, გვ. 269 – 270.

²⁵ იქვე, გვ. 303.

²⁶ იქვე, გვ. 304.

²⁷ იქვე, გვ. 321.

²⁸ იქვე, გვ. 270..

²⁹ იქვე, გვ. 318.

³⁰ იქვე, გვ. 304.

³¹ მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI – XVII სს., თბილისი, 1971, გვ. 316.

³² ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 314.

³³ იქვე, გვ. 304.

და „მუსლიმებს“ უწოდებს. ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს არე-შის მიდამოებში. ევლია ჩელების სიტყვით, აქ მხოლოდ მუსლიმე-ბი ცხოვრობენ და გიაურები არ არიან, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „დიდკაცების ცოლები გურჯისტანის, აჩიკ ბაშის და შავშეთის ტომ-თა ქალები არიან“³⁴. ჩვენი აზრით, ეს დიდკაცები იგივე გამუსლი-მებული ქართველები არიან.

ევლია ჩელების საყურადღებო ცნობები აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. სამეგრელოს შესახებ იგი წერს: „ესე-ნიც აბაზა და ჩერქეზი ხალხივით მთებში ცხოვრობენ. მათი სახლე-ბი მუდამ ერთ ადგილზეა, არ მომთაბარეობენ. ბალ-ვენახიანი, ეკლე-სიებიანი, კეთილმოწყობილი ციხეები და სოფლები აქვთ. ეს იმიტომ, რომ ისინი ძველი ხალხია და მათი მიწა დიდი ქვეყანაა“³⁵. ბევრი ჰყავთ ცხვარი, თხა და ღორი, საუკეთესი ცხენები³⁶. პურსა და ქერს ცოტას თესენ და ცოტაც მოდის; სიმინდი და ღომი ბევრი მოდის³⁷. ევლია ჩელების სიტყვით, სამეგრელოში სამოცდაათნაირი მოსავალი მოდის³⁸.

აფხაზეთში თხებსა და ცხვრებს ამრავლებენ³⁹, საქონელი ყვე-ლას ჰყავს⁴⁰ და მათ შორის – ძალიან ბევრი ღორი⁴¹. აფხაზეთში მოჰ-ყავთ ხორბალი, ამას გარდა ღომს თესენ. „ერთი ქილა ასი ქილა ღომის მოსავალს იძლევა“⁴².

თბილისის სანახებში მოჰყავთ ხორბალი, თეთრი და წითელი ატამი, ქებულია მისი ბამბა და ანგორის მატყლი⁴³. აქვე აღნიშნულია, რომ მდინარე მტკვარი სარწყავად არაა გამოყენებული და მოსავალი ამინდზეა დამოკიდებული⁴⁴.

აწყურში „თვალწარმტაცი ვენახები და ბაღები ბევრია“⁴⁵, ახალ-ციხეში – ბოსტნები⁴⁶. არტაანში უმეტესობა ხვან-თესვას ეწევა⁴⁷,

³⁴ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 269.

³⁵ იქვე, გვ. 334.

³⁶ იქვე, გვ. 333.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე, გვ. 95.

⁴⁰ იქვე, გვ. 105.

⁴¹ იქვე, გვ. 101.

⁴² იქვე, გვ. 105.

⁴³ იქვე, გვ. 295.

⁴⁴ იქვე, გვ. 295.

⁴⁵ იქვე, გვ. 297.

⁴⁶ იქვე, გვ. 301.

⁴⁷ იქვე, გვ. 303.

ბაღ-ვენახები კი არ არის, რადგანაც ჰავა ცივია; ხილი თორთუმიდან და აჭარიდან მოაქვთ⁴⁸.

საქართველოს ტერიტორიაზე ვაჭრობის შესახებ ევლია ჩელების მრავალი ცნობა აქვს, რომელთაგან ჩვენ რამდენიმეს დავასახელებთ. სამეგრელოში, როგორც ზღვით, ასევე მდინარე ჭოროხითა და ხმელეთით მოდიოდნენ ოსმალთ, ყირიმელი, ლაზი ვაჭრები, მოჰქონადთ რკინეული, ხელსაწყო-იარაღი, მარილი და სხვ. „ლაზების ბევრ ნავს ამ მდინარით (ჭოროხი – გ. ფ.) აღმა აღმოსავლეთისაკენ და სამეგრელოს საზღვრებისაკენ მიქვს მარილი, რკინეული, სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი. მათ სამეგრელოსა და გურჯისტანის ბზის ხეზე, თაფლზე, თაფლის სანთელზე, ტყვე ქალიშვილებსა და ჭაბუკებზე ცვლიან და ასე ვაჭრობენ“⁴⁹. ვაჭრობა იყო გაჩაღებული შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურებში. „თითქმის მთის წვერზე გაშენებული ორმოცი-ორმოცდაათკომლიანი სოფლებია. მათ ნავსადგურში წელიწადში ერთხელ ყველა ქვეყნის გემებს მოაქვთ დენთი, ტყვია, თოფი, მშვილდ-ისარი, მასრა, ხმალი, ფარი, შუბი და სხვა საომარი იარაღი, ძველი ფეხსაცმელი, მაუდის პირები, საპერანგე და სასარჩულე ქსოვილი, კერის რკინეულობა, დიდი ქვაბები, ცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდი რკინის ჯაჭვები, მარილი, საპონი და სხვა ასეთი საგნები. ამ მეხომალდეებს, ნაზ ბიჭებს, ცხიმეულს, თაფლის სანთელს, მუშამბას, კვერნას, თაფლს აძლევენ...“⁵⁰ აქ ხმელეთითაც მოდიოდნენ ყირიმელი ვაჭრები⁵¹. აწყურში ორმოცდაათამდე დუქანი იყო⁵², ახალციხეში – სამასი⁵³.

ცნობილია, რომ XVII საუკუნეში ჩვენში განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ფართოდ გავრცელდა ტყვის სყიდვა ფეოდალები საკუთარ ყმებსაც ჰყიდდნენ და ერთმანეთისათვის მო ებულ ტყვეებსაც ამას ემატებოდა დამპყრობლების თარეში. თუ რამდენად ფართო ხასიათი მიიღო ტყვის სყიდვამ, ეს „მოგზაურობის წიგნის“ ცნობებიდანაც ჩანს: „რადგანაც [მდინარის] ორივე მხარე ბუჩქნარიანი და ტყიანია, აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები – აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე“⁵⁴; „აბაზები ერთმანეთს ებრ-

⁴⁸ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 303.

⁴⁹ იქვე, გვ. 95.

⁵⁰ იქვე, გვ. 100 – 103.

⁵¹ იქვე, გვ. 105.

⁵² იქვე, გვ. 297.

⁵³ იქვე, გვ. 301.

⁵⁴ იქვე, გვ. 96.

მვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ⁵⁵.

ტრაპიზონის ვილაიეთში მცხოვრები ლაზების მეზღვაურთა უმეტესობის მთავარი საქმიანობა იყო სამეგრელოში ტყვეების ყიდვა;⁵⁶ ასევე მოქმედებდნენ გონიოელები⁵⁷.

შავი ზღვის სანაპიროზე ხანმოკლე მოგზაურობის დროს ევლია ჩელები რამდენიმე ტყვე-ბიჭი შეიძინა და ყირიმში რომ ჩავიდა უკვე 18 მონა ჰყავდა⁵⁸. მხოლოდ ერთი კაცის – ევლია ჩელების საქართველოში ხანმოკლე მოგზაურობის დროს, ან სხვა ქვეყნებში ნაყიდი და საჩუქრად მიღებული ქართველი ტყვე-ბიჭების რაოდენობის მიხედვითაც რომ ვიმსჯელოთ, საზარელი სურათი დაგვიდგება თვალწინ – ევლია ჩელების უკვე ხუთი ქართველი ტყვე-ბიჭი ჰყავდა ნაყიდი, სამეგრელოსაკენ რომ გაემართა⁵⁹. აფხაზეთში „ერთი აბაზა ბიჭი“ იყიდა⁶⁰, შემდეგ – „აბაზა ჭაბუკი“⁶¹. თავრიზის ხანს ევლიას სიმღერა მოეწონა და „ერთი ქართველი ბიჭი, აბასური თუმანი და... ცხენი“ უწყალობა⁶². ახალციხის განმგებელმა საფარ-ფაშამ „ორი ქართველი ბიჭი, ერთი ცხენი, ერთი კარგი თოფი, ქართული წინდა და ასი ყურუმი“ უბოძა⁶³. ყალიზმანში ყარსის ფაშამ ფეხის ქირად უბოძა ფული, ცხენები და ორი ქართველი ბიჭი⁶⁴; არზრუმის ფაშამ სხვა საჩუქრებთან ერთად „ორი ქართველი მონა“ უწყალობა⁶⁵. არზრუმში ჯირითის თამაშის დროს ევლია ჩელების წინა კბილები რომ ჩამტვრია სეიდი-ფაშამ სასისხლო აუნაზღაურა საჩუქრებითა და „ორი ქართველი ბიჭით“⁶⁶. ვარდარ ალი-ფაშამ ~~წინა~~ ~~ფრუღ-ფაშა~~ გამარცხა და ნამარცვიდან ერთი ცხენი და ერთი ქართველი ბიჭი ევლიას აჩუქა⁶⁷. მურთაზა-ფაშამ ცხენი, ოქრო, ქართველი მონა და სხვა საჩუქრები უბოძა⁶⁸. ბაქოში ევლია ჩელების

⁵⁵ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 102.

⁵⁶ იქვე, გვ. 92.

⁵⁷ იქვე, გვ. 95.

⁵⁸ იქვე, გვ. 122.

⁵⁹ იქვე, გვ. 95.

⁶⁰ იქვე, გვ. 103.

⁶¹ იქვე, გვ. 104.

⁶² იქვე, გვ. 243.

⁶³ იქვე, გვ. 302.

⁶⁴ იქვე, გვ. 311.

⁶⁵ იქვე, გვ. 336.

⁶⁶ იქვე, გვ. 341.

⁶⁷ იქვე, გვ. 415.

⁶⁸ იქვე, გვ. 436.

ქართველი ბიჭი აჩუქეს⁶⁹. ორი ქართველი ბიჭი მიიღო ევლიამ ბაკი-ფაშასაგან⁷⁰.

ქართველ ტყვე-ბიჭებს უგზავნიდნენ ერთმანეთს საჩუქრებად ირანისა და ოსმალეთის მოხელეები; – ერევნის ხანმა არზრუმის ფაშას ევლიას ხელით საჩუქრები გაუგზავნა დი გაატანა ექვსი ქართველი ბიჭი⁷¹. თავრიზის ხანმა არზრუმის ფაშას ბრინჯი, ჩირი, ცხენები და ორი ქარველი ბიჭი გაუგზავნა და ევლია ჩელებისაც, როგორც ელჩს, ერთი ბიჭი აჩუქა⁷². „აჩიკ ბაშის ბეგისაგან“ აჰმედ-ფაშას საჩუქრად მოუვიდა ხუთი მონა და ხუთი მხევალი. აქედან ევლია ჩელებისაც ერგო ერთი მონა და ერთი მხევალი⁷³.

გარდა იმისა, რომ ადგილობრივი ფეოდალები ჰყიდდნენ საკუთარ ყმებს, ან ერთმანეთს სტაცებდნენ, ოსმალების მიერ მოწყობილი თარეშების შედეგად დატყვევებული ქართველობაც იყიდებოდა მონათა ბაზრებზე. სამეგრელოზე თარეშის დროს, ევლია ჩელების ცნობით, ქუთფაჯ-ფაშას მეომრებმა ორი ულამაზესი „ვარსკვლავით ქალიშვილი“ მოიტაცეს. „სეიდი აჰმედ-ფაშამ ისინი ქუთფაჯ-ფაშასაგან ათას-ათას ყურუშად იყიდა და ოც სხვა ქალიშვილთან ერთად სულთან იბრაჰიმ-ხანს გაუგზავნა“⁷⁴. იმავე ხანებში ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს მეგრელი ფეოდალი – „საჭეგრელოს ბეგის ბიძაშვილი“. „მან ასი ტყვე, ათასი სული საქონელი, მრავალი საპალნე ოქროქსოვილი, მრავალი საპალნე ფარჩა მისცა და თავი გამოსყიდა“⁷⁵.

სამეგრელოში აღებული ალაფიდან მარტო სეიდი აჰმედ-ფაშამ არზრუმის ფაშას საჩუქრად მიართვა „... ორასი მეგრული ტყვე, ას ორმოცდაათი მონა, ორმოცი ოყა ჭურჭელი, ასი მხევალი...“⁷⁶. ზემომოტანილი ცნობებიდან გასაგებია როგორ იქცეოდნენ სხვა ოსმალო და ყიზილბაში მოხელეები, მაჭრები, მოთარეშეები და რა მასშტაბები ექნებოდა ტყვეებით ვაჭრობას.

„მოგზაურობის წიგნში“ არის ცნობები საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, შენობების, ჩაცმულობისა და გარეგნობის, იარაღისა და სასმელ-საჭმელის შესახებ. ჩვენ აქ მხოლოდ რამ-

⁶⁹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 281.

⁷⁰ იქვე, გვ. 341.

⁷¹ იქვე, გვ. 281.

⁷² იქვე, გვ. 257.

⁷³ იქვე, გვ. 332.

⁷⁴ იქვე, გვ. 332.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე, გვ. 335.

დენიმე მაგალითს მოვიტანთ: „ართის ტომი გეჩიების ტომზე მეტია, მაგრამ მათსავით მამაცი და გაბედულები არ არიან – უმეტესობა ვაჭრებია“⁷⁷. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ აფხაზებს „მოწნული, ყავრით დახურული სახლები აქვთ. შუაცეცხლი უნთიათ. ათ კომლს ერთ კაბაკს ეტყვიან და მას ოთხ მხარეს ციხის მსგავსად აქვს შემოვლებული ღობე. საქონელი ყველას ჰყავს და მათ დღედაღამ ყარაულობენ ღომივით ძაღლები. ასეთივე მდგომარეობაა აბაზას ყველა ტომისათვის, რადგანაც ყველა სახლი ტყეშია აშენებული. ერთმანეთისა ეშინიათ“⁷⁸.

აქვე ევლია ჩელების მასპინძლობდა „აბაზა აზნაური“, რომელიც გრძელთმიანი იყო, მხრებზე ნაბადი ესხა, ხელში მშვილდ-ისარი ეპყრა და წელზე ხმალი ერტყა... მხლებლები ყველა კულულებიანი, მზის სადარი ყმაწვილები იყვნენ“⁷⁹. გონიოს ციხისათვის ბრძოლაში მან ნახა „სამიათასამდე ჩაცმულ-დახურული, შეიარაღებული, თავითფეხებამდე ცისფერ რკინაში ჩამჯდარი, ხელშუბიანი, ქეპილანის ცხენიანი, გველშაპივით ვაჟკაცი მეგრელი აზნაური, ათასამდე ქვეითი მეთოფე და ქართველი წარჩინებულები“⁸⁰. მუსლიმური წესისამებრ თავგადაპარსული და წვეროსანი ევლია ჩელები გააკვირვა მათმა გარეგნობამ: „ესენი გარეგნობით სხვადასხვანაირი იყვნენ, ზოგი თმაგაწეწილი იყო, ზოგი – თმახუჭუჭი. ორმოც-ორმოცდაათწლიანებსაც კი წვერი გაპარსული ჰქონდათ და საოცარი გამომეტყველებისანი იყვნენ“⁸¹.

ევლია ჩელები აფხაზეთში ქორწილში მიიწვიეს და მიართვეს „ცხვრის ხაშლამა, წვნიანი, თაფლის წყალი, ბოზა, ღომი, ხორცის შეჭამანდი და საწებელი“⁸². თბილისში ძალიან მოეწონა „წმინდა და თეთრი თბილისური პური“ და „თეთრი და წითელი ატამი“⁸³.

ქართველ მეომართა იარაღიც არ დარჩენია შეუმჩნეველი მოგზაურს: – თოფი, მშვილდ-ისარი, შუბი, ხმალი, ფარი და ჯავშანი⁸⁴.

ევლია ჩელები თავისი მოგზაურობის დროს სხვადასხვა ქვეყნის მრავალ დიდ მოხელეს გაეცნო და მათ შორის ქართველებსაც, რომელთა მოკლე დახასიათება მოგვცა თავის წიგნში:

⁷⁷ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 101.

⁷⁸ იქვე, გვ. 105.

⁷⁹ იქვე, გვ. 302.

⁸⁰ იქვე, გვ. 323.

⁸¹ იქვე

⁸² იქვე, გვ. 103.

⁸³ იქვე, გვ. 295.

⁸⁴ იქვე, გვ. 96, 100, 103, 323.

„ნახჭევნის ხანი რიზა ედ დინ ხანი... ნიჭიერი, კარგი მოსაუბრე ყოფილა. ადრე იგი ხაზინადარ-ბაში იყო შაჰ-სეფისა... ერთი ქართველი ბიჭი ყოფილა, რომელიც ხაზინადარ-ბაშის თანამდებობის შემდეგ ხანი გამხდარა. არისტოტელივით ბრძენი ვინმეა. მისი საპატიო წოდებაა დევლეთ მიზრა-ხანი... დარბაისელი, გულუხვი ხანი იყო“⁸⁵.

„დელი დილავერ-ფაშა... წარმოშობით ქართველი, ტომით აჩიკ-ბაში (იმერელი) სახელად დელი თული დილავერი გამოჩენილი ადამიანი იყო... უემშაკო, ფიცხი ბუნების ადამიანი იყო... მარჯვე ცხენოსანი, მეთოფე, მოქამანდე, მეომარი ვაჟკაცი იყო“⁸⁶.

„მურთაზა-ფაშა დაბადებულია საქართველოში... საამურ ქალაქში, რომელსაც საქართველოს ბაღდადი ეწოდება. საქართველოს მბრძანებელ მავრულ-ხანს (მოურავ-ხანი – გიორგი სააკაძე) იგი საჩუქრად გაუგზავნია თაბანი ძასსი მეჰმედ-ფაშასათვის და მის პატიოსან ჰარემში აღიზარდა... დამასკოს ვილაიეთი მიიღო და ჩირაღდანივით აინთო... ტანადი, შავგვრემანი, შავწარბ-წამწამა, ჭრელთვალა... მკერდგანიერი, წელწვრილი, მკლავმაგარი... კეთილი, მშვიდი, თავაზიანი, მოსიყვარულე, მოფარიკავე, ძალიან მცდელი, მძლავრი ვაჟკაცი იყო“⁸⁹.

ახალციხის „ვილაიეთის ვალი ვეზირი საფარ-ფაშა წარმოშობით ქართველი, გულადი, უნარიანი, მოასპარეზე ადამიანი იყო“⁸⁸. ქართველი იყო საფარ-ფაშას ქეთხუდა დერვიშ-ალაც – „ქართველის ჩამომავალი, კეთილშობილი ვაჟკაცი...“⁸⁹ ევლია ჩელების დასახელებული ჰყავს, აგრეთვე, ქალთველი კოჯა მეჰმედ-ფაშა⁹⁰ და ოჩაკოვის განმგებელი ქართველი ქენან-ფაშა.⁹¹

თავის თხულებლაში ევლია ჩელების ისტორიული ექსკურსებიც აქვს გაკეთებული. იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც იგი ეყრდნობა ლეგენდებს და მათ გადმოგვცემს, როგორც ნამდვილ ამბავს. ლეგენდარული, შეთხზული ცნობები ეხება საქართველოს მეფეთა წარმომავლობას, ქართული ტომების ისტორიას, ქალაქების აშენების ისტორიას; მაგრამ, ამავე დროს, სარწმუნო ცნობებიცა

⁸⁵ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 223.

⁸⁶ იქვე, გვ. 342.

⁸⁷ იქვე, გვ. 437.

⁸⁸ იქვე, გვ. 301.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ იქვე, გვ. 345.

⁹¹ იქვე, გვ. 110.

აქვს. მაგალითისათვის ჩვენ შევჩერდებით თბილისის შესახებ „მოგზაურობის წიგნის“ ცნობებზე.

ევლია ჩელებიმ აღმოსავლეთ საქართველოში იმოგზაურა 1646 და 1647 წლებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართლის როსტომი მართავდა. როსტომის სამფლობელოში შედარებით წესიერება იყო დამყარებული; ვაჭრობა-ხელსნობა გამოცოცხლდა, ქვეყანაში დოვლათი დატრიალდა. ქალაქები, და მათ შორის თბილისიც გაიზარდა და გაშენდა; ამის შესახებ ევლია ჩელებიც წერს. მისი სიტყვით, ქალაქი „ძალიან აყვავებული და გაშენებული“⁹² ევლია ჩელების ძირითადად ქალაქების ციხე-სიმაგრეები აინტერესებდა და ამიტომაც, მეტეს შემთხვევაში გალავნის შიდა დასახლებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი ცნობით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თბილისის გალავანში ექვსასი სახლი იდგა⁹³ მარცხენა ნაპირზე, მეტეხის ციხის გალავანს შიგნით – სამასი⁹⁴. ქალაქს ფუნდუკი და კეთილმოწყობილი აბანო ჰქონდა „სასარგებლო ცხელი წყაროთი“⁹⁵. „ქებული თბილისური ბამბა, ანგორის მატყლი, წმინდა თბილისური პური და ატამი“ მან თბილისის ბაზარზე ნახა.⁹⁶

თბილისის ქართულ მოსახლეობაზე ევლია ჩელები არაფერს ამბობს; მას უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ის გარემოება, რომ ციხის გალავანში მცხოვრებთა უმრავლესობა ოსმალთა დროიდან მოყოლებული სუნიტებია⁹⁷. საქმე ისაა, რომ თუმცა ციხე ყიზილბაშებს ეჭირათ, რომლებიც შიიტები იყვნენ, ქალაქში ცხოვრობდნენ სუნიტებიც – წარმოშობით შირვანელები. რადგანაც სუნიტობა ოსმალეთის ოფიციალური რელიგია იყო, ევლია ჩელების ჰგონია, რომ სუნიტი მოსახლეობა ოსმალთა ბატონობის დროიდან შემორჩა.

ევლია ჩელების ცნობებიდანაც ჩანს, რომ თბილისი კარგად იყო გამაგრებული მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდგარ დიდ ციხეს შემოვლებული ჰქონდა კედელი ექვსი ათასი ნაბიჯის სიგრძისა და სიმაღლით სამოცი წყრთა. კედლებს სამოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური ჰქონდა. ხანგრძლივი ალყისათვისაც კარგად იყო მომზადებული ციხე. მტკვრის პირას მდგარი კოშკი იცავდა ხვრელს, რომელიც ქალაქში მტკვრის წყლის საზიდად იყო გაყვანილი.

⁹² ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 295.

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ იქვე.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე იდგა ოთხკუთხა, პატარა, მაგრამ ძლიერ-კედლებიანი ციხე, რომელსაც სამი ათასი მეციხოვნე იავდა.⁹⁸

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევლია ჩელები ისტორიულ ექსკურსებს ხშირად მიმართავს. აღმოსავლურ და კერძოდ, ოსმალურ წყაროებში ქალაქების აშენება, მტკიცე და სამართლიანი მმართველობა და სხვ. ხშირად ალექსანდრე მაკედონელსა და სასანიანთა ირანის შაჰებს მიეწერება. ამ ტრადიციას არც ევლია ჩელები ღალატობს – თბილისის ამშენებლად ალექსანდრე მაკედონელის „ხაზინადარ ბითლისს“ ასახელებს⁹⁹ და მეტეხის ციხისას – სასანიანთა შაჰს იეზდიგერდს¹⁰⁰.

საინტერესოა ევლია ჩელების ცხოზა ოსმალთა მიერ 1578 წელს თბილისის დაპყრობის შესახებ. ზოგიერთ ქართულ საისტორიო წყაროში დაუთ-ხანის – დავითის მიერ ქართლის დატოვება მოკლედ არის აღწერილი და იგი წინდახედულ, ინიციატივიან რენეგატად არის გამოყვანილი. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, „რა სცნა დავით, უღონო იქნა, რამეთუ ყიზილბაშთ იგი გაუშვეს და მეფეს სვიმონს მოეკიდნენ, ქართველნიც არა ჰყუარობდნენ და თვით მეფისა სვიმონისა ერჩინათ. და ვედარც დადგებოდა ქართლსა და ვედარც ენდობოდა ყიზილბაშთა. და მიეგზავნა კაცი ლალა ფაშას და მისცა რაოდენი ციხენი იყუნენ ქართლსა შინა და შეაყენნა მცველნი მათნი და თვითონ წავიდა სტამბოლს ხონთქართანა.“¹⁰¹ ფარსადან გორგიჯანიძესთან: „მეფე დავით ხონთქარსთან წავიდა და ხონთქარმან მრავალი წყალობა უყო და დიდი პატივი დასდვა. დიდის ლაშქრით ლალა ფაშა გამოუძახა“¹⁰². ვახუშტის უფრო ვრცლად აქვს აღწერილი ეს ფაქტი და ხაზგასმული აქვს, რომ დავითი ვერას გახდა ლალა ფაშასთან და რახან ყიზილბაშებმაც მიატოვეს, ხონთქარს მიუვიდა. „... გამოვიდა ლალა-ფაშა სულტან-მურადისა სპითა ძლიერითა, ამან გამოვლო სამცხე მოვიდა ტფილისს, ვერ წინ-აღუდგა დაუთხან, მოსწვა ტფილისი თვით და წარვიდა სიმაგრეა“. როდესაც ყიზილბაშებმა სიმონს დაუჭირეს მხარი, „ამის მხილველმა დაუთხან, იხილარა დატევება თავისი ყიზილბაშთაგან, ეზრახა ლალა-ფაშას და მისცნა ყოველნი ციხენი ქართლისანი და თვით წარვიდა წინაშე ხონთქ-

⁹⁸ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 295.

⁹⁹ იქვე, გვ. 293.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 295.

¹⁰¹ ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1940, გვ. 91.

¹⁰² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, თბილისი, 1925, გვ. 221.

რისა სტამბოლს. შემდგომად ჟამთა რაოდენთამე მოკვდა დაუთ-ხან მუნ¹⁰³. ვახუშტის ამ ცნობას ამაგრებს ევლია ჩელების ცნობაც და რაც მთავარია, მის ცნობაში რამდენიმე განსხვავებული დეტალი. როდესაც ამბავი მოუვიდა, რომ ლალა-ფაშა თბილისზე წამოვიდა, დავითმა ორმოცი ათასი მეომარი მოაგროვა თბილისის დასაცავად. მუსლიმური წესის მიხედვით ლალა-ფაშამ წერილი გამოეგზავნა, სადაც წინადადებას აძლევდა ციხის მცველებს ან ისლამი მიეღოთ ე. ი. ნებით გადასულიყვნენ ოსმალეთის სულთნის ხელქვეშ, დაეთ-მით სარწმუნოება და ქვეყანაში ოსმალთა დაემკვიდრებინათ, ან ციხე ჩაებარებინათ და მოსახლეობას ხარაჯის გადახდა ეკისრა (რაც საერთოდ გათვალისწინებული იყო ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ქრისტიანი მოსახლეობისათვის). ამ პირობის შეუს-რულებლობის შემთხვევაში ლალა-ფაშა იმუქრებოდა, რომ ციხის მცველებს გაჟლეტდა და მათ ოჯახებს ტყვედ წაიყვანდა¹⁰⁴. მიუხე-დავად ამისა, ციხის მცველებმა გადაწყვიტეს არ დაეთმით ქალაქი, ელჩი გააგდეს და ციხეში ჩაიკეტნენ. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდნენ „წინდახედული პირები“, რომლებმაც გაცლა ამჯობინეს. ციხის მცველებმა ციხე დაცალეს, მოსახლეობა გაიხიზნა. ოსმალთა ჯარი დაედევნა და ზაგემის ციხესთან დაეწია დავითს. როგორც ვხედავთ, დაუთხანი კი არ „ეზრახა ლალა-ფაშას და მისცა ყოველი ციხენი ქართლისანი“... არამედ გაექცა ლალა-ფაშას, მის მიერ დევნილი გა-დაიხვეწა და ამის შემდეგ ეახლა სულთანს. როგორც ჩანს, დავითმა თავისი რაზმით აქაც გაასწრო, რადგანაც ევლია ჩელების ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ოსმალები ძირითადად ტყეში გახიზნულ მოსახ-ლეობას მიესივნენ და დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. „ყველაზე უბრალო ჯარისკაცმაც კი იმდენი ოქრო იშოვა, ერთ ფარს გაავსებ-და“,¹⁰⁵ კმაყოფილებით აღნიშნავს ჩელები. ამის შემდეგ ოსმალებმა თბილისისა¹⁰⁶ და ზაგემის¹⁰⁷ ციხეები დაიკავეს და თარეშში გაგზავ-ნეს. კახეთში მოთარეშე რაზმებს სარდლობდა ოსმან-ფაშა, რომელ-მაც „ოცდაექვსი დიდი და პატარა ციხე აიღო“¹⁰⁸.

¹⁰³ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 28 – 29.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 293.

¹⁰⁵ იქვე.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 294.

¹⁰⁸ იქვე.

ოსმალების ქართლში დამკვიდრების ცდების შესახებ ვახუშტის აქვს ცნობა, რომ... „ოსმალთა დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს თბილისი საფაშოდ“...¹⁰⁹ ოსმალთა ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი თავის „ისტორიაში“ წერს, რომ „[ეს ქვეყანა] როგორც რიგი და წესია, დაიკავეს“ და სარდალმა პროვინცია უბოძა კასტამონის სანჯაყ-ბეგ სოლაკ ფერჰად-ფაშას ძე მეჰმედ ფაშას¹¹⁰.

ევლია ჩელების თხზულებაში უფრო ვრცლად არის ეს ფაქტი აღწერილი და საინტერესო ცნობა აქვს მოცემული, რომელიც მხარს უჭერს ვახუშტის ცნობას თბილისის საფაშოდ გადაქცევის შესახებ და მეტიც – ლალა-ფაშას ბრძანებით თბილისის მხარე აუწერიათ¹¹¹. ეს იმას ნიშნავს, რომ დამპყრობლები ოსმალთა დამყარებას აპირებდნენ ქართლში და ოსმალეთის ვილაიეთად უნდოდათ გადაექციათ იგი. ევლია ჩელები ხაზს უსვამს, რომ ლალა-ფაშამ „[თბილისის] ვილაიეთის... მართვა-გამგეობა მირ-მირანობის წესზე (ხაზი ჩვენია – გ. ფ.) ჩააბარა კასტამონუს ვილაიეთის განმგებელ სოლაკ ფერჰად-ფაშას ძე მეჰმედ-ფაშას“¹¹². ოსმალები ქალაქის დათმობას არ აპირებდნენ და ლალა-ფაშამ ცისე გაამაგრა, შეავსო საომარი საჭურველი, ციხეში დააყენა იანიჩართა ოცი ასეული, დადგა ზარბაზნები და მეზარბაზნეთა ხუთი ასეული მიუჩინა, საომარი მასალის მოსამარაგებლად ხუთი ასეული გამოჰყო. დანგრეული ციხეებიდან გამოიყვანა ჯარები და თბილისში ჩააყენა. ევლია ჩელების სიტყვით, აქ იდგნენ სივასის ვილაიეთის (რომელსაც დიდი ჯარის გამოყვანა შეეძლო), თირეს, თექეს და მენტეშეს სანჯაყების ჯარები.¹¹³ მაგრამ ქართველი ხალხი შეუწელებლად ებრძოდა მტერს სიმონ მეფის მეთაურობით, არ თმობდა ქართველობას“ და დამპყრობლებს საშუალებას არ აძლევდა „ოსმალთა“ დაემყარებინათ. „თბილისის ვილაიეთი“, „თბილისის ვილაიეთის დავთარი“, რომელთაც ამჟამად სტამბოლში ინახება, „მირ-მირანობის წესი“ ფორმალურად დარჩა. მრავალჯერ დაესხნენ ქართველები თავს თბილისში გამაგრებულ ოსმალებს, ამარცხებდნენ თბილისიდან სათარეშოდ გამოსულ ჯარებს,

¹⁰⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

¹¹⁰ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბილისი, 1964, გვ. 42.

¹¹¹ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, გვ. 294.

¹¹² იქვე.

¹¹³ იქვე.

ართმევდნენ ოსმალების მიერ ქართველი გლეხებისათვის მოტაცებულ საქონელსა და სურსათს; ამ ბრძოლებში დაამარცხა სიმონ მეფემ მეჰმედ-ფაშა, ჰასან-ფაშა და სხვ.¹¹⁴ ეს ბრძოლები ეპიზოდური ხასიათისა არ იყო. სიმონ მეფე კონტროლს უწევდა თბილისის მისადგომებს ციხეში მდგარი ოსმალები აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. ამის შესახებ ევლია ჩელების მიჰყავს ცნობა, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში არაა. ქართველებს ყიზილბაშების ჯარებთან ერთად შვიდი თვის განმალობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმული თბილისის ციხისათვის. ოსმალებს ისე გაუჭირდათ, რომ ცხენები და ძაღლები რომ შემოეღიათ, დახოცილთა გვამების ჭამა დაიწყეს¹¹⁵. ალყის თარიღი ევლია ჩელების მოცემული არა აქვს, მაგრამ შეიძლება დავიხმაროთ სხვა წყარო; ანალოგიური ცნობა აქვს იბრაჰიმ ფეჩევისაც (იმ განსხვავებით, რომ იგი არაფერს ამბობს დახოცილთა გვამების ჭამაზე), რომელიც ალყის შესახებ მოგვითხრობს თხზულების იმ ნაწილში, სადაც საუბარია 1579 წლის ამბებზე¹¹⁶.

ასეთია ევლია ჩელების ცნობების მოკლე დახასიათება. საქართველოს შესახებ „მოგზაურობის წიგნის“ ცნობების ნაწილი დახასიათებული და შეფასებულია შენიშვნების სახით, რომლებიც ჩვენ ქართულ თარგმანს დავუერთეთ.

¹¹⁴ ეგნატაშვილი ბერი... გვ. 93, 94, 95.

¹¹⁵ ევლია ჩელები... გვ. 294.

¹¹⁶ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები... გვ. 54.

„მოგზაურობის წიგნის“ ქართული თარგმანის შენიშვნები

„შ ე ს ა ვ ა ლ ი“

1. აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, რაც წინადადებას გაუგებარს ხდის. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ ქართული თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა მისი ახალი, 1970 წლის გამოცემა. იგი ოსმალური ენიდან ახალ სალიტერატურო თურქულ ენაზეა გადმოკეთებული და ლათინური შრიფტით არის გამოცემული. თუ ამ გამოცემის შესაბამის ადგილს გავითვალისწინებთ, ზემოხსენებული წინადადება ასე უნდა გავიგოთ: „გამჟღავნება ღირსეული საქმეა და დაფარვა – მასზე უკეთესი“ (Evliya Çelebi Seyahatnamesi, III, Türkçelçştiren Zuhuri Danişman, Istanbul 1970. გვ 5) ამ გამოცემას ქვემოთ ყველგან მოვიხსენიებთ, როგორც „ახალ გამოცემას“.

2. არაბული ფრაზა (ყურანის 51-ე სურა, 56-ე მუხლი).

3. ისლამის სარწმუნოების საფუძვლად ითვლებოდა რამდენიმე აღთქმა, რომელთა შესრულება ყველა მუსლიმისათვის სავალდებულო იყო: 1) რწმენა ერთი ღმერთისა და მუჰამედის მოციქულობისა („არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული“); 2) ყოველდღიურად ხუთჯერ დოცვა(არაბ. „სალათ“, სპარს. ნამაზ“, რომელიც თურქულადაც იხმარებოდა); 3) ყოველი მუსლიმის მიერ ქონების, პირუტყვის, მოსავლისა და ვაჭრობის წლიური შემოსავლის 1/40-ის გადახდა („ზაქათი“. „ზექათი“) ღარიბებისათვის დახმარების გასაწევად, „საღვთო ომში“ დაღუპულთა ქვრივ-ობლების შესანახად. 4) მარხვა რამაზანის თვეში („სიჰამ“), როდესაც ჭამა-სმა მხოლოდ ღამით შეიძლებოდა; 5) მექაში სალოცავად წასვლა („ჰაჯ“) და ქააბაში ლოცვა. 6) „საღვთო ომში მონაწილეობა („ჯიჰათ“, „ლაზავათ“); 7) რწმენა სამოთხისა და ჯოჯოხეთისა და ა. შ.

4. ევლია ჩელების მხედველობაში აქვს სულთან მურად IV-ის მიერ მოწყობილი მეორე ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ. 1638 წელს ოსმალებმა ჰამადანი დაანგრიეს და მოსახლეობა ამოწყვილეს, დაიპ-

ყრეს ერევანი, ნახჭევანი, თავრიზი და ბაღდადი 1639 წლის 14 სექტემბერს კასრ-ი შირინში დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც არაბეთის ერაცი ბაღდადიანად ოსმალებს დარჩათ.

5. არაბული ფრაზა.

6. არაბული ფრაზა.

7. 1326 წელს ოსმანის შვილმა ორხანმა დაიპყრო ბიზანტიის ქალაქი ბრუსა (ბურსა), აქ გადმოასვენა ოსმანის ნეშტი და ბრუსა სატახტო ქალაქად აქცია. ბრუსა ოსმალეთის დედაქალაქი იყო 1365 წლამდე, ქ. ადრიანოპოლის დაპყრობამდე. ბრუსაში იყო ოსმალთა სულთნების სამკვალე, წმინდა ქალაქად ითვლებოდა და ევლია ჩელების დროს „ძველ სატახტო ქალაქს“ უწოდებდნენ.

8. ემირ-სულთანი – იგივე ემირ-ჩელები, ემირ-ეფენდი. ხალიფა ალის შთამომავლად ითვლებოდა და წმინდანად იყი შერიცხული, სულთანი ბაიაზეთ I დიდ პატივს სცემდა და თავის სულიერ მამად მიაჩნდა გარდაიცვალა 1430 წელს (იხ. „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1 გვ. 50 – 51).

9. **ემინანქე** – სტამბოლის ძველი უბანია „ოქროს რქის“ ყურეს (თურქულად – ჰალიჩ) დასავლეთ ნაპირას, ეხლანდელი გალათას ხიდის თავში. აქ წესითაც ნავსადგური იყო.

თ ა ვ ი I

1. ევლია ჩელების მოგზაურობის დასაწყისისათვის იბრაჰიმ I სულთნის ტახტზე ახალი ასული იყო (1640 – 1648).

2. სადრაზამი ყარა მუსტაფა-ფაშა წარმოშობით ალბანელი იყო. სულთანმა მურად IV-მ 1638 წლის 24 დეკემბერს დანიშნა დიდ-ვეზირად და 1644 წლის 31 იანვარს სულთანმა იბრაჰიმ I-მა სიკვდილით დასაჯა. მუსტაფას მეტსახელი იყო „ქემანქემ“ – „მშვილდის მომზიდავი“, „მეჭიანურე“ და ევლია ჩელები ამ გამოთქმაში სიტყვების თამაშს მიმართავს.

3. ჰუსეინ ბაიკარა – თემურიდი ხორასნის სულთანი (1469 – 1501). მის დროს დედაქალაქი ჰერათი ირანის კულტურის ცენტრს წარმოადგენდა (იხ. История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л-д, 1958, 246) ჰუსეინ ბაიკარასა და ალიშერ ნავოის სახელთანაა დაკავშირებული ჰერათის ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, სიტყვაკაზმული მწერლობისა და მუსიკის აყვავების ხანა. ალიშერ ნავოიმ – ჰუსეინ ბაიკარას ჰკვიანმა ვეზირმა, გამოჩენილმა უზბეკმა პოეტმა და მეცნიერმა, რომელსაც კეთილისმყოფელი გავლენა ჰქოდა თავის მზრდნებელზე, ჰერათში თავი მოუყარა ნიჭიერ

მხატვრებს, კალიგრაფებსა და მუსიკოსებს, როდესაც უნდა ღირსეულად შეაფასოს მოსმენილი სიმღერა ან მუსიკალურ საკრავზე შესრულებული მელოდია, ევლია ჩელები მას „ჰუსეინ ზაიკარასებურს“ უწოდებს, რადგანაც ჰუსეინ ზაიკარა მუსიკოსებს მფარველობდა და ხელს უწყობდა. XV საუკუნეში მუსიკის, განსაკუთრებით სიმებიანი საკრავების განვითარებამ ჰერათში უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

4. პარასკევი მუსლიმების დღესასწაული იყო საპარასკევო ღოცვას დიდი მნიშვნელობა ესმებოდა. ამ დღეს აღავლენდნენ ხოლმე ხუტბას ქვეყნის მბრძანებლის სადიდებლად. რადგან ევლიამ ეს ღოცვა პირველად შეასრულა უცხო ქვეყანაში, საგანგებოდ აღნიშნა.

5. რიცხვი „7“ ბევრ ხალხში და მათ შორის თურქებში, წმინდად ითვლებოდა; ამას გარდა მას სიმრავლის აღსანიშნავადაც ხმარობდნენ.

6. ორხან-ყაზი – ოსმანის შვილი, ოსმალთა სახელმწიფოს მბრძანებელი (1326 – 1359).

7. ოსმან-ყაზი – მამის, ერთოდრულის სიკვდილის შემდეგ, 1281 წელს ჩაუდგა სათავეში ბეილიქს (საბეგოს). 1389 წელს რუმის სელჩუკთა სულთანმა ბეგად სცნო. 1399 წლისათვის იგი სელჩუკთა სახელმწიფოზე ფორმალურადაც აღარ იყო დამოკიდებული. სიცოცხლის უვანასკელ წლებში (გარდაიცვალა 1326 წ.) ავადმყოფობდა და სახელმწიფოს ფაქტიურად მისი შვილი ორხანი მართავდა.

8. ყაზა – აქ – ყადის თანამდებობა, რისთვისაც დღეში 150 ახჩა იყო გათვალისწინებული ჯამაგირად. გარდა ამისა, ყაზა ეწოდებოდა იმ ტერიტორიას, რომელზეც ვრცელდებოდა ყადის როგორც მოსამართლისა და რელიგიური მორალის დამცველის უფლებები.

9. „მექთებ-ი სეზიანი“ – პირველდაწყებითი სასწავლებელი, სადაც ყმაწვილებს წერა-კითხვასა და ანგარიშს ასწავლიდნენ.

10. დუქან – ასე ეწოდებოდა ვაჭრის, მევახშის დუქანს და აგრეთვე სახელოსნოს, სადაც ხელოსანი ამზადებდა და იქვე ჰყიდდა თავის ნაწარმს.

11. ევლია ჩელები ჰავის თვისებას ყოველთვის უკავშირებს მოსახლეობის გარეგნობას; „მკაცრი ჰავა“ სადმე – მცხოვრებლები ჩაფსკვნილნი და ღონივრები არიან. „მშვენიერი ჰავა“ – მცხოვრებლები ლამაზები, ტანადები და ნაზები არიან.

12. „დარ ულ-ხალლ“.

13. ნილუფერ-სულთანს ოსმალები უწოდებდნენ იარპისარის მბრძანებლის ქალიშვილს ჰოლოფირას, რომელიც ტყედ ჩაიგდო ოსმანმა და უფლისწულ ორხანს შერთო ცოლად. ორხანს მისგან 1325 წელს შეეძინა მურად I (1359 – 1389). ამ შემთხვევაში სიტყვა სულ-თანნი ერთვოდა იმ ქალის სახელს, რომლის შვილიც ოსმალეების სულთანი გახდებოდა.

თ ა ვ ი II

1. იდრისი – ბიბლიური ენოქის არაბული სახელი.
2. „მოგზაურობის წიგნის“ ახალ გამოცემაში – ძ ა ნ ვ ა ნ ი.
3. ბიბლიური სოლომონ ბრძენი, ებრაელთა მეფე. მუსლიმები წინასწარმეტყველად აღიარებენ და პატივსაცემენ.
4. ჯინების ხალხი – მუსლიმთა წარმოდგენით, გონიერი არსებანი, რომლებიც ადამიანების გაჩენამდე ცხოვრობდნენ დედამიწაზე. ისინი უჩინარ დემონებად იქცნენ და შეეძლოთ ადამიანს მოვლენოდნენ სხვადასხვა სახით, კეთილ ან ბოროტ ჯინებად.
5. ბელკისი, ბილკისი – საბაელთა ლეგენდარული დედოფალი, სოლომონ ბრძენის თანამედროვე ულამაზესი ქალი, მუსლიმთა წარმოდგენებით სოლომონის სატრფო
6. ქალაქი ბრუსა გაშენებულია „რუჰბანის“, ან „ქემშიშის“ (ორივე სიტყვა „ბერს“ ნიშნავს) მთის ძირას. ანატოლიაში ყველაზე მაღალი მთაა და ძველად ოლიმპის მთასაც უწოდებდნენ.
7. ესენი სათავეში ედგნენ დიდ აჯანყებებს და საერთო სახელად ჯელაღნი“ ეწოდათ 1519 წელს აჯანყებული შეიხ *ჯილაღნის* სახელის მიხედვით. ევლია ჩელები მათ ერთად ასახელებს, თუმცა ისინი სხვადასხვა დროს და შეუთანხმებლად მოქმედებდნენ: I. ყარა *ჯაზიჯი* 1599 – 1602 წლებში მეთაურობდა გლეხთა დიდ აჯანყებას.
2. კალენდერ-ოდლუ (იგულისხმება არა სულეიმან I -ის დროს, 1526 – 1527 წლებში აჯანყებული, არამედ მეორე კალენდერ-ოდლუ) სათავეში ჩაუდგა გლეხთა აჯანყებას 1592 წელს. მთელი დასავლეთი ანატოლია მოიცვა ამ აჯანყებამ და მხოლოდ 1608 წლის 8 აგვისტოს მოახერხა სულთნის მთავრობამ მისი ჩაქრობა. კალენდერ-ოდლუ ირანში გადაიხვეწა. 3. არაბ-საიდი, იგივე ყარა-საიდი, ყოფილი მეჯინიბე; 1603 წელს სათავეში ედგა რამდენიმე ათას აჯანყებულს.
8. ოსმალთა სახლმწიფოს დამაარსებელ ოსმანსა და მის შვილს ორხანს სულთნის ტიტული არა ჰქონდათ და მათ ბეგებს უწოდებდნენ. პირველად ორხანის შვილმა მურად I (1359 – 1389) მიიღო სულთნის ტიტული.

9. ერთოდრული მეთაურობდა ირანიდან მცირე აზიაში გადმოსულ ოღუსთა მოდგმის ერო შტოს – კ ა ი ს ტომს. ერთოდრული თავისი ტომიანად ჩადგა რუმის სელჩუკთა სულთნის ალა ედ-დინ ქეიქუბად I-ის (1219 – 1236) სამსახურში და ესქიშეჰირსა და ბილუჯიქს შორის მდებარე საზღვრისპირა რაიონი (უჯი) ებოძა. მისი ტომი აქ ამოვებდა თავის ჯოგებს და სამაგიეროდ ევალეზოდა საზღვრების დაცვა. ერთოდრულმა ბიზანტიის მიწების ხარჯზე გააფართოვა თავისი უჯი და საფუძველი ჩაუყარა საბეგოს (ბეგლიქს), რომელიც ოსმალთა მომავალი სახელმწიფოს ბირთვს წარმოადგენდა. ერთოდრული 1281 წელს გარდაიცვალა და ბეგი გახდა მისი შვილი ოსმანი.

10. ახჩა კოჯა – ოსმალთა სარდალი. ევლია ჩელების აზრით, „კოჯაილი“ (კოჯას ქვეყანა) იმიტომ ეწოდება ქალაქს, რომ იგი ახჩა კოჯას მიერ არას დაპყრობილი.

11. ბიზანტიის ქალაქი ნიკეა ორხანის დროს – 1331 წელს დაიპყრეს ოსმალებმა და ი ზ ნ ი ქ ი უწოდეს.

თ ა ვ ი III

1. მეჰმედ II დაიბადა 1430 წ. მურად II-ის შვილი. მურადმა იგი 1444 წელს აიყვანა ტახტზე და 1446 წელს გადააყენა. მამის სიკვდილის შემდეგ, 1451 წელს ავიდა ტახტზე და 1453 წ. 29 მაისს დაიპყრო კონსტანტინეპოლი, რისთვისაც „ფათიჰი“ – „დამპყრობელი“ უწოდეს. გარდაიცვალა 1481 წელს.

2. ყაზი ხონთქარი (ყაზი ხუდავენდიქარი) ეწოდებოდა ორხანის შვილს, სულთან მურად I (1359 – 1389), რომელიც კოსოვოს ველზე ბრძოლაში 1389 წ. 20 ივლისს მოკლა სერბმა პატრიოტმა მილოშმა. მურად I-მა ადრიანოპოლი – ედირნე 1360 წელს დაიპყრო და 1365 წელს ტახტი ბრუსადან აქ გადმოიტანა. თუმცა ბრუსაც დედაქალაქად ითვლებოდა.

3. ქალაქ არლაუს ოსმალები „ეგრი-ს უწოდებდნენ. ოსმალებმა იგი 1596 წელს ავსტრიასთან ომში სულთან მეჰმედ III-ის სარდლობით დაიპყრეს და მეჰმედს უწოდეს „ეგრი ფათიჰი“ – ერლაუს დამპყრობი.

4. სულთანი მეჰმედ III (27.1.1595 – 6.X II. 1603). მურად III-ის შვილი იყო (დაიბ. 1566 წ.).

5. დული ჰასანი – გლეხთა დიდი აჯანყების მეთაურის ყარა იაზიჯის ძმა ყარა იაზიჯის სიკვდილის შემდეგ, 1602 წლიდან 1603

წლის ბოლომდე სათავეში ედგა ამ აჯანყებას. საბოლოოდ, უღალატა აჯანყებულებს, სულთნის მთავრობას შეურიგდა და სანჯაყი ებოძა (1604 წ.).

6. ყარა იაზიჯი – დელი ჰასანის აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1603 წელს გლეხთა მოძრაობის ახალი ტალღა აგორდა. აჯანყებული გლეხების მრავალი რაზმი მთელ დასავლეთ ანატოლიაში მოქმედებდა. ერთ-ერთი ასეთი რაზმის მეთაური იყო ჯენნეთ-ოღლუ.

7. მისქინ – مسكين – საწყალი, ბეჩავი, კეთროვანი, ღარიბი (უმეტეს შემთხვევაში). ეს სიტყვა ისეთ კონტექსტშია, რომ არ შეიძლება „ღარიბების უბანს“ აღნიშნავდეს და ჩვენც „კეთროვანთა უბნად“ ვთარგმნეთ.

8. ბრუსაში იყვნენ დასაფლავებულნი ოსმალო სულთნები, სულთნის საგვარეულოს წევრები, შეიხები. ამიტომ უწოდებს ევლია ჩელები ბრუსას „უკვდავ სულთა სამყაროს“.

9. უკვდავების წყალი – „აბდი ჰადათ“; სიტყვა-სიტყვით, სიცოცხლის წყალი. მუსლიმთა წარმოდგენით, მისი სათავე მარადიული უკუნეთის საიდუმლოებით მოცულ ქვეყანაში – ჩრდილოეთ პოლუსთან იყო. არსებობს ლეგენდა, რომ მითიურმა წისასწარმეტყველმა და სასწაულმოქმედმა ხიზრმა იპოვა ეს წყარო, დალია და უკვდავი გახდა.

თავი IV.

1. „ილდირიმ“ – ელვა. ასე შეარქვეს ბაიაზეთ I-ს უფლისწულობის დროს, ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის. დაიბადა 1360 წელს. ტახტზე ავიდა 1389 წლის 20 ივლისს, კოსოვოს ველზე გამართულ ბრძოლაში მოკლული მამის – მერად I-ის მაგივრად. 1402 წლის 20 ივლისს ანკარის ბრძოლაში დამარცხდა და თემურმა ტყვედ წაიყვანა. ქ. აკშეპირი გარდაიცვალა. ფიქრობენ, რომ თავი მოიწამლა, როდესაც გაიგო, რომ თემური სამარყანდში წაყვანას უპირებდა.

2. მუსთაყიმი – არაბული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა. ამ ხმლით შესრულებულ წარწერებს ხშირად იყენებდნენ მეჩეთების ორნამენტად. ელიფი (თურქული წარმოთქმით) ნიშნავს არაბული ალფავიტის პირველ ასოს ا — „ა“.

3. ჰანეფი – ორთოდოქსალური ისლამის (სუნიტობის) ერთ-ერთი მიმდინარეობა (ოთხი ძირითადი მიმდინარეობა იყო – ჰანეფიტების,

შაფიტების ჰამალიტებისა და მალიქიტების). დააარსა ნუ‘მან აბუ ჰანიფამ (გარდაიცვალა 767 წ.).

4. **მან** – სასანური ირანის გამოჩენილი მხატვარი-მინიატურისტი. აღმოსავლეთში უბადლო მხატვრად ითვლებოდა და რაიმე მხატვრობის შექმნა რომ უნდოდათ, მანისას ადარებდნენ, ან სულაც მას მიაწერდნენ. მანი იყო მანიქეველობის სახელით ცნობილი მოძღვრებისა და მოძრაობის ფუძემდებელი. დაიბადა 215 წელს და სიკვდილით დასაჯეს 276 წელს.

5. ჰარემ – აკრძალული, წმინდა; ქალთა განყოფილება მუსლიმის სახლში. აქ იგულისხმება მეჩეთის ეზო ან მისი არე-მარე, რომელიც წმინდა ალბილად ითვლებოდა.

6. ბრუსის საკრებულო მეჩეთი ჯეროვნად რომ შეაქოს, ევლია ჩელები მას სტამბოლის აიას სოფიას ადარებს. წმინდა სოფიას სახელობის ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა დამთავრდა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს დროს – 537 წელს. კონსტანტინეპოლის დაპყრობის (1453) შემდეგ მეჰმედ II-მ იგი საკრებულო მეჩეთად გადააკეთებინა და ერთი მინარეთი აუშენა. ბაიაზეთ II-მ (1481 – 1512) მეორე მინარეთი ააშენა და სელიმ II-მ (1566 – 1574) – კიდევ ორი.

7. „ურჯულოების“ წინააღმდეგ ომში (ჯიჰადი, ღაზვათი) დაღუპულ მუსლიმს „შეჰიდ“ – „წამებული ეწოდებოდა. მურად I 1389 წელს კოსოვოს ველზე ომის დროს მოკლა სერბმა პატრიოტმა და ევლია ჩელები ამიტომ იხსენიებს წამებულად.

8. 1402 წელს ანკარას ბრძოლაში რომ დამარცხდა ბაიაზეთ I და თემურ-ლენგს ტყვედ ჩაუვარდა, მეჰმედი 15 წლის იყო; ამაში გაიქცა და შემდეგ ჩაერია ტახტის დასაკავებლად გამართულ ბრძოლაში, რომელსაც მისი ძმები აწარმოებდნენ. მუსამ სულეიმანი დაამარცხა და მოკლა, მეჰმედმა – მუსა და 1413 წლის 5 ივნისს ტახტზე ავიდა. მას მეჰმედ I ჩელები უწოდეს. 1421 წლის 17 მაისს გარდაიცვალა.

9. მცირე აზიის ე. ი. რუმის სელჩუკთა სასულთნოში ხუროთ-მოდვრებისა და მხატვრობის თავისებური სტილი შემუშავდა, რომელსაც **რუმნ-ს** უწოდებდნენ.

10. საუბარია მცირე აზიაში თემურ-ლენგის 1402 წლის შემოსევაზე.

11. მუსა ჩელები – ბაიაზეთ I-ის ერთ-ერთი შვილი იყო. ბაიაზეთის სიკვდილის შემდეგ გამართულ უფლისწულთა ბრძოლაში 1410 წელს ადრიანოპოლში გაბატონებული ძმა, სულეიმანი დაამარ-

ცხა, მოკლა და რუმელიაში გაბატონდა. იგი 1413 წელს უმცროსმა ძმამ, მეჰმედ I ჩელებიმ დაამარცხა, მოკლა და მთელი ოსმალეთის სულთანი გახდა.

12. მეჰმედ I ჩელების შვილი, სულთანი მურად II (1421 – 1451).

13. მურად II ტახტზე ავიდა 1421 წლის 17.VI. 1444 წელს ტახტი დაუთმო შვილს – მეჰმედ II-ს. 1446 წლის სექტემბერში მეჰმედი გადააყენა და ასევ ავიდა ტახტზე. 1451 წლის 16. II გარდაიცვალა.

14. სატყეების თამაშია: „ჯაბბარ“ ნიშნავს ძლევამოსილს, მოძალადეს.

თავი VII

1. ჯელალ ედ-დინ რუმი – აღმოსავლეთის უდიდესი მისტიკოსი პოეტი. დაიბადა 1207 წ. აღმოსავლეთ ირანის ქ. ბალხში. მამა ოჯახით გადმოსახლდა მცირე აზიაში. ჯელალ ედ-დინ რუმი სიკვდილამდე კონიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აქ დააარსა დერვიშთა სუფიური ორდენი მეველე. მას ეკუთვნის ლირიკული „დივანი“ და თხზულება „მესნევი“ რომელმაც დიდი როლი შეასრულა თურქული პოეზიის განვითარებაში.

2. იხ. თავი IV, შენიშვნა 3.

3. ბექთაშიების დერვიშთა ძმობა დააარსა ჰაჯი ბექთაშ ველმა. ბექთაშიების ძმობას ოსმალეთში დიდი გავლენა ჰქონდა და იანიჩართა კორპუსს მფარველობდა.

4. გულშენი – ჰელვეთიების სუფიური ორდენის განშტოებას წარმოადგენდა. მისი დამაარსებელი იყო იბრაჰიმ ბენ მუჰამედ გულშენი, რომელიც დიარბექირში დაიბადა და 1533 წელს გარდაიცვალა.

5. ჰელვეთი (ჰალვათია) – დერვიშთა სუფიური ორდენი. ამ ძმობის წევრები მარხვის დღეებში სენაკში განმატროვებულნი (ჰალვა) მარხულობდნენ.

6. ჩადირი სადირია) – დერვიშთა ძმობა, რომელიც დააარსა აზდ ალილ ალ გილანში (გარდაიცვალა 1166 წ.).

7. ნაჰიშბენდ – დერვიშთა ძმობა, რომელიც დააარსა ბუხარელმა შეიხმა მუჰამედ ნაჰიშბენდმა (1318 – 1389).

8. გემილ – كميل დერვიშთა ძმობა.

9. საადი (სა'დი) – ეს დერვიშთა ძმობა დამასკოში დააარსა სა'დ ად-დინ ალ-ჯიბავიმ (გარდაიცვალა სო 1300, ან 1336 წ.).

10. რეფ'ანის (რეფ'აის) დერვიშთა ძმობის დამაარსებელია სეიდი აჰმად არ-რეფ'აი ალ-ქაბირი (გარდაიცვალა 1180 წ.).

11. ბედევნ (ბადავენ) – დერვიშთა ძმობა, რომლის თამაარსებელია აჰმედ ბედევნ (ბადავენ). ხალიფა ალის შთამომავლად და ეგვიპტის უდიდეს წმინდანად ითვლება (1200 – 1276).

11. გულშეჯრ – ჩვენი აზრით, კორექტურული შეცდომა უნდა იყოს ან იგივეა, რაც გულშენი.

თავი IX

1. თავისი დროის უდიდესი ხუროთმოძღვარი კოჯა მიმარ სინანაღა 1490 წელს დაიბადა ქ. კაისერიში. წარმოშობით ბერძენი იყო და ბავშვობისას წაიყვანეს იანიჩართა კორპუსში. მან ახალგაზრდობაშივე გამოიჩინა ხუროთმოძღვრებისადმი მისწრაფება და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე (108 წელი იცოცხლა) 81 მეჩეთი, 33 სასახლე, 26 ბიბლიოთეკა და მრავალი სხვა შენობა ააშენა. მისი შემოქმედების გვირგვინია 1550 – 1557 წლებში სტამბოლში აშენებული „სულეიმანიე“ – სულეიმან I-ის სახელობის მეჩეთი. სინანმა მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას მოუყარა თავი და ხუროთმოძღვრების საკუთარი სკოლა შექმნა.

2. რადგან სასტუმროში მარტოხელები ცხოვრობდნენ, სამუშაოზე წასული მცხოვრებლის ნივთების დაკარგვისათვის სასტუმროს მსახურები არ აგებდნენ პასუხს – სასტუმრო მცხოვრებლების საქმე იყო.

თავი X

1. მუსლიმისათვის წმინდად, ყველაფრის განმწმენდავად ითვლებოდა მხოლოდ გამდინარე წყალი.

თავი XI

1. მუსლიმთა წარმოდგენით, სამოთხეში მოედინებოდა ცივი, ანკარა და გემრიელი წყარო, რომელსაც „სელსებილი“ ეწოდებოდა. კეთილმოწყობილ წყაროებსაც, რომლებსაც საქველმოქმედოდ აშენებდნენ და გამვლელ-გამომვლელს უფასოდ ურიგებდნენ, სელსებილი ან სებილი ეწოდებოდა.

თავი XIII

1. სულეიმან I **კანუნ**, სელიმ I-ის შვილი. ოსმალეთის ტახტზე ავიდა 1520 წლის 28 სექტემბერს და 1566 წლის 5 სექტემბერს გარდაიცვალა 72 წლისა, ავსტრიაში ლაშქრობის დროს. **„კანუნ“** — სჯულმდებელი უწოდეს საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის. მისი ხელმძღვანელობით გადამუშავდა „კანუნ-ნამეები“ (კანონთა წიგნები) სახელმწიფოს ფეოდალური განვითარების შესაბამისად. ოსმალეთის სამხედრო ძლიერებამ მისი მოღვაწეობის დროს მიაღწია ზენიტს.

2. რუსთემ-ფაშა **სარწ** („ყვითელი“) ორჯერ იყო დიდვეზირის თანამდებობაზე. პირველად 1541 წლის 28 ნოემბერს დაინიშნა და 1544 წლის 6 ოქტომბერს გადააყენეს. მეორედ 1555 წლის 29 სექტემბერს დანიშნეს დიდვეზირად და 1561 წლის 15 ივლისს გარდაიცვალა.

3. თალიყი – არაბული დამწერლობის სახეობა.

თავი XIV

1. „ეგვიპტის ხაზინა“ – ეს გამოთქმა აღნიშნავდა დიდ თანხას, აურაცხელ სიმდიდრეს; ეგვიპტე ოსმალეთის უმდიდრესი ქვეყანა იყო და მისი წლიური შემოსავალი გადასახადების სახით 600 ათას ოქროს უდრიდა.

2. არამუსლიმის მიერ მომზადებული საჭმელი წაბილწულად ითვლებოდა. მუსლიმს ეკრძალებოდა მიკარება.

3. ვეისი ფსევდონიმი იყო თურქული ლიტერატურის სატირული ჟანრის უდიდესი წარმომადგენლის მოლა ოვეის ბენ მეჰმედისა. იგი დაიბადა ყადის ოჯახში 1561 წლის სექტემბერში მცირე აზიის ქალაქ ალაშეჰირში. ჯერ მეჰმედ შერიფ-ფაშას დივანის მწერალი იყო, შემდეგ სკოპლეს ყადი. გარდაიცვალა 1628 წლის აგვისტოში და სკოპლეში დაიმარხა. მას ეკუთვნის თერთმეტი თხზულება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1608 წელს დაწერილ „ვაკაა-ნამეს“, რომელშიც სატირული ფორმით არის გაკრიტიკებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში არსებული ნაკლოვანებანი და არეულობა და მოცემულია რჩევა სახელმწიფოს დაცემის შეჩერებისათვის. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილ თხზულებაში – „ნასიჰათ-ი ისლამბულ“, გამათრახებულია სახელმწიფო მოხელეების კარისკაცებისა და სასულიერო წოდების წარმომადგენელია მექრთამეობა, ბოროტმოქმედება და უვიცობა.

4. კაიდაფე – ბარდას (პარტავი) დედოფალი, ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე.

5. ე. ი. მას ამიერიდან ღმერთი შეეწეოდა ყოველგვარ საქმიანობაში.

თავი XV

1. „ფინარ-ბაშნ“ – წყაროს სათავე.

2. ჯელალ ედ-დინ რუმის მიერ დაარსებული დერვიშთა ძმობის მევლევის წევრები.

3. მევლანა – საერთოდ ნიშნავს – „ჩვენი ბატონი“, „მოდგარი“ ასე უწოდებდნენ შეიხებსა და მუსლიმ ღვთისმეტყველებს. აქ იგულისხმება მისტიკური ფილოსოფიის – სუფიზმის მოძღვრების მამამთავარი ჯელალ ედ-დინ რუმის, რომლის ეპითეტი იყო მევლანა.

თავი XVII

1. ბერძნულიდან ნაწარმოები სიტევა „იკლიმი“ – კლიმატი, გეოგრაფიული სარტყელი. უძველესი წარმოდგენა ბერძნებისა, რომ დედამიწის დასახლებული ნაწილი შვიდ კლიმატად – სარტყლად იყოფოდა, აღმოსავლეთშიც გავრცელდა. ეს სარტყლები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო განლაგებული, ეკვატორის პარალელურად.

2. კაფის მთა აღმოსავლური წარმოდგენით, მთელ დედამიწას ჰქონდა შემოვლებული და მის ერთ ნაწილს წარმოადგენდა კავკასიონი. აქ კავკასიონი იგულისხმება.

3. ისქანდერ ზულკარნეინი – ალექსანდრე მაკედონელი.

4. დარუბანდთან ახლოს ახლაც არსებობს 567 წელს აშენებული კედლის ნაშთები, რომელიც კასპიის ზღვასა და კავკასიონს შორის გასასვლელს ჰკეტავდა. ლეგენდის მიხედვით, ეს კედელი ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით ააშენეს გოგისა და მაგოგის (ყურანის მიხედვით მაჯუჯისა და მაჯუჯის) ველური და მეომარი ხალხების შემოსევებისაგან დასაცავად.

5. ბაკაჯაკი – სამხერი. მუსლიმური კალენდრით მთვარის ფაზების ცვალებადობაზეა გათვლილი თვეები. თვის დასაწყისი დადგენილად ითვლება იმ პირობით, თუ ერთი მუსლიმი მაინც დაადასტურებს მთვარის ამოსვლას.

6. სალამანდრასა და ქამელეონს ადარებს ხოლმე ევლია ჩელები დამუშავებულ მიწებსა და მდელოებს ნაირფერადი პეიზაჟის აღსანიშნავად.

7. ნეჯეფი არაბეთში ცნობილი იყო ობსიდიანით, მთის ბროლითა და მინის წარმოებით

8. همان اغزی سکون کبی معلومدر. ارقاسی ینه سکون کبی
موج زیه زیهدر ჩვენთვის გაუგებარია ეს ადგილი. „მოგზაურობის წიგნის“ ახალ გამოცემაშიც კითხვის ნიშანია დასმული (გვ. 33 – 34).

9. რუმელე – ოსმალეთის ტერიტორიის ევროპული ნაწილი.

10. „დედი კულე – შვიდი კოშკი – მდებარეობს სტამბოლის ამავე სახელობის გარეუბანში, „ოქროს კარის“ გადაღმა, მარმარილოს ზღვის პირას. ეს ციხე-სიმაგრე ოსმალებმა საპყრობილედ აქციეს და ამწყვდევედნენ შერისხულ მოხელეებს, სულთნისათვის არასასურველ პირებს, უცხოეთის ელჩებსა და დაპყრობილი ქვეყნების ურჩ დიდგვაროვან წარმომადგენლებს. აქ დალია სული სიმონ ქართლის მეფემ (იხ. ს. ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 31, თბილისი, 1954, გვ. 56). ამ ციხეში დააღრმავეს ტახტიდან ჩამოგდებული 7 სულთანი. დედი კულეს ერთ-ერთ კოშკში აწამებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ ხოლმე პატიმრებს და მოჭრილ თავებს ჭაში ჰყრიდნენ, რომელსაც სისხლის ჭა ეწოდებოდა.

11. ეს მეჩეთი სულთან აჰმედ I-მა (16.XII 1603 – 26. XII. 1617) ააშენებინა ხუროთმოძღვარ სინანის მოწაფეს – მეჰმედ-აღას 1610 – 1616 წლებში, ათ მეიდანის გვერდით, აია სოფიას პირდაპირ. მას ცისფერ მეჩეთსაც უწოდებენ. ოსმალური არქიტექტურის შედეგრად ითვლება. მიჰრაბის გვერდით, კედელზე მიმაგრებულია ქააბადან გადმოტანილი „წმინდა შავი ქვის“ ნატეხი. მეჩეთს ექვსი მინარეთი აქვს და რადგანაც მექის იმამმა ეს გარემოება მკრეხელობად გამოაცხადა (მექაში ქააბის ტაძარსაც 6 მინარეთი ჰქონდა), სულთან აჰმედის ბრძანებით ქააბას მეშვიდე მინარეთი აუშენეს. მეჩეთის ეზოში მარხია აჰმედ I.

თავი XVIII

1. თურქულმა ტომებმა მცირე აზიაზე სისტემატური თავდასხმები 1047 წელს დაიწყეს, მაგრამ დიდხანს ვერ მოიკიდეს ფეხი. ამ ტომებს შორის მცირე აზიის დაპყრობაში გამოირჩეოდა კინიკის ტომი, რომელსაც სელჩუკის საგვარეულოს ბელადები მეთაურობდნენ. ისინი ჩაუდგნენ სათავეში მცირე აზიაში სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნას. 1080 წელს იმ ტომებმა, რომლებსაც სათავეში ედგა

სელჩუკთა საგვარეულოს წარმომადგენელი სულიმანი, ნიკეა დაიპყრეს და დედაქალაქად გაიხადეს. 1085 წელს ეგეოსის ზღვის სანაპიროზე გავიდნენ და იზმირი დაიპყრეს. ამით დამთავრდა მცირე აზიის ძირითადი ნაწილის დაპყრობა და შეიქმნა რუმის სელჩუკთა სახელმწიფო.

2. მცირე აზიაში სელჩუკების დაპყრობების დროს მოქმედებდნენ სხვა თურქული ტომებიც, რომელთაც სათავეში ედგნენ დანიშმენდის შთამომავლები. დანიშმენდის შვილმა მუჰამედ 1 გუმიშ-თეგინმა დაიპყრო სივასი, კესარია, ნალათია, დაამარცხა ჯვაროსანთა ლაშქარი მაღათიასან ბრძოლაში და ძლიერი სახელმწიფო შექმნა, რომელიც სელჩუკებს მეტოქეობას უწევდა მცირე აზიაში გაბატონებისათვის. ამ ბრძოლაში სელჩუკებმა გაიმარჯვეს და 1180 წელს დანიშმენდიანთა სახელმწიფო მოისპო.

3. დანიშმენდიანთა სატახტო ქალაქი სივასი იყო.

4. მელექ-ყაზის დროს (1086 – 1134) დაჩიშმენდიანთა სახელმწიფომ თავის ძლიერების ზენიტს მიაღწია.

5. ოღუზთა ტომებმა სელჩუკების მეთაურობით მახლობელ აღმოსავლეთში შემოსევები მავერ ან-ნაჰრიდან („მდინარის გაღმა“ – ასე უწოდეს არაბებმა შუა აზიის ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მდინარე ამუ დარიას მარჯვენა ნაპირის აღმოსავლეთით მდებარეობდა) დაიწყეს.

6. მცირე აზიის სელჩუკთა სულთანი ალა ედ-დინ ქეი-ქუბად I იგულისხმება. 1219 წელს ავიდა ტახტზე და 1236 წლამდე სულთნობდა.

7. აქ იგულისხმება მერვის სანახები ირანში, ხორასნის ოლქში.

8. იზნიქი – ნიკეა დაიპყრეს 1331 წელს და იზნიქმითი – ნიკომედია – 1337 წელს.

9. შეცდომაა. ერთოდრული უჯის ბეგი გახდა XIII საუკუნის 20-იან წლებში.

10. ერთოდრული გარდაიცვალა 1281 წელს.

11. 1299 წელს ოსმანი რუმის სელჩუკთა სულთნებისაგან სრულიად დამოუკიდებელი მმართველი გახდა.

12. მეჰმედ II (18. II. 1451 – 3. V. 1481) კონსტანტინეპოლი დაიპყრო 1453 წლის 29 მაისს მას „ფათიჰი“ – „დამპყრობელი“ ეწოდა. შეიხი აკ შამს ედ-დინ მეჰმედ ბენ ჰამზა დამასკელი იყო. ანკარაში ბაირამის დერვიშთა ძმობაში შევიდა. კონსტანტინეპოლის დაპყრობისას მეჰმედ II-ს ახლდა და მისი სულიერი მოძღვარი გახდა. გაუგებარია, რატომ ამბობს ევლია ჩელები, რომ პირველი

ვისაც სულისანი ეწოდა მეჰმედ II იყო. ცნობილია, რომ სულთნის ტიტული ჯერ კიდევ მურად I მიიღო.

13. აბუ-ს-სუუდ – სელეიმან I **ჩანუნის** დროს შეიხ ულ-ის-ლამი იყო. იგი მონაწილეობდა სულეიმან **ჩანუნის** საკანონმდებლო მოღვაწეობაში და მისი ხელმძღვანელობით შედგა ოსმალეთის „კანუნ-ნამეები“.

14. ოსმალებმა კუნძული როდოსი დაიპყრეს 1522 წელს. მალ-ტის დასპყრობად მოწყობილი ლაშქრობა 1565 წელს მარცხით დამთავრდა.

15. 1534 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ერაყი ბაღდადიანად, ქერბელა და ნეჯეფი.

თავი XIX

1. იგულისხმება სუმის სელჩუკთა სულთანი ალა ედ-დინ ქეი-ქუბად II (1296 – 1300), რომელიც დედაქალაქის აჯანყებული მცხოვრებლების შიშით გაიქცა 1299 წელს და ოსმანმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

2. სხვა ცნობით ორხანი 73 წლისა გარდაიცვალა.

3. ბრუსა ოსმალებმა დაიპყრეს 1326 წელს.

4. რიცხვნიშნების ჯამი 626 გამოდის (1229) და სწორი არაა.

5. ბრუსას დაპყრობის თარიღი, ზოგი წყაროს მიხედვით, 1324 წელია, მაგრამ 1326 უფრო მიღებულია.

6. გაუგებარია – **بازی فوکره**

7. სხვა ცნობით ორხანი დაიბადა 1288 წელს და გარდაიცვალა 1360 წელს, ე. ი. 72 წლისა.

8. სახელგანთქმული ფილოლოგი, ღვთისმეტყველი, კომენტარების ავტორი **სა ც დ აღ-დინ მას ც უდ ათ-თაფთაზანი**; თემურ-ლენგმა სამარყანდში წაიყვანა და იქ გარდაიცვალა. მაღალგანათლებული ადამიანის განსახიერებად ითვლებოდა აღმოსავლეთში.

თავი XX

1. ვარნას ბრძოლა მოხდა 1444 წლის 10 ნოემბერს მურად II-ის დროს (და არა მერად I-ის დროს).

2. სხვა ცნობით, სერბმა პატრიოტმა მურად I მოკლა, როდესაც იგი კარავთან მიჰგვარეს სხვა ტყვეებთან ერთად (1389 წ. 15.VI).

3. მეექვსე-ფაშას ევლია ჩელები „მოგზაურობის წიგნში“ ხშირად და დიდი პატივისცემით ახსენებს. იგი ევლიას ბიძად ეკუთ-

ვწოდება (დედის მხრივ), მისი კეთილისმყოფელი იყო და ხშირად იახლებდა ხოლმე როდესაც ლაშქრობდა, ან სხვა საქმეზე მგზავრობდა; ამიტომ მისი ბიოგრაფიის წყარო ძირითადად „მოგზაურობის ეიგნია“.

მელექ აჰმედ-ფაშა სტამბოლში დაიბადა 1585 წელს. მშობლები აბაზას ტომიდან იყვნენ და აღსაზრდელად თავიანთ სამშობლოში გაგზავნეს. 16 წლისა აჰმედ I-ს (1603 – 1617) მიჰგვარეს კარზე და მის ამაღლაში იყო. ჯერ სულთნის სილაჰდარი გახდა, შემდეგ ალექსის **ჟალმ** შემდეგ ხანებში დიარბექირის **ჟალმ** იყო და 1649 წელს – ბაღდადისა. ცოლად შეირთო მურად IV-ის ქალიშვილი კადა-სულთანი, რომელიც ევლია ჩელების დიდად სწყალობდა და მფარველობდა. სულთანმა მეჰმედ IV (1646 – 1687) მელექ აჰმედ-ფაშა 1650 წლის 5 აგვისტოს დიდვეზირად დანიშნა და 1651 წლის 21 აგვისტოს გადააყენა. იმავე წელს სილისტრიის **პალმდ** დანიშნეს და 1652 წელს – რუმელიის ვილაიეთისა. 1653 წელს სტამბოლში მიიწვიეს და კუბბე-ვეზირის თანამდებობა უბოძეს. 1655 წელს ვანის ვილაიეთის ვალი გახდა და იქიდან, 1656 წელს, ისევ სილისტრიაში გადაიყვანეს. 1659 წლის მარტის ბოლოს ბოსნას ბეგლარბეგად გადაიყვანეს და იქიდან 1660 წლის ნოემბერში ისევ რუმელიის ვალიდ დანიშნეს. 1662 წლის 4 აპრილს სტამბოლში დაბრუნდა და ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, 1662 წლის 26 აპრილს გარდაიცვალა. ეფუბის უბანში, მეჩეთის ახლოს დაიმარხა.

თ ა ვ ი XXI

1. 1391 წელი.

2. უნაკაფანი უბანია სტამბოლში, „ოქროს რქის“ ყურეს დასავლეთი ნაპირის გასწვრივ, ქემალ ათათურქის სახელობის ხიდის პირდაპირ. კონსტანტინეპოლის ოსმალების მიერ აღების დღეს (1453 წ. 29 მაისი) წმინდა თეოდოსის დღესასწაული იყო და მისი სახელობის ეკლესია ბერძნებს ვარდებით მოერთოთ. რიდესაც ოსმალებმა ეს ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, „**ბქლქამე**“ – „ვარდების მეჩეთი“ უწოდეს.

3. **აჰაკაფნი** – ნავსადგური იყო სტამბოლში, „ოქროს რქის“ ყურეს დასავლეთ ნაპირას, უნაკაფანის ჩრდილო-დასავლეთით.

4. 1402 წლის 20 ივლისი, ანკარის ბრძოლა.

5. ბაიაზეთ I ილდირიმი რვა თვე იყო ტყვეობაში და 1403 წლის 10 მარტს გარდაიცვალა; ზოგი წყაროს მიხედვით, თავი მოიწამლა.

თ ა ვ ი XXII

1. შეიხი ბედრ ედ-დინ სიმაჯი – დაიბადა 1358 წ. და მოკლეს 1419 წ. სუფიოზის მიმდევარი; თავისი მსოფლმხედველობით პანთეისტი იყო. სოციალურ თანასწორობას ქადაგებდა და ასკეტურ ცხოვრებას მისდევდა. თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი იყო. იგი ადრიანოპოლის მახლობლად მდებარე სიმავენაში დაიბადა და მისი ნისბაც – „სიმავენი“ – აქედან წარმოსდგება. 1410 წელს ტახტისათვის მებრძოლმა უფლისწულმა მუსა ჩელებიმ რუმელიის ყაზიასკერად დანიშნა, მაგრამ როდესაც მეჰმედ I-მა ტახტი ხელში ჩაიგდო, ბედ ედ-დინი იზნიქში გადაასახლა 1416 წელს. აქ იგი იდეოლოგიური მეთაური გახდა გლეხთა დიდი აჯანყებისა, რომელიც რელიგიურ საბურველში იყო გამოხვეული და რელიგიური ლოზუნგებით მიმდინარეობდა. მის მოწაფეების, თორლაქ ქემალისა და ბორქქლუქე მუსტაფას რაზმების დამარცხების შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთ ბულგარეთში გადაიხვეწა და იქ შეაგროვა მომხრეები. თავი მაჰდიდ გამოაცხადა და ხელისუფლების მოპოვები სცადა. დიდევზირმა ბაიაზეთ-ფაშამ გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა. იმავე წელს, როდესაც ახალ რაზმებს აგროვებდა, შეიპყრეს და სასულიერო სასამართლოზე ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. 1419 წლის 18 დეკემბერს ჩამოახრჩეს.

2. ოსმალეთის ტახტზე მეჰმედ I 1413 წელს ავიდა; მანამდე ძმებს ებრძოდა ტახტისათვის. 1402 წლიდან პირობით სოვლიან სულთანად, რადგანაც ამ წელს ბაიზეთ I უკვე სულთანი აღარ იყო და ტახტისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა 1413 წლამდე.

3. უფლისწულთა ბრძოლა ტახტისათვის საშუალებას არ აძლევდა ოსმალთა ფეოდალებს დაპყრობითი ომები ეწარმოებინათ და ევლია ჩელებისაგან სწორედ ეს ამბავი მიაჩნია მთავარ საკითხად.

4. დესპოტ-ოღლუ – ასე უწოდებდნენ XV საუკუნის 1 ნახევრამდე ოსმალეები სერბიის მმართველებს (დესპოტებს) და აქ ვუკაშინი იგულისხმება.

თ ა ვ ი XXIII

1. კონსტანტინეპოლი ოსმალებმა 1453 წ. 29 მაისს დაიპყრეს.

თ ა ვ ი XXIV

1. ბაიაზეთ II ჰელი – სელთან მეჰმედ II-ის შვილი (5.V.1481 – 25.IV.1512).

2. თარიღი შეცდომითაა. 1512 წელს სელიმმა, რომელიც უმცროსი ვაჟი იყო, მამა ბაიაზეთ II ავზიდან ჩამოაგდო, შემდეგ ტახტის მოცილე ძმებს – ალემშაჰს, კორკუდსა და აჰმედს გაუმართა ბრძოლა და დახოცა. ამოწყვეტა აგრეთვე 10 ძმისწული.

3. ჯე-შაჰი ოსმალთა საგვარეულოში ერთია ცნობილი – მეჰმედ II-ს უმცროსი შვილი იყო და როდესაც ბაიაზეთ II ტახტზე ავიდა (1481 წ. 5.V), დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ დამარცხდა და ჯერ ეგვიპტეში გაიქცა, შემდეგ – კუნძულ როდისზე. ბოლოს რომის პაპს ეახლა და დახმარება სთხოვა; აქ გარდაიცვალა 1495 წელს. სულეიმან ჩელები და ისა ჩელები ბაიაზეთ I-ის შვილები იყვნენ, რომლებიც ტახტისათვის იბრძოდნენ. სულთანს მუსტაფა (1617 – 1618; 1622 – 1623) სტამბოლშია დამარხული. აქ ევლია ჩელები გულისხმობს მუსტაფა ჩელების (ცრუ), რომელიც ბაიაზეთ I ილდირმის შვილი იყო; მამასთან ერთად დაატყვევეს და სამარყანდში წაიყვანეს. მეჰმედ I-ის დროს დაბრუნდა სამშობლოში და ტახტს შეედავა ძმას; დამარცხდა და ბიზანტიას შეაფარა თავი. როდესაც მურად II ავიდა ტახტზე (1421 წ.) და კონსტანტინეპოლს ალყა შემოარტყა (1422 წ.), მუსტაფა ჩელები ბიზანტიელების წაქეზებითა და ყარამანიისა და გერმიანთა ბეილიქების დახმარებით ბრძოლა დაუწყო. ამ ბრძოლაში მურად II-მ გაიმარჯვა და მუსტაფა დაიღუპა.

თავი XXV

1. აჰმედ **მესევერ** – მისტიკოსი პოეტი, დერვიშთა სუფიური ორდენის დამაარსებელი. დაიბადა შუა აზიის ქალაქ ჩიმკენტთან ახლოს მდებარე სოფელ საირამში და გარდაიცვალა 1116 წელს.

2. ამ კალიგრაფებს შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი ყარაჰისარელმა ჰასან ჩელებიმ, რომელმაც იშვიათი ხელოვნებით შესრულებული, ყურანიდან ამოღებული წარწერებით მოხატა სულეიმან I-ის სახელით ჯამე.

3. „მოგზაურობის წიგნის“ ახალ, თურქულ გამოცემაში: „აფრასიაბის ხაზინად ღირს“ (გვ. 51).

4. იგულისხმება ეგვიპტის მამლუქთა სატახტო ქალაქი კაირო, რომელიც სელიმ I-მა (1512 – 1520) დაიპყრო 1517 წლის 31 იანვარს. სელიმმა ათასობით ტყვე გაჟლიტა, მამლუქთა სულთანს თუმან-ბეგი ჩამოახრჩო და ათასობით ხელოსანი სტამბოლს წაასხა.

5. ჰიალი-ეფენდიმ დიდი როლი შეასრულა თურქული ლიტერატურის განვითარებაში. იგი სუფიზმის მიმდევარი იყო და მისი ლექ-

სეზი, რომლებიც „ჰიალონ“-დ წოდებულ დივანში" თავმოყრილი, მისტიკურ-ასკეტური შინაარსისა იყო; მას რამდენიმე სატრფიალო ლექსიც დაუწერია. სულეიმან I-ის სასახლეში მიღებული და დიდად დაფასებული იყო გარდაიცვალა 1577 წელს.

6. სარმასაკჩი ზადე სულეიმან-ეფენდი – იგივე სულეიმან ჩელები, რომელსაც 1409 წელს, ბრუსაში ხალხური შემოქმედების მოტივებზე დაუწერია მშვენიერი პოემა. მისი „მეველუდი“ საუკუნეთა განმავლობაში იყო ხალხში გავრცელებული.

7. სიტყვების თამაშია: – დაბადის საქმიანობის ძირითადი ელემენტია ხამი ტყავის დაღობვა და შემდეგ ხის ჩაქურჩის ცემით გამოყვანა.

8. მოლა ალი ბენ სალიჰი თავის მასწავლებელს, მასიყს მიუმღვნა თხზულება.

9. მოლა აბდ ალ-განონ – სტამბოლის ყადის თანამდებობაზე 1580 წლის 17 თებერვლიდან 1581 წლის 4 თებერვლამდე იყო.

10. სიტყვების თამაშია – „ბოზ“ – გატეხილი; „ბურუნ“ – ცხვირი; „ბოზ ბურუნ“ – გატეხილი ცხვირი.

11. აბდ ალ-მალიქის შვილი სულეიმანი ომაელთა სახალიფოს განაგებდა 715 – 717 წლებში.

12. ომაელთა ხალიფა ომარ II (717 – 720). ხალიფა აბდ ალ-მალიქის ძმის – აბდ ალ-აზიზის შვილი.

13. სელიმ II მესტი – სულეიმან I კანუნის შვილი. ტახტზე ავიდა 1566 წლის ოქტომბერში. გარდაიცვალა 1574 წ. 22 დეკემბერს. ეს იყო პირველი სულთან, რომელიც სტამბოლში გარდაიცვალა. დაკრძალულია აია სოფიას ჯამეს ეზოში, ხუროთმოძღვარ სინანის მიერ აგებულ აკლდამაში.

14. ჰუსეინ-ეფენდი შეიხ ულ-ისლამი იყო 1633 წ. 8.VIII – 1634 წ. 26.VI. მუფთი ეწოდებოდა ღვთისმეტყველსა და სამართლის მცოდნეს, რომელსაც რთული იურიდიული საკითხის შესახებ შარიათის საფუძველზე წერილობითი დასკვნა – „ფეთვა“ უნდა შეედგინა. მთავარი მუფთი იყო შეიხ ულ-ისლამი, რომელიც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (ომის დაწყება-დამთავრება, სულთანის ტახტზე აყვანა ან ჩამოგდება და სხვ.) ადგენდა ფეთვას.

15. ოსმალური ტექსტის გამომცემელი შენიშვნაში აღნიშნავს, რომ ეს ბეითები შეიხ ულ-ისლამ აბუ-ს-სუუდს ეკუთვნის (ოსმალური ტექსტი, II ტ. გვ. 58).

16. ზემოხსენებული თხზულებები ყველა განათლებული მუსლიმის საკითხავი წიგნები იყო და დიდი გამოცილება ჰქონდათ (მუ-

ჰამედის ცხოვრება, სუფიური ლექსების კრებულები, ისტორიული და გეოგრაფიული თხზულებანი, დარიგების წიგნი). ეს ისეთი წიგნები იყო, რაც ადამიანს ცხოვრებაში უნდა გამოსდგომოდა.

თავი XXVI

1. ეს უნდა იყოს ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელისა და აქემენიდთა მეფის დარიოს III კოდომანის შორის კილიკიის ქალაქ ისასთან გამართული ბრძოლის შესახებ. ძველი წელთაღრიცხვით 333 წლის ოქტომბერს გამართულ ბრძოლაში ალექსანდრე მაკედონელმა გამანადგურებელი დამარცხება მიაყენა დარიოსს. დარიოსი გაიქცა და მისი დედა, ცოლი და ორი ქალიშვილი ალექსანდრე მაკედონელს ჩაუვარდა ხელში. დარიოსმა ორჯერ შეაძლია დიდი გამოსასყიდი ცოლ-შვილისათვის და ორჯერვე უარი მიიღო.

2. სულთანი მურად IV, აჰმედ I-ის შვილი, 1612 წელს დაიბადა, ტახტზე აიყვანეს 1623 წ. 10 სექტემბერს. გარდაიცვალა 1640 წ. 27.VII.

3. غازبور اوقراق سیرنجہ

4. موغلا

5. ალექსანდრე მაკედონელი ძველი წელთაღრიცხვით 356 წელს დაიბადა მაკედონიაში და არა იზმითში. მუჰამედი დაიბადა 570 წელს ახალი წელთაღრიცხვით.

6. იზმითი (ნიკომედია) ოსმალებმა დაიპყრეს 1337 წელს.

7. „იზნიმ“ – „ჩემი ნებართვა“; „გით“ – „წადი“. ასეთ ხალხურ ეტიმოლოგიას ევლია ჩელები ხშირად მიმართავს.

8. ევლია ჩელები ხაზს უსვამს იზმითის მნიშვნელობას, რადგან იზმითი სანჯაყი იყო და სამთულიანი ვეზირის წოდების ფაშები, ჩვეულებრივ, ვილაიეთების ბეგლარ-ბეგებად ინიშნებოდნენ.

9. იხ. თავი IX, შენიშვნა I.

10. ჰერსექ ოღლუ (ზადე) აჰმედ-ფაშა ამის შემდეგ სამჯერ იყო ბაიაზეთ II-ს დიდვეზირი (1497 – 1498; 1503 – 1506 და 1511 – 1512) და ორჯერ – სელიმ I-ისა (1512 – 1514 28.X; 1515.X – 1516 26.IV).

11. „კარუნის საუნჯე“ – ეს გამოთქმა აურაცხელი სიმდიდრის აღსანიშნავად იხმარებოდა. ბიბლიური კარუნი, წინასწარმეტყველ მოსეს ბიძაშვილი, ზღაპრული სიმდიდრის პატრონი იყო. ყურანის მიხედვით, იგი სიძუნწისათვის მიწამ ჩაყლაპა თავისი სიმდიდრისადა.

12. აღსანიშნავია, რომ ევლია ჩელები მაღალი თანამდებობის მქონე ნათესავებს (ან მათი რეკომენდაციით – დიდ მოხელეებს) ჩაუდგებოდა ხოლმე სამსახურში, როდესაც ისინი სალაშქროდ, ან სახელმწიფო საქმეების გასარიგებლად მიემგზავრებოდნენ. მას თანამდებობის მიღება აინტერესებდა უფრო იმიტომ, რომ ახალ-ახალი ქვეყნების ნახვის საშუალება მისცემოდა და თან მეტი თავისუფლება ჰქონოდა მოგზაურობაში. სხვაფრივ, მას ყოველთვის შეეძლო მუდმივი სამსახური ემოვა და სტამბოლში ეცხოვრა.

თავი XXVII

1. სულთანი აჰმედ I, მეჰმედ III-ის შვილი. დაიბადა 1590 წელს; ტახტზე ავიდა 1603 წლის 16 დეკემბერს და გარდაიცვალა 1617 წლის 26 დეკემბერს.

2. კორექტურული შეცდომა – სულეიმანი ომაელთა ხალიფა იყო 715 – 717 წლებში.

3. ის თავი XXV, შენიშვნა 12.

4. აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს და იგულისხმება წასუპ-ფაშა, აჰმედ I-ის დიდვეზირი (1612.22. VIII – 1614.7.X), რომელიც სიკვდილით დასაჯეს.

5. სულთანი მეჰმედ III – მურად III-ის შვილი; დაიბადა 1566 წელს, ტახტზე ავიდა 1595 წლის 27 იანვარს და გარდაიცვალა 1603 წლის 6 დეკემბერს.

6. ევლია ჩელების სრულად უწერია ეს უწმაწური სიტყვა.

7. თეთრბატკნიანთა (აკყოიუნლუ) სახელმწიფოს მბრძანებლებს „აზერბაიჯანის მბრძანებლებსაც“ უწოდებდნენ უზუნ ჰასანი (ჰასან თავილი) 1478 წლებში იყო თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს სათავეში.

8. თურქული „გირესუნ“ – „უნდა შეხვიდე“.

9. ერთგან ევლია ჩელები ამბობს, რომ მან იმგზავრა „ლაზური მენექსილა ნავით“ („მოგზაურობის წიგნი“ ნაკვ. I, გვ. 95). მცირე ხომალდების ეს სახეობა ოსმალებმა ბიზანტიელებისაგან გადმოიღეს და დამახინჯებულად გადმოჰყვა სახელი „მენექსილა“, რომელიც ნაწარმოებია „მონოქსილუს“-იდან და აღნიშნავს მთლიანად ერთი ხისაგან გამოკვეთილს. ეს აზრი გამოთქმული აქვს ადრე ტიტცეს შრომაში, რომელშიც განხილულია იტალიურიდან და ბერძნულიდან გადმოღებული თურქული სანაოსნო ტერმინები (იხ. Andreas Tietze, *The Lingua Franca in the Levant*, 1958, გვ. 545 – 546).

1. ლეგენდაა.

2. თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს მბრძანებელ უზუნ ჰასანისა და ოსმალთა სულთნის, მეჰმედ II-ის ჯარებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა თერჯანის ველზე, ერზინჯანის სანახებში მდებარე ოთლუკბელისთან, 1473 წლის 11 აგვისტოს. უზუნ ჰასანმა გამანადგურებელი დამარცხება განიცადა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. მეჰმედ II მთელ ანატოლიაში გაბატონდა. თეთრბატკნიანთა სახელმწიფო საბოლოოდ მოსპო 1502 წელს, ახლადდაარსებული სეფიანთა ირანის პირველმა შაჰმა ისმაილ I-მა.

3. ასოთა რიცხვნიშნების მიხედვით 1473 წელი.

4. ქ. ტრაპიზონი ოსმალებმა 1461 წელს დაიპყრეს, მოსპეს ტრაპიზონის საკეისრო და ტრაპიზონის ვილაიეთი შექმნეს. რაც შეეხება ამ ხანებში საქართველოს ტერიტორიების დაპყრობას, ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

5. ბაიაზეთ II **გიღ** – მეჰმედ II ფათიჰის შვილი დაიბადა 1452 წელს. ტახტზე ავიდა 1481 წლის 5 მაისს; ტახტიდან ჩამოაგდო შვილმა, სელიმ I-მა 1512 წლის 24 აპრილს და ორიოდე დღის შემდეგ მოკვდა.

6. ჩალდირანის ომი – ირას-ოსმალეთის ომის პირველი ბრძოლა, რომელიც 1514 წლის 23 აგვისტოს გაიმართა ურმიის ტბის აღმოსავლეთით, ჩალდირანის ველზე. ირანის შაჰი ისმაილ I სასტიკად დამარცხდა; სელიმ I-მა დაიპყრო თავრიზი, ხელში ჩაიგდო ხაზინა და უამრავი ხელოსანი წაიყვანა ტყვედ.

7. სეფიანთა ირანის ჯარების განადგურებამ სელიმ I-ს საშუალება მისცა ეგვიპტეზე გაელაშქრა 1516 წ. დაამრცხა ეგვიპტის მამულქთა სულთანი კანსუ ელ-გური, დაიპყრო სირია, პალესტინა; 1517 წლის 31 იანვარს კაირო აიღო და ეგვიპტე დაიპყრო.

8. სულეიმან I **კანუნ**, სელიმ I-ის შვილი. დაიბადა 1495 წელს. ტახტზე ავიდა 1520 წ. 28 IX, გარდაიცვალა 1566 წ. 6. IX. ევლია ჩელები რომ ამბობს „ტრაპიზონი ოთხი ფადიშაჰის სატახტო ადგილი იყო“, შემდეგ გარემოებას გულისხმობს: ტრაპიზონის ვილაიეთის მმართველებად სულთნები ხშირად უფლისწულებს ნიშნავდნენ ხოლმე, რადგანაც: ა) იგი დედაქალაქიდან შორს იყო და უფლისწულების შეთქმულება გაძნელებული იყო; ბ) უფლისწულები სახელმწიფო საქმეებს ეცნობოდნენ; გ) საზღვრისპირა ქვეყანა იყო და შეეძლოთ თავიანთი ენერგია თავდასხმების საწარმოებლად მიემართათ.

თავი XXIX

1. თადარ მეჰმედ-ფაშა სადრაზამი გახდა 1638 წლის 28 აგვისტოს. იმავე წლის დეკემბერში ბაღდადისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

2. ერაყელი ჰაფეზი – ევლია ჩელები განგებ ასახელებს ამ პოეტის წარმომავლობას, რომ ჰაფეზ შირაზელში არ აერიოს მკითხველს.

3. ფუზულ XVI საუკუნის უდიდესი აზერბაიჯანელი პოეტი. დაიბადა XV საუკუნის ბოლოს, ერაყში, ქ. ქერბელაში. სამი დივანი აქვს რეზაიების, ყაზალებისა და ყასიდებისა აზერბაიჯანულ, სპარსულ და არაბულ ენებზე. მას ეკუთვნის მრავალი სხვა თხზულებაც, რომლებიც ამ შესანიშნავი პოეტის მაღალ განათლებასა და ფართო მსოფლმხედველობაზე მიუთითებენ. გარდაიცვალა 1556 – 62 წლებს შუა.

4. მელექ აჰმედ-ფაშა დიდგეზირობიდან გადააყენეს 1651 წ. 21 აგვისტოს.

5. „მუმჰანე“ ნიშნავს სანთლის სახელოსნოს. ეს სახელოსნო კარიბჭესთან იდგა და მისი სახელი მისცეს კარს.

თავი XXX

1. قُتِمَتْ

2. ხამსინი – ზამთრის მეორე ნახევარი, რომელიც 50 დღისაგან შედგება და სამეზა დღით მთავრდება.

3. ტექსტში ასეა: –

ای موخترون ای موخترون اسی جفا ته زون دن
خوردن صامور بادا طراشی ای لغتا قرون اخ کی
قلوب ایشاره اله پامون ای اومات مخمت اله پامون

4. چيچو – ჩიჩუა, جفا – ჩხეთია (იხ. ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. ტ. VI. 1954, გვ. 248 – 249).

5. ტექსტში ასეა:

تون زاريفون تاينچارو طومور فوندا باليقارو
انچاينكه غوخا طونا كپخا پايں طوخمامو

(იხ. ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, 1954, გვ. 253, 254, 255).

6. რაბი“ა ზადავია – ყოველმხრივ შემკული ქალის ღირსებები რომ წარმოგვიდგინოს ევლია ჩელები ხშირად იყენებს ამ სახელს. მას მხედველობაში ჰყავს წმინდანად აღიარებული ბასრელი ქალი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც სუფიური მსოფლმხედველობის პოეტი; დაიბადა 713 წელს და გარდაიცვალა 801 (ან 803) წელს ქ. ბასრაში. გარდა ამისა, მუსლიმურ გადმოცემებში იხსენიება ზადის არაბული ტომის სილამაზით განთქმული ქალები.

თ ა ვ ი XXXI

1. خوبان – „ხობან“ – ხოფა უნდა იყოს.

2. ჩღეთა ლაზები – ეს უნდა ნიშნავდეს ან ჩხეტიას საგვარეულოს, ან ფეოდალის გვარს, რომელიც თავის ქვეშევრდომებთან ერთად ევლია ჩელები ტომად ჩათვალა (იხ. ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, 1954, გვ. 249).

3. ჩიჩუა ლაზები – „ამრიგად, ევლია ჩელები ასახელებს XVII საუკუნისათვის ორ ლაზურ ტომს -სა-ჯიჯი და -სა-ჩიტა, რომელიც ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ „ჩინუვასა“ და „ჩხეტიას“ უნდა შესაბამებოდეს... ჩელების „ტომი“ ჩვენ „საგვარეულოდ“ უნდა გავიგოთ, ანდა რომელიმე ფეოდალის გვარად, რომელიც თავის ქვეშევრდომებთან ერთად ევლიამ, ალბათ, ერთ ტომად ჩათვალა (იხ. ს. ჯიქია, ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, 1954, გვ. 249).

4. فاشه – „ფაშა“ – ფაზისი ე. ი. მდინარე რიონი უნდა იყოს.

თ ა ვ ი XXXII

1. თუმცა ღმერთმა კი უკეთ იცის – ჩვეულებრივი ფორმულა, როდესაც ავტორი სხვის ნათქვამს იმეორებს. ევლია ჩელების მიერ ზემოთ ხსენებული ხალხები და მათი წარმოშობის ისტორია აღმოსავლეთში გავრცელებული „თეორიის“ სახეობაა.

თ ა ვ ი XXXIII

1. ჩაჩების ტომი – უნდა ვიგულისხმოთ, რომ ტომობრივი ერთეული კი არ არის, არამედ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ჩაჩბა (თავადი შერვაშიძე) ედგა სათავეში.

2. **بك زاده لری** – „ბეგთა შვილები“ – ეს ტერმინი ქართული ფეოდალური ურთიერთობის ანარეკლი უნდა იყოს, მაგ.: თავადი-შვილები.

3. ლაკბა – **لاقبا** – შეიძლება გვარი „ლაკობა“ იყოს.

4. ლაჩილა – **لاچيلا** ლიძაა(?)

5. ჩანდები – **چاندهلر** ცანბა. საინტერესოა ევლია ჩელების აზრი, რომ ნამდვილი აბაზები ესენი არიან.

6. კაკრ – **قاکر** გაგრა. **ق**-თი ევლია ქართულ „გ“-ს აღნიშნავს მაგალითად, ქართული „გოგო“ – **قوقو**

7. ლიფო – **لیو** – ბზიფი(?)

8. სიტყვა „ადამიანში“ **موسلیم**ს გულისხმობს.

9. აბაზა აზნაური – **آزناوور آبازه** – მთელი თხზულების მანძილზე ტერმინი აზნაური სამჯერ აქვს ნახმარი – აქ LXXX თავში, რომელსაც ეწოდება – „ერევნიდან კვლავ არზრუმში გამგზავრება“ (ყარსის მიწაზე მდებარე სოფელ ბეგუმის შესახებ საუბრისას ამბობს: სამასკომლიანი სოფელია. მისი მცხოვრებლები არიან სომხები და ქართველი აზნაურები“, იხ. „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, თარგმანი. გვ. 314) და LXXXI თავში („სამეგრელოსა და გურჯისტანის აზნაურები იმ ნათელ დღეს სანგრებში შევიდნენ“, გვ. 324). ყველგან ქართული ფეოდალური სინამდვილე ჩანს

10. „სეიდი აჰმედ-ფაშას ქვეყანა“ ე. ი. ამ ქვეყანაშია დაბადებული ფაშა. სეიდი აჰმედ-ფაშა იყო თორთუმის სანჯაყის ბეგი და ევლია ჩელების კარგი ნაცნობი. ევლიას ნაამბობი აქვს სეიდის თავგადასავალი. იგი საძი აბაზას ტომიდან მოუტაცნიათ და შავი ზღვის ერთ ნავსადგურში ვაჭრისათვის მიუყიდიათ. ვაჭარმა ეგვიპტეში წაიყვანა და ა. შ. („მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 337 – 341).

11. თავაკუ ჩერქეზები – **طاقاقو چركس**

12. კაშშ – **قاش** ტამიშ(?)

13. სოჩა – **صوچه** – სოჭა (?)

14. მენგლი გირეი-ხანი – ყირიმის თათართა ხანი (პირველად 1469 – 1474; მეორედ – 1478 – 1515).

15. ყირიმის თათრები ხშირად ესხმოდნენ ასტრახანის სახანოს; სახანოს სათავეში თავიანთ ერთგულ ადამიანებსაც აყენებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა უნდა იგულისხმებოდეს. ცნობილი ასტრახანის ლაშქრობა, როდესაც ოსმალთა და ყრმის თათართა ლაშქარი

რუსეთთან ბრძოლაში დამარცხდა, 1569 წელს მოხდა დევლეთ გირეხან I-ის დროს (1551 – 1577).

16. სოუქსუ – صووق – „ცივი წყალი“.

17. არაბული ცხენის რმდენიმე ჯიში იყო ცნობილი. მათ შორის საუკეთესოდ თავდებოდა ქეჰეილანის ჯიში. გამოირჩეოდნენ მაღალი ტანითა და მუქი ფერით.

თავი XXXV

1. ევლია ჩელების მიერ ჩაწერილი ენობრივი მასალა შესწავლილი აქვს რ. ბლაიხშტაინერს (R. Bleichsteiner, Die kaukasischen Sprachproben in Evliya Çelebis Seyahat name, Caucasicca, XI, 1934).

თავი XXXVI

1. შესწავლილია რ. ბლაიხშტაინერის მიერ. იხ. დასახ. ნაშრ.

2. იხ. თავი XVII, შენიშვნა 4.

3. თოხთამიში – ოქროს ურდოს ხანი (1376 – 1391). თემურ-ლენგმა ორი დიდი ლაშქრობა მოაწყო ოქროს ურდოს წინააღმდეგ 1391 წელს სასტიკად დაამარცხა თოხთამიში ურ-თეფესთან და 1395 წელს – თერგზე. ამ ლაშქრობების მიზანი იყო თემურ-ლენგის სამფლობელოების ჩრდილოეთით გამავალი იმ სავაჭრო გზების გადაკეტვა და ქალაქების გავერანება, რომლებზეც გაბატონება მას არ შეეძლო. ამიტომ დაანგრია საქარავნო გზებზე მდებარე ქალაქები: ურგენჩი, სარაი ბერკე, ასტრახანი და აზოვი. (იხ. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л-д, 1958, გვ. 231).

4. ჰერსექ ზადე აჰმედ-ფაშა (იგივე გედიქ აჰმედ-ფაშა) ხუთჯერ იყო დიდვეზირი და მათ შორის ბაიაზეთ II ³⁹წელს დროს – სამჯერ: 1496 – 1497; 1503 – 1506 და 1511 – 1512 წლები.

5. შავი ზღვის სანაპიროებზე გენუელებს მრავალი სავაჭრო კოლონია ჰქონდათ; მათ შორის მთავარი იყო ყირიმის ქალაქი და ძლიერი ციხე კაფა – ახლანდელი ფეოდოსია. 1475 წელს ყირიმის სანაპირო ზოლი გენუელების სავაჭრო კოლონიებიანად მეჰმედ II-მ დაიპყრო და ოსმალეთს შეუერთა; ყირიმის სახანო კი ვასალად გაიხადა. ამდენად, ბაიაზეთ II-ის დროს კაფა დასაპყრობი აღარ იყო. ეს ლაშქრობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე განლაგებული გენუელების სავაჭრო კოლონიების ხელში ჩასაგდებად იყო მოწყობილი.

6. ოსმან-ფაშა გრნულ, იგივე ოზდემირის ძე – 1567 – 1571 წლებში იემენის ბეგლარბეგი იყო, 1571 – 1576 წლები – დიარ-ბექირისა. ირანის წინააღმდეგ ლაშქრობას სარდლობდა. 1584 წლის დეკემბერში სადრაზამი გახდა და 1585 წლის დეკემბერში თავრიზში გარდაიცვალა.

7. დელი ჰუსეინ-ფაშა ოსმალეთის კაფუდან-ფაშა და აზოვის ლაშქრობის სარდალი იყო.

თავი XXXVII

1. სულთანი მურად IV ირანის ლაშქრობიდან რომ დაბრუნდა სტამბოლს, ავად გახდა და 1640 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა. დასაფლავებულია მამის, აჰმედ I-ის აკლდამაში.

2. სულთანი იბრაჰიმ I (1640. 18. II – 1648. 18. VII). დიდვეზირი ყარა მუსტაფა-ფაშა (1639. I – 1644. II) წარმოშობით ალბანელი იყო. ევლიას მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება: – კაზაკებმა ისარგებლეს იმით, რომ ოსმალეთის ლაშქარი ირანთან ომში იყო დაკავებული და ხელში ჩაიგდეს აზოვი, რომელიც რუსეთის ტერიტორიებზე ოსმალებისა და ყირიმის თათრების თავდასხმებისათვის მთავარი პლაცდარმი იყო. როდესაც მურად IV-მ კასრ-ი შირინში 1639 წლის 14 სექტემბერს ირანთან დადო ზავი, დაიწყო მზადება აზოვზე გასალაშქრებლად. ლაშქრობა უნდა დაწყებულიყო 1640 წლის ზაფხულში, მაგრამ მურად IV გარდაიცვალა და ოსმალეთის ეკონომიური კრიზისისა და იანიჩართა ურჩობის პირობებში ოსმალეთის მთავრობამ მხოლოდ 1641 წლის ზაფხულში მოახერხა აზოვის ლაშქრობის მოწყობა.

3. 1637 წლის გაზაფხულზე დონის კაზაკებმა, ზაპოროჟიეს კაზაკების დახმარებით, ხელში ჩაიგდეს აზოვი და შიგ 6 ათასიანი გარნიზონი ჩააყენეს.

4. ქენან-ფაშა ქართველი იყო, მეტსახელად კოჯა (ზორბა). მის შესახებ ცნობები ასეთია – 1629 – 30 წ. შაცი ზღვის სანაპიროების სარდლად დაინიშნა ვეზირის წოდებით. 1633 – 34 წ. სტამბოლის კაიმაკამის თანამდებობაზე დანიშნეს. 1633 – 36 წლებში სილისტრიის ბეგლარბეგია, 1638 – 39 წ. არზრუმის ბეგლარბეგი. ამის შემდეგ, ჯერ „კუბე ვეზირი“ გახდა და შემდეგ – მეორე ვეზირი“. 1651 – 1652 წ. გარდაიცვალა. ცოლად სულთნის ქალიშვილი ჰყავდა“. (სიჯილ-ი ... IV, 83) ევლია ჩელების ცნობიდან ჩანს, რომ ქენან-ფაშა 1641 წელს ოჩაკოვის (ოზუქს) ვილაიეთის ბეგლარბეგი ყოფილა.

5. ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ შავი ზღვის სანაპირო ვილაიეთები რუსეთზე თავდასხმების პლაცდარმი იყო. პირველად ისინი იწყებდნენ ლაშქრობას, სანამ ოსმალეთის მთავარი ძალები მოვიდოდნენ.


6. იგივე ბელოსარაი, აზოვის ზღვის ნაპირას მდებარე ნავსადგური.

7. ნემრუდი – ლეგენდარული სასტიკი ტირანი, რომელმაც ბრძანა ცეცხლში ჩაეგდოთ იბრაჰიმი (აბრაამი). ფასკუნჯი – ფესიქსი, მითიური ფრინველი, რომელიც ცეცხლში დაიწვოდა და საკუთარი ფერფლისაგან ისევ აღსდგებოდა, ე. ი. ციხე ცეცხლში იყო გახვეული და ვერაფერს აკლებდნენ.

8. ულუ-დონი – დიდი დონი, ე. ი. მდინარე დონის ფართო ტოტი.

9. დერი-დონი – თხელი, ვიწრო, ე. ი. მდინარე დონის მცირე ტოტი.

10. ლეგენდარული ფარჰადი, შირინის სატრფო, მისი სიყვარულით მთის მნგრეველი. ნიზამი განჯელის პოემა „ხოსროვ და შირინისა“ და ხალხური შემოქმედების პერსონაჟი. აღმოსავლეთში გასაოცარი შრომისმოყვარეობისა და ჩატარებული დიდი სამუშაოს სინონიმად იხმარება.

11. ბედნიერი დრო – „სა ც დ“ — . ვარსკვლავთა ისეთი განლაგება, რომელიც ხელსაყრელ (ქართული „ბედის ვარსკვლავი“) პირობებს ქმნის. აღმოსავლეთში ყოველგვარი მნიშვნელოვანი საქმის დაწყებისას დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რას ემთხვეოდა ბედის ვარსკვლავი. ვარსკვლავთმრიცხველები რომ დადგინდნენ „ბედნიერი დროა“, იწყებოდა ლაშქრობა, გადამწყვეტი ბრძოლა. ასევე იქნებოდა წინასწარ „შემოწმებული“ იმ ბრძოლის დასაწყისი, რომელზეც ევლია ჩელები მოგვითხრობს.

12. 1526 წლის გაზაფხულზე სულეიმან I ოსმალეთის უზარმაზარი ლაშქრით უნგრეთს შეესია და აოხრება დაიწყო. დუნაის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქ. მოჰაჩთან ოსმალების ლაშქარს დახვდა უნგრეთის მეფე ლუდოვიკო II. მუხედავად გამორული ბრძოლისა, მცირერიცხოვანი უნგრელთა ჯარი სასტიკად დამარცხდა 1526 წლის 29 აგვისტოს. მოჰაჩის ბროლაში გამარჯვებამ ოსმალებს საშუალება მისცა ბუდა დაეპყროთ და უნგრეთის საბოლოო დასაპყრობად წარმატებით ებრძოლათ.

13. ევლია ჩელების მხედველობაში აქვს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე მაკედონელმა კედელი ააშენა გოგისა და მაგოგის ხალხების თავდასხმების თავიდან ასაცილებლად.

14. კასიმის დღე – ზამთრის პირველი დღე, რომელიც 8 ნოემბერზე მოდის. მუსლიმური (ჰიჯრის) წელთაღრიცხვის ერთ-ერთი ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ ჰიჯრის თვეები სხვადასხვა წელს სხვადასხვა დროზე მოდის. ოსმალეთში შემოიღეს წელიწადის ორ პერიოდად დაყოფა – გაზაფხულისა და ზამთრისა. ქრისტიანული კალენდრიდან გადმოღებულ „წმ. გიორგობას“ ხიზირილიასი ეწოდა და გაზაფხულის პირველ დღეს აღნიშნავდა. 6. V (ძვ. სტილით 23. IV). ქრისტიანული კალენდრის წმ. დიმიტრის დღე – კასიმი ზამთრის პირველ დღეს აღნიშნავდა – 8. XI (ძვ. სტილით 26. X). ლამქრობის დაწყება შეიძლებოდა გაზაფხულის პირველი დღის – ხიზირილიასის შემდეგ და საომარი მოქმედება ზღვაზე და ხმელეთზე უნდა შეწყვეტილიყო კასიმის დღისათვის. კასიმის დაწყების შემდეგ ჯარი ზამთრის სადგომებში გადადიოდა, ხომალდები თავიანთ ნავსადგურებში ბრუნდებოდნენ.

ევლია ჩელების ზემოხსენებული სიტყვები იმას ნიშნავს, რომ სექტემბერი იჭურებოდა და 8 ნოემბრამდე ციხე რომ არ აეღოთ, ხელცარიელები უნდა გაბრუნებულიყვნენ.

15. „მამლის ყივილის მანძილზე მდებარე ციხე... ხოროსქერმანი“ სიტყვებს თამაშია: „ხოროს“ – მამალი; „ქერმან“ – ციხე; „ხოროს ქერმანი“ – მამლის ციხე.

16. ყირიმის თათრები და ოსმალები აზოვიდან და ყირიმიდან ხშირად ესხმოდნენ თავს რუსეთის მიწებს, მოჰყავდათ ტყეები და მოჰქონდათ დავლა, მაგრამ „70 ათასი ტყვე და ასი ათასი მოკლული“ გაზვიადებულია.

თ ა ვ ი XXXVIII

1. „ს^სჟთ“ – რძე. მდინარე ს^სჟთ – მდ. მოლოჩნაიას რუსული სახელწოდების თარგმანია. ეს მდინარე ძირითადად ზაპოროჟიის ოლქზე მიედინება და აზოვის ზღვას ერთვის.

2. კალგად-სულთანი – ყირიმის ხანის მემკვიდრეს ეწოდებოდა; იგი სახელმწიფო საქმიანობაში იყო ჩაბმული და ყირიმში მეორე კაცად ითვლებოდა.

3. ყირიმის ხანი ოსმალეთის სულთნის ვასალი იყო და ლაშქრობა ევალებოდა, მაგრამ სუზერენი მაინც ასაჩუქრებდა მის სამსახურში „გაცვეთილი ჩექმისათვის“.

4. იგივე სულთან ზადე მეჰმედ-ფაშა; დიდვეზირად იყო 1644 წლის 31 იანვრიდან 1645 წლის 17 დეკემბრამდე.

5. კაზაკების მიერ აზოვის ციხის დატოვების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება იმ ხანებში მოსკოვის მთავრობას ხელს არ აძლევდა და 1642 წელს მან კაზაკები აიძულა აზოვი დაეტოვებინათ.

თ ა ვ ი XXXIX

1. ბისუტუნი – ირანში (ჰამადანსა და ქერმანშაჰს შორის) მდებარე მთა. ამ მთის კლდეებზეა გაკეთებული დარიოს I-ის ცნობილი ლურსმული წარწერები და ბარელიეფები. მას ბაღისტანს, ღმერთების სამყოფელს უწოდებდნენ. ხალხურ ლეგენდაში ისინი ფარჰადის ნახელავადაა წარდგენილი. აღმოსავლეთში ბისუტუნის მთა დიდი მთის სინონიმად ითვლებოდა.

2. არაბული ფრაზა (ყურანის მე-40 სურა, 47-ე მუხლი).

3. არაბული ფრაზა (ყურანის 65-ე სურა, მე-2(3) მუხლი).

4. მუსლიკ ედ-დინ საადი შირაზელი (1184 – 1291), გამოჩენილი სპარსელი პოეტი, „ბუსთანის“, „გოლესთანის“ და რამდენიმე ლირიკული „დივანის“ ავტორი.

თ ა ვ ი XLI

1. „ბირ“ – ერთი; „ერ“ – მამაკაცი, კაცი; „ეარდნ“ – მოვიდა, ე. ი. „ერთი კაცი მოვიდა“. „ფერავადის“ ხალხური ეტიმოლოგიაა. აქ ლაპარაკია თურქული თქმულებების გმირზე, „სარწმუნოებისათვის მებრძოლზე“ სარი-სალთიკზე (იგივე სალთიკ-ბაი, სალთიკ-სულთანი); ოსმალური გადმოცემებით იგი დერვიში იყო XIII ს-ში. სარი-სალთიკის გმირობაზე მრავალი თქმულებაა გავრცელებული. ეს თქმულებები შეიქმნა ოსმალების მიერ ბალკანეთის ქვეყნების დასაპყრობად წარმოებული ომების დროს. მედდაჰები, აშულები მოხეტიალე პოეტები და მომღერლები დიდად პოპულარული იყვნენ ხალხში და მათი სიმღერებისა და ზღაპრების მთავარი გმირი სწორედ ეს სარი-სალთიკი იყო.

2. ე. ი. სულთნის ვასალი გახდა და ისლამი იწამა, თუმცა სახელად მიიღო „მუხთარი“ – დამოუკიდებელი.

თ ა ვ ი XLII

1. სტამბოლის სრუტე – იგივე ბოსფორის სრუტე შავ და მარმარილოს ზღვებს შორის; მას შავი ზღვის სრუტესაც უწოდებდნენ.

თავი XLIII

1. ანსარები ეწოდებოდათ ქ. მედინას იმ მცხოვრებლებს, რომლებიც მექადან გადმოსულ მუჰამედს შემწედ გაუხდნენ, ისლამი მიიღეს და მუჰამედის თანამებრძოლები გახდნენ. ეაუბ (იოზი) ანსარი მუჰამედის მედროშე იყო და შემდეგ, 672 წელს არაბების მიერ კონსტანტინეპოლის გარემოცვის დროს დაიღუპა.


აქ ევლია ჩელები ლაჰარაკობს ეაუბის სახელობის მეჩეთის შესახებ. ეს მეჩეთი კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ აშენდა 1458 წელს იმ ადგილას, სადაც ლეგენდის მიხედვით დამარხული იყო ეაუბი. მეჩეთი აშენებულია „ოქროს რქის“ ყურეს ზოლოს, მის დასავლეთ ნაპირზე, გორაკის ფერდობზე. ახლა სტამბოლის ფარგლებშია, მაშინ კი ქალაქის კედლების გარეთ იყო.

ოსმალები დიდ პატივს სცემდნენ ეაუბის სახელს და ამ მეჩეთს. აქ სრულდებოდა სულთნის ტახტზე ასვლის ცერემონიალი; აქ სულთანს შემოარტყამდნენ ხოლმე ოსმანის ხმალს, რომელიც აქვე ინახებოდა. აქ არის აგებული ეაუბის აკლდამა, რომელსაც მრავალი მლოცველი ჰყავს. მეჩეთის ეზოში მარხავდნენ სულთნის ცოლებს, დიდკაცებს; მეჩეთთან იწყებოდა სტამბოლის უზარმაზარი სასაფლაო.

2. ამ დრის რამაზანის თვე იყო (მარხვის თვე). რამაზანის თვეში მუსლიმს ეკრძალებოდა მთელი დღის განმავლობაში საჭმლის ჭამა და წყლის დალევა კი. სამაგიეროდ, ღამე დღესასწაულობდნენ, იმართებოდა სმა-ჭამა და ზეიმი. სტამბოლში მშვიდობით დაბრუნებულმა ევლიამ კარგი თანამდებობაც მიიღო და რადგან გახარებული იყო, ამიტომ ამბობს „ღამეებს გარდა დღეებიც დღესასწაულად მექცაო“.

თავი XLIV

1. ამ თავის სათაურის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

ა) ტექსტის სათაური გვამცნობს, რომ მალტაზე ლაშქრობა დაიწყო ათას ორმოცდაათ წელს, რაც უდრის 1640 წელს; ის ლაშქრობა კი, რომელიც აქ ევლია ჩელების აქვს აღწერილი 1645 წელს მოხდა. ჩვენი აზრით, სათაურში შეცდომით გამოტოვებულია სიტყვა „ხუთი“  უნდა ყოფილიყო  – ე. ი. 1645 წელი. ამიტომაც, რომ სათაურში 1055 (1645) წელი ვუჩვენეთ.

ბ) სათაურში სიტყვები „მალტის ლაშქრობა“ წინწკლებში მოვათავსეთ, რადგანაც ეს ლაშქრობა ფაქტიურად კრეტას ლაშქრობა იყო

და არა მალტისა. ევლია ჩელები საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სა-
ლაშქროდ მზადებისას მას „მალტის ლაშქრობა“ უწოდეს, რათა
კვალი აეზნიათ მტრებისთვის და კრეტაზე თავდასხმა მოულოდნელი
ყოფილიყო.

2. „წაუსვლელიობა“ წინწკლებში მოვათავსეთ, რადგანაც ევლია
ჩელები ამბობს, რომ განგებ გაავრცელეს ლაშქრობის მეთაურებმა
ხმა, ვითომ კრეტაზე აღარ ილაშქრებდნენ და მალტაზე მიდიოდნენ
(იხ. შენიშვნა I).

3. კუნძულ კრეტას ჩრდილო სანაპიროს დასავლეთ მხარეს მდე-
ბარე ნავსადგურს და ციხეს, კანიას, ოსმალები ჰანიას უწოდებდნენ
და მის აღმოსავლეთით მდებარე ნავსადგურ ჰერაკლიონს – კანდიას.

4. ჩვენი აზრით ევლია ჩელები განგებ ამახინჯებს რაღაც ქრის-
ტიანულ ტერმინებს და ვერ მივაკვლიეთ, რა იგულისხმება ამ
سولطاط და مورطاط-ში.

5. ბალიოზი – ევროპის ქვეყნების ელჩების ტიტული.

თ ა ვ ი XLV

1. ომის დაწყებას ან ზავის დადებას სჭირდებოდა შეიხ ულ-ის
ლამის მიერ შედგენილი იურიდიული დოკუმენტის გამოქვეყნება. ეს
დოკუმენტი კითხვა-პასუხის ფორმით დგებოდა შარიათის საფუძველ-
ზე და ფეთვა ეწოდებოდა.

2. მექის დასაპყრობად გამართულ ბრძოლაში მუჰამედი დამარ-
ცხდა, მაგრამ 630 წელს მექის წარჩინებულებმა შეიცვალეს ისლამ-
თან დამოკიდებულება, მიხვდნენ, რომ არაბეთის პოლტიკური გა-
ერთიანება მექისათვის ხელსაყრელი იყო. მუსლიმთა მეთაურებისა
და მექის წარჩინებულთა მოლაპარაკების შედეგად მექელები და-
თანხმდნენ ისლამის მიღებაზე, იცნეს მუჰამედი და ისიც მშვიდობით
შევიდა ქალაქში. 630 წლის ბოლოსათვის არაბეთის დიდმა ნაწილ-
მა მუჰამედის ხელისუფლება აღიარა.

3. იგულისხმება არაბთა მეორე ხალიფა ომარი (634 – 644), რო-
მელმაც არაბეთის საზღვრებს გარეთ გაიყვანა არაბთა ლაშქარი და
უდიდესი დაპყრობითი ომები აწარმოა სირიაში, მესოპოტამიასა და
ირანში. მას სახალიფოს მეორე დამაარსებელსაც უწოდებენ. „ომა-
რის ხმალის“ შემორტყმა ძლევამოსილების სიმბოლო იყო.

4. „იალქანი“ აქ რიცხვის აღმნიშვნელია, ე. ი. შვიდასი ხომალ-
დი შეგროვდა.

5. იბრაჰიმ I (8. II. 1640 – 19. VII. 1648) გონებასუსტი იყო და ეს ევლია ჩელებიმაც კარგად იცოდა; ამიტომაც ირონიის ელფერი დაჰკრავს ევლიას სიტყვებს. სხვათა შორის, „საყვარელი სარდალი“ ფუსუფ-ფაშა, რომელმაც ჰანიეს ციხე დაიპყრო კრეტაზე, იბრაჰიმ I-მა დაახრჩობინა, როგორ გაბედა და უსაჩუქროდ მეახლაო.

თავი XLVII

1. კუნძული კვიპროსი ვენეციის მთავარი დასაყრდენი პუნქტი იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო საზღვაო გზაზე და ოსმალეთს დიდხანს თვალი ეჭირა მასზე. 1570 წელს ოსმალეთმა ვენეციასთან ომი დაიწყო. რომის პაპის მეცადინეობით შეიქმნა ანტი-თურქული ლიგა, რომელშიც შევიდნენ ვენეცია, გენუა, ესპანეთი, მალტა და სავოია. 1571 წელს ოსმალეთის საზღვაო ფლოტმა და სახმელეთო ჯარებმა ლალა მუსტაფა-ფაშას სარდლობით კუნძული დაიპყრეს. 1573 წლის 7 მარტის ვენეცია-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებით კვიპროსი ოსმალეთს დარჩა.

2. დემავენდის მთის ძირასაა გაშენებული ირანის დედაქალაქი თეირანი. მთა წარმოადგენს ჩამქრალ ვულკანს; მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 5500 მეტრია.

3. ამ ლაშქრობებში ევლია ჩელების მონაწილეობის მთავარი მიზანი იყო ახალ-ახალი ქვეყნების დათვალიერება.

4. მეხუთე ლოცვა – დღის ანმავლობაში ჩასატარებელი ხუთი ლოცვიდან უკანასკნელი, რომელიც შუაღამის წინ უნდა შეესრულებინა მუსლიმს.

5. ვენეციის წინააღმდეგ დაწყებული ომი კუნძულ კრეტაზე ოსმალების გალაშქრებით დაიწყო 1640 წელს. კრეტას მოსახლეობის გმირული ბრძოლისა და ოსმალეთის სამხედრო სისუსტის პირობებში კრეტას დაპყრობა გაჭიანურდა და ოსმალებმა მხოლოდ 1669 წელს მოახერხეს მისი დაპყრობა. 1646 წელს კი მხოლოდ რამდენიმე ციხე ჰქონდათ ხელში ოსმალებს.

6. იგულისხმება ოსმალების მიერ ბაღდადის დაპყრობა 1639 წელს და აზოვის უმედეგო გარემოცვა 1641 წელს.

7. რეგულარული ცხენოსანი ჯარის ის ორი ბოლქმი (პოლკი), რომლებსაც მარჯვენა და მარცხენა მხრის ბოლქმები ეწოდებოდათ.

1. იხ. თავი XXVII შენიშვნა 1.

2. აღმოსავლეთში „ზირა“ – წყრთა სხვადასხვა ზომისა იყო. მექური წყრთა ძირითადად სამშენებლო საქმეში იხმარებოდა სა-ზომად. აქ საუბარია სულთან აჰმედ I-ის სახელობის მეჩეთის მშენებლობაზე, რომელიც 1610 – 1617 წლებში მიმდინარეობდა. იგი ათ-მეიდანის გვერდით ააშენა ხუროთმოძღვარ სინან-აღას მოწაფემ მეჰმედ-აღამ და ოსმალური ხუროთმოძღვრების შედევრად ითვლება. მას ცისფერ მეჩეთსაც უწოდებენ.

3. ევლია ჩელების მხედველობაში აქვს ოსმალეთსა და ვენეციას შორის 1573 წლის 7 მარტს დადებული საზავო ხელშეკრულება.

4. მურად-ფაშა, მეტსახელად კუდუჯუ – წარმოშობით ხორვატი იყო. ირან-ოსმალეთის ომებში მონაწილეობდა და ტყვედაც ჩავარდა. რომ გათავისუფლდა, ჯერ კვიპროსში იყო ბეგლარბეგად, შემდეგ ალექსანდრიაში, იემენში, აღმოსავლეთის ყარაჰისარში, 1559 – 1596 წ. დიარბექირში. ამის შემდეგ ანატოლიის ბეგლარბეგიც იყო და შემდეგ – რუმელიისა. 1606 წლის 11 დეკემბერს დიდვეზირად დანიშნეს. ოსმალეთში გავრცელებულ ჯელაღების აჯანყებებს ენერგიულად ებრძოდა (ავადმყოფობის დროსაც არ ეშვებოდა და ტახტრევანდით დაჰყავდათ) და აჯანყებულებს სასტიკად უსწორდებოდა; შეპყრობილ აჯანყებულებს ჭებში ჰყრიდა და მეტსახელად კუდუჯუ-შეარქვეს („კუდუ“ – ჭა). (იხ. სიჯილ-ი ოსმან, ტ. IV, გვ. 355).

ევლია ჩელები ეს ფაქტი დიალოგის სახით გადმოგვცა და ისე წარმოადგინა საქმე, თითქოს სულთანს უწინასწარმეტყველეს ის, რაც ფაქტიურად შემდეგ მოხდა.

5. სიტყვების თამაშია „კურდ“ – მგელი. ეს სიტყვა მამაკაცების საკუთარ სახელად იხმარება.

6. აჰმედ I რიგით მე-14 სულთანი იყო, მაგრამ ევლია ჩელები სულთნებად თვლის მეჰმედ I-ის ძმებს (ბაიაზეთ I-ის შვილებს) მუსასა და სულეიმანს (რომლებიც ტახტისათვის იბრძოდნენ და თავს სულთანად აცხადებდნენ), რადგანაც ჯერ სულეიმანი და შემდეგ მუსა ოსმალეთის დედაქალაქ ედირნეში ბატონობდნენ.

7. იგულისხმება აჰმედ I.

8. ევლია ჩელები შემდეგს გულისხმობს: იბრაჰიმ I აჰმედ I-ის უმცროსი ვაჟი იყო (დაიბადა 1615 წელს). აჰმედ I რომ გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი ძმა (იბრაჰიმის ბიძა) მუსტაფა I (1617 – 1618; 1622 – 1623). შემდეგ მუსტაფა გადააყენეს და 1618 წელს ტახტზე ავიდა აჰმედ I-ის უფროსი ვაჟი (იბრაჰიმ I-ის ძმა)

ოსმან II, რომელიც 1622 წელს ჩამოგადეს და დაახრჩვეს. ტახტზე ისევ მუსტაფა I აიყვანეს, რომელიც 1623 წელს ჩამოაგდეს. 1623 წელს ტახტზე ავიდა მურად IV, აჰმედ I-ის შუათანა შვილი (იბრაჰიმის ძმა). 1640 წელს, მურადის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა უმცროსი ძმა იბრაჰიმ I.

9. 1646 წელი – კორექტურული შეცდომაა. ჯივან კაფიჯი-ბა-მი მეჰმედ-ფაშა 1644 წლის 31 იანვარს დაენიშნა სადრაზამად და 1645 წლის 17 დეკემბერს გადააყენეს. გარდაიცვალა 1646/47 წელს.

10. სალიჰ-ფაშა 1645 წლის 17 დეკემბერს დაინიშნა დიდვეზირად და 1647 წლის 16 სექტემბერს სიკვდილით დასაჯეს.

11. მურთაზა-ფაშა 1626 – 1627 წელს დანიშნეს ბუდინის ბეგლარ-ბეგად და ვეზირის ხარისხი მისცეს. შემდეგ ოჩაკოვის ვალი იყო და 1631 – 1632 წელს, დიარბექირის ბეგლარბეგი რომ იყო, სულთნის ქალიშვილი შეირთო ცოლად.

1635/36 წელს ისევ ბუდინის ვალი იყო, შემდეგ – ერევნის განმგებელი და იმავე წელს მძიმე ჭრილობით გარდაიცვალა. მას „წამებულ მურთაზა-ფაშასაც“ უწოდებენ. (სიჯილი, IV ტ., 360).

12. ევლია ჩელების დედა და დავთარდარ ზადე მეჰმედ-ფაშა დეიდამვილები იყვნენ. მეჰმედ-ფაშას მამა ბოსნიელი იყო და დავთარდარის თანამდებობაზე ყოფნისას ამბოხებულმა ჯარმა სხვა მოხელეებთან ერთად მოკლა. მეჰმედ-ფაშა (დავთარდარის ძე) სტამბოლში დაიბადა. 14 წლამდე რუზნამეჯი იბრაჰიმ-ეფენდი ზრდიდა და კარგი განათლება მიაღებინა. ერთხანს დივანის მოხელე იყო, შემდეგ ანატოლიის მუჰასებეჯი გახდა. როდესაც ჯივან კაფუჯი ბაში მეჰმედ-ფაშა გადააყენეს და დიდვეზირად სალიჰ-ფაშა დაინიშნა. დავთარდარზადე მეჰმედ-ფაშას იანიჩართა კორპუსის მეთაურობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა და არზრუმის ვილაიეთის ბეგლარ-ბეგად დანიშნეს ვეზირობის ხარისხით. სანამ იგი არზრუმში იყო, ევლია ჩელები განუწყვეტებლად თან ახლდა და ზემოხსენებულ ცნობებიც ევლია ჩელების აქვს შემონახული. 1650 წელს ბოსნას ბეგლარ-ბეგად დანიშნეს და 1652 წელს – დამასკოს ბეგლარ-ბეგად. 1655 წელს გადააყენეს. 1656 წლის თებერვალმა ბაშ-დავთარდარად დანიშნეს ვეზირობის ხარისხით და იმავე წლის აპრილში გარდაიცვალა (სიჯილი... ტ. IV, გვ. 168).

13. ე. ი. უფლება მიეცა სულთნის სახელით ემოქმედა და თუ ირანი ლაშქრობას დაიწყებდა, სანამ სულთნის მთავრობას ამბავი მიუვიდოდა, საკუთარი გადაწყვეტილებით უნდა ემოქმედა. ვეზირობის ხარისხი მას უფლებას აძლევდა ირანის საზღვრისპირა ვილაიეთების ჯარების სარდალი ყოფილყო.

თავი XLIX

1. ამ თავის სათაურში მხოლოდ თვეა აღნიშნული და წელი ხსენებული არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს 1646 წელი.

2. სკუტარს თურქები უწოდებენ – „**შესქქდარ**“ ევლიას ეტიმოლოგიით – „ესქი დარ“ – „ძველი ქვეყანა“. „ძველი ქალქი“.

3. აქ უნდა იგულისხმებოდეს **ქუჩუქ** აბაზა-ფაშა და არა აბაზა მეჰმედ-ფაშა, რომელმაც აჯანყება მოწყო, 1628 წელს შეირიგეს და როდესაც ისევ აჯანყდა, 1634 წელს მოკლეს.

4. გეზხეს ევლია ჩელები „გეჰზუხეს“ – **كجوز** უწოდებს და მის ეტიმოლოგიას გვაძლევს – „**გჰლ** ბიზე“-ს („ვარდი ჩვენ“) დამახინჯებული გამოთქმაო.

5. იაკუთ მოსთასემი – მთელ აღმოსავლეთში სახელგანთქმული კალიგრაფი.

6. შეცდომითაა დაბეჭდილი 1056 (1646) წელი ევლია ჩელებში ამ მხარეში პირველად 1050 (1640) წელს იმოგზაურა.

7. „**საბანჯი**“ – მეგუთნე, გუთისისდედა.

8. „დივანს გამართავდა“ – საბჭოს გამართავდა, ხალხს შეკრებდა.

თავი L

1. ჩაწერილია ჩრდილო-დასავლეთი ანატოლიის თურქული დიალექტის მონაცემები, რომლებიც არაბული დამწერლობის თავისებურების გამო ძალზე დამახინჯებულია.

2. მდიდრულ შენობებს ტყვიის ფურცლებით ხურავდნენ. ევლია ჩელების უნდა თქვას: „რომ დასცლოდა, ტყვიის სახურავს გაუკეთებდა და არა კრამიტისასო“. საერთოდ, ევლია ჩელები, შენობების ასეთ კლასიფიკაციას გვაძლევს: „მიწით დახურული (ბანიანი)“, „ყავრით დახურული“, „კრამიტით დახურული“, „ტყვიით დახურული“, რითაც მფლობელების სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობას უსვამს ხაზს.

3. **شملة**

4. **مخبر**

5. აქ ევლია უნდა იგულისხმობდეს იმ ქართულ მიწებს, რომლებიც თურქებს ეპყრათ – „ქართული თურქისტანის ქალაქებიდან არიანო“.

6. როდესაც ევლია ჩამოთვლის საგნებს, ან ახასიათებს მათ, წესად აქვს ორი ან რამდენიმე გარითმული სინონიმი იხმაროს და შეიძლება ამიტომ მოუვიდა ასეთი გამოთქმა: **هو ايسى سهل و سهيل** – „ჰავასი საჰილ ვე საკილდირ“ – „მისი ჰავა მსუბუქია და მძიმე“. შესაძლებელია ასეც გავიგოთ: „ჰავა, ცოტა არ იყოს, მძიმეა“. სიეა ახსნა ამ ფრაზას ეერ მოვუძებნეთ
7. მდინარე ყიზილ ირმაკს წითელი ფერი დაჰკრავს და ამიტომაც ეწოდა წითელი მდინარე („ყიზილ“ – წითელი; „ირმაკ“ – მდინარე).
8. სიტყვების თამაშია: „კოფუნ“ – ცხვარი.
9. „დირექ“ – ბოძი „დირექლიქლ **ბელნ**“ – ბომებიანი ვიწრობი.

თ ა ვ ი L I

1. ამაღეკი ხალხი – მუსლიმური წარმოდგენებით, ეს იყო უძველესი დი გასაოცარი ბიბლიური ხალხი, რომელიც სინას ნახევარკუნძულზე ცხოვრობდა.

თ ა ვ ი L I I

1. ე. ი. აბანო, რომელსაც ქალებისათვის და მამაკაცებისათვის ცალკე განყოფილებები ჰქონდა.
2. „კანლი ფინარ“ – სისხლიანი წყარო.

თ ა ვ ი L I I I

1. მიჰრი-ხათუნი (მიჰრი მაჰ) – გამოჩენილი თურქი პოეტი ქალი. დაიბადა ამასიაში 1456 ან 1460 წელს და იქვე გარდაიცვალა 1516 წ. მამამ, ამასიის ყალიმ, კარგი განათლება მისცა, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმური ტრადიციით ქალებისათვის განათლების მიღება დაუშვებელი იყო. მისი ლირიკული ლექსების დივანის თემაა ბუნების სურათები, სიყვარული, ქალის ბედი მუსლიმურ სამყაროში; გარდა ამისა, მას გაკრიტიკებული აქვს იმდროიდელი ოსმალური საზოგადოების მახინჯი მხარეები.
2. თანაშირი – მიცვალებულის განსაზანავი წყლის ჭურჭელი.
3. ალბათ, სელჩუკთა სახელმწიფოს მესამე სულთანი კილიჩ არსლან I დაუდი (1092 – 1107) იგულისხმება, რადგანაც კილიჩ არსლან II (1116 – 1156)) კონიაშია დასაფლავებული.
4. „ჯენგელი ბელი“ – ჯუნგლებიანი ვიწრობი; ძნელად გასავლელი, ბუჩქნარითა და ეკალ-ბარდით დაფარული უკაცრიელი ხეობა.

1. ტექსტი **ال-حمامة** (აბანოები) მაგივრად დაბეჭდილია – **جامع** (ჯამეები) და გამოდის – „ურჯულოებს მუსლიმთა ჯამეებში არ შეესვლება“ – ეს თავისთავად ცხადი იყო და ევლია ჩელების აღნიშვნა არ სჭირდებოდა. რადგანაც ტექსტის ამ მონაკვეთზე საუბარია აბანოებზე, ამ წინადადებაშიც თარგმანში „აბანოები“ ჩავწერეთ.
2. აქ იგულისხმება ლეგენდა, რომლის მიხედვითაც მითიურმა ტირანმა ნიმროდმა ცეცხლში ჩააგდო აბრაამი (იბრაჰიმი), რომლის ეპითეტია „ხალილ“, ან „ხალილ ულ-ლაჰ“. აქვეა მეორე ლეგენდის ანარეკლი, რომლის მიხედვითაც ზღაპრული ფრინველი სალამანდრა (ფენიქსი, ფასკუნჯი) ცეცხლში იწვოდა და საკუთარი ფერფლისაგან ისევ აღსდგებოდა ხოლმე.
3. მუსლიმთა წარმოდგენით სამოთხეში იყვნენ ულამაზესი, მარადიული ქალწულები – ჰურიები, რომლებსაც თვალის გარსი თოვლივით თეთრი ჰქონდათ და გუგები – შავი. აღმოსავლეთში ლამაზი ქალის და საერთოდ გასაოცარი სილამაზის ადამიანის აღმნიშვნელია.
4. სასანელთა შაჰინ-შაჰი ხოსროვ I ანუშირვანი (531 – 579).
5. ასოების რიცხვითი მნიშვნელობით არის შედგენილი, მაგრამ შეცდომაა და უნდა იყოს 877 (1463) წელი.
6. აბაზა-ფაშა 1622 წელს, სასახლის გადატრიალების შედეგად მოკლული ოსმან II-ის სისხლის აღების საბაბით აჯანყდა და მხოლოდ 1628 წელს შემოირიგეს.
7. ამ წინადადებაში ის აზრია გატარებული, რომ არზრუმის ციხე არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით არის მტკიცე, არამედ საზღოვ არ არის, რადგან აჯანყებულთა თავშესაფარია.
8. ლეგენდარული ასაფი (ასაფ იბნ ბერჰაია) – ებრაელთა მეფის, სოლომონ ბრძენის სახელოვანი ვეზირი. მისი სახელი აღმოსავლეთში ჰკვიანი და სახელოვანი სახელმწიფო მოხელეების ეპითეტად იხმარებოდა. ხოსროვ-ფაშა წამოშობით ბოსნიელი იყო. იგი ჯერ სასახლის კარზე იმყოფებოდა. შემდეგ, 1624 წელს, იანიჩართა კორპუსის მეთაურად დანიშნეს. 1627 წელს დიარბექირის ბეგლარბეგი გახდა. 1628 წლის აპრილში ოსმალეთის დიდვეზირად დაინიშნა და 1630 წლის ნოემბერში გაათავისუფლეს. 1631 წლის 2 აპრილს გარდაიცვალა (სიჯილ-ი ოსმანი, ტ. II, გვ. 274). ხოსროვ-ფაშას მიერ აბაზა ფაშას არზრუმის ციხიდან გამოყვანის შესახებ იბრაჰიმ ფეჩევისა და აქვს მოთხრობილი („იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველო-

სა და კავკასიის შესახებ“. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბილისი, 1964, გვ. 87 – 88).

9. იგივე მდინარე დიდი ზაბი და მდინარე მცირე ზაბი, რომლებიც მდინარე ტიგროსის ერთიან მარცხნიდან თურქეთის, რანისა და ერაყის ტერიტორიებზე გავლით.

10. ევლია ჩელების „ზარბ“ – زارپ – უწერია.

11. ღვინის ქვა – წითელი ტუფი უნდა იყოს.

12. თაიარ მეჰმედ-ფაშა სადრაზამი იყო 1638 წ. 28. VIII – 1638 წ. 23. XII. ბაღდადის ომში მოკლეს.

13. თაქილ-ფაშა – იგივე მუსტაფა-ფაშა თაქილ. 1647 – 48 წლებში ბოსნას ვალი იყო, შემდეგ ჰერცოგოვინას სანჯაყის ბეგი.

თავი LV

1. სხვა წყაროებიდან არ ჩანს, რომ ლალა მუსტაფა-ფაშა სულეიმან I კანუნის ვეზირი იყო. სულეიმან I კანუნის დროს იგი ჯერ მირახორი იყო, შემდეგ ჩაშნაგირ-ბაში. შემდეგ, სულეიმან I-ის შვილის, სელიმის აღმზრდელად – ლალად დანიშნეს. ამის შემდეგ იგი ვანის, არზრუმის, ალეპოს ბეგლარბეგი იყო თანმიმდევრულად. 8 წელიწადი დამასკოს ბეგლარბეგად იყო. სელიმ II-ის დროს, 1571 წ. ვეზირობა მისცეს და კვიპროსის ლაშქრობაში ჯარს სარდლობდა. 1578 წ. დაწყებულ ირან-ოსმალეთის ომში ლალა მუსტაფა-ფაშა ხელმძღვანელობდა რამდენიმე ლაშქრობას (ს. ჯიქია, „იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, თბილისი, 1964, გვ. 98).

ლალა მუსტაფა-ფაშა წარმოშობით ბოსნიელი იყო, სოკოლოვიჩების გვარისა. მისი მეტსახელი, გარდა „ლალასი“, იყო „ყარა“. მეორე ვეზირის წოდება მიიღო და 1580 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. დასაფლავებულია სტამბოლში ედუბის ჯამეს ეზოში (სიჯილ-ი ოსმანი, IV, 377).

მიდჰატ სერთოღლუს ოსმალეთის ისტორიულ ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ ლალა მუსტაფა-ფაშა მურად III-ის დროს, 1580 წლის 28 აპრილიდან 7 აგვისტომდე დიდვეზირის თანამდებობაზე იყო (Midhat Sertoglu, Resimli Osmanli tarihi ansiklopedisi, Istanbul, 1958, გვ. 274). ლალა მუსტაფა-ფაშას შესახებ ვრცელი გამოკვლევა აქვს თურქ მეცნიერს შარაფეთთინ თურანს – Dr. Sarafettin Turan, Lala Mustafa paşa hakkında notlar ve vesikalar. Türk Tarih Kurumu, „Belleten“, XXII, № 85 – 88, Ankara, 1958.

2. ნუ'მანი (ან-ნე'მან ალ-მუნზირი) – ლახმიდების დინასტიის უკანასკნელი მეფე (580 – 602). დედაქალაქი ხირა არაბეთის ნახევარკუნძულსა და ერაყის საზღვარზე მდებარეობდა. ნუ'მანის სიბრძნის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს არაბულ ლიტერატურაში. ნუ'მანი მეტსახელი იყო, აგრეთვე, იმამ აბუ ჰანიფასი, რომელმაც ისლამის წიაღში წარმოშობილ ჰანიფიტების მიმდინარეობას ჩაუყარა საფუძველი. ევლია ჩელები, ალბათ, ამ ნუ'მან აბუ ჰანიფის გულისხმობს. ოსმალეთში მას „იმამ-ი აზამ“-საც (დიდი იმამი) უწოდებდნენ.

3. გურჯი მეჰმედ-ფაშა – წარმოშობით ქრთველი იყო. ჯერ სულთნის ჰარემში მსხურობდა – საჭურისთა უფროსი იყო და სულთნის ხასოდა-ბაში გახდა. 1604 წლის ოქტომბერში ეგვიპტის ვალის თანამდებობაზე დანიშნეს და ენერგიული და ჭკვიანი მოხელის სახელი მოიხვეჭა. შემდეგ ხანებში რუმელიისა და ბოსნიის ბეგლარ-ბეგობაც ჰქონდა. 1622 წლის სექტემბერში დიდვეზირად დანიშნეს. 1623 წლის სექტემბერში გადააყენეს და კუნძულ როდოსზე გაგზავნეს. 1623 წელს სულთნის ტახტზე მურად IV ავიდა, მეჰმედ-ფაშა როდოსიდან გამოიწვია და მეორე ვეზირის წოდება მიანიჭა. როდესაც დიდვეზირი ჩერქეზ მეჰმედ-ფაშა სალაშქროდ გაემართა გურჯი მეჰმედ-ფაშა მის მოადგილედ დარჩა დედაქალაქში. გარდაიცვალა 1626 წლის 13 ივლისს (სიჯილ-ი ოსმანი, ტ. IV, გვ. 151 – 152; Mufasssal Osmanli Tarihi, ტ. IV, გვ. 1848).

4. **كوك دولای** – (გოქ დოლაკ) რომელიღაც ტომის სახელი უნდა იყოს. „მოგზაურობის წიგნის“ გადმოთურქულებულ გამოცემაში გამომცემელს სპარსელების ეპითეტად აქვს გაგებული – „გოქდოლაკი სპარსელების (ნაცვლად - „გოქდოლაკები, სპარსელები“) (გვ. 209). ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ ასე: „ქოქდამ-ხობილი“, „ქოქგამწყრალი“.

5. სომეხ ქალებს თავშლის ქვეშ მაღალი და ბრტყელი კოპი ედგათ და ამიტომ ამბობს ევლია, ბრტყელთავიანები არიანო.

6. არაბული ფრაზა.

7. „ეფერ – უნაგირი; „ეფერლი-დაღ“ – უნაგირა მთა.

8. ზოგი მცენარის ქართული შესატყვისი ვერ მოვებნეთ და ისე გადმოვეცით, როგორც ევლია ჩელების აქვს მოცემული.

9. ვეშპების სახეობებია.

თ ა ვ ი LVI

1. იხ. თავი XLVIII, შენიშვნა 11. ზოგი წყაროს მონაცემებით, ერევნის მმართველი მურთაზა-ფაშა ჭრილობისაგან გარდაიცვალა

ერევანში. ევლია ჩელები კი წერს, რომ მან თავი მოიწამლა, რადგანაც ალყაშემორტყმული ქალაქის დაცვა აღარ შეეძლო (1636 წ.).

2. „მოგზაურობის წიგნის“ ახალ გამოცემაში ეს ადგილი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „დიშლენქ ჰუსეინ-ფაშას ქათიბი (kâtib – მდივანი) აბაზა-ფაშას აქ არის დამარხული“ (გვ. 215). აბაზა-ფაშა რომ ჰუსეინ-ფაშას მდივანი ყოფილიყო, შეუძლებელია. აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს – katil-ის ნაცვლად (რაც „მკვლელს“ ნიშნავს), დაბეჭდილია – kâtib (მდივანი“, „მდივან-მწიგნობარი“). ე. ი. „მოგზაურობის წიგნის“ ახალი ლათინიზებული ტექსტის გამომცემელს უსარგებლია იმ ხელნაწერით, რომელშიც მკვლელად (katil) დასახელებულია აბაზა-ფაშა ნაცვლად „მოგზაურობის წიგნის“ არაბული დამწერლობით გამოქვეყნებული ტექსტის „მოკლული“ (مقتول) აბაზა-ფაშასი. მეჰმედ სურეიას „სიჯილ-ი ოსმანი“-ს ცნობით ჰუსეინ-ფაშას ნაბრძანები ჰქონდა (1622 – 1623 წ.) აბაზა მეჰმედ-ფაშას აჯანყების ჩაქრობა. როდესაც ჰუსეინ-ფაშა უდარდელად დადიოდა ციხეში, აბაზა-ფაშა მიუვარდა და მოკლა („სიჯილ-ი ოსმანი“ ტ. II, გვ. 188). იბრაჰიმ ფეჩევი თავის „თარიხში“ ამბობს, რომ აბაზა-ფაშამ. არზრუმში უდარდელად შესული ხალხი დაუხოცა ჰუსეინ-ფაშას და ისიც ხელცარიელი გაბრუნდაო. (ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 86 – 87).

3. ხალხურ თქმულებას იმეორებს ევლია ჩელები.

4. ჯანფოლად ზადე მუსტაფა-ფაშა სულთნის სასახლეში აღიზარდა და სულთნის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად. 1630 წელს პირველი ამირახორი გახდა. 1631 წელს კაფუდან-ფაშას თანამდებობა მისცეს ვეზირობის ხარისხით. 1636 წლის ზაფხულში მოკლეს.

5. ალბათ, თქმულება არსებობდა ხალხში, თორემ საფლავის ქვის წარწერის – „სულთან მაჰმუდი“ – მიხედვით ევლია ჩელები არ დაასკვნიდა, სულთან მაჰმუდ ღაზნევია აქ დასაფლავებულიო.

თ ა ვ ი LVII

1. არზრუმის ფაშას ვეზირობის ხარისხი მიეცა და დაევალა აღმოსავლეთ ანატოლიის ვილაიეთების ჯარების სარდლობა. ამიტომ შეიკრიბნენ მისი დროშის ქვეშ მირ-მირანები.

2. თაბანი იასის მეჰმედ-ფაშა – წარმოშობით ალბანელი; მუჰრად IV-ის დიდვეზირი იყო 1632 წლის 17 მაისიდან 1637 წლის 2 თებერვლამდე. გარდაიცვალა 1639/40 წელს.

3. ჰასან-აბადი – ჰასანის ქალაქი; ჰასან-ყალა – ჰასანის ციხე. ჰასან-ყალა მდებარეობს არზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ვახუშტის მიხედვით ძველი ქართული პროვინციის ტერიტორიაზეა და იდენტიფიცირებულია ქ. ბასიანთან (იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბილისი, 1964, გვ. 105).

4. ევლია ჩელების ნათესავი მელექ აჰმედ-ფაშა 30 წლის განმავლობაში მისი მფარველი და კეთილისმყოფელი იყო, ამიტომ იხსენიებს ასე მოწიწებით (იხ. თავი XX, შენიშვნა 3).

5. ცნობილია, რომ ნეფ^ე ნი არზრუმელი იყო. ევლია ჩელები აზუსტებს და არზრუმის ახლო მდებარე ჰასან-ყალაში (ბასიანი) დაბადებულიაო, გვაუწყებს. ომერ-ეფენდი ნეფ^ე ნი 1572 წელს დაიბადა. ნეფ^ე ნი ლირიკულ ლექსებსა და ოდებსაც წერდა, მაგრამ მის შემოქმედებაში მთავარი იყო სატირული ლექსები, რომლებშიც იგი მსხვილ ფეოდალებსა და დიდკაცებს ამათრახებდა. ეს ლექსები თავმოყრილია დივანში, რომელსაც „ბედის ისრები“ („სიჰამ-ი კაზა“) ეწოდება. თავის ლექსებით ბევრი მტერი გაიჩისა; 1635 წელს მის ერთ ლექსში გამათრახებულმა ვეზირმა, სულთან მერად IV-ს ნებართვით, სტუმრად მიიწვია პოეტი და ვერაგულად დაიხრჩობინა.

6. „ჩოზან-ქოფრუსტ“ – მწყემსის ხიდს ნიშნავს და ჩოზანიანთა საგვარეულო აქ არაფერ შუაშია (იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბილისი, 1964, გვ. 104).

7. ე. ი. ქურთები არიან და მაჰმუდის ტომს ეკუთვნიან.

8. الحلقه لى – ალთუნ ჰალკალნი.

9. ტექსტში შეცდომით წერია سراى – „სარაი“-სასახლე.

უნდა იყოს صحراى – „საჰრაი“ – ველი.

10. ყარა მუსტაფა-ფაშა დიდვეზირი იყო მურად IV-ისა და იბრაჰიმ I-ს დროს. 1639 წლის 24 დეკემბერს მურად IV-მ დიდვეზირად დანიშნა და 1644 წლის 31 იანვარს იბრაჰიმ I-მა სიკვდილით დასაჯა. მას ქემანქემ ყარა მუსტაფა-ფაშასაც უწოდებდნენ.

თავი LVIII

1. ერევნისა და ნახჭევნის მხარეები ამ დროს სეფიანთა ირანის ხელში იყო და იმიტომ ამბობს ასე. ევლია ჩელები ზოგჯერ ირანის ნაცვლად სიტყვა „აზერბაიჯანს“ ხმარობს და მხედველობაში აქვს სეფიანთა ირანი (სეფიანები ე. ი. ყიზილბაშები აზერბაიჯანიდან იყვნენ).

2. „ბარუთხანე“ – დენტის ქარხანას ეწოდება. გვარჯილა დენტის ძირითადი შემადგენელია.

3. შაჰრუჰი თემურის სიკვდილის შემდეგ (1405 წ. თებერვლიდან) 1447 წლამდე მართავდა თემურ-ლენგის მეტად შემცირებულ სახელმწიფოს. შაჰრუჰმა ტახტი ჰერათში გადაიტანა, დაპყრობით ომებზე უარი თქვა და თემურის მემკვიდრეებთან ბრძოლით ცდილობდა შეენარუნებინა შუა აზია და ირანი. კარშის ციხის აშენება მას არ შეეძლო დაე ევლიას ეს მტკიცება ჩვეულებრივი ტრადიციაა – ვინმე, ცნობილი ადამიანისათვის მიეწერათ ქალაქისა და ციხის აშენება.

4. „**შჩი** ქილისა“ – სამი ეკლესია, ასე უწოდებენ ოსმალები ეჩ-მიადინს.

5. კაია-სულთანი – სულთან მუჰად IV-ის ქალიშვილი იყო და ცოლად ჰყავდა ევლია ჩელების ბიძას – მელიქ აჰმედ-ფაშას. ორივენი მფარველობდნენ და ხელს უწყობდნენ ევლიას. მურად IV-ის ხუმრობა სიტყვების თამაშზეა აგებული: კაია-სულთნის სახელის პირველი ნაწილი – „კაია“ ნიშნავს „კლდეს“ და ადამიანის საკუთარ სახელად იხმარება.

6. ყიზილბაშთა სახანოებს ევლია ჩელები „სულთანლიქ“ – „სა-სულთნოს“ უწოდებს, რადგანაც ხანების საპატიო ტიტული „სულთანი“ იყო.

7. მეჰმედ III სულთან მურად III-ის (1574 – 1595) შვილი იყო. დაიბადა 1566 წელს. ტახტზე ავიდა 1595 წელს და გარდაიცვალა 1603 წ.

8. მწვალებლებს უწოდებს, რადგანაც შიიტური სექტებია.

9. აფრასიაბი – თურანის ლეგენდარული მეფე, რომელმაც ირანის ტახტის დაჭერა სცადა.

10. ნახჭევანი, მართლაც, განთქმული იყო ყალემქარით – ნაირფერადი მოხატული ქსოვილებით.

11. „მუსლიმ ჯამაათში“ ევლია ჩელები გულისხმობს მართლმორწმუნე სუნიტებს; ე. ი. „ცალკე ლოცულობენ, რადგანაც მწვალებლები არიან.

12. კარუნის საუნჯის მფლობელები – ე. ი. ძალიან მდიდრები არიან. იხ. თავი XXVI, შენიშვნა 11.

13. **دقایق الحقایق**

14. წინწკლებში მოტანილი ეს რამდენიმე ფრაზა ევლია ჩელების არაბულ ენაზე უწერია.

თავი LIX

1. სპარსული ენის დიალექტია.
2. იგულისხმება ომაელთა უკანასკნელი ხალიფა მერვან II ალ-ხიმარი (744 – 750).

თავი LX

1. სპარსელი „არეს-ი ბუზურგ“.
2. ტექსტშია – **ჰენგე**.
3. ფერჰად-ფაშა, მეტსახელად „კოჯა“ – ალბანელი იყო. სულთნის სასახლეში ჯერ კაფუჯი-ბაში იყო, შემდეგ – მირაზორი. შემდეგ 1584 წლამდე იანიჩართა აღას თანამდებობა ეჭირა. შემდეგ რუმელიის ბეგლარ-ბეგი იყო და ირანის ლაშქრობაში მთავარსარდლად დანიშნეს. ლაშქრობისას ვეზირის ხარისხი უბოძეს. ირან-ოსმალეთის ომი 1590 წელს ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა და სახელმწიფოებრივი ფერჰად-ფაშა 1591 წლის აგვისტოში დიდვეზირად დანიშნეს. 1592 წლის 4 აპრილს გადააყენეს და მეორე ვეზირი იყო. მეჰმედ III-ის სულთნობის დროს, 1595 წლის 16 თებერვალს ისევ სადრაზამი გახდა და 7 ივლისს გადააყენეს. იმავე წელს გარდაიცვალა (სიჯილ-ი ოსმანი, ტ IV, გვ. 17). თუმცა ზოგი ცნობით, სიკვდილით იქნა დასჯილი (M. Sertoğlu, დასახ. ნაშრ. გვ. 274).
4. **انجاض**
5. ტექსტშია – **ژან**
6. **ترك** – „თერგი“ – შეცდომაა.
7. შეცდომით დაბეჭდილია **نهر** – „მდინარე“; უნდა იყოს – **شهر** „ქალაქი“.
8. იხ. შენიშვნა 8, თავი XIX.
9. ტრადიციული გამოთქმაა დიდი ბოძოლის დასაწყისის აღსაწერად და სხვადასხვა ვარიანტით იხმარება; მაგალითად: „აფრასიების ნალარა, ისქანდერის ქოსი“, ჯემშიდის ზურნა, დოლი ჰუმენკა-შაჰისა, ხაკანის დაფდაფი, დარიოს მეფის ციმბალი“ (იხ. Эвлия Челеби, „Книга путешествия“, вып. I, М., 1961, გვ. 230).
აქ, ხაკანი – ჩინგიზ ყაენი; აფრასიაბი – თურანის ლეგენდარული მეფე, რომელმაც ირანის იახტისათვის ბრძოლა დაიწყო; ჯემშიდი – ძველი ირანის მითიური ხელმწიფე.
10. მასპინძლები შიიტები იყვნენ, სტუმრები – სუნიტები, ირანის შიიტები ომაელ ხალიფებსა და პირველ სამ ხალიფას: აბუ

ბაქრს, ომარს და ოსმანს უზურპატორებად და უკანონო მმართველებად თვლიდნენ. ხალიფა უნდა ყოფილიყო მხოლოდ ალი და შემდეგ – მისი შთამომავლობა, რადგანაც ისინი იყვნენ მოციქული მუჰამედის ნათესავები და მათ ჰქონდათ უფლება იმამები ე. ი. სულიერი ხელმძღვანელები და ამდენად, პოლიტიკური ხელმძღვანელებიც ყოფილიყვნენ.

როდესაც „პირველი ხალიფების ხსენებაზე ზოგიერთები დასხდნენ“ (ევლია ჩელები ამას საგანგებოდ აღნიშნავს), ამით მათ თავიანთი სიძულვილის დემონსტრაცია მოახდინეს. ამ ოთხ ხალიფაში ალიც შედიოდა, რომელსაც შიიტები თაყვანს სცემდნენ, მაგრამ რადგანაც ლოცვის ფორმულა ამ ოთხი ხალიფის ერთად ხსენებას მოითხოვდა, პროტესტის გამოხატვა ალის არ შეეხებოდა.

11. ირანი ხალიფა ომარის დროს (634 – 644) დაიპყრეს არაბებსა და მოსპეს სასანიანთა სახელმწიფო. ამის შემდეგ დაიწყო არაბების საუკუნოვანი ბატონობის პერიოდი და ირანელების სიძულვილი ხალიფა ომარისადმი.

თ ა ვ ი LXI

1. აბასელთა მეხუთე ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი (786 – 809).

2. აბასელთა მეშვიდე ხალიფა, ჰარუნ არ-რაშიდის შვილი მამუნი (813 – 833) ტახტზე თავის ძმის, ამინის (809 – 813), შემდეგ ავიდა.

3. აბასელთა მეათე ხალიფა მუთავაჟილი (847 – 861), ჰარუნ არ-რაშიდის შვილიშვილი (მუთასიმის შვილი).

4. ჰულაგუ – ჩინგის ყაენის შვილიშვილი, ილხანთა ირანის სახელმწიფოს დამაარსებელი (1256 – 1265).

5. აქ იგულისხმება არღუნ-ხანი. არღუნ-ხანი ტახტზე იჯდა 1284 – 1291 წლებში. ჰულაგუ-ხანმა თავისი დაპყრობითი ომების დროს დაგროვილი საუნჯე ურმიის ტბის პირას აშენებულ კოშკში შეინახა და თვითონაც იქ დაიმარხა. მიწისძვრამ ეს კოშკი დაანგრია და მთელი საუნჯე ტბაში ჩაიღუპა (История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. Л-д, 1958. გვ. 192). ალბათ, ამ კოშკის ამბავი აქვს მხედველობაში ევლია ჩელების.

6. ყაზან-ყაენი (1295 – 1304) – ილხანთა სულთანი არღუნ-ხანის შვილი. ისლამი პირველმა მიიღო. ამით ირანის ბიუროკრატიული არისტოკრატია და სასულიერო წოდება. დაიახლოვა და ჩინეთში მჯდარი მონღოლთა ყაენის ნომინალური უზენაესობაც აირიდა. თა-

ვისი ღონისძიებებით ქვეყანაში წესრიგი დაამყარა, მეურნეობა გამოაცოცხლა და ა. შ. ევლია ჩელების აზრით, მას შამ-ყაზანს იმიტომ უწოდებენ, რომ დამასკოზე (შამ) ილაშქრაო. თავრიზის გარეუბანში, რომელსაც „შამ“ ეწოდება, თავის სიცოცხლეში აიშენა აკლდამა, რომელსაც ეწოდება „შამ-ი ყაზან“. მას „შანზ-ი ყაზან“-საც უწოდებენ.

7. ალკას-მირზა – შირვანის მმართველი, შაჰ-თამაზის უმცროსი ძმა. 1547 წელს ალკა-მირზამ სცადა განდგომა და საკუთარი ფულის მოჭრაც დაიწყო, მაგრამ ორჯერ დამარცხდა შაჰ-თამაზის ჯარებთან და ჯერ ყირიმის ხანს შეაფარა თავი, შემდეგ ოსმალეთის სულთან სულეიმან I კანუნიმ ეახლა სტამბოლში.

სულთანს, რომელიც ირანს ეომებოდა, ხელს აძლევდა ალკას-მირზას მოქმედება და 1548 წელს მოწყობილი ლაშქრობის შედეგად თავრიზი დაიპყრო. ალკას-მირზას, ალბათ, შირვანი აღუთქვეს, რადგანაც ევლია ჩელები შემთხვევით არ ახსენებს მას შაჰად (ალკას მირზაზე იხ. ს. ჯიქია იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები... გვ. 96, М. М. Петрушевский, Азербайджан в XVI – XVII веках, „Сборник статей по истории Азербайджана“ 266 – 267 В. Ф. Минорский История Ширвана и Дербенда X – XI вв. М. 1963, გვ. 174).

8. აქ იგულისხმება 1578 წ. დაწყებული ირან-ოსმალეთის II ომი. სარდალი ოსმან-ფაშა გონქლ, იგივე ოზდემირ ზადე სასახლეში ჯერ კაფიჯი-ბაში იყო; 1567 – 68 წლებში იემენის ბეგლარ-ბეგი იყო და 1571-- – 76 წლებში დიარბექირისა. 1576 წელს გაათავისუფლეს და შემდეგ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში ჯარს სარდლობდა. 1584 წლის 28 ივლისს სადრაზამად დანიშნეს და 1585 წელს გარდაიცვალა (სიჯილ-ი ოსმან, "III, გვ. 416).

სინან-ფაშა ჯიღალე ზადე ამ ლაშქრობის შემდეგ სადრაზამი გახდა (1596). გარდაიცვალა 1605 წ. დიარბექირში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წინა სტრიქონებში ფრჩხილებში მოცემულ თარიღში (1654 წ.) კორექტურული შეცდომა გაიპარა და უნდა იყოს 1574 წ.

9. „არდებილეღთა ჩამომავალ შაჰ ჰაიდარ“ს რომ ახსენებს ევლია, ალბათ, გულისხმობს არა არდებილის სამთავროს მბრძანებელს (სეფიანთა ირანის სახელმწიფოს დამაარსებლისა და პირველი შაჰის ისმაილ I-ის მამას), არამედ ან ჰაიდარ-მირზას, შაჰ-თამაზის მეხუთე შვილს, რომელიც უსთაჯლუს ტომში აღიზარდა და ტომის არისტოკრატიაში მისი ტახტზე დასმა მოინდომა ტახტისთვის ბრძოლებში, ან ჰამზა-მირზას, მუჰამედ ჰუდაბანდეს (1577 – 1587) მემკვიდრეს, რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია ოსმალეთის ჯა-

რებს, ორჯერ დაამარცხა ისინი სამხრეთ აზერბაიჯანში და როდესაც იგი შეთქმულებმა მოჰკლეს, ოსმალებმა ადვილად დაიპყრეს მთელი აზერბაიჯანი ქ. თავრიზით (1585 – 1588 წწ).

10. ოსმან-ფაშა გარდაიცვალა 1585 წლის 30 ოქტომბერს.

11. თავაში ჯაფერ-ფაშა – მას ჰადიმ ჯაფერ-ფაშასაც უწოდებდნენ. ეს სიტყვები სინონიმებია და საჭურისს აღნიშნავს. სულთნის სასახლეში მსახურობდა. დააწინაურეს და 1475 წ. დამასკოს ვალს გახდა. 1579 წელს ანატოლიის ბეგლარ-ბეგად დანიშნეს და 1582 წელს – რუმელიისა. როდესაც თავრიზში ოსმან-ფაშა გარდაიცვალა, ვეზირის ხარისხით გამოგზავნეს და რვა წელი დაჰყო თავრიზში ვალის თანამდებობაზე. 1593 წელს ბაღდადის ვალი გახდა და 1594 წელს დაითხოვეს. 1597, ან 1598 წ. ტიმიშოარას ვალი გახდა და ერთი წლის შემდეგ იქვე გარდაიცვალა (სიჯილ-ი ოსმან, II, გვ. 71).

12. შაჰ-აბას I-ის ლაშქრობა იგულისხმება, რომელიც 1603 წელს დაიწყო და 1612 წ. დამთავრდა. გარდა იანიჩართა და სიფაჰიების მღელვარებისა, ოსმალეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჯეღალიების სახელით ცნობილი გლეხთა მასების აჯანყების, შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავების, მეურნეობის დაცემისა და დასავლეთის ფრონტზე წარუმატებელი ბრძოლების გამო. ასეთ ვითარებაში, შაჰ-აბასის მიერ ჩატარებული „რეფორმების“ შედეგად ირანის სამხედრო ძალების უპირატესობა აშკარა იყო.

13. იგულისხმება 1635 წელს მურად IV სარდლობით დაწყებული ახალი ლაშქრობა. შაჰ-აბასი მკვდარი იყო (1629 წ.), სეფი I (1629 – 1642) უუნარო მმართველი აღმოჩნდა და სახელმწიფოს ძლიერება შეირყა. მურად IV-მ აიღო თავრიზი, მაგრამ ველარ დადგა და სტამბოლს გამრუნდა. მან თავრიზი, ერევანი და ნახჭევანი 1638 წ. დაიპყრო და ბაღდადი 1639 წ. რაც შეეხება „თბილისის და დმანისის ციხეების დაბეჯრობას“, ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

14. შაჰ აბას II იგულისხმება (1642 – 1666).

15. ხოსროვ I ანუშირვანი, სასანელთა შაჰინ-შაჰი (531 – 579) ახალ ქალაქებს აშენებდა და ძველებს აფართოებდა. მის დროს აშენდა დიდებული სასახლეები, რომლებიც სასანიანთა ხუროთმოძღვრების შედეგებს წარმოადგენდნენ. აღმოსავლეთში ტრადიციად იქცა დიდი არქიტექტურული ძეგლები შეედარებინათ ხოსროვ I-ის მიერ აშენებული გასაოცარი, უზარმაზარი სასახლისათვის, რომელსაც „თალ-ე ქესრას“ უწოდებდნენ და მდებარეობდა სატახტო ქალაქ ქტესიფონის ჩრდილო-დასავლეთ უბანში.

16. აზ-ზაჰირ რუქნ ად-დინ ბაიბარს I აღ-ბუნდუკდარი (1260 – 1277) ეგვიპტის მამლუქთა სულთანი.

17. აჰმედ-ფაშას მეტსახელი იყო მელექ – „ანგელოზი“ და ამ წოდებაში სიტყვების თამაშია.

18. „რვა სამოთხე“.

19. რადგანაც მეჩეთში არ შეიძლებოდა ადამიანთა და ცხოველთა დახატვა, უაღრესად განვითარდა ყვავილების, ეკზოტიკური მცენარეებისა და ყურანიდან ამოღებული წარწერების ნატიფად შესრულებული მოხატულობის ხელოვნება. თავისებური მანერა შემუშავდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოში (რუმში) და ამ ყაიდაზე შესრულებულ მოხატულობას „რუმში“ ეწოდებოდა.

20. იაკუთ მუჯასამი-გამოჩენილ" კალიგრაფი,

21. შაჰ-მაჰსუდი, უზუნ-ჰასანის შვილი.

22. მხედველობაში ჰყავს ჯეჰან-შაჰი, შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს მბრძანებელი (1436 – 1467).

23. სუნიტი ევლია ჩელები შიიტების რწმენასა და ლოცვის რიტუალს აკრიტიკებს.

24. ამ სიტყვაში („თვითონ“) იგულისხმებიან მამაკაცები; აქ ძალაუნებურად გამოკრთა მუსლიმთა წარმოდგენა ქალზე, მისი მეორეხარისხოვანი როლი საზოგადოებაში: „ლამაზმანების პირის ფერი გაფურჩქნილი ვარდივით ღალისფერია... და თვითონ... (ე. ი. მამაკაცი) შავწვერულვაშიანები... არიან“.

25. ირანში ფართოდ იყო გავრცელებული ლექსების წერა. წერა-კითხვის თითქმის ყველა მცოდნე პოეტობაში სცდიდა კალამს. ევლია ჩელების მიერ ჩამოთვლილი ამდენი „პოეტი“ სწორედ ამაზე მიუთითებს.

26. „ყიზილ“ – წითელი; „ბაშ“ – თავი. „ყიზილბაში“ – წითელთავიანი.

27. თეთრ ჩალმას შეიხები ღვთისმეტყველები და სწავლულები იხვევდნენ თავზე.

28. „თაჯ“ – გვირგვინი.

29. „ჩოხა“ – „ჩუხა“ – ეწოდება მაუდს, შალის უხეშ ქსოვილს. ასევე ეწოდებოდა შალისაგან შეკერილ რძელსახელოებიან და გრძელკალთებიან, მამაკაცის ზედა ტანსაცმელს.

30. აზერბაიჯანულია.

31. აქ აგულისხმება რაშიდ ად-დინ ფაზლ ულ-ლაჰ იბნ აბულ-ხეირ ალი ჰამადანი, შემოკლებით – რაშიდ ად-დინი (1257 – 1318), ირანის უდიდესი ისტორიკოსი, მეცნიერი ექიმი, სუნიტი ღვთისმე-

ტყველო პოლიტიკური მოღვაწე და მსხვილი ფეოდალი. რაშიდ ად-დინი ყაზან-ყაენის და ოლჯაითუ-ყაენის ვეზირი იყო 1298 – 1317 წლებში.

32. ცთომილი მარიხი – მარსი; ე. ი. ქალაქს თავიდანვე ომი დაეხედა.

33. აბანო მოპირკეთებული იყო შორენკეცით, რომელიც მოხატული იყო აღმოსავლეთის უდიდესი პოეტის – ფაქრედდინის (ფიზულის) ლექსების ნაწყვეტებით.

34. **سا-سا** წვნიანი; **داواز - ში** შემწვარი. ეს ადგილები ვერც „მოგზაურობის წიგნის“ ახალი გამოცემის ავტორს გაუგია და მათ მაგივრად წერტილები დაუსვამს (გვ. 249).

35. სხვადასხვა ხილის საუკეთესო ჯიშებია.

36. „ბოზა“/„ბუზა“ – თურქეთში ძალზე გავრცელებული უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი.

37. შაჰ-იაკუბი – თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს განაგებდა 1479 – 1490 წლებში.

38. 1585 – 1588 წლებში ოსმალებმა დაიკავეს მთელი ჩრდილო აზერბაიჯანი და სამხრეთი აზერბაიჯანი თავრიზიანად. ამ ლაშქრობას სარდლობდა ფერჰად-ფაშა და თავრიზში იჯდა, როგორც სულთნის **ვალე**. (აქვე უხდა აღვნიშნოთ, რომ თარგმანში, ზემოთ, კორექტურული შეცდომა გაიპარა და 33-ე შენიშვნის მაგივრად 38-ე არის დასმული. შენიშვნების განმარტებაში 33-ე უნდა მოინახოს).

39. ხავარნაკი – დიდებული ციხე-კოშკი, რომელიც ერაყში, ევფრატის ნაპირზე ააგეს სასანელებმა VI – V სს. მის ამშენებლად თელიან მაჰრამის კარის ხუროთმოძღვარს სინიძარს. აღმოსავლეთში ხუროთმოძღვრული ხელოვნების ნიმუშად ითვლებოდა და შესაძარებლად იყენებდნენ მის სახელწოდებას.

40. სიტყვების თამაშია: ფერჰად-ფაშა და შირინის სატრფო ფერჰადი, მთის მწგრეველი.

41. შეცდომაა – უნდა იყოს 1585/86 წელი.

42. **შაჰ-სეფ** – შაჰ-აბას I-ის შვილიშვილი. 1629 წელს მცირეწლოვანი აიყვანეს ტახტზე და 1642 წლამდე მეფობდა.

43. ახალი წლის პირველი დღე ირანში, რომელიც გაზაფხულის ბუნიობის დღეზე მოდის 21 მარტს. დღესასწაული დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებასთან.

44. მუსლიმური კალენდრის პირველი თვის მეათე დღე – აშურა. შიიტებისათვის ეს თვე ქერბელასთან ბრძოლაში დაღუპული ჰუსეინის გლოვის თვე იყო. მეათე დღეს შიიტები რელიგიურ პრო-

ცესიებს აწყოზდნენ, სხეულს იგვემდნენ („ზახსედ-ვახსედ“), მოსახ-
სენიებელ ლოცვებს წარმოთქვამდნენ და რელიგიურ თემებზე წარ-
მოდგენებს მართავდნენ. მთელი თვის განმავლობაში გამოკიდებული
იყო შავი დროშები.

45. ხალიფა ალის (მუჰამედის ბიძაშვილს) ცოლად ჰყავდა მუჰა-
მედის ქალიშვილი ფატიმა. ფატიმასაგან მას შეეძინა მეორე ვაჟიშვი-
ლი ჰუსეინი. შიიტები მოითხოვდნენ, რომ ალის შემდეგ არაბთ ხა-
ლიფა უნდა ყოფილყო მხოლოდ ალისა და ფატიმას შთამომავლობა.
ჰიჯრით 61 წლის მუჰარემის თვის მეათე დღეს, აშურას (680 წ. 10
ოქტომბერი) ჰუსეინის ჯარი ქერბელასთან შეხვდა ომაელი ხალი-
ფას – ეზიდ I-ის ჯარს. ჰუსეინის ჯარი დამარცხდა. ამ ბრძოლაში
დაიღუპნენ ალის შვილები: ჰუსეინი, ჰასანი და მათი მიმდევარი, მუ-
ჰამედის თანამებრძოლი აკილი. მათ ქერბელას წაბეზულებს უწოდებ-
დნენ. საერთოდ, შიიტები წამებულად თვლიან 11 იმამს (12-დან), რად-
განაც ისინი „სარწმუნოებისათვის“ დახოცეს. წამებულების კულტს
შიიზმში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და დიდად იყო გავრცელებ-
ული მოსახლეობის ფართო ფენებში.

46. ტერმინი „აშურა“, გარდა მუჰარემის თვის მეათე დღისა (იხ.
აქვე, შენიშვნა 44-ე), აღნიშნავდა ქერბელას წამებულთა სულის მო-
სახსენებლად დამზადებულ სპეციალურ საჭმელს (კოლიო), რომელ-
საც ხალხს ურიგებდნენ.

47. შიმერი – ხალიფა ეზიდ I-ის სარდალი, რომელმაც ქერბე-
ლასთან ბრძოლაში მოკლა ალის შვილი ჰუსეინი. მის შემდეგ შიმერის
სახელი სასტიკის, დაუნდობლის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა შიიტური
ისლამის მაღიარებელ ხალხებში.

თ ა ვ ი LXIII

1. მუსლიმს ეკრძალებოდა ღვინის სმა. შეიძლებოდა ყურძნის
წვენისაგან დამზადებული ტკბილი სასმელის (შარბათის) დალევა.
ევლია ჩელების მიზნად აქვს დასახული შიიტების მკრეხელობა და
ისლამის წესების უგულვებელყოფა გამოააშკარაოს.

2. აქ იგულისხმება ოსმალეთის სულთანი.

3. აქ იგულისხმება არზრუმის ფაშა.

4. ე. ი. მუსლიმს ეკრძალებოდა ღვინის სმა, კერპთაყვანისცემა
და აზარტული თამაშები – მეისერი და აზლამი.

5. ევლია ჩელების უნდა, რომ აჩვენოს უპირატესობა დროს-
ტარებისა, რაც ღმერთისა და მისი მიციქულის ქება-დიდებაში გა-
მოიხატა. სეგაჰი სიმღერით წარმოთქმულ ბეითებს ეწოდება.

6. სიმღერის ხმაზე წარმოთქმული ლექსების სახეობები.
7. ყარა-ჩუბუკი ცხენი – ზურგზე შავი ზოლი დაჰყვებოდა და საუკეთესო ჯიშის ცხენად ითვლებოდა.

თ ა ვ ი LXIV (თარგმანში შეცდომითაა XLIV)

1. ჰადისში გატარებული იყო აზრი, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ალაჰისადმი მინდობილია, მუსლიმია. ყველა მუსლიმის ვალია იბრძოლოს, რათა „სარწმუნოების სწორ გზას“ შემთხვევით აცდენილები ისლამს დაუბრუნოს.

2. ტექსტშია: ბესი, აბასი და ალთუნი – بسى عباسى و التون

3. XIII საუკუნეში სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქ არდებილში სუფიურ-დერვიშული ორდენი შეიქმნა, რომლის ჩამოყალიბება და დერვიშთა შეიხების შთამომავლობა მიეწერება შეიხ სეფი ედ-დინს. არდებილში და მის სანახებში თანდათან ჩამოყალიბდა ფეოდალური სამთავრო, რომლის მემკვიდრეობითი შეიხები მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე აფართოებდნენ თავიანთ მიწებს. ბოლოს, არდებილელი შეიხების ჩამომავალმა ისმაილმა 1501 წელს სეფიანთა (ყიზილბაშთა) ირანის სახელმწიფო შექმნა და ტახტი არდებილიდან თავრიზში გადაიტანა.

ამიტომ ამბობს ევლია ჩელები: „მველი სატახტო ქალაქი არდებილი“.

4. მუჰამედის გამონათქვამების, მისი საქციელის, თავგადასავლის შესახებ უამრავი გადმოცემა – ჰადისი არსებობს; ეს ერთი მათგანია.

თ ა ვ ი LXV

1. ეს წინადადება ისე ვთარგმნეთ, როგორც ევლია ჩელების აქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ წინადადების ნაწილი – „რომლის რაოდენობა ათასებს აღწევს“, ეხება სამზარეულოებს და არა – ჯარს.

2. არაბული ფრაზა.

3. არაბული დამწერლობით გამოცემულ „მოგზაურობის წიგნში“, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, ეს ადგილი დამახინჯებულია. ახალ, გადმოქართულებულ გამოცემაში იგი შემდეგნაირად იკითხება: „მაგრამ რადგანაც ეს შარიათს ეწინააღმდეგება, აღზრდაზე გავლენა არ აქვს“ (გვ. 257).

4. არაბულ ფრაზები: ა) ყურანის მეხუთე სურა, 42-ე მუხლი, ბ) ყურანის მეხუთე სურა, 49-ე მუხლი.

თ ა ვ ი LXVI

1. ესენი ნაკლებად ცნობილი პოეტები არიან
2. უსამა – მუჰამედის ერთგული მიმდევარი და თანამებრძოლი იყო.
3. ჰამზა – მუჰამედის ბიძა, რომელსაც ისლამს მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისათვის „ალაჰისა და მისი მოციქულის ლომი“ შეარქვეს.
4. ნეჰავენდის ბრძოლაში 642 წელს სასანელთა ირანი მეორედ დაამარცხეს არაბებმა. ეს ბრძოლა სასანური ირანისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. სასანელთა უკანასკნელმა მბრძანებელმა ეზდიგერდ III-მ დაკარგა ჯარი, ხელისუფლება და ავტორიტეტი. სახელმწიფო ფაქტიურად დაიშალა.
5. აფრასიაბი – ლეგენდარული პიროვნებაა (იხ. თავი LVIII, შენ. 9). ევლია ჩელები ამ ლეგენდის მიხედვით მიუთითებს საფლავზეც კი.

თ ა ვ ი LXVII

1. შამ – شام – დამასკო. აქ ევლია ჩელების უნდა ახსნას ყაზან-კაენის მიერ თავისთვის აშენებული აკლდამის სახელის წარმომავლობა.
2. გედიქ – ნაპრაღი, გამონგრეული; „გედიქ კაფუ“ – ნანგრევი კარი.
3. უშანგ-შაჰი – ირანის ფეშდადიანთა სახელმწიფოს მეორე მეფე.
4. ერვან I (683 – 685); მერვან II (744 – 750).
5. მუსთასირი 1226 – 1242 წლებში ხალიფობდა. აქ შეცდომა უნდა იყოს და, ალბათ, იგულისხმება უკანასკნელი აბასელი ხალიფა მუსთასირი (1242 – 1258), რომლის დროსაც მოხდა ჰულაგუს ლაშქრობა და ბოლო მოეღო სახალიფოს.
6. ჰულაგუ-ხანი – ჩინგიზ-ხანის შვილიშვილი, ილხანთა ირანის სახელმწიფოს დამაარსებელი – (1258 – 1265). ამ ლაშქრობისას ჰულაგუს ჯარმა ბაღდადი აიღო (1258), ცხენებით გაათელინა უკანასკნელი ხალიფა მუსთასირი (1242 – 1258), ამოწყვიტა აბასელთა საგვარეულო და ბოლო მოუღო აბასელთა ბაღდადის სახალიფოს.
7. ساردول „ქარდველ“. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს სოფელი ქართველებით იყო დასახლებული და სახელწოდებაც აქედან მიიღო. ი. პ. პეტრუშევსკის შრომაში: „XIII – XIV სს. ირანის

მიწათმოქმედება და აგრარული ურთერთობანი“, აქვს ცნობა, რომლის მიხედვითაც XIV ს. I მეოთხედში არდებილის სამხრეთით, ხალხალის ოლქში შეიხ სეფი ედდინს უყიდა სოფელი გურჯი, რომელიც იმ ქართველებით იყო დასახლებული, რომლებიც შესძლებულია, საქართველოდან სელჩუკებმა წაასხეს (И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII – XIV вв. Л-д, 1960, გვ. 276). სოფ. ქარდველ ქალაქ მერადას სანახებში ყოფილა, როგორც ევლია ჩელები გვამცნობს. მერადა არდებილის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და სოფელი გურჯიც დაახლოებით ამ რაიონში ყოფილა. შესაძლებელია „ქარდველ“ და „გურჯი“ (ერთი და იმავე სოფლის აღმნიშვნელი სახელი იყოს).

8. ბიჟან იბნ გაიუმარს ბენ გუდარზ – ბეჟანი, გაიუმარსი და გუდარზი – ძველი ირანის ლეგენდარული გმირები, რომლებიც ფირდოუსის „შაჰ-ნამეშიც“ აისახნენ. ევლია ჩელები აქაც წესისამებრ, ქალაქების აშენებას ლეგენდარულ ან უძველესი ქვეყნების მბრძნებლებს მიაწერს.

9. 1577 წელს შაჰ-ისმაილ II სიკვდილის შემდეგ ყიზილბაშთა ტომების წარჩინებულებმა ტახტზე აიყვანეს მისი უფროსი ძმა (შაჰ-თამაზ I-ის შვილი) სულთან მუჰამედი, მეტსახელად ხუდაბანდე (ღვთის მონა), რომელიც მანამდე ტახტის მემკვიდრედ არ ითვლებოდა, რადგანაც თვალები დაავადებული ჰქონდა. 1587 წელს გარდაიცვალა.

10. თაჰმასპ I (შაჰ-თამაზი) – სეფიანთა ირანის მეორე შაჰი (1524 – 1576).

11. სეფიანთა ირანის სახელმწიფო თურქული მოდგმის ტომების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა; ამ ყიზილბაშური ტომების მომთაბარე არისტოკრატია XVI საუკუნის ბოლომდე სახელმწიფოში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. ძირითადად შვიდი ყიზილგაშური ტომი იყო: შამლუ, რუმლუ, უსთაჯლუ, თექელუ, ავშარი, ყაჯარი და ზელკადარი. ამ ტომების მეთაურები პირველობისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს და ხშირად აჯანყებასაც აწყობდნენ შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ. 1547 წელს თავრიზში ავშარებსა და ზულკადარს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა და იგი მხოლოდ შაჰ-თამაზის ჩარევის შემდეგ შეწყდა.

12. ევლია ჩელები ავშართა ხანის სახელს ხან მუმეინდის წერს და ხან – მეიმენდის.

13. სიტყვების თამაში: ჯაფერ-ფაშა საჭურისი იყო და მეტსახელადაც საჭურისს (თავაში) უწოდებდნენ.

14. შეიხი სეფი ედ-დინ ისხაკი (1252 – 1334) – ირანში სუფიური ორდენის დამაარსებელი და სეფიანთა საგვარეულოს მამამთავარი. შეიხი სეფი და ჰისი შთომომავლები სამხრეთ აზერბაიჯანში, ქალაქ არდებილში ცხოვრობდნენ და XV საუკუნის პირველ ნახევარში, შეიხ იბრაჰიმ შეიხშაჰის დროს (1427 – 1447), ქალაქ არდებილისა და მისი ოლქის ფეოდალური მფლობელები გახდნენ. ამის შემდეგ, 1501 წელს შაჰ-ისმაილ I-მა საფუძველი ჩაუყარა სეფიანთა (ყიზილბაშთა) სახელმწიფოს.

15. ხალიფა ომარის დროს (634 – 644) არაბებმა 635 – 640 წლებში დალაშქრეს დამასკო, იერუსალიმი, ანტიოქია და ეგვიპტეში შეიჭრნენ. ამავე დროს ისინი ირანსაც უტევდნენ და 637 წელს გადაწყვეტ ბრძოლაში კადისიასთან სასტიკად დაამარცხეს სასანელთა ლაშქარი. 642 წელს, ნეჰავენდის ბრძოლის შედეგად, ირანის სახელმწიფო დაიშალა და ამავე წელს სამხრეთი აზერბაიჯანი არდებილითურთ არაბებს დანებდა.

16. შაფიტები – ისლამის ერთ-ერთი (მართლმორწმუნე მუსლიმთა – სუნიტების ოთხი მიმდინარეობიდან) მიმდინარეობის წევრებს ეწოდებოდათ. ჯაფერ მიმდინარეობის ერთ-ერთი სექტის დამაარსებელ იმამ ჯაფერ-ი სადიკის მიმდევრებს. ევლია ჩელების უნდა თქვას – ესენი შიიტები (ჯაფერის სექტისა) არიან და არა მართლმორწმუნე მუსლიმები (შაფიტები).

17. ევლია ჩელები ამით გვამცნობს, რომ მუჰამედის დაბადება გახდა საფუძველი ახალი, „ერთადერთი და საბოლოო“ რელიგიის – ისლამის შექმნისა. უნდა გაუქმებულიყო სხვა რელიგიები: „დაინგრა“ სასანელთა ირანის მბრძანებლის, ხოსროვ I-ის ტაძარი – მოისპო მაზდეანობა; „გადაყირავდნენ“ არაბული ტომების კერპები მეძეაში – მოისპო კერპთაყვანისცემა, „ჩამოინგრა“ წმინდა სოფიოს ტაძარი კონსტანტინეპოლში – უნდა მოსპობილიყო ქრისტიანობა.

18. არაბული ფრაზა (ყურანის მე-2 სურა, 57-ე მუხლი).

თავი LXVIII

1. იხ. თავი LXVII, შენიშვნა მე-14.

2. შეიხ სეფის შვილი სადრ ედ-დინი, რომელიც არდებილის შეიხი 1334 – 1392 წლებში იყო. ჰაიდარი 1460 – 1488 წლებში იყო არდებილის შეიხი. იგი შეიხ სეფის მეხუთე თაობის შთამომავალი იყო და არა შვილი.

3. შეიხი იბრაჰიმი სეფის შვილიშვილის შვილი იყო და არდებილს განაგებდა 1427 – 1447 წლებში. ევლიას მიერ დასახელებუ-

ლი ჰაიდარის შვილი იბრაჰიმი შეიხ სეფის მეექვსე თობის შთამომავალი იყო და არდებილის შეიხი არ ყოფილა – 1488 წლის 9 ივლისის შეიხი ჰაიდარი შირვან-შაჰისა და თეთრბატკნიანთა ჯარების წააღმდეგ გამართულ ბრძოლაში დაიღუპა. მისი მცირეწლოვანი შვილები: სულთან-ალი, იბრაჰიმი და ისმაილი ტყვედ ჩაცვივდნენ. შემდეგ, 1492 წელს სულთან-ალი გახდა არდებილის შეიხი. 1494 (1495) წელს სულთან-ალი თეთრბატკნიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. იბრაჰიმსა და ისმაილს კი ყიზილბაშები მალავდნენ. 1499 წელს ისმაილი უკვე შეიხად იცნეს. სიზმარი, რომელზეც ევლია ჩელები მოგვითხრობს, სეფიანთა დასამცირებლადაა მოგონილი.

4. სეფიანთა ირანის შაჰები, „რომლებიც ფულს სჭრიდნენ“ შაჰ-აბას I-მდე, იყვნენ ისმაილ I (1501 – 1524), თაჰმასპ I (1524 – 1576), ისმაილ II (1576 – 1577) და მუჰამედ ხუდაბანდე (1577 – 1587).


5. ქეჰეილანის ჯიშის არაბული ცეხნი, რომელსაც ქედზე შავი ზოლი გასდევდა; უზბეკური ჯიშის ცეხნი – ჯაიარი.

თ ა ვ ი LXIX

1.  – „წვერის სიგრძე“, ე. ი. გადასახადი მოშვებული წვერისათვის. ევლია ჩელების შემდეგი გარემოება აქვს მხედველობაში: XV საუკუნეში სეფიანთა არდებილის შეიხების მთავარი დასაყრდენი თურქული მოდგმის აზერბაიჯანული მომთაბარე ტომები იყვნენ; მათ ყიზილბაშებს უწოდებდნენ. ყიზილბაშები წვერს იპარსავდნენ და გრძელ ულვაშებს ატარებდნენ. რადგან სუნიტები (ამ შემთხვევაში შაფის მოძღვრების მიმდევრები) წვერს არ იპარსავდნენ შიიტი ყიზილბაშებივით, როგორც ჩანს, ყიზილბაშთა შაჰმა მათ არამუსლიმთა გადასახადი – ხარაჯა შეაწერა გრძელი წვერისათვის. ევლიას ცნობით, ეს გადასახადი მოეხსნათ შაჰ-სეფის დროიდან (1629 – 1642).

თ ა ვ ი LXX

1. ერევანი ყიზილბაშების ხელში იყო. ევლია ჩელები, ისევე, როგორც სხვა ოსმალთა ისტორიკოსები, ყიზილბაშთა სახელმწიფოს ხშირად აზერბაიჯანს უწოდებს და რადგან ერევანი ყიზილბაშებს ეჭირათ, აქ იგი აზერბაიჯანის ციხედ იხსენიებს.

2. ტექსტში შეცდომითაა – 

3. სეფიანთა ირანის პირველი შაჰი ისმაილ I (1501 – 1524).

4. თარიღი შეცდომითაა – სულეიმან I 1566 წელს გარდაიცვალა. ეს ლაშქრობები მოეწყო 1533, 1534, 1538 და 1548 წლებში.

5. არაბული ფრაზა (ყურანის მე-3 სურა, 153-ე მუხყილ.)

6. იუსუფ-ფაშას მამა გესუს ადმირალი იყო (Cicala) და თურქებმა ჯილალა შეარქვეს. სულეიმან I-ის დროს მამა-შვილი ტყვედ ჩაიგდო ფიალა-ფაშამ. იუსუფი გაამაჰმადიანეს და, როგორც ევლია ჩელები ამბობს, სულთნის ჰარემში აღმართეს. შემდეგ ვანის ბეგლარ-ბეგი იყო (ს. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბილისი, 1964, გვ. 129).

7. ამირგუნა-ხანი – ერევნის მმართველი. მისი ჯარების მიერ აქ ჩამოთვლილი სანჯაყების დალაშქვრა 1607 – 1608 წწ. მოხდა (იხ. ვ. ს. ფუთურიძე. „ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბილისი, 1969, გვ. 72).

8. მუსა-ფაშა მურად IV-ის სილაჰდარი – მესაჭურვლე. წარმოშობით ბოსნიელი იყო და სასახლეში აღიზარდა. ამ ლაშქრობაში კუბე-ვეზირის წოდება ჰქონდა. შემდეგ დიდვეზირის მოადგილე გახდა (1635 – 1636). 1645/1646 წელს კაფუდან-ფაშა გახდა და იმავე წელს მოკლეს (სიჯილ-ი..., IV, 521 – 522).

9. ეს ამბავი ადრე იბრაჰიმ ფეჩევის აქვს გადმოცემული თავისი „ისტორიის“ იმ თავში, რომელსაც ეწოდება „ზანგის წყალზე გადასვლა. ფადიშაჰის სიმამაცე“ (იხ. ს. ს. ჯიქია. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1969, გვ. 88 – 89), იბრაჰიმ ფეჩევისა და ევლია ჩელებისა უნდათ მურად IV-ის მამაცობასა და კეთილშობილებას გაუსვან ხაზი.

10. ქუჩიქ აჰმედ-ფაშა ადრე დამასკოს ბეგლარბეგი იყო. ირანთან ომში დაიღუპა 1636 წლის ივნისში.

11. „დერვაზე-ი ფოლ“ – ხიდის კარიბჭე.

თ ა ვ ი LXXI

1. „განჯა“ – „განჯინა“ – სტყვების თამაშია.

2. თარიღი შეცდომა – 1605 წელს აღარც თაჰმასპი იყო ცოცხალი და აღარც ფერჰად-ფაშა (1596 წ. გარდაიცვალა). აქ საუბარია 1585 – 1588 წლებზე, როდესაც ოსმალებმა მთელი ჩრდილო და სამხრეთი აზერბაიჯანი დაიპყრეს.

3. აჰმედ-ფაშა, მეტსახელად – „სარი“ – ყვითელთ ადრე ყადი იყო. 1589/1590 წელს დაიარბეჟირის დავთარდარი გახდა, შემდეგ – სივასის ბეგლარ-ბეგი და 1603/1604 წელს – ვანისა. 1604/1605 წელს გარდაიცვალა (სიჯილ-ი... I, გვ. 207).

4. სულთანი მეჰმედ III (1595 – 1603).

5. ჰასან-ფაშა, მეტსახელად – ჰადიმი (საჭურისი), სასახლეში მსახურობდა. შემდეგ ბაშ-დავთარი გახდა; 1590 წლის გაზაფხულზე უგვიპტის ვალი გახდა. შემდეგ დაატუსაღეს და ედიკულში იჯდა. რომ გათავისუფლდა, შირვანის **ჩალწ** გახდა. 1598 წლის 22.X. დიდვეზირად დაინიშნა. 1599 წლის 2 აპრილს მოკლეს (იხ. სიჯილ-ი... II, გვ 125).

6. ჰაიდარ-მირზა შაჰ-თაჰმასბ I-ის მეხუთე შვილი იყო და 1576 წელს მოკლეს.

7. ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ ამ ციხეს „არეს“-საც უწოდებდნენ და „არემ“-საცო.

8. აქ იგულისხმება მითითური და შაჰ-ნამეს პერსონაჟი გაიუმარსი და არა შირვანშაჰების საგვარეულოს წარმომადგენელი გაიუმარსი. თუმცა ჩანს, რომ ევლიას რაღაც ასოციაცია გაუჩნდა.

9. 995 (1587) წელი კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს 985 (1578).

10. ქართულ წყაროებში ლალა-ფაშად ცნობილი სადრაზამი ოსმალურ წყაროებში ხან ლალა-მუსტაფა-ფაშად იხსენიება, ხან ყარა-მუსტაფა-ფაშად და ხან – ლალა ყარა მუსტაფა-ფაშად (მის შესახებ იხ. „იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბილისი 1964, გვ. 98 – 100).

11. არემის (არესის) დაწერილობას განმარტავს არაბულ ასოთა სახელწოდების დასახელებით და წარმოთქმის განმარტებით – **არს**

12. თურქულ ტექსტში წერია: – „მათი ცოლები წარმოშობით გურჯისტანის დადიანის, აჩიკბაშის და შავშეთის ტომთა ქალები არიან“. ე. ი. აქ იგულისხმება მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელსაც ქართველი ქალები ჰყავს ცოლად და რადგანაც სიტყვით **არადინ** – ნიშნავს არა მხოლოდ „ქალს“, „ცოლს“, არამედ კეთილშობილის, წარჩინებულის, დიდკაცის ცოლს, ამიტომ ვთარგმნეთ: „მათი დიდკაცების ცოლები...“

13. ლევანის ქვეყანა – კახეთი.

14. შაქი/შექი – დღევანდელი ნუხა აზერბაიჯანში.

15. მოშალა - **შოშალე** მნელი სათქმელია, ვის გულსხმობს ავტორი. შეიძლება შავშეთი აქვს მხედველობაში – **შოშად**, „მოგზაურობის წიგნის“ ახალ გამოცემაში ეს სიტყვა გამოტოვებულია (გვ. 285).

16. კახეთის მეფეებს ოსმალთა ავტორები ან ლევან-ხანის ძეს უწოდებენ, ან ალექსანდრე-ხანის ძეს. აქ მოხსენებული – ارسلان (ახალ გამოცემაში – Erkelat) შეიძლება ერეკლე იყოს, შეიძლება ძალზე დამახიხებული – „ალექსანდრე“, რადგანაც იბრაჰიმ ფერევის აქეს ასეთი ცნობა: 986 (1578/1579) წელს... ალექსანდრე-ხანს მიენდო შაქის დაპყრობა“ (ი. ფერევის „ისტორია“, ტ. II, გვ. 45); თან ქვემოთ იხსენიება ლაღოშ აჰმედ-ბეგი, რომელიც ალექსანდრე კახთა მეფესთან ერთად მოქმედებს. ევლია ჩელებიც ახსენებს ლაღოშ აჰმედ-ბეგს, როდესაც შაქის მეჩეთებს აღწერს.

17. ლაღოშ აჰმედ-ბეგი – აზერბაიჯანელი უნდა იყოს და ირანთან ომის დროს ლაღა მუსტაფა-ფაშას ამაღლაში იყო (იხ. „იბრაჰიმ ფერევის ცნობები... გვ. 121 – 122).

18. ყანუხი – قنوت (შეცდომაა – უნდა იყოს قنوق) ალაზანი (იხ. იბრაჰიმ ფერევის ცნობები... გვ. 122 – 124).

19. ევლია ჩელების შეცდომაა უნდა იყოს „მტკვარი“.

20. კაბური – قابور – ოორი (იხ. იბრაჰიმ ფერევის ცნობები... გვ. 122 – 124).

21. ყველა მუსლიმისათვის სავალდებულო აღთქმანი; ე. ი. ნამდვილ მუსლიმებად არ ჩაითვლებიან ით თილის ტომის წევრები.

22. موم سوندير – „სანთლის ჩამქრობი“, ზემოთ მოთხრობილი ამბავი ით თილის ტომის შესახებ და, აგრეთვე, ქვემოთ აღწერილი კალთაკების ტომი, ზოგიერთი განსხვავებით მოთხრობილი აქვს იბრაჰიმ ფერევის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ალი ეფენდის მოთხრობა“ (იხ. „იბრაჰიმ ფერევის ცნობები... გვ. 49).

თ ა ვ ი LXXII

1. ქვემოთ ჩამოთვლილი ენობრივი მასალა შესწავლილი აქვს აკად. ვ. ბარტლდს (იხ. В. Бартольд, К вопросу о происхождении кайтаков, „Этнографическое обозрение“, кн. 84 – 85, Москва, 1910, № 1, 2).

2. სასანიანთა ირანის შაჰი ეზდიგერდ II უნდა იგულისხმებოდეს (438 – 457).

3. „თურქთა თურქი“ ხოჯა აჰმედ ისავენ/მესევენი (იხ. თავი XXV, შენიშვნა I).

4. იალბუზი ეწოდებოდა არა მარტო საკუთრვ მწვერვალს, არამედ, ხშირად, კავკასიონსაც.

5. იხ. თავი LXIX, შენიშვნა I.

6. სეფიანთა ირანის შაჰი აბას II (1042 – 1667).

7. شام – „შამ“ – სირია, დამასკო.

8. ფირი მეჰმედ-ფაშა ყარამანიელი – სელიმ I-ის დროს 1518 წლის იანვარში დიდგვრიად დაინიშნა და სულეიმან I-ის დროს, 1523 წლის ივნისში გადააყენეს.

9. ასეთივე ცნობა აქვს იბრაჰიმ ფეჩევის (იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები... გვ. 26).

10. შირვანის შაჰად ამ დროს მცირეწლოვანი შაჰროჰი ითვლებოდა (1536 – 1538). შაჰ-თამაზმა 1538 წელს შირვანზე ლაშქრობა მოაწყო თავისი ძმის – ალკას-მირზას სარდლობით. ალკას-მირზამ შირვანი დაიპყრო. შირვანი ირანის ვილაიეთად გამოცხადდა და მისი პირველი ბეგლარბეგი ალკას-მირზა გახდა.

11. შაჰ-თამაზი (თაჰმასპ I) 1576 წელს გარდაიცვალა. ლალა მუსტაფა-ფაშას ლაშქრობა კი 1578 წელს დაიწყო. ამ ლაშქრობაში ალკას-მირზას მონაწილეობა ცნობილი არ არის. 1538 წელს შაჰ-თამაზის მიერ შირვანის ბეგლარ-ბეგად დანიშნული ალკას-მირზა 1547 წელს განუდგა შაჰ-თამაზს და მის წინააღმდეგ საომარი მოქმედება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ყირიმის ხანი ეხმარებოდა, დამარცხდა და ჯერ ყირიმში გაიქცა, იქიდან სტამბოლში ეახლა სულეიმან I-ს. სულეიმანმა მხარი დაუჭირა ალკას-მირზას და 1549 წელს მასთან ერთად ილაშქრა აზერბაიჯანზე. ალკას-მირზას გეგმა შირვანში გაბატონებისა მაინც მარცხით დამთავრდა (იხ. И. П. Петрушевский, Азербайджан XVI – XVII веках, Сборник статей по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949, გვ. 267).

12. წყაროებში არ არის ცნობა იმის შესახებ რომ ალკას-მირზა 1578 წელს ლალა მუსტაფა-ფაშას გაჰყვა ლაშქრობაში. ოსმალებმა იგი შირვანში მაჰმუდ-აბადის ხანად დანიშნეს და აქედან ებრძოდა სპარსელებს; ევლია ჩელების მიერ ნაამბობი ლაშქრობები 1579 – 1587 წლებში მოხდა; „შირვანის ქიშპი“ – 1584 – 1585 წლებში. ოსმალთა დარუბანდი 1606 წელს დატოვეს.

13. مزيرات – „მეზირათ“. ზემოთ (გვ. 277) ევლია ჩელები مزيرات – „მერიზათ“ წერს და აღნიშნავს, რომ სპარსულად „მოხრილს“ ნიშნავს.

14. ექვსი ხე – „ალთი აღაჩ“ (თურქ.) და „შემ დერაჰთ (სპარს.).

15. აქ და ქვემოთ რამდენიმე ადგილას ევლია ჩელების მხარე-
ბი არეული აქვს, უნდა იყოს: „სამხრეთისაკენ – გილანის კარი;
ჩრდილოეთისაკენ – დარუბანდის კარი; აღმოსავლეთისაკენ, ზღვის
პირას – ნავსადგურის კარი“.

16. ოზდემირ-ზადემ ბაქო 1584 წელს დაიპყრო.

17. უნდა იყოს შემახს ციხე დასავლეთით ოს

18. უნდა იყოს: „გილანი კი სამხრეთითაა“.

19. უნდა იყოს: „სამხრეთით“.

20. აღმოსავლეთში მეტად ძვირად ფასობდა რუსეთთან შემო-
ტანილი მორჟის ეშვი, რომელსაც თევზის კბილს უწოდებდნენ. შა-
მამა ეწოდებოდა მომცრო ნესვის მსგავს ნაყოფს, რომელიც არ იჭ-
მევა, მაგრამ სასიამოვნო სურნელების გამო ძვირად ფასობდა.

თ ა ვ ი LXXIII

1. უნდა იყოს „ბაქოდან ჩრდილოეთისაკენ“.

2. უნდა იყოს: „ისევ ჩრდილოეთისაკენ“.

3. ბაზ ელ-ეზვამ – „კართა კარი“; დარუბანდის ერთ-ერთი სა-
ხელწოდებაა.

4. უნდა იყოს: „ზღვის ნაპირიდან დასავლეთისაკენ“

5. უნდა იყოს: „ჩრდილოეთისაკენ გავემართებით“.

6. უნდა იყოს: „ჩრდილოეთისაკენ ვიარეთ“.

7. დარუბანდის სახელწოდებები.

8. ალექსანდრე მაკედონელს ევლია ჩელები არაბთა ხელმწი-
ფესაც უწოდებს.

9. ალექსანდრე მაკედონელი 13 წელს მეფობდა და 33 წლისა
გარდაიცვალა.

10. ე. ი. მუჰამედის მექადან მედინაში გაქცევის (622 წ.) შემ-
დეგ.

11. ომაელთა მეცხრე ხალიფა აბუბაკრ II (720 – 724).

12. ენდა იყოს: „აღმოსავლეთით“.

13. უნდა იყოს: „ჩრდილოეთის“.

14. უნდა იყოს: „დასავლეთიდან“.

15. **تموس خان** – იგულისხმება კახეთის მეფე თეიმურაზ
I (1634 – 1648).

16. უნდა იყოს: „ჩრდილოეთი“.

17. აქ იგულისხმება სულთან სულიმან I კანუნის დროს ეგვიპ-
ტის განმგებლად დანიშნული მუსტაფა-ფაშა, რომელსაც კოჯა მუს--
ტაფა-ფაშასაც უწოდებდნენ.

18. დედე კორკუდი – ყურბანული ხალხური ეპიკური შემოქმედების „დედე კორკუდის“ ლეგენდარული გმირი, რომელიც აზერბაიჯანში შემოიჭრა და მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა. ლეგენდის მიხედვით, იგი შირვანში გაბატონდა და, როგორც ვხედავთ, ევლია ჩელების დროს ხალხს იგი რეალურ პიროვნებად მიაჩნდა და მის საფლავსაც მიუთითებდა.

თ ა ვ ი LXXIX

1. იბ. В. Ф. Минорский, История Ширвина и Дербенда, Москва, 1963; დანართი IV, „Ибн Руста о Дагестане“, გვ. 217 – 221. იქ „სერირ“ და „ალ-ლან“ სხვადასხვა ქვეყნებია, ევლია ჩელები ქალაქად მოიხსენიებს.

ტრადიციულად ქალაქის აშენება სასანელ შაჰს მიეწერება და იგულისხმება ხოსროვ I ანუ შირვანის შვილი ხორმაზდ IV (579 – 590).

2. წახური – زاحور

3. كاخت – ძნელი სათქმელია რომელი ქალაქი იგულისხმება. ქვემოთ ევლია ჩელები წერს: „... ზაგემის ციხე არ მინახავს, მაგრამ როდესაც კახეთის ციხის ველით (ალაზნის ველი?) გავდიოდი, გრემის ციხე დავინახე, ოღონდ შიგ არ შევსულვარ“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 294).

4. ირან-ოსმალეთის I ომის პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც გაიმართა 1514 წლის 23 აგვისტოს სამხრეთ აზერბაიჯანში ჩალდირანის ველზე (და არა ჩილდირში).

5. შერეფ-ხან ბითლისი – მომთაბარე ქურთული ტომის რუხეჩის ბელადების შთამომავალი. რადგანაც ბითლისის ოლქი ოსმალებმა დაიპყრეს, მისი მფლობელები ირანში გადასახლდნენ. იქ დაიბადა და სეფიანთა კარზე აღიზარდა შერეფ-ხანი. XVI საუკუნის 80-იან წლებში ირანში დაწყებული არეულობის გამო ოსმალეთში გადმოვიდა და სულთნის სამსახურში ჩადგა; სამემკვიდრეოდ მიიღო ბითლისის ოლქი. აქ, 1596 წელს მან დაამთავრა თავისი ორტომიანი თხზულება – „შერეფ-ნამე“. პირველ ტომში მოცემულია ქურთული მომთაბარე ტომებისა და დინასტიების ისტორია და ბითლისის საემიროს ისტორია გეოგრაფიული აღწერილობით; მეორე ტომი ირანის, ოსმალეთისა და შუა აზიის მატიანეს წარმოადგენს და მოიცავს 1290 – 1595 წლების ამბებს. „შერეფ-ნამე“ განსაკუთრებით XVI საუკუნის ისტორიისათვის არის მკვირვასი წყარო

(История Ирана с древнейших времен до конца 18-го века... გვ. 249 – 250).

6. დაუთ-ხანი – დავით XI (1564 – 1579) – სიმონ I-ის მაჰ-მადიანი ძმა, ირანის მიერ ქართლის განმგებლად დანიშნული.

7. შეცდომაა – ირან-ოსმალეთის II ომის პირველ ლაშქრობას სარდლობდა ლალა მუსტაფა-ფაშა და 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილ-დირის ველზე გამართულ ბრძოლაში ოსმალეთის ჯარმა დაამარცხა ყიზილბაშების ჯარი. ოსმალების წინააღმდეგ გამართულ ამ ბრძოლაში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას.

8. აქ მოცემულია „ურჯულოების“ წინააღმდეგ მოწყობილ „სადვთო ომში“ გამარჯვებული მუსლიმების ტრადიციული ულტიმატუმი.

9. თბილისის ვილაიეთის დაარსება, გადასახადების გაწერის მიზნით მისი აღწერა დადასტურებულია, რადგან არსებობს ოსმალეთის მიერ შედგენილი თბილისის დავთარი. ოსმალური წესების შემოღებას განხორციელება არ ეწერა და ქართველი ხალხის ბრძოლამ თბილისის დავთარი ფარატინად აქცია (თბილისის დაპყრობისა და ქართლში ოსმალური მართვა-გამგეობის შემოღების ცდების შესახებ იხ. მ. სვანიძის „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან. XVI – XVII“, თბილისი, 1971, გვ. 113 – 116).

10. სოლაკ-ფერჰად-ფაშას ძე მეჰმედ-ფაშა – ჯერ სანჯაყის ბეგი იყო, შემდეგ დააწინაურეს და კასტამონიის ბეგლარ-ბეგი გახდა; 1577/1578 წ. ყარსის ბეგლარ-ბეგად დაინიშნა და ლალა მუსტაფა-ფაშას ლაშქრობაში მონაწილეობდა ირანის ომში (სიჯილ-ი ოსმანი, VI, 124). ამ ლაშქრობის დროს თბილისის პროვინციის გამგებლად დაინიშნა (ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 42). 1579 – 1580 წ. ირანის ომში მონაწილეობდა. 1582 წლიდან დიარბექირის ბეგლარ-ბეგი ოიო და 1584 წელს ირანთან ომში მოკლეს (სიჯილ-ი ოსმანი, IV, 124).

11. თბილისის ციხის ალყა, ოსმალთა გაჭირვება და მუსტაფა-ფაშას მიერ ალყაშემორტყმულთა გათავისუფლება ევლია ჩელების გადმოღებული უნდა ჰქონდეს იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორიიდან“. იქ მოხსენებული მუსტაფა-ფაშა ადრე ლალა-ფაშას ქეთხუდა იყო, შემდეგ ბეგლარ-ბეგობა მიიღო და მარაშში დაინიშნა ვალის თანამდებობაზე. ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს და 1594/1595 წ. ირანთან ომში დაიღუპა (ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები... გვ. 54 და 125, შენიშვნა 72).

12. იმამ-ყული-ხანი – ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი, ყიზილბაშთა სარდალი.

13. სწორი არაა – სულთანი მუსტაფა I ტახტზე ავიდა 1617 წელს; თბილისი კი 1606 წელს დაიკავეს სპარსელებმა და „თბილისიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ, ქართლში ფაქტიურად დამთავრდა ე. წ. „პირველი ოსმალთა“ (1578 – 1606 წწ.)“. (იხ. მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 237).

14. იგულისხმება შაჰ-აბას I, რომელიც თბილისში შემოვიდა 1606 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც მისმა სარდალმა ალი ყული-ხანმა უბრძოლველად დაიკავა იგი.

15. ევლია ჩელები აქაც არ ღალატობს ტრადიციას და სასანელთა შაჰს მიაწერეს თბილისის აშენებას.

16. ე. ი. მეციხოვნეები სპარსელები არიან და სპარსულად ადიდებენ ღმერთს – خدا خوب – „კეთილ არს ღმერთია“.

17. ევლია ჩელები საგანგებოდ აღნიშნავს ამ გარემოებას, რათა თბილისზე ოსმალების უფლება დაამტკიცოს: შიიტმა ყიზილბაშებმა თბილისიდან განდევნეს სუნიტი ოსმალები მაშინ, როდესაც „მცხოვრებათა უმრავლესობა ოსმალთა დროიდან მოყოლებული სუნიტებია“. თბილისში ოსმალების ბატონობა (1578 – 1606) აქ არაფერ შუაშია; საქმე ისაა, რომ თბილისის მუსლიმი მოსახლეობის დიდი ნაწილი შირვანიდან იყო ჩამოსახლებული; შირვანელები კი სუნიტობის მიმდევრები იყვნენ (ჰანეფი, შაფი – ორთოდოქსალური ისლამის – სუნიტობის ძირითადი მიმდინარეობანია).

18. მტკვრის ეტიმოლოგიისათვის იხ. აკად. ს. ს. ჯიქიას რეცენზია ა. ახუნდოვის შრომაზე – А. Ахундов, Этимология слова „Кура“ (Ученые записки АГУ, № 10, Баку, 1956). რეცენზია გამოქვეყნებულია თბილისის უნივერსიტეტის „შრომების“ 91-ე ტომში (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბილისი, 1960, გვ. 444 – 448). ევლია ჩელების მსჯელობა მტკვრის ეტიმოლოგიაზე განხილულია 448-ე გვერდზე.

19. کوسخت – „ქუსხეთ“ შეიძლება „ქვიშხეთს“ აღნიშნავდეს და ამ შემთხვევაში ევლია ჩელების თანმიმდევრობა არევია (ქვემოთ წერს, რომ თბილისიდან 4 საათში ჩავიდა ამ პუნქტში და მერე გორში მივიდა), ან კორექტორული შეცდომაა და مسخت „მსხეთ“ „მცხეთა“ უნდა იყოს.

20. ტექსტში კორექტურული შეცდომაა და წერია – لوری ნაცვლად کوری – „გორი“.

21. ტექსტშია – سوران – „სურან“.

22. ازغور – (დაწვრილებით იხ. სერგი ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი III, თბილისი, 1956, გვ 121).

თ ა ვ ი LXXV

1. შესწავლილი აქვთ აკად. ს. ჯიქიას (იხ. С. Джикия, Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках, „Советское языкознание“, II, Л-д, 1936) და რ. ბლაიხშტაინერს (იხ. R. Bleichsteiner, Die kaukasischen Sprachproben in Evliya Çelebis Seyahatname, Caucasia, II, 1934).

2. უწმაწური გამოთქმაა და თარგმანში გამოვტოვეთ.

3. რთული ასოებით დაწერილი ქართული სიტყვა და მისი თურქული შესატყვისიც გაუგებარია (ქართ. ایرი და თურქ. ايدر).

4. აღმოსავლურ წყაროებში გავრცელებული ლეგენდაა ქვემოთ მოხსენებული ამბავი. დაახლოებით ასე აქვთ წარმოდგენილი „ქართველი მეფეების წარმომავლობა“ თავიანთ თხზულებებში ოსმალთა ისტორიკოსებს იბრაჰიმ ფეჩევისა და ალი ჩელების (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები... გვ. 116, შენიშვნა 62).

5. ტექსტში კორექტურული შეცდომაა – დაბეჭდილია کوتانس (; – „ნ“ ნა(კვლად ; – „თ“-სი).

6. آخر قسقه – „ახისკა“; آخر قسقه – „ახისკა“; آخر قسقه – „ახისკა“; آخر قسقه – „ახისკა“ (ახალციხის შესახებ იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი, III, თბ., 1958, გვ. 42 – 50).

7. ომაელთა დინასტიის მე-10 ხალიფა ჰიშამი (724 – 743); ქვემოთ მოთხრობილ ამბავში იგულისხმება არაბთა ლაშქრის შემოსევა საქართველოში მერვანის (მურვან ყრუს) სარდლობით 736 – 738 წლებში.

8. თემურის შემოსევამდე თურქმანულ შავბატკნიანთა ბაჰარ-ლუს ტომის ბელადი ყარა იუსუფი აზერბაიჯანში გაბატონებისათვის იბრძოდა. თემურ-ლენგის შემოსევის დროს აჰმედ ჯალაირთან ერთად გაიქცა სირიისა და ეგვიპტის მამლუქთა სულთან ფარაჯთან და იქ 1406 წლამდე ტყვეობაში იყო 1406 წელს დაბრუნდა და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, 1410 წელს დააარსა შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო, რომლის მბრძანებელი 1420 წლამდე იყო.

9. აქ ევლია ჩელების არეული აქვს ქრონოლოგიაც და მოვლენებიც: ა) სხვა წყაროებით არ დასტურდება, რომ ყარი იუსუფმა ოსმალეთის სულთან ბაიაზეთ I-თან შეაფარა თავი, სანამ სირიაში გაიქცეოდა ეგვიპტის მამლუქთა სულთანთან; ბ) თემურ-ლენგი 1405 წელს გარდაიცვალა და უზუნ-ჰასანი მას ვერ შეხვდებოდა, რადგან იგი

თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს 1453 წელს ჩაუდგა სათავეში (1478 წლამდე). შესაძლებელია, რომ უზუნ-ჰასანის სახელის ქვეშ თეთრ-ბატკნიან თურქმანებს გულისხმობს ევლია ჩელები, რადგანაც შავ-ბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა ტომების ერთმანეთთან ბრძოლების დროს „შავბატკნიანები თემურის მტრები იყვნენ და თეთრბატკნიანები მისი მოკავშირეები“ (იხ. И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., „Сборник статей по истории Азербайджана“, вып. I, Баку, 1949, გვ. 167). ეს იმ პერიოდს უხება, როდესაც თეთრ-ბატკნიანთა სათავეში იდგა ყარა-იულუკი (1378 – 1435).

10. სულთანი ბაიაზედ II (1481 – 1512). საქართველოზე შაჰ-ისმაილის ყაჩაღური თავდასხმები ევლია ჩელების წარმოდგენილი აქვს, როგორც „საქართველოს ხალხის დაპყრობა და დამორჩილება“.

11. გურჯისტანი – აქ იგულისხმება „გურჯისტანის ვილაიეთი“ („ჩილდირის ვილაიეთი“), რომელიც მხოლოდ 1579 წელს შეიქმნა. მანამდე კი ტრაპიზონის ვილაიეთის განმგებელი სელიმი (შემდეგ სულთანი 1512 – 1520) 1510 წლის ოქტომბერში სამცხეზე გამოვლით დასავლეთ საქართველოში შემოვარდა, ქუთაისი, გელათი და მათი სანახები დაარბია და უკან გაბრუნდა. საქართველო არ დაუმორჩილებია (ამ ლაშქრობის შესახებ იხ. მ. სვანიძის დასახ. შრომა, გვ. 41 – 45).

12. აქ რიცხვნიშნების სათვალავი არეულია და შეუძლებელია თარიღის დადგენა (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კორექტურული შეცდომის შედეგად შემდეგ შენიშვნას 13-ის მაგივრად დასმული აქვს 14).

14. ტექსტშია **بتك** – რაც კორექტურული შეცდომაა; უნდა იყოს **بنك** – „ფანაკი“ (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 560).

15. ტექსტშია **صاسين** – „სასინ“. ასეთი პუნქტი არ დასტურდება; შესაძლოა კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს **باسين** – „ფასინ“ – ბასიანი.

16. ტექსტშია – **خطله**

17. ევლია ჩელების მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ირან-ოსმალეთს შორის 1639 წელს დადებული ზავის საფუძველზე ირანმა საბოლოოდ სცნო ოსმალეთის უფლება სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე.

18. ტექსტშია – **ارغون** „არღუნ“; კორექტურული შეცდომა უნდა იყოს. აწყურის ასეთი დაწერილობა არსად არ გვხვდება.

19. შეცდომაა – უნდა იყოს „მტკვარი“.

20 საფარ-ფაშა – იგივე ბექა, რომელიც 1582 წელს სტამბოლში წაიყვანეს და გაამაჰმადიანეს. თავისი ბიძა, მანუჩარ III მოკლა და ამით ბოლო მოუღო სამცხეში შემორჩენილ ათაბაგობას. 1628 წელს საფარ-ფაშა ახალციხის ჩილდირის ფაშად დაინიშნა და 1651 წლამდე განაგებდა მას (იხ. მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 300 – 303).

თ ა ვ ი LXXVI

1. خرتيز – „ხერთიზ“ – ხერთვისი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მისი დაწერილობაა – خرتوس (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის... წიგნი III, გვ. 242).

2. برسان – ფარაქანი; „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ეს პუნქტი – بره كن – ფარაკანი, იგივე არტანის ქალაქი (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის... წიგნი III, გვ. 503).

3. ევლია ჩელები ქუთაისის ძველ ქართულ ფორმას – گوتائس „ქუთათისი“ – ხმარობს ნაცვლად სხვა ოსმალთა ავტორებთან ხმარებული კოლხური ფორმისა – گوتاش – „ქუთაში“ ქუთაშის შესახებ იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები... გვ. 121, შენიშვნა 64).

4. ძნელია თქმა, რა სიტყვის დამახინჯების შედეგად მივიღეთ ეს ფორმა.

5. خجرك „ხაჯარაქ“ „ჭაჭარაქის“ თურქიზებული ფორმა უნდა ყოფილიყო – ჯაჯარაქი, ი. ჰამერს ეს ფორმა დაბეჭდილი აქვს Chadschrek „ხაჯრექ“ად (GR. II, 865, იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის..., წიგნი III, გვ. 209 – 2100. რადგან ასეა, ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ ამ სიტყვის პირველი ასოა „ხ“ კორექტურული შეცდომა არ არის და ასეთი ფორმითაც იხმარებოდა თურქულში ქართული „ჭაჭარაქი“.

6. ميطان – „შაითან“. ქაჯის ცახის სახელწოდება, ისევე როგორც ბევრი სხვაც, თურქებმა თარგმნეს და მივიღეთ „შაითან-ყალა“ (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის..., წიგნი III, გვ. 32, 402 – 405).

7. قزلار – „კიზლარ“ – გოგოები. ჯაყის წყალზე მდებარე ქალის ციხე. ვახუშტისთან არ არის მითითებული. ქალის ციხე მას აღწერილი აქვს თრიალეთში. „აღმოსავლით და ჩრდილოთ უდის მტკვარი, სამხრით ქცია... პირველ ეწოდა მტკვრის ციხე, შემდგომ-

მად ხუნანი. და აწ მოჰამადიანნი უხმობენ – ქალის ციხე – ყიზყალას, დაბის გამო“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 45).

8. **التون، قلعه سه** – „ალთუნ კალესი“ – ოქროს ციხე. პირდაპირი თარგმანია ქართული „ოქროს ციხე“-სი. სოფ. შობყს ზემოთ მდებარეობს (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის..., წიგნი III, გვ. 153).

9. **اودوريا** – „ოდორია“. ოდრიას ციხე ფოცხოვის ლივამში (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის..., წიგნი III, გვ. 465 – 466).

10. **آل قلمه سه** – „ალ კალესი“ – ალის ციხე, ვახუშტის მიხედვით „ალ ზეით არს მთის კალთას, ციხე ალისა. ციხეს უკან არს სოფელი უწლევნი, მთაში (იხ. ვახუშტი... გვ. 81).

11. **يوسه حور** – „ფოსთხურ“ – ფოცხოვი (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის... წიგნი III, გვ. 432 – 433).

12. **شوشاد** „შავშად“ – შავშეთი.

13. **خر به** – ხარება.

14. **آردنجه** – „არდანუჯ“ – „არტანუჯი.

15. **آوخته جه** – უხთეჯი.

16. **ماخجيل** – „მახჯილ“ – მაჭახელა.

17. **چاغسمان** „ჩაღისმან“ – ჯაყისმანი; „ჯაყისუბანი“დან არის მიღებული (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის... წიგნი III, გვ. 454).

თ ა ვ ი LXXVII

1. კოლნავი – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დიდი არტაანის ლივას ტყე-ნაპიეს სოფლად არის დასახლებული – **كلناو** ევლიასთან – **كيناو** – „ქინავ“. „დავთარის“ გამოცემის II წიგნში (გვ. 461) ამოკითხულია, როგორც კილნავი. აკად. ს. ჯიქია „დავთარის III წიგნში, ახალი მასალების საფუძველზე, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს დაწვრილებით უნდა წავიკითხოთ – მგლინავი. (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის... წიგნი III, გვ. 528 – 530).

2. ტექსტშია თარიღი – 982 (1574). აქ კორექტურულ შეცდომაა, რადგანაც არაბული ٢ (2) და ٦ (6) ადგილი ასარეგია. ჩვენც ამიტომ 986 (1578) ვუჩვენეთ. კომკის ციხე არტაანის ლივამში, ჩრდი-

ლის ჩაპიეში მდებარეობდა (იხ. ს. ჯიქია. გურჯისტანის... წიგნი III, გვ. 520).

3. ე. ი. 1578 წლის ღაშქრობის დროს.

4. **كوكم** თურქულად ნიშნავს ქლიავის ჯიშის ხილის ლურჯ ნაყოფს, შეიძლება – ღოღნოშოს.

5. ტექსტშია **بنك** – ჩვენის აზრით, კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს **بنك** – „ქანაქი“ – ბანაკი (ფანაქის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის... წიგნი III, გვ. 560 – 561). რაც შეეხება „ქართველი მეფის სახელს“ – გაუგებარია.

6. **مامردان** – „მამირდან“ – მამირვანი, იგივე ნარიმანი, რომელიც მდებარეობს ოლთისის სამხრეთით, ოლთისის წყალზე (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის... III, გვ. 576 და გვ. 593, ნარიმანი – იხ. ვახუშტი, აღწერა... გვ. 138).

7. გურჯი ბოღაზი – ქართული სახელწოდების – „საქართველოს ყელის“ ხეობის თურქული თარგმანი (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის... წიგნი III, გვ. 31). „... ეს ხევი არს საზღვარი, ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა. და ხეობა ესე არს ფრიად ვიწრო, კლდიანი და ტყიანი“ (ვახუშტი. აღწერა... გვ. 141).

თ ა ვ ი LXXVIII

1. ბეჟანი, საფაქი, აფრასიაბი – ძველი ირანის ლეგენდარული გმირები.

2. „მუსთანსირი“ შეცდომითაა; უნუ იყოს მუსთასირი – აბასელთა უკანასკნელი ხალიფა (1242 – 1258); 1258 წელს ილხანმა ჰულაგუ-ყაენმა აიღო ბაღდადი, მოაკვლევინა ხალიფა მუსთასირი და ბოლო მოუღო აბასელთა ხალიფობას.

3. იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორიის“ მიხედვით ღალა ფაშამ 1579 წ. იენისში ჯაფარ-ფაშასა და ჰასან-ფაშას დაავალა უავგუსტოესი ღაშქრობის ჩატარება და ყარსის ციხის შეკეთება (იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები... გვ. 54).

4. ევლია ჩელები მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სპარსელებს სძულდათ არაბთა მეორე ხალიფა ომარი (634 – 644), როგორც უზურპატორი, უკანონო ხალიფა და ირანის დამპყრობი.

5. **قنرمان** ყალიზმანი (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის... წიგნი III, 499); იგივე აღზევეანი, მარილის საბადოებით განთქმულ და ქართულ ხალხურ სიმღერაში ასახული.

თ ა ვ ი LXXIX

1. زارش – ზარუშატი. აქ ევლია ჩელები ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე სიტყვების თამაშს მიმართავს – სპარს. زار „ზარ“ – მტირალი; شد – |შოდ“ – გახდა; ე. ი. „ზარ შოდ“ – მტირალი გახდა.
2. როგორც წესი, „შვიდი“ იხმარება ხოლმე.

თ ა ვ ი LXXX

1. სიტყვა-სიტყვით – „შვიდასი სული ქარავნით“ ე. ი. ქარავანში შვიდასი ჯორ-აქლემი იყო.
2. بكم – ბეგუმ (იხ. ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვათა ისტორიიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები“, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III, თბილისი, 1960, გვ. 1 – 13).
3. მომთაბარე ტომების ბელადები იგულისხმებიან.
4. ევლია ჩელების მხედველობაში აქვს შავბატკნიან თურქმანთა მზრძანებლის – ყარა-იუსუფის მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1389 – 1400), სანამ იგი თემურ-ლენგის შემოსევის შედეგად ეგვიპტის მამლუქთა სულთანთან გაიქცეოდა.
5. სიტყვების თამაშია – „ბელ“ – 1. ვიწრობი, ხეობა; 24 წელი; ე. ი. ისეთი ძნელად გასასვლელი ხეობა (ბნელ) იყო, რომ მგზავრებს წელი (ბელ) სწყდებოდათ.

თ ა ვ ი LXXXI

1. بایورت – ტექსტის გამომცემელს აქ შემდეგი შინაარსის შემიშვნა გაუკეთებია: بای („ბაი“) თურქულად მდიდარს ნიშნავს بورت – („ბურთ“) კი ღარიბს აღნიშნავს და „ბაიბურთი“-ს მნიშვნელობა იქნება მდიდარ-ღარიბიო“ (იხ. გვ. 344).
2. قاری محلی – „კარი მაჰალი“ – სიტყვა-სიტყვით – „ქალის ადგილი“.
3. ტურქულ ტექსტში ناض – „ნაზი“-ს ნაცვლად შეცდომით დაბეჭდილია قارصی – „ყარსი“.
4. სეჯადე – მცირე ხალიჩა, რომელიც მუსლიმს თან დაჰქონდა და სალოცავად გაიშლიდა ხოლმე იქ, სადაც ლოცვის დრო მოესწრებდა; ამ შემთხვევაში ხალიჩა მეჩეთის მაგივრობაა უწევდა.

5. ა) სპარს. **جوى** – „ჯუდ“ – ნაკადული, მდინარე; **روح** – „რუჰ“-სული; **جوى روح** – „ჯუდ რუჰ“ – სულის მდინარე.
ბ) **روح** – „რუჰ“ – სული; თურქ. **ايرماق** – „ირმაკ“ – მდინარე; **روح ايرماقى** – „რუჰ ირმაღე“ – სულის მდინარე. ასეთ ხალხურ ეტიჰედიათი ხშირად მიმართვენ ფოთს ფრრ და შათ შო რის ევლია ჩელებიც.

5. **روح** – „ამანით დამორჩილდნენ“ – ე. ი. შეწყალეა ითხოვეს და უომრად დანებდნენ.

6. ტექსტშია – **ديوانه** – „დივანა“.

7. თურქები თავს იპარსავდნენ და წვერი მოშვებული ჰქონდათ; ამიტომ ევლია ჩელებისათვის პირგაპარსული და გრძელთმიანი ქართ-ველები „საოცარი გამომეტყველებისანი იყვნენ“.

8. **كوكلو و فدائي** – თითქმის ყოველ ლაშქრობაში ოსმალთა ჯარს ახლდნენ თავისი ნებით წამოსულთა რაზმები, რომლებიც სა-შოვარზე იყვნენ გამოსული და მოსახლეობის ძარცვის საშუალებით გამდიდრებას აპირებდნენ.

9. ამ დროს საფარ-ფაშა მოხუცებული იყო და ევლია ჩელები მას კოჯას უწოდებს. ზემოხსენებული ამბავი 1647 წლის შემოდგომაზე მოხდა. ეს კიდეე ერთი დასტურია იმისა, რომ გავრცელებული აზრი, თითქოს საფარ-ფაშა 1635 წელს გარდაიცვალა, სწორი არ არის და იგი კიდეე დიდხანს (1651 წლამდე) განაგებდა ახალციხის საფაშოს. (საფარ-ფაშას ახალციხის საფაშოში მოღვაწეობის თარიღების შესა-ხებ დაწვრილებით იხ. მ. სვანიძის მონოგრაფია – „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI – XVII სს“. თბილი-სი. 1971, გვ. 300 – 305).

10. ჩვენის აზრით, ევლია ჩელების მხედველობაში ჰყავს ქარ-თლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I, რომელიც ამ დროს იმერეთში იყო გადასული, ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611 – 1657) და იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639 – 1660).

11. ტექსტში შეცდომით წერია – „არზრუმის ფაშა“; ქვემოთ მოთხრობილი ამბების განვითარება ცხადყოფს, რომ აქ ტრაპიზონის ფაშაზეა სუბარი.

თ ა ვ ი LXXXII

1. **درانيه** – „დერანიდე“.

2. **باجنه** – „ბაჯანა“.

3. **مروء** – „მერვე“.

4. მუსლიმთა წარმოდგენით სამოთხეში ცხოვრობდნენ ულამაზესი ფერიები (ჰურიები); დამასკო და მისი სანახები კი სამოთხის ქვეყნად ესახებოდათ.

5. არაბული ფრაზა (ყურანის 95-ე სურა, მე-4 მუხლი).

6. ყურანის მე-8 სურა, რომელსაც ეწოდება „სამხედრო ნადავლი“, ყველა მუსლიმს ნებას აძლევდა „საღვთო ომში“ დაეხოცა, ან ტყვედ წამოეყვანა „ურჯულოთა“ ქვეყნის მამაკაცები, მონებად ექცია ქალები და ბავშვები და დავლად აეღო ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება (ოქრო-ვერცხლი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, პირუტყვი, სახნავ-სათესი მიწები და ა. შ). მთელი ამ ნადავლის 1/5 (ხუმს) სახელმწიფოს მეთაურისა იყო და 4/5 ლაშქრობის მონაწილე მეომრებს უნდა გაენაწილებინათ.

თ ა ვ ი LXXXIII

1. შესწავლილი აქვს ს. ჯიქიას (იხ. С. Джикия, Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках, „Советское языкознание“, II Л-д. 1936) და რ. ბლაიხშტაინერს (იხ. R. Bleichsteiner, Die Kaukasischen Sprachproben in Evliya Celebis Seyahatname, Caucasica, II, 1934).

2. **فوج** – penis.

3. **جور** vagina.

4. აქ რამდენიმე უწმაწური გამოთქმა თურქული ტექსტის გამომოცემელს გამოუტოვებია.

5. ტექსტშია **جرح وان** უნდა იყოს – **مرح وان** – „მარჯვან“ – მაწონი.

6. **طبله‌لى** – გაუგებარია, რა ცხოველი იგულისხმება.

7. იგულისხმება „შაჰ-ნამეს“ და ხალხური ეპოსის გმირები. სამი ნერიმანის მამა და როსტომის პაპა იყო.

8. **بورلوق و اوللوق**

9. კასიმის პირველი დღე – 1647 წლის 8 ნოემბერი. კასიმი ეწოდებოდა წელიწადის ზამთრის პერიოდს (8 ნოემბერი – 6 მაისი) კასიმის პირველი დღისათვის (8 ნოემბერი) სამხედრო მოქმედება წყდებოდა და ჯარი ზამთრის ყაზარმებში მიდიოდა. ევლია ჩელები-საც ეს აქვს მხედველობაში.

10. თეზქერეჯი აჰმედ-ფაშა დიდვეზირი იყო 1647 წ. IX – 1648 წ. VIII.

11. ჰეზარფარა აჰმედ-ფაშა – იგივე თეზქერეჯი აჰმედ-ფაშა.
12. ქეთენჯი ომარ-ფაშას ძე ბაკა-ფაშა – ადრე ყარსის ვილაიეთს განაგებდა. აქ მეორე სარდლის როლში გვევლინება.
13. **მელამი** – 1. მისტიკოსი, რომელიც ცინიკური ფილოსოფოსის ცხოვრებას მისდევს; 2. მელამიების დერვიშთა ძმობა.
14. თაფთაზანი – მაღალგანათებული ადამიანის ნიმუშად ითვლებოდა აღმოსავლეთში იხ. თავი XIX, შენიშვნა 8.
15. არაბული ფრაზა.
16. იგივე კოჯა ყაზი **სეიდ** აჰმედ-ფაშა – აღწერილი ამბების დროს იგი თორთუმის სანჯაყის ბეგი იყო. შემდეგ ხანებში (1658 – 1659) ბოსნას ვილაიეთს განაგებდა.
17. **فر تو نه** – მიჰყიდა“. **فر تو نه** – ბედი, ფორტუნა; შეიძლება ასე გავიგოთ: „მიჰყიდა მავან კაცს, ვინც მისი ბედი იყო“.
18. ზრინის ძე და დეგანის ძე – „ზრინის ძეს“ ოსმალები უწოდებდნენ ხორვატთა მთავრებს. მათ შორის ენერგიული ბრძოლით გამოირჩეოდა მიკლოშ ზრინი (1620 – 1664), რომელიც 11647 წლიდან ხორვატიის ბანი იყო და მთელი სიცოცხლე მოანდომა ხორვატიიდან ოსმალების განდევნას „დეგანის ძე“-ს (უნდა იყოს ბაკანის ძე) ევლია ჩელები უწოდებს ზრინის წინაპრებს, რომლებმაც სახელი გაითქვეს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში.
19. ქუთფაჯ-ფაშა – ამ პიროვნების შესახებ ევლია ჩელების გარდა ვერსად მოვიძიეთ ცნობები.
20. დელი დილავერ-ფაშა – თორთუმის სანჯაყის ბეგად დაინიშნა 1639 წელს; ბასრაში ილაშქრა და უკვალოდ დაიკარგა 1667 .
21. ყარა მუსტაფა-ფაშა – წარმოშობით ალბანელი იყო. დიდვეზირის თანამდებობაზე მურად IV-მ დანიშნა 1639 წლის იანვარში და იბრაჰიმ I-მა გადააყენა 1644 წლის თებერვალში.
22. დავთარდარ ზადე მეჰმედ-ფაშას შესახებ, გარდა ქვემოთმოყვანილი მისი თავგადასავლისა, იხ. თავი XLVIII, შენიშვნა 12.
23. არაბული ფრაზა.
24. გურჯი კოჯა მეჰმედ-ფაშა – არზრუმში ანატოლიის ბეგლარ-ბეგობიდან გადმოიყვანეს. შემდეგ იგი ალეპოს ბეგლარ-ბეგი იყო და შემდეგ – ბუდინისა.

თ ა ვ ი LXXXV

1. სიტყვა-სიტყვით – „მზარეულების მარილი“.
2. თარიღი 855 (1451) შეცდომაა; ამასია და ერზინჯანი ოსმალებმა დაიპყრეს 1392 წელს.

3. სიტყვების თამაშია – სულთან ბაიაზეთ I-ის მეტსახელი იყო „ილდირიმ“ – ელვა.

4. ევლია ჩელები ამ ამბავს მეორედ აღნიშნავს (იხ. თავი LXXV, შენიშვნა 8 და 9).

5. მამლუქთა სელთანი ამ დროს იყო ნასირ ად-დინ ფარაჯი (1399 – 1405). ზაჰირ სეიფ ად-დინ ბარკუკი მანამდე ორჯერ იყო მამლუქთა სულთანი (1382 – 1389 და 1390 – 1399).

6. უზუნ ჰასანი თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს მბრძანებელი იყო 1453 – 1478 წლებში.

7. იგულისხმება ოსმალეთის ტახტისმადიებელ უფლისწულთა ბრძოლა 1402 – 1413 წლებში, რომელსაც დაერთო შინაფეოდალური ბრძოლები და გლეხთა აჯანყებები (იხ. თავი IV, შენიშვნა 8).

8. ეზუნ ჰასანი თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა მეჰმედ II-ის ტახტზე ასვლის (1451 წ.) 2 წლის შემდეგ, 1453 წელს და მას შემდეგ იწყება ბრძოლა ამ ორ სახელმწიფოს შორის. უზუნ ჰასანზე რომ საუბრობს, ევლია ჩელების მხედველობაში ჰყავს, საერთოდ თეთრბატკნიანი თურქმანები.

9. ე. ი. ერზინჯანის მეციხოვნეები ვაჭრობასაც ეწევიან.

10. იგულისხმება ჯელალ ედ-დინ **რუმე**.

11. არაბული ფრაზა.

12. მუსლიმურ გადმოცემებში იხსენიება ჩადის არაბული ტომის სილამაზით განთქმული ქალები. ჩადის ტომის შესახებ ლეგენდა ყურანშიც აისახა. ამ ტომის წევრები სიმდიდრით, არაჩვეულებრივი ახოვანებითა და სილამაზით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამაყნი და ქედმაღლები იყვნენ. ისინი არ დაემორჩილნენ მოციქულებს თა ალაჰმა გაანადგურა (ყურანის მე-10 სურა).

13. თურქულ ტექსტში აქ და ქვემოთ დაბეჭდილია „ვ ა რ ვ ა რ ალი-ფაშა“.

14. ვადიდე სულთან – „სულთნის დედა“. საპატიო ტიტული იყო ქალისა, სანამ მისი შვილი ტახტზე იჯდა. ამ დროს სულთანი იყო იბრაჰიმ I; მისი და მურად IV-ის დედა მაჰ-ფეიქარ-სულთანი (იგივე ქოსემ-სულთანი) იყო. სანამ მურად IV ახალგაზრდა იყო (იგი 11 წლისა აიყვანეს ტახტზე 1623 წელს). სახელმწიფოს დედამისი, სასახლის აღზევებული წარჩინებულები და იანიჩრების ალა მართავდნენ. დავაჟკაცებულმა მურად IV-მ 133 წლიდან დედამისი სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორა. როდესაც მურად IV გარდაიცვალა (1640) და ტახტზე მისი ძმა იბრაჰიმ I ავიდა, დედამისი ისევ გამოვიდა ასპარეზზე და აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. იგი თავის მცირე-

წლოვანი შვილიშვილის, მეჰმედ IV-ის, ტახტზე ასვლის შემდეგაც (მეჰმედ IV 7 წლისა აიყვანეს ტახტზე 1648 წ.) ერთხანს აქტიურად მოღვაწეობდა.

15. ესენი სულთან იბრაჰიმ I-ის კარზე აღზევებული მოხელეები იყვნენ და სულთნის დედას (ქოსემ სულთანი) აღარ აძლევდა ხელს მათთან ერთად ქვეყნის მართვა. განსაკუთრებით აღზევდა უხეში ავანტურისტი ჯინჯი ხოჯა (იგი 1648 წლის აგვისტოში მოკლეს დიდვეზირ აჰმედ-ფაშასთან ერთად, როდესაც შეთქმულებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს იბრაჰიმ 1). ევლია ჩელების სიტყვებიდან ჩანს, რომ ვარდარ ალი-ფაშა იცოდა სტამბოლში შეთქმულების მონაწილეთა შორის სულთნის დედაც რომ იყო; შეთქმულები წინადადებას იძლეოდნენ, ვარდარ ალი-ფაშას მომხრეები ემოვა, სტამბოლზე გაელაშქრათ და დასასჯელად მოეთხოვათ აღზევებული მოხელეები.

თ ა ვ ი LXXXVI

1. ეს კიდეც ერთი ლეგენდაა თბილისის ამშენებლის შესახებ.

2. „ყარა“ – შავი „ჰისარ“ – ციხე.

3. 

4. საფარ-აღა – იგულისხმება ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთის ფაშა საფარ-ფაშა (ბექა), რომელიც ვეზირის ხარისხით განაგებდა საფაშოს 1628 – 1651 წლებში. პირველი შემთხვევაა, როდესაც ევლია ჩელები მას საფარ-აღას უწოდებს.

5. იგულისხმება სულთან მეჰმედ II ფათიჰი – კონსტანტინეპოლის დამპყრობი.

6.  – აქ კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს  სამუდის ტომი, ლეგენდით, უძველესი არაბული ტომი იყო, ისევე, როგორც ადის ტომი (იხ. თავი LXXXV, შენიშვნა 12), გამოირჩეოდა ახოვანებით და ურჩობისათვის დასაჯა ალაჰმა (ყურანი, მე-10 სურა).

7. ეს მოხდა 1473 წელს. კოჯა მაჰმუდ-ფაშა ორჯერ იყო დიდვეზირის თანამდებობაზე; პირველად – 1453 წ. ივლისიდან 1466 წლის აგვისტომდე და მეორედ – 1472 წლიდან 1473 წლის 29 ივლისამდე.

8. ზემოთ ევლია ჩელების ნახსენები აქვს 1057 წლის ზულჰიჯას თვე. იმ წელს ზულ ჰიჯა დაიწყო 1647 წლის 28 დეკემბერს ყურბან ბაირამის დღესასწაული იანვრის ბოლოს მოდის ე. ი. საუბარია 1648 წლის იანვრის ამბებზე.

9. ხალხური ეტიმოლოგია – „ლადიქ“ არაბულ-თურქული გამოთქმა ჰგონია – لا – „ლა“ არაბულად უარყოფის ნაწილაკია – „არა“ ; ديك „დიქ“ – თურქული ბრძანებითის ფორმა – აღმართე! لا ديك არა, აღმართე!

10. კასრ-ი ხავარნაკ – სასანიანთა ირანში აშენებულ დიდ-ბული სასახლე (იხ: თავი LXI, შენიშვნა 39).

11. معره

12. حمام – „ჰამამ“ – არაბ. – „აბანო“.

13. كرماب قدرت – სპარს. „ბუნებრივი ცხელი წყალი“.

14. فوزه

15. ايليسى – „ილისი“ დიალექტური ფორმაა ايليجه – „ილიჯე“-დან – ცხელი წყარო.

16. كرنده

17. ايليجه – თურქ. „ცხელი წყარო“.

18. قينارجه – თურქ. „ცხელი წყარო“.

19. يانار

20. قز كوزى – „გოგოსთვალი“.

21. სიტყვების თამაში: „დილავერ-აღა თავისი სახელის შესაფერისად... გულადი იყო“ – სპარს. دلاور – „დილავერ“ – გულადი.

თავი LXXXVII

1. وصاىاى قد سيه

2. روحى – „რუჰი“; ამ ფსევდონიმით რამდენიმე მწერალია ცნობილი. ეს არის შეიხი აბდ არ-რაჰიმ ბენ ემირ მერზიფონი.

3. სიმეზიანი საკრავებია.

4. كوبرو – „ქოფრუ“ – ხიდი.

5. ისლამის წარმოშობასთან დაკავშირებული ლეგენდებისათვის დამახასიათებელია ისლამადელი ნაგებობების „ნგრევა“.

6. დიდ აჯანყებას, რომელსაც ყარა-იაზიჯი ხელმძღვანელობდა „ფირარიების“ (გაქცეულები) აჯანყებასაც უწოდებენ. ავსტრიასთან ომის დროს, 1596 წლის ბოლოს, ოსმალეთის ჯარში შერჩეული იყო მასობრივი დეზერტირობა. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ რეგულარული ჯარისა და ფეოდალური ლაშქრის მრავალი მეომარი ან

ბრძოლის დროს გაიპარა, ან საერთოდ არ გამოცხადებულა სალაშქროდ. სულთნის ფირმანით სიფაჰიებს ჩამოერთვათ სამხედრო ლენები (თიმარები და ზეამეთები), დაქირავებული ჯარის მეომრები გარიცხნენ და ყველას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. მათ შეადგინეს ის დაჯგუფება, რომლის გარშემო შეიკრიბა სულთნის მთავრობის პილიტიკით უკმაყოფილო ელემენტები და პირველ რიგში – ფეოდალური ექსპლოატაციით გაწამებული გლეხობა.

ოსმალურ წყაროებში არ არის ცნობილი, რომ ყარა-იაზიჯი მონაწილეობას იღებდა ავსტრიასთან ომში, მაგრამ რეპრესიები მასაც შეეხო, რადგანაც ფეოდალთა დიდი ნაწილი ლაშქრობაში გამოუცხადებლობისათვის იყო დასჯილი (იხ. А. С. Тверитинова, Восстание Кара Языджи – Дели Хасана в Турции, М-д, 1946, გვ. 54). ევლია ჩელების ცნობა ამიტომ არის საინტერესო და გასათვალისწინებელი, რადგანაც იგი ხაზგასმით ამბობს, რომ ყარა იაზიჯი ავსტრიასთან ომში მონაწილეობას იღებდა, გამოიქცა და მის შემდეგ აჯანყდა.

7. აქ ევლია ჩელების მხედველობაში ჰყავს მეჰმედ-ფაშა, რომელიც ამ დროს ქალაქ ქოფრუში იყო. ქოფრულუ მეჰმედ-ფაშა 1656 წლის 26 სექტემბრიდან 1661 წლის ოქტომბრამდე დიდვეზირის თანამდებობაზე იყო და საფუძველი ჩაუყარა ქოფრულულების დიდვეზირების დინასტიას.

8. ქალაქ გუმუშში ვერცხლის საბადოები იყო და მისი სახელწოდებაც აქედან არის (ჯუმუშ – ვერცხლი). ევლია ჩელები მიგვანიშნებს, რომ ცეცხლის პირას მსხდომთ წვის შედეგად მიღებული ვერცხლის მავნე გამოწვევით მოხვდათ თვალში და დაბრმავდნენ მისი აზრით, ეს განგების ძალით მომხდარი შურისძიება იყო მოსახლეობის აწიოკებისათვის.

9. უფალი ხიზრი – მუსლიმური ლეგენდების მიხედვით ეს იყო სასწაულმოქმედი, რომელმაც უკვდავების წყალი იპოვა, უკვდავი გახდა და მას შემდეგ დედამიწაზე კეთილ საქმეებს სჩადის. ზოგ ლეგენდაში წინასწარმეტყველადაა გამოყვანილი, ზოგში იგი წმინდანია, რომელიც გაჭირვებულებს (განსაკუთრებით მოგზაურებს) მხსნელად ევლინება. ხიზრს შეუძლია მიწაში წყალი აღმოაჩინოს, ზღვებს განაგებს და მსოფლიოს ყველა ენა იცის. ზოგ ლეგენდაში ხიზრი ილიასთან (ბიბლიური წინასწარმეტყველი) ერთად მოქმედებს.

10. სიტყვების თამაშია: – „კირკდილიმის მთა“ – „კირკ“ – ორმოცი; „დილ“ – ენა; „კირკდილ“ – ორმოცი ენა. „ბელ“ – ხეობა, წელი. „კირკდილიმის მთაზე გადსვლის დროს ენები ორმოც-

ორმოცდაათ ნაჭრად დაუსკდათ და ხეობაზე გავლის დროს წელი მოსწყდათ“.

11. ბარდაქ-სურა; სოფ. ბარდაქჩი – სახელწოდება მიღებულია მისი მცხოვრებლების საქმიანობის – მეთუნეობის მიხედვით.

12. ჩორუმი – ხალხური ეტიმოლოგიით: „ჩორ-ი რუმ!“ – რუმის კვერთხი.

13. „ხელი მოვითბეთ“ – აჯანყებული ფაშის ჯარი ოსმალეთის მოსახლეობას არბევდა და თავს ირჩენდა.

14. პაჯაჯისებური ძალადობა (სისასტიკე, შეუბრალებლობა) – ტრადიციული გამოთქმა აღმოსავლურ ფოლკლორში და მწერლობაში. პაჯაჯ იბნ იუსუფი ომაელთა სახალიფოს დიდი მოხელე იყო. ხალიფა აბდ ალ-მალიქის დროს (685 – 705) აღზევდა. 694 წელს იგი ერაყის მმართველად დაინიშნა. შემდეგ ხორასანსაც განაგებდა. სასტიკი, ვერაგი და ხარბი მმართველი იყო; ცეცხლითა და მახვილით სპობდა ომაელთა დინასტიის მოწინააღმდეგეებს, უმძიმესი გადასახადები დააკისრა მოსახლეობას და სისხლში აღრჩობდა აჯანყებულებს. ამიტომაც მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში მისი სახელი სისასტიკისა და ძალადობის სიმბოლოდ იქცა.

15. ზემზემი – ჭა მექაში, ქააბას ტაძრის სიახლოვეს; მუსლიმები მას სასწაულმოქმედად თვლიან და მის სახელწოდებას უწმინდესი და უგემრიელესი წყლის სინონიმად ხმარობენ.

16. აქ რამდენიმე უწმაწური სიტყვაა.

17. ე. ი. კედლები მოხატული იყო ყურანის იმ მუხლებიდან ამოღებული წარწერებით, რომლებიც შეიცავენ არაბულ სიტყვებს: „ყოველთვის, როდესაც კი შედიოდა ზაქარია მასთან მიჰრაბში (ყურანის მესამე სურა, 32-ე მუხლი), „ალ-ქურსი და „ამან არ-რასულ-

თ ა ვ ი LXXXVIII

1. ამ, წინწკლებში მოტანილი, წინადადების შესახებ ევლია ჩელები ამბობს, „ჩიტის ენაზე ვთქვიო“ და შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი – სიტყვის ყოველ მარცვალს ურთავს „ჯ“-ს და მარცვლის ხმოვანს (ჟა. ჯი...).

2. მხედველობაში აქვს დერვიშთა როკვის შესასრულებელი მოედნები.

3. შობას – („მევლიდ“ – მუჰამედის დაბადება) – მუსლიმები დღესასწაულობენ ჰიჯრის მესამე თვის (რეზი ულ-ევველის) 12 რიცხვს ევლია ჩელების მოგზაურობის ამ წელს (1648) შობა მოდიოდა 6 აპრილს.

4. სპარსული **انگور** – „ანგურ“ – ყურძენი.
5. **انقره** – „ანკარა“ – (ევლია ჩელების ამ არაბული სიტყვის ძირის ერთ-ერთ მნიშვნელობად – „იძულება“ გამოჰყავს).
6. არაბული **سلاسل** – „სილასილ“ – ჯაჭვები.
7. **اتبازار** – ცხენის ბაზარი.
8. მუჰამედის მიმდევართა წიგნი – ყურანი, რომლის ზეპირად მცოდნეს ჰაფიზს უწოდებდნენ.
9. ზედა ტანსაცმელია.
10. მუმეიზი – განსხვავებული, დამახასიათებელი. ასევე ეწოდებოდა ერთგვარ ქსოვილსაც.
11. **فرنگستان** – „ფრენგისტან“ – უმეტეს შემთხვევაში ვვ-როპა იგულისხმება, ზოგჯერ – საფრანგეთი. ამ შემთხვევაში საფრანგეთი ვარჩიეთ, რადგან ამ დროს სწორედ საფრანგეთთან ჰქონდა ოსმალეთს გაცხოველებული ვაჭრობა ქსოვილებით.

თ ა ვ ი LXXXIX

1. ბოზა-ხანე/ბუზა-ხანე ეწოდებოდა დუქანს, სადაც უაღკოჰოლო გამაგრებულ სასმელს სვამდა და ერთობოდა „მდაბიო ხალხი“ მაღალი საზოგადოების წევრისა და მით უმეტეს, სასულიერო პირთათვის სასირცხვილოდ ითვლებოდა ბუზა-ხანეში შესვლა და დროსტარება.

თ ა ვ ი XC

1. ჰაჯი **ბაირამ-ველ** – XIV საუკუნეში ბაირამელ დერვიშთა ორდენის წმინდანად აღიარებული შეიხი.
2. ე. ი. აჯანყებული ფაშის მომხრეებს არ უნდოდათ უნებართვოდ შესულიყვნენ საკუთარი (მუსლიმური) ქვეყნის ქალაქში; ეს იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ აჯანყებულ ფაშას მყარი დასაყრდენი არა ჰქონდა საკუთარ ჯარში.

თ ა ვ ი XCII

1. განგების ღამე – „ძღვევამოსილების ღამე“. მუსლიმთა დღესასწაული, რომელიც ჰიჯრის წელთაღრიცხვის მე-9 თვის – რამაზანის 27-ში მოდის. მუსლიმთა რწმენით, მართლმორწმუნეებს ამ დღეს მოევლინათ ციდან ყურანი (იხ. ყურანის 97-ე სურა, 1 მუხლი)..

2. ვარდან ალი-ფაშა წარმოშობით ბოსნიელი იყო და თავისებურად გამოთქვამდა თურქულ სიტყვებს. ალი-ფაშას ნათქვამი ევლია ჩელების ისევე აქვს ჩაწერილი, როგორც ის გამოთქვამდა.

3. არაბული ფრაზა.

4. ესენი იყვნენ სულთნის ერთგული ფაშები, რომლებიც აჯანყებულ ვარდარ ალი-ფაშას ებრძოდნენ. ვარდარმა დაამარცხა და ორი მათგანი – ქრფრჟლუ მეჰმედ-ფაშა და ყარა საფარ-ფაშა შეიპყრო, გამარცხა და დაამცირა.

5. „ბასრის დანგრევის შემდეგ“ – ე. ი. უდარდელი ვარდარ ალი-ფაშა მოტყუვდა, ხელსაყრელი დრო გამოეპარა და ხმალი რომ იშიშვლა, გვიანდა იყო – ბრძოლა წაგებული ჰქონდა.

თავი XCIII

1. არაბული ფრაზა.

2. حيسى – იბშირ-ფაშას დედა აბაზას ტომისა იყო.

3. აჯანყებულ ვარდარ ალი-ფაშას და დავთარდარ ზადე მეჰმედ-ფაშას (ევლია ჩელების ნათესავსა და მფარველს) გადაწყვეტილი ჰქონდათ, შეერთებული ძალით ემოქმედათ სულთნის ჯარების წინააღმდეგ. პირველ ხანებში მათ იბშირ-ფაშაც უჭერდა მხარს. როდესაც იბშირ-ფაშა ისევ სულთანს გაუერთგულდა, მოულოდნელად დაესხა თავს ვარდარ-ფაშას და დაამარცხა; დავთარდარ ზადე მეჰმედ-ფაშა მიხვდა, რომ საქმე წაგებული იყო და სულთნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად და მისი გულის მოსაგებად შეუტია იბშირის მიერ დამარცხებული ვარდარ ალი-ფაშას ჯარების ნაშთებს.

4. მიფთაჰ – გასაღები. ასე ეწოდებოდა, აგრეთვე, რომელიმე ვნის შესასწავლად შედგენილ თვითმასწავლებელს.

5. მოავია I იბნ აბუ სუფიანი – ომაელთა პირველი ხალიფა (661 – 680). მოავიას სახელთან მრავალი ლეგენდა არის დაკავშირებული და „მოავიას გამოგონილი ფლავიც“ ერთი მათგანი უნდა იყოს.

თავი XCIV

1. راج – გაუგებარია.

2. სულთანი აჰმედ I (1603 – 1617).

3. რაზიფ-ფაშა.

4. تراب – „თურბე“ – აკლდამა. „თურბელს“ – აკლდამიანი. რადგანაც ამ თვეში წმინდანის აკლდამა იყო, ევლია ჩელების მი-

აჩნია, რომ მისი სახელწოდებაც აქედან წარმოსდგება – „თჳრბელნი“ – აკლდამიანი.

5. **طوربا** – „თორბა“ – ტომარა, თოფრაკი (ცხენისა). „თორ-ბალნი“ – თოფრაკიანი.

თ ა ვ ი XCV

1. **صديق** – „სადიკ“ – ჭეშმარიტი მეგობარი, ერთგული, სამარ-თლიანი. მეტსახელი იყო მუჰამედის სიმამრის – აბუბაქრისა, რომელიც მუჰამედის ყველაზე ძველი და ერთგული მეგობარი იყო. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ ხალიფად აირჩიეს (632 – 634).

2. ვონსტანტინეპოლი ოსმალებმა დაიპყრეს 1453 წლის 29 მაისს.

3. ბიბლიური იოსებ მშვენიერის თავგადასავლის თემაზე აღმოსავლეთში უამრავი ნაწარმოები შეიქმნა. ადრევე ყურანში (მე-12 სურა) აისახა იგი; შემდეგ აღმოსავლეთის (ინდოეთის, არაბეთის, ირანისა და ოსმალეთის) გამოჩენილი პოეტების თემად იქცა იოსებისა და ზულეიხას სიყვარულის ამბავი. ოსმალურ ლიტერატურაში სპარსელი პოეტის – ჯამის „იოსებ და ზულეიხას“ გავლენით შეიქმნა მრავალი ვერსია. მათ შორის პირველი იყო **ჰამიდნი** მუჰამედ ჰამდულ-ლაჰი (1449 – 1509), რომელმაც ფირდოუსისა და ჯამის მიზამდვით შექმნა „იოსებ და ზულეიხას“ თურქული ვერსია. აჰმედ ჩელეზის „იოსებ და ზულეიხა“ ერთ-ერთი ასეთი მიზამდვაა. („იოსებ და ზულეიხას“ ქართული ვერსიების შესახებ იხ. ალ. გვახარია „იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“, თბილისი, 1958).

4. შემს (შამს) თავრიზელი – **მელამის** (ცინიკურად განწყობილი ფილოსოფიის) მიმდევარი მოგზაური დერვიში იყო. 1244 წელს კონიაში ჩავიდა, სადაც გაიცნო ჯელალ ედ-დინ **რუმინი** და დიდი გავლენა მოახდინა მისი ფილოსოფიური და ეთიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. შემსისთან ურთიერთობის შედეგად დაიწყო ჯელალ ედ-დინ რეჰიმ ლექსების წერა ამ ორი ადამიანის დაახლოებას და მეგობრულმა დამოკიდებულებამ გარკვეულ წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია. ფაქტია, რომ ფანატიკოსები თავს დაესხნეს შემსის და მოკლეს. ამ მკვლელობის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს (ერთი ვერსიით იგი მოკლეს და ჭაში ჩააგდეს; შემდეგ ჯელალ ედ-დინ **რუმინი** სახელობის მედრესეში დამარხეს). ერთ მათგანს ევლია ჩელეზიც იმეორებს (შემსი ჯელალ ედ-დინ რუმის შვილმა მოჰკლა) და უმატებს, რომ შემსის მოჭრილი თავი ქალაქ ხოიში

მარხია. ცნობილია შემსის სიტყვებისა და ქადაგებების კრებული, რომელსაც ეწოდება „მაკაალათ“.

5. მუვლანა – აქ საპატიო სახელია დიდი პოეტი-მისტიკოსის ჯელალ ედ-დინ რუმისა.

6. მეჰმედ ჰამდ ულ-ლაჰი – იგივე ჰამდ. თურქული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი. მისი შემოქმედებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ხუთი პოემა: „ლეილა და მაჯნუნი“, „იოსებ და ზელების“, „თუჰვათ ალ-უშშაკ“, „კიაფეთ-ნამე“ და „მეგლუდ მენზუმი“. ჰამდ დაიბადა 1449 წელს და გარდაიცვალა 1509 წელს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ევლია ჩელები მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას სწორად აღნიშნავს (60 წელი), მაგრამ მისი დაბადების წელი გარდაცვალების წელად აქვს წარმოდგენილ.

7. იმამ-ი აზამ – დიდი იმამი. ასე უწოდებდნენ ღვთისმეტყველსა და კანონმცოდნეს, წმინდანად აღიარებულ მოძღვარს, ნუჰმან იბნ საბითს. იგი დაიბადა 699 წელს ქუფაში. მის სახელთანაა დაკავშირებული ორთოდოქსალური ისლამის (სუნიტობის) ძირითადი მიმდინარეობის (ოთხი მიმდინარეობიდან) – ჰანეფის დაარსება. რამდენიმე თხზულება აქვს ჰადისებისა და მუსლიმური სამართლის საკითხებზე. გარდაიცვალა 767 წელს ბაღდადში.

8. სახელგანთქმული კალიგრაფები.

9. واحداً تنامه – „ვაჰდეთ-ნამე“ – „განდეგილობის წიგნი“.

10. طراقي – „თარაკ“ – სავარცხელი; თარაკლარი – სავარცხლიანი.

11. სიტყვების თამაშია: ევლია ჩელები ზემოთ მოგვაწოდა ტყის სახელწოდება – „აღარ დენიზი“. რაც ქართულად ნიშნავს „ხეების ზღვას“ ე. ი. ეს იყო უსიერი, უღრანი ტყე.

12. კონსტანტინე – სტამბოლი.

13. სიტყვების თამაშია: ერ-ვაჟკაცი; ერ-სულთანი იყო ეპითეტი ლეგენდარული დერვიშისა, რომელსაც ისლამის გავრცელებისათვის ბრძოლაში ჩადენილი მრავალი სასწაული მიეწერება.

14. „თაქასურ“ – ყურანის 102-ე სუროს სახელწოდება (تكاش) – „სწრაფვა, აჯობო ვინმეს სიმდიდრითა და რაოდენობით“).

15. სულთნის კარზე ისეთი კორუფცია იყო გამეფებული, რომ სახელმწიფო საქმეზე მოსულ და მაშველი ძალის მთხოვნელ ყარა მურად-აღას ქრთამი მოსთხოვეს მთავრობისათვის მოხსენების სანაცვლოდ. მალე სასახლის გადატრიალება მოხდა და ყარა მურად-აღა იანიჩართა კორპუსის მეთაურის თანამდებობაზე დანიშნეს.

16. ღერვიმ მეჰმედ-ფაშა – სასახლის გადატრიალების შედეგად დანიშნეს დიდვეზირად 1648 წლის აგვისტოს და ამ თანამდებობაზე იყო 1649 წლის 29 მაისამდე.

17. აჰმედ-ფაშა – დიდვეზირად დანიშნა იბრაჰიმ I-მა 1647 წლის სექტემბერში. აბრჰიმ I ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს (1648 წლის 19 ივლისი), დიდვეზირი აჰმედ-ფაშა გაიქცა. მეორე დღეს დაიჭირეს და ახლად დანიშნული დიდვეზირის, ღერვიმ მეჰმედ-ფაშას, ბრძანებით მოკლეს. „მოგზაურობის წიგნი“ I ტომში (რომელიც სტამბოლის აღწერას შეიცავს) ევლია ჩელები ამის შესახებ ამბობს: „მისი გვამი ათმეიდანზე ეგდო, მთელი ჯარი აჰმედ-ფაშას გვამს ხმაღს ურტყამდა და ნაჭერ-ნაჭერ აქციეს“.

თ ა ვ ი XCVI

1. სულთანი მეჰმედ IV ტახტზე ახალი ასული იყო და მის სახელზე მოიჭრა ახალი ფული.

2. ჩიკმა ბაშილიქ – წესი, რომლის მიხედვითაც სულთნის ტახტზე ასვლის, ან სხვა დღესასწაულის აღსანიშნავად სასახლისა და კარის მოხელეებს ახალ თანამდებობაზე აწინაურებდნენ. ჩიკმა ბაში ეწოდებოდა იმ მოხელეს, რომელსაც დიდ თანამდებობაზე დააწინაურებდნენ და ხელქვეითებად დაუნიშნავდნენ სასახლის მსახურთაგან დაწინაურებულ პირებს (იხ. ტერმინოლოგიური შენიშვნელები – ჩიკმა ბაში).

3. სასახლის მსახურთა ნაწილი კულულებს ატარებდა; რადგან ისინი სალაშქროდ გაამწესეს, კულულები აღარ სჭირდებოდათ – მხედრები გახდნენ.

თ ა ვ ი XCVII

1. დავთარდარ ზადე მეჰმედ-ფაშა ყარსის ვილაიეთის ბეგლარ-ბეგად დანიშნეს და სამსახურის სანაზღაუროდ არფაქად მისცეს მალათიას სანჯაყის გადასახადების შემოსავალი. ფაშამ ეს იცოტავა და დამატებით მოითხოვა, რომ უფლება ჰქონოდა ყარსის მოსახლეობაზე გაწერილი ხარჯისა და ავარიზის შემოსავალი თავის სასარგებლოდ აეკრიფა.

თ ა ვ ი XCVIII

1. მურთაზა-ფაშა სასახლეში მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. შემდეგ სულთნის სასახლის საჯინიბოს განაგებდა 1647 წელს

ბუდინის ბეგლარ-ბეგი იყო და 1648 წელს – ბაღდადისა. 1649 წელს დამასკოს ბეგლარ-ბეგად დაინაშნა, სადაც აჯანყებული დრუზები დაამარცხა.

2. მავრელ-ხანი – **ماورول خان** – ჩვენის აზრით დიდი მოურავი გიორგი სააკაძე იგულისხმება. თურქულ წყაროებში მისი სახელი სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი: იბრაჰიმ ფეჩევი მას უწოდებს „მოურავ“ – **ماوراو**; ნაიმას „ისტორიაში“ – „მალ-რავ“ – **ماغراو** (ხელნაწერში **ماغراد** – მაღრად); სულთნის მიერ გაცემულ ფირმანში, რომელიც „ფერიდუნ-ბეის კრებულში“ გამოცემული – **ماغزو** – „მაღზევ“ (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჯიქიას „იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, თბ., 1964, გვ. 132).

გამორიცხული არ არის, რომ ევლია ჩელებისა და დამახინჯებით აქვს გადმოცემული დიდი მოურავის სახელი და მას „მავრელ-ხანს“ უწოდებს.

3. თაბანი ძასის მეჰმედ-ფაშა – წარმოშობით ალბანელი იყო სულთან მურად IV-მ სადრაზამად (დიდვეზირად) დანიშნა 1632 წლის 17 მაისს და 1637 წლის 2 თებერვალს გადააყენა.

4. ე. ი. მურთაზა-ფაშა სარიკჩი-ბაშის თანამდებობაზე დაინიშნა. სულთნის სასახლეში მეტად საპატიო თანამდებობა იყო. სარიკჩი-ნაშის მოვალეობა იყო სულთნის ჩალმების („სარიკ“ – ჩალმა) მოვლა და დაცვა.

5. **თაბანი** მეჰმედ-ფაშა მოკლეს 1640 წელს.

6. ე. ი. მურთაზა-ფაშა დესთარ-ალას თანამდებობაზე დაინიშნეს. დიდვეზირის მსახურთა უფროსი იყო და ხელმძღვანელობდა დიდვეზირის ჩალმების, ქულებისა და თეთრეულის მოვლას.

7. სიტყვების თამაშია: მურთაზა-ფაშა გაიზარდა **თაბანი** მეჰმედ-ფაშას ჰარემში და დიდხანს მას ემსახურებოდა. „**თაბანი**“ მეჰმედ-ფაშას მეტსახელი იყო და ნიშნავს – ბრტყელ ტერფას. აქედან – „მურთაზა-ფაშა თავისი ბატონივით ბრტყელ ტერფა იყო“.

8. ევლია ჩელები კარგად იცნობდა ქართველ მურთაზა-ფაშას და სათანადოდ რომ შეამკოს და მისი დადებითი თვისებები გვაჩვენოს, გადაკრულად მიგვანიშნებს, რომ მას არ ახასიათებდა „მაღალი საზოგადოების“ ნაწილში გავრცელებული უზნეობა და შინამოსამსახურეობად უწვერული ბიჭები არა ჰყავდა.

1. ქუჩუჩი ჩავუშ-ფაშა – ანატოლიაში 1648 წელს დაწყებულმა ჯელაღიების აჯანყებამ, რომელსაც მეჰმედ ყარა ჰაიდარ-ოღლუ და მეჰმედ კათირჯი-ოღლუ მეთაურობდნენ, სულთნის მთავრობა ძალზე შეაშფოთა. აჯანყებულების წინააღმდეგ დასძრეს ანატოლიის ვილაიეთის ჯარები – ჩავუშ-ფაშას მეთაურობით, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. ეს აჯანყება სულთნის ჯარებმა მხოლოდ 1649 წელს ჩააქრეს.

2. დელი ჰუსეინ-ფაშა – ოსმალეთის ჯარების სარდლად კრეტაზე 1645 წელს დანიშნეს. 1659 წელს სიკვდილით დასაჯეს (იხ. თავი XXXVI, შენ. 7).

3. ამ დროს (1648 წ.) კრეტასათვის ბრძოლას უშედეგოდ აწარმოებდა ოსმალეთი. ჯარი ცუდად მარაგდებოდა, დისციპლინა არ იყო და ბრძოლისუნარიანობა დაკარგული ჰქონდა – კანდიას ციხის ალყისას (1649 წ.) ჯარმა თვითნებურად მიატოვა პოზიციები. მხოლოდ 1669 წელს შეძლეს ოსმალებმა კუნძულ კრეტას დაპყრობა. ასეთ პირობებში ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა ენერგიული და მეზობელი ადამიანები გამოეყენებინა ლაშქრობებში. ამიტომაც არის, რომ აჯანყებულ ყარა ჰაიდარ-ოღლუს პატიებასა და სანჯაყს ჰპირდებიან, ოღონდ კრეტას ლაშქრობაში მიიღოს მონაწილეობა.

4. დაჭრილ ყარა ჰაიდარ-ოღლუსთან ევლია ჩელების საუბარი 1648 წელს მიმდინარეობს. „ოცი წლის წინ“ (ე. ი. 1628 წელს) იგი მცირეწლოვანი იყო. მოგზაურობა დაიწყო 1640 წელს და 1648 წელს დამასკოსკენ გაემართა. გამოდის, რომ ევლიას სიტყვები – „ოცი წლის წინ ... როდესაც დამასკოსკენ მივდიოდი“ – ნათქვამია „მოგზაურობის წიგნის“ II ტომის შედგენისას, ე. ი. 1668 წელს.

იგი მეთაურობდა, როგორც **ბოლუქ-ბაშა**. მას ჩააბარებდნენ ხოლმე მძიმე დანაშაულებისათვის სიკვდილმისჯილ იანიჩარებსაც. ასას-ბაშები სხვა ქალაქებშიც იყვნენ და საპოლიციო სამსახურს განაგებდნენ.

ა ღ ა – პატივისცემის გამომხატველ სიტყვა, რომლითც მიმართავდნენ ოჯახის უფროსს, პაპას, უფროს ძმას, ასმ უწოდებდნენ სასახლის სხვადასხვა კატეგორიის მსახურთა უფროსებს (საჭურისთა ალა, ჭაშნაგირთა ალა...), სამხედრო (იანიჩართა ალა, აზაბთა ალა, თოფჩუების ალა, მეციხოვნეთა ალა) და სამოქალაქო მოხელეებს, ამქართა მამასახლისებს, ვაჭრებს, რომელთა საკუთარ სახელს ერთვოდა (ოსმან-ალა).

სასახლის მოხელეებს ირ-ალები (შინა ალები) ეწოდებოდათ და სახელმწიფო მოხელეებს – დიშ-ალები (გარე ალები).

ა შ ა რ ი//უ შ რ ი – მ ე ა თ ე დ ი. შარიათით გათვალისწინებული მუსლიმთა გადასახადი. ძირითადად გლეხები იხდიდნენ მოსავლის მეათედის რაოდენობით, მაგრამ რადგანაც ძალზე გავრცელებული იყო გადასახადების აკრეფის იჯარით გაცემა და გადასახადების ამკრეფთა თვითნებობა, ერთ მესამედსა და ზოგჯერ ნახევარსაც აღწევდა. აშარი ეწოდებოდა, აგრეთვე, მეათედის რაოდენობით აღებული ყოველ გამოსაღებს (ბაზარზე, საბაჟოში...) და სამხედრო ნადავლის მეათედ ნაწილს.

ა შ უ რ ა – მუსლიმური წელთაღრიცხვის პირველი თვის – მუჰარემის მეათე დღე. ამ დღეს (680 წ. 10. X) ქერბელას ბრძოლაში დაიღუპა მუჰამედის შვილიშვილი (ხალიფა ალის და მუჰამედის ქალიშვილის – ფატიმას უმცროსი ვაჟი) ჰუსეინი. შიიტები, რომლებიც მუჰარემის თვესაც აშურას ეტყვიან, ამ დღეს ჰუსეინისა და მასთან ერთად დაღუპულთა სულის მოსახსენებლად სხეულს იგვემენ („შაჰსეიდ-ვაჰსეიდ“) და ამზადებენ განსაკუთრებულ საჭმელს, რომელსაც აგრეთვე **ა შ უ რ ა ს** უწოდებენ.

ა შ ჩ ი – **მ ზ ა რ ე უ ლ ი.** სულთნის სასახლეში მომუშავე სხვადასხვა სპეციალობის მზარეულთა საერთო სახელი. მათ განაგებდა აშჯი-ბაში. დღიურად სამი ახჩა ეძლეოდათ და დაკლული საქონლის თავ-ფეხი უნაწილდებოდათ.

ა ხ ჩ ა – **თ ე თ რ ი.** თურქული ვერცხლის ფული. პირველად ორხან-ბეგის სახელზე მოიჭრა 1328 წელს. 1,54 გ იწონიდა და უმაღლესი ხარისხისა იყო. ევროპელები ასპერს უწოდებდნენ. XVII საუკუნეში წონა ერთ-ხუთად შემცირდა და ისე გაფუჭდა, რომ სპილენძისაგან ვეღარ არჩევდნენ.

ეკონომიკისა და ფანანსების კრიზისული მდგომარეობის პირობებში ახრის ღირებულების დაცემა ვაჭრების, სულთნებისა და ღარიბების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და ხშირი არეულობის მიზეზი ხდებოდა. 1687 წლიდან ახჩა ყურუშმა შეცვალა, რომელსაც ევროპაში პიასტრს უწოდებდნენ.

ბ ა ი რ ა კ ი – ბ ა ი რ ა ლ ი, დ რ ო შ ა. ასევე ეწოდებოდათ, როგორც ზოგადი სახელი, იანიჩართა ასეულებს – ოდეებს, რადგანაც ყოველ ოდას თავისი ბაირალი ჰქონდა. ეს ბაირაკი 50 – 60 იანიჩარისაგან შედგებოდა.

ბ ა ლ ე მ ე ზ, იხ. ზარბაზნები.

ბ ა ლ თ ა ჯ ო – საომარი ცულით შეიარაღებული.

მათ თ ა ბ ე რ დ ა რ ს ა ც უწოდებდნენ. ისინი შადგენდნენ სულთნის სასახლისა და ჰარემის მთელ რაზმს, რომელიც გარედან იცავდა სასახლეს, ლაშქრობაში ახლდა სულთანს. ბალთაჯიები ეწოდებოდათ დიდი მოხელეების მცველებსაც.

სულთან მურად II დროს (1421 – 1451) მათი რაოდენობა ასს არ აღემატებოდა. როდესაც სულთანი ლაშქრობდა, წის მიუძღოდნენ და ტყე-ღრეში გზას ჰკავავდნენ, კარვებს შლიდნენ, შეშას ამზადებდნენ და წყალს ეზიდებოდნენ. ევლია ჩელების დროს, XVII საუკუნის მეორე ნახევარში, 800 ბალთაჯი იყო, რომელთაგან მხოლოდ ასი – **ზ ა ლ ლ ო** ბალთაჯი – იყო პრივილეგირებული და დიდ ჯამაგირს იღებდა. დანარჩენები მძიმე სამუშაოებს ასრულებდნენ და პურის ფულს შოულობდნენ.

ბ ა შ თ ა რ დ ა, იხ. ხომალდები.

ბ ა შ-თ ე ზ ქ ე რ ე ჯ ი – ხელმძღვანელობდა თეზქერეჯიებს, რომლებიც სახელმწიფო დივანში, დიდვეზირის, დავთარდარების და სხვა დიდი მოხელეების კანცელარიებში მუშაობდნენ. ესენი ადგენდნენ მოხსენებით ბარათებს, სახელმწიფო დივანის მუშაობის დროს ფეხზე იდგნენ და ისე აწვდიდნენ სხვადასხვა ცნობას დიდვეზირს, ხმამაღლა კითხულობდნენ მთავრობისათვის წარდგენილ არზას.

ბ ა შ მ ა კ ლ ი ქ ი – ფ ე ხ ს ა ც მ ლ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ნ კ უ თ ვ – ნ ი ლ ი. სულთნის საგვარეულოს ქალებისათვის მზითვად გაცემული ხასი (იხ. ხასი).

ბ ა შ-ჩ ა უ შ ი – იანიჩართა კოპრუსში მეხუთე ბოლუქის მეთაური და იანიჩართა ჩაუშების უფროსი. მას „სერ-ჩაუშოს“ და „ჩაუშ-ი ბუზურგ“-საც უწოდებდნენ. ქეთხუდა-ბეგის შემდეგ ყველაზე მაღალი რანგის მეთაური იყო და მხოლოდ იანიჩართა აღას ემორჩილებოდა.

დ ე ჰ კ ა ნ ი – 1. გლეხი, 2. სოფლის ბატონი.

დ ი დ ვ ე ზ ი რ ი – იხ. სადრაზამი.

დ ი ვ ა ნ ი – 1. სულთნის ან დიდვეზირის საბჭო, რომელიც უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეებს სწევდა. დივანი ეწოდებოდა მაღალი თანამდებობის მოხელეების კანცელარიებსაც, მაგალითად: „კაზიასკერის დივანი“ „ვილაიეთის ვალის დივანი“ და ა. შ.
2. ლექსების კრებული.

დ ი ვ ა ნ ი – მდივანმწიგნობრული ხელი, რომლითაც საბუთები იწერებოდა.

დ ი ვ ა ნ - ხ ა ნ ა – შენობა, რომელშიც სახელმწიფო საბჭოს სხდომები ეწყობოდა, სასამართლო იმართებოდა და საპატიო სტუმრებს მიღებას უწყობდნენ. დივანხანა ფაშების კანცელარიებსაც ეწოდებოდა.

დ ი ზ ჩ ო ქ ე ნ - ა ლ ა ს ი – ევლია ჩელები განმარტავს: ირანში „იანიჩართა ალას დიზჩოქენ-ალასი ეწოდება“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 250).

დ ი ზ ჩ ო ქ ე ნ ი – მ უ ხ ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი. ევლია ჩელები განმარტავს: ირანში „იანიჩარებს დიზჩოქენ ეწოდებათ“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ ნაკვ. 1, გვ. 250), ე. ი. იგულისხმება, რომ ესენი არიან ირანის რეგულარული ჯარის მემორები და, როგორც ჩანს ძირითადად ციხეებში იდგნენ.

დ ი რ ჰ ე მ ი – წონის ერთეული - 3,25 გ. 2. ძველებური ვერცხლის ფული, რომელიც XVI, საუკუნეში 4 ახჩას უდრიდა.

დ ო ნ ბ ა რ ა – იხ. ხომალდები.

დ უ ბ ე თ ი – ორი ბეითისაგან შემდგარი ლექსის სტროფი (იხ. ბეითი).

დ უ მ დ ა რ ი – ლაშქრობის დროს არიერგარდში გამწესებული რაზმი, რომელიც ჯარის ალაღს მიჰყვებოდა. მას „არდჯიც“ (ზურგისა) ეწოდებოდა.

ე თ ა მ ა დ ო ვ ლ ე – სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ბ უ რ ჯ ი, სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ნ დ ო ბ ა – ირანის უპირველესი ვეზირის ტიტული სეფიანთა ირანში. ევლია ჩელების განმარტებით ირანში „დავთარ-დარ ეთიმადოვლეს უწოდებენ“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ ნაკვ. I, გვ. 250).

ე ი ა ლ ე თ ი, იხ. ვილაფეთი.

ე მ ი ნ ი – ნ დ ო ბ ი თ ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ ი, რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი, გა მ გ ე; სახელმწიფო ორგანიზაციაში სხვადასხვა საქმეს განაგებდ-

ნენ. მაგალითად: ზარაფხანის ემინი ფულის მოჭრას უწყევდა მეთვალყურეობას; ჯიზიას ემირი – ჯიზიას გადასახადის გაწერასა და აკრეფას. მაჰქემე **ემინი** სასამართლო ოქმების წარმოებას; მადენ **ემინი** – ეერცხლის, სპილენძისა და გვარჯილის მოპოვებას. იყვნენ საბაჟოს ემინი, ყაფანის ემინი, თევზჭერის ემინი, მარილის ემინი, ღვინის ემინი და სხვ.

ე შ ი კ ა ლ ა ს ი – აქ ნიშნავს ირანის ხანების სასახლეში მსახურთა გამრიგეს, ადმინისტრატორს.

ვ ა ლ ი – ოლქის მმართველი. ოსმალეთში ეწოდებოდა ვილაიეთის გამგებელს – ბეგლარბეგს. ტერმინები: ვილაიეთის **ვალნი**, ბეგლარ-ბეგი, მირ-მირანი სინონიმებად იხმარებოდა ირანში – ადგილობრივი მბრძანებლების საგვარეულოს წევრი, რომელიც შაჰის მოადგილედ ითვლებოდა თავის ქვეყანაში. სეფიანთა ირანში 4 ვალი იყო: არაბისტანის, ლურისტანის გურჯისტანისა და ქურთისტანის.

ვ ე ზ ი რ ი – ოსმალეთში უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელე: ვეზირთა ერთი ნაწილი სულთნის დივანის წევრები იყვნენ ლა მათ ეწოდებოდათ პირველი ვეზირი, მეორე ვეზირი და ა. შ. ვეზირები ეწოდებოდათ ზოგი ვილაიეთის ფაშებსაც, მაგალითად: სულეიმან I დროიდან (1520 – 1566) ვეზირის ტიტულს ანიჭებდნენ ზოგი ვილაიეთის განმგებლად დანიშნულ სამთუდიან ფაშებს; როდესაც ეგვიპტის ვალი გახდა ჩოზან მუსტაფა-ფაშა, მას ვეზირობა უწყალობა. შემდეგ ხანებში ბაღდადის, იემენის, ბუდინის, არზრუმის ბეგლარ-ბეგებს ვეზირის ტიტული ეძლეოდათ. ესენი განაპირა ქვეყნები იყო და პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. XVI სუკუნის ბოლოდან თითქმის ყველა ვილაიეთის განმგებელს, იაჩინართა ადას და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალს – კაფუდან-ფაშასაც ეძლეოდა ვეზირის ტიტული.

განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ კუზბე-ვეზირებს (6 - 8 ვეზირი), რომლებსაც განსაზღვრული სახელმწიფო თანამდებობა არ ეკავათ, მაგრამ სულთნის საგანგებო საბჭოს შეადგენდნენ დიდვეზირთან ერთად.

ვეზირთა შორის უპირველესი იყო დიდვეზირი (ვეზირ-ი აზამ, სადრაზამ), რომელიც მთელი სახელმწიფოს ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა და ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი იყო.

ვ ი ლ ა დ ე თ ი/ე ა ლ ე თ ი – ქ ვ ე ყ ა ნ ა, ო ლ ქ ი. ოსმალეთში – ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული. ვილაიეთის

რებს, რომლებიც ზამბურაკებს – აქლემებზე აკიდებულ პატარა ზარ-
ბაზნებს ემსახურებოდნენ.

ზ ე რ ი ნ ი – ყვითელი, სურნელოვანი ყვავილი, რომელიც სამ-
კურნალოდ იხმარებოდა.

ზ ე ქ ა თ ი, ზაქათი – შარიათით გათვალისწინებული მუსლიმ-
თა გადასახადი, რომელიც უძრავი და მოძრავი ქონების 1/40-ით
განისაზღვრებოდა და ადრე განკუთვნილი იყო ჯამაათის ღარიბი წევ-
რების, ქვრივ-ობლების და სხვ. დასახმარებლად. შემდეგ ჩვეულებ-
რივ გადასახადად იქცა.

ზ ი ქ რ ი – მ ო ხ ს ე ნ ი ე ბ ა 1. ლოცვა, რომელიც ალაჰის
სახელის განუწყვეტლივ ხსენებაში გამოიხატებოდა. 2. დერვიშთა
ღვთისმსახურება.

ზ ჯ ო ლ ჯ ო ლ ჯ — ბ ა ლ თ ა ჯ ი ე ბ ი; – პრივილეგირებული ბალთა-
ჯიები. დანარჩენებისაგან განსასხვავებლად თავსაზურავის ორ მხა-
რეს ორი ნაწნავი ეკიდათ და ამიტომ უწოდებდნენ „ზუღუღლუნი“
ნაწნავიანი, კულულებიანი (იხ. ბალთაჯიები).

თ ა ბ ლ ა ქ ი ნ — სულთნის ბაღის მსახური.

თ ა ბ-ხ ა ნ ე – დაწესებულება, რომელშიც განკურნებულ ავად-
მყოფებს ათავსებდნენ საბოლოოდ გაჯანსაღებამდე.

თ ა ვ ა შ ი – ს ა ჭ უ რ ი ს ი. სულთნის ვეზირების და დიდი შფ-
ოდალების სასახლეებში ჰარემის მსახურები (იხ. ჰადიმი).

თ ა თ ა რ ი – ეთნიკური ტერმინის გარდა აქ შიკრიკის მნიშვნე-
ლობითაც იხმარება. ომიანობის დროს დობრუჯას სანახებში მცხოვ-
რები თათრების ნაწილი რიგრიგობით მიდიოდა ლაშქრობაში და ჯა-
რის ზურგს ემსახურებოდა. ძირითადად სადრაზამისა და ვეზირების
შიკრიკების მოვალეობას ასრულებდნენ.

თ ა ლ ი მ ხ ა ნ ე ჯ ი ბ ა შ ი — იანიჩართა კორპუსის 54-ე ოდას
მეთაური. ამ ოდას იანიჩარების თალიმხანეჯიები ეწოდებოდათ. ესე-
ნი ავარჯიშებდნენ იანიჩარებს მშვილდ-ისრისა და თოფის ხმარება-
ში. ამ ვარჯიშს ხელმძღვანელობდა და სავარჯიშო მოედნებს – თა-
ლიმ-ხანეებს განაგებდა თალიმხანეჯი-ბაში. თუ სულთანი ლაშქრო-
ბაში იყო, თან ახლდა. დაწინაურებული კი, ზენბერექჯი-ბაში ხდე-
ბოდა.

თ ა ლ ი ყ ი – აქ არაბული დამწერლობის სახეობა, რომელიც
განსაკუთრებით ირანში განვითარდა. ოსმალეთშიც იხმარებოდა და
დროთა განმავლობაში თავისებური სახე მიიღო. მსხვილ და დიდი
ასოებით დაწერილ თალიყის სახეობას ჯელს ეწოდებოდა.

თ ა ლ ჰ ი ს გ ო; თელჰისგო – მოხელე, რომელიც დიდვეზირს ახლდა და მისი კარნახით ლამაზი და მკაფიო ხედით წერდა სულთნისათვის მოსახსენებელი საქმის მოკლე შინაარსს, გამოსაქვეყნებელი ფირმანის ძირითად პუნქტებს. ამ ბარათს თელჰისი ეწოდებოდა. სულთანი რომ გაეცნობოდა საქმის არსს, ხელწერით დაადასტურებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიცემოდა ბრძანება.

თ ა ნ ა შ ი რ ი – განბანვის შესასრულებელი სპეციალური ჭურჭელი.

თ ა ფ ს ი რ ი – ყურანის განმარტებათა ნუსხა, რომელიც ნასირად-დინ აბდ ალ-ლაჰ ბ ა ი დ ა ვ ი მ შეადგინა (გარდ. 1286 წ.). მუსლიმ ღვთისმეტყველთა შორის დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა.

თ ე ზ ქ ე რ ე ჯ ო – დიდვეზირისა და სხვა ვეზირების პირადი კანცელარიების გამგეები. თეზქერეჯიები ვილაიეთების ფაშებსაც ჰყავდათ. დივანში წარდგენილ თხოვნას ხმამაღლა კითხულობდნენ. სხდომების დროს ფეხზე მდგომნი ემსახურებოდნენ დივანის წევრებს

დიდვეზირს ორი თეზქერეჯი ემსახურებოდა – „პირველი თეზქერეჯი“ და „მეორე თეზქერეჯი“. პირველი თეზქერეჯი, ამავე დროს, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი იყო.

თ ე ლ ე ი ს ა ნ ი – აქლემის ან თხის თივთიკის ქსოვილის თავსაბურავი, რომელიც მამაკაცებს თავიდან ზურგზე ჰქონდათ გადმოფარებული. ულემები და ყადიები შავი ფერისას ატარებდნენ და უფრო გრძლად იყო ჩამოშვებული – ეს სუნიტების წესად იყო მიჩნეული.

თ ე ქ ი ე, თ ე ქ ე – საყუდელი, დერვიშთა სავანე.

თ ი მ ა რ ი – პირველ ხანებში თიმარი ეწოდებოდა ყოველგვარ საკარგავს, რომელიც სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატias ეძლეოდა და უმეტეს შემთხვევაში – სამხედრო სამსახურისათვის. შემდეგ ასე უწოდებდნენ იმ მიწებს, რომელთა წლიური შემოსავალი 1000 ახჩიდან 20 ათას ახჩას აღწევდა და სამხედრო სამსახურის პირობით ეძლეოდათ ფეოდალებს. თიმარის მფლობელებს ეწოდებოდათ „ს ა ჰ ი ბ ი თ ი მ ა რ“, „თ ი მ ა რ ლ ი ს ი ფ ა ჰ ი ლ ე რ“. თიმარები და ზემოთქმული ფეოდალური ლაშქრის – სიფაჰიების შესანახი, სახელმწიფო მიწების ფონდი იყო და მათ საერთო სახელად ეწოდებოდა „კ ი ლ ი ჩ“ – ხ მ ა ლ ი.

თ ო ფ ჩ უ – მეზარბაზნე. ოსმალეთის რეგულარული ჯარის სახეობა, „საარტილერიო კორპუსი“. ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა.

წლებიდან კი, როდესაც ვეტერან იანიჩარებს ცოლის შერთვისა და ოჯახის მოკიდების უფლება მისცეს, მათი შვილები შედიოდნენ იანიჩართა კორპუსში.

იანიჩართა კორპუსი საში ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა:

1. **ჯემაათ ორთალარი**. ყველზე ძველი სახეობა იყო და იანიჩართა კორპუსი რომ დაარსდა, მხოლოდ 101 ორთასაგან შედგებოდა. რადგანაც ყაზარმებში ცხოვრობდნენ და თითო ორთა ცალკე ოთახში – ოდაში იყო მოთავსებული, ორთას ოდასაც უწოდებდნენ. მათ მეთაურობდნენ **ააა-ბაშები**, მე60, 61-ე, 62-ე და 63-ე ოდეები სულთნის ამაღლაში შედიოდნენ და მათ „სოლაკებს“ უწოდებდნენ. სოლაკების მეთაური იყო სოლაკ-ბაში. 2. **სეკბანეზი** – მეჰმედ II დროს (1451 – 1481) შეიქმნა. მას 65-ე ორთას უწოდებდნენ,

მაგრამ ფაქტიურად 35 **ბოლუქისაგან** შედგებოდა. ერთ

ბოლუქში მხედრები იყვნენ და 34-ში – ქვეითები. **ბოლუქების** მე-

თაურებს **ბოლუქ-ბაშ** ეწოდებოდათ და მათ უფროსს, ე. ი. სეკბან-

ნთა ყველა **ბოლუქის** მეთაურს – სეკბან-ბაში. სეკმანბაში იანიჩართა აღის შემდეგ პირველი კაცი იყო და ხშირად მას აწინაურებდნენ იანიჩართა აღის თანამდებობაზე. დღიური ჯამაგირი 70 ახჩა ეძლეოდა. 3. **ალა ბოლუქლიერი** (აღის ბოლუქები) – 61

ბოლუქი იყო. უშუალოდ იანიჩართა აღის განკარგულებაში იყ-

ნენ. მათ მეთაურებს **ბოლუქ-ბაშიები** ეწოდებოდათ.

იანიჩარების სხვადასხვა ოდეები შეიარაღებული იყვნენ მშვილდისრით, არკებუზით, მუშკეტით, დამბაჩით, ხმლით, გურზით, საომარი ცულით, იათაგანითა და სხვ.

იანიჩართა აღა – „**მენიჩერი** აღასი“¹. იანიჩართა კორპუსის მეთაური და მთავარსარდალი XVI საუკუნის დასაწყისამდე იანიჩართა კორპუსში აღზრდილი და დაწინაურებული ენერგიული ადამიანები ინიშნებოდნენ ამ თანამდებობაზე – ძირითადად სეკბან-ბაშიები. შემდეგ ეს წესი მოიშალა და უმეტეს შემთხვევაში, სასახლის დიდკაცები ინიშნებოდნენ. XVII საუკუნეში ისევ აღადგინეს ძველი წესი. დღიური ჯამაგირი 400 – 500 ახჩა ჰქონდათ და ბოძებული არფალიქის (იხ. არფალიქი) წლიური შემოსავალი – 500 ათასი ახჩა.

1645 წლიდან დაიწყო იანიჩართა აღებისათვის ვეზირის ხარისხის ბოძება და მათ „აღა-ფაშას“ უწოდებდნენ.

იანიჩართა აღა განაგებდა იანიჩართა ვარჯიშს, ჯამაგირის გაცემას, დანიშვნასა და გადაყენებას. ის განიხილავდა საჩივრებს და დამნაშავეებს სჯიდა.

იანიჩრების რაზმები საზღვრისპირა ციხეებშიც იყვნენ ჩაყენებული და მათ მეთაურებსაც „იანიჩართა აღა“ ან იანიჩართა სარდალი ეწოდებოდა.

ი ა ნ ი ჩ ა რ თ ა ს ა რ დ ა ლ ი – საზღვრისპირა რაიონების ციხეებში ჩაყენებული იანიჩართა რაზმების მეთაური.

ი ა რ ლ ი ყ ი – აქ – სულთნის წერილობითი ბრძანება, რომელიც მოსახლეობისათვის გზიერებს უნდა გაეცნოთ.

ი ა ს ა უ ლ ა ლ ა ს ო – იგივე სოჯბათიასაული; შაჰის ბრძანებათა და განკარგულებათა აღმასრულებელი არანის სამეფო კარზე, ევლია ჩელები ამბობს: „ირანში ალაი-ჩაუშს იასაულ-აღასი ეწოდება“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 250).

ი ა ს ა უ ლ ი – იასაულ-აღასის ხელმძღვანელობით აღმასრულებლად მომუშავე საპოლიციო აპარატის დაბალი მოხელე.

ი ა ს ნ ი, იხ. მასინი.

ი ლ დ ა რ ი – ცხენის სვლის სახეობა, ჭენება. ცნობილი იყო „თათრული ილდარი“, რომელიც ხანგრძლივი ჭენებით განხორციელებულ რეიდს და მოულოდნელ თავდასხმას აღნიშნავდა.

ი მ ა მ ი – მუსლიმთა რელიგიური თემის მეთაური, სულიერი მამა, მეჩეთში ღვთისმსახურების ხელმძღვანელი. ასევე ეწოდებოდათ 1. ზოგი მუსლიმური სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებას, 2. შიიტების უზენაეს სასულიერი მეთაურს, 3. ისლამის ოთხი ძირითადი მიმდინარეობის (ჰანეფიტების ჰანბალიტების, მალიქიტების და შაფიტების) დამაარსებლებს.

ი მ ა რ ე თ ი – საქველმოქმედო დაწესებულება საერთოდ; აგრეთვე – მუსლიმი მწირების, მედრესეს მოსწავლეებისა და ყარიბი მგზავრებისათვის მოწყობილი სასადილოები, სადაც პურსა და ჯამით წვნიანს უფასოდ ურიგებდნენ. იმარეთების ხარჯები მათთვის სულთნებისა და დიდი ფეოდალების მიერ შეწირული ვაკუფების შემოსავლით იფარებოდა.

ი ჩ - ა დ ა - შ ი დ ა ა ლ ა. საერთო სახელწოდება სულთნის შინა-მოსამსახურეთა ხელმძღვანელებისა, რომლებიც სახელმწიფოს წარჩინებულებად ითვლებოდნენ. მათ შორის უპირველესი იყო კაფუ-აღასი, რომელიც XVI საუკუნის ბოლომდე სასახლის ყველაზე გავლენიანი ადამიანი იყო.

იჩ-ალები ხელმძღვანელობდნენ მუსიკოსებს, შესაწოლეებს, მესანთლეებს, იარაღის ოსტატებს, დალაქებს, მექისეებს და ა. შ. იჩადად ითვლებოდა სულთნის პირადი ხაზინის განმგებელი – ხა-

ზინადარ-ბამი, რომელიც, გახდა ამისა, ჩაცმის დროს ჩაღმას აწვდიდა სულთანს და სალოცავ ხალიჩას უშლიდა. იჩ-აღა იყო ქილერჯი-ბაშნეც, რომელიც სულთნის სუფრის გაშლას და საჭმელ-სასმელით უზრუნველყოფას ხელმძღვანელობდა.

ი ჩ-ო ღ ღ ა ნ ი – დევშირმეს წესით წამოყვანილი ქრისტიანთა ის ბიჭები, რომლებსაც იანიჩარებად კი არ ამზადებდნენ, არამედ სტამბოლისა და ედირნეს სასახლეში ზრდიდნენ და შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე ამწესებდნენ. მათ სასახლის „აჯემ-ი ოღლანებსაც“ უწოდებდნენ. (ასე აღიზარდა ედირნეს სასახლეში ალბანეთის სახალხო გმირი სკანდერ-ბეგი).

ი ჩ-ღ უ ლ ა მ ი – ს ა შ ი ნ ა ო მ ო ნ ა – ესენი იყვნენ ოშში დატყვევებული, ან ნაყიდი მონები, რომლებსაც ოსმალთა ფეოდალები, დიდკაცები, ვაჭრები და სხვანი (მათ შორის, ევლია ჩელებიც) ხელზე მოსამსახურებად, პირად მცველებად და სხვა საქმიანობისათვის იყენებდნენ.

კ ა ლ მ ა კ ა მ ი – მ ო ა დ გ ი ლ ე, შ ე მ ც ვ ლ ე ლ ი – როდესაც დიდგვხირი ლაშქრობაში გაუძღვებოდა ოსმალეთის ჯარს, მის მაგივრად სახელმწიფო საქმეების გასარიგებლად დედაქალაქში რჩებოდა სახელმწიფოს წარჩინებული, რომელსაც ვეზირის ხარისხი ჰქონდა და ამ შემთხვევაში მას უწოდებდნენ „რიქაბ კაიმაკამ-ი“ („რიქაბ“ – უზანგი). თუ ამ დროს სულთანიც ლაშქრობაში იყო, კაიმაკამს ეწოდებოდა სტამბოლის კაიმაკამი“. თუ დიდგვხირიცა და სულთანიც დიდი ხნით იყვნენ დედაქალაქიდან წასული, სულთანს ახლდა „რიქაბ კაიმაკამი“ და დედაქალაქში რჩებოდა სტამბოლის კაიმაკამი.

კაიმაკამები ეწოდებოდათ იმ მოხელეებსაც რომლებიც გადაყენებული ბეგლარბეგისა და სანჯაყ-ბეგების მაგივრად განაგებდნენ მიმდინარე საქმეებს, სანამ ახალი მმართველი ჩამოვიდოდა.

კ ა ღ ნ ა რ ჯ ა – ცხეი წყარო.

კ ა ღ ნ ა ღ, კ ა ღ ნ ა კ – წყარო.

კ ა ლ ი თ ე, იხ. ხომალდები.

კ ა ნ ა ვ ა თ ი – მიწისქვეშა არხი, რომლითაც სასმელი ან სარწყავი წყალი მიედინებოდა.

კ ა ნ თ ა რ ი – წონის ერთეული, რომელიც ოსმალეთის პროვინციებში სხვადასხვა იყო; მცირე აზიაში 56,44 კილოგრამს უდრიდა, ალჟირში – 44,79 კილოგრამს, ეგვიპტეში – 67,18 კილოგრამს.

კ ა ნ უ ნ - ნ ა მ ე - „კ ა ნ ო ნ თ ა წ ი გ ნ ი“. ოსმალთა ფეოდალური სახელმწიფოს და შესაბამისი კანონმდებლობის განვითარების ეტაპები გამოიხატა მეჰმედ II-ის (1451 – 1481), სელიმ I-ის (1512 – 1520), სულეიმან I-ის (1520 – 1566) და აჰმედ I-ის (1603 – 1617) „კანუნ-ნამეებში.

კ ა რ ა ვ ა ნ ა, იხ. ხომალდები.

კ ა რ ა ვ ა ნ ა, გ ა ლ ი ო ნ ი, იხ. ხომალდები.

კ ა რ ა მ ა ვ უ ნ ა (მავნა), იხ. ხომალდები.

კ ა რ ა მ უ რ ს ა ლ ი, იხ. ხომალდები.

კ ა რ კ ა, იხ. ხომალდები.

კ ა რ ჯ ი - ბ ა შ ი — „კ ა რ“ – „კ ა რ“ – თ ო ვ ლ ი, „კ ა რ ჯ ი“ – მ ე - თ ო ვ ლ ე. სასახლის სამზარეულოს მსახურთა შორის იყვნენ კარ-ჯიები, რომელთა მოვალეობა იყო სამზარეულოს ყინულით უზრუნველყოფა. ზამთარში მდინარეებში ყინულსა სჭრიდნენ და თოვლთან ერთად სარდაფებში საგანგებოდ ინახავდნენ. ამათ კარჯი-ბაში ხელმძღვანელობდა.

კ ა ტ ა რ ღ ა, კ ა დ ი რ გ ა, იხ. ხომალდები.

კ ა ფ ლ ი ჯ ა – ცხელი წყარო.

კ ა ფ უ დ ა ნ ი – კ ა პ ი ტ ა ნ ი (იტალიურიდანაა) – სამხედრო ხომალდის ან ხომალდების ჯგუფის მეთაური. XVII საუკუნის დასაწყისამდე სამხედრო ხომალდების მეთაურებს რ ე ი ს ი ეწოდებოდათ. შემდეგ იგი კ ა ფ უ დ ა ნ მ ა შეცვალა და რ ე ი ს ი სავაჭრო ხომალდის უფროსს ან პატრონს ეწოდებოდა.

კ ა ფ უ დ ა ნ - ფ ა შ ა – ოსმალეთის მთელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი. მას „კაფუდან-ი დერია“-საც („ზღვის კაპიტანი“) უწოდებდნენ. ვეზირის ხარისხი ჰქონდა სამი თულით. იგი განაგებდა, აგრეთვე, კაფუდან-ფაშას ვილაიეთს, რომელსაც ხმელთაშუა ზღვის კუნძულები შეადგენდნენ. მას უდიდესი შემოსავალი ჰქონდა.

კ ა ფ უ ჯ ი, კ ა ფ ი ჯ ი – სასახლის კარისკაცი.

კ ა ფ უ ჯ ი - ბ ა შ ი, კ ა ფ ი ჯ ი - ბ ა შ ი – სულთნის სასახლის ერთ-ერთი დიდებული. მეჰმედ II დროს ერთი კაფუჯი-ბაში იყო, შემდეგ – ორი; XVII საუკუნეში – 12 და ზოჯერ მეტიც. ისინი სხვადასხვა დროს 500 – 200 კაფუჯის საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ. უხუცესს ბაშკაფუჯი-ბაში ეწოდებოდა და კაფუჯი-ბაშიების მეთაური იყო. კაფუჯი-ბაშიები გაჩუმდნენ სულთნის სასახლის კარებისა და დივანის სხდომების დაცვას. სულთანს და სახელმწიფო დივანს წარუდგენდნენ ხოლმე ელჩებსა და საპატიო

სტუმრებს. კაფუჯი-ბაშიები იგზავნებოდნენ ვილაიეთებში ბეგლარ-ბეგებთან მნიშვნელოვანი ან საიდუმლო დავალებებით. როგორც მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებს, ხშირად ევალებოდათ ხოლმე სულთნისათვის არასასურველი ფაშებისა და სხვა დიდი მოხელეების თავიდან მოშორება და მოკვლა. ასეთ საქმეებში კაფუჯი-ბაშიები თავიანთ ერთგულ კაფუჯებს იყენებდნენ.

კაფუჯი-ბაშიების დღიური ჯამაგირი ჯერ 100 ახჩა იყო და XVII საუკუნეში 150 ახჩას მიაღწია. მათ ეძლეოდათ, აგრეთვე, არფალიქები (იხ.)

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ბ ა ტ ო ნ ი ; სა-
სახლის ჰარემის მსახურთა მეთაური. მას უწოდებდნენ, აგრეთვე, **„დ ა რ უ ს - ს ა ა დ ე თ - ა ლ ო ს ი“** – „ბედნიერების კარის (სასახლის) აღა“. ის ხელმძღვანელობდა ჰარემის სამსახურთა საქმიანობას, სულთნის მხეველების შერჩევას და ა. შ. XVII საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა მათი გავლენა სულთნებზე და სასახლის ყველაზე გავლენიან და ძლიერ მოხელეებად იქცნენ. ხშირად ესენი იყვნენ მექასა და მედინას ვაკუფებისა და სულთნის მიწების განმგებლები. ბევრი მათგანი ზღაპრული სიმდიდრის პატრონი ხდებოდა.

კიზლარ-ალასის თუ გადააყენებდნენ ან მისი პირადი თხოვნით სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ, პენსია ენიშნებოდა და საცხოვრებლად ეგვიპტეში აგზავნიდნენ.

კ ო ნ ა კ ი – 1. სასახლე. 2. ღამის სათევი, სადგური. სადგურთან მოწყობილი იყო ფუნდუკი, თავლები აქლემებისა და ცხენებისათვის, იყიდებოდა სურსათ-სანოვაგე, საქონლის საკვები. 3. მანძილი კონაკებს შორის, ერთი დღის სავალი („კონაკი... სავალი გზაა იმ ანგარიშით, რომ ერთ კონაკს თორმეტ საათს ივლის კაცი“. „ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1, გვ. 135), ე. ი. როდესაც ავტორი ამბობს „4 კონაკი გავიარეო“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მანძილზე უსათუოდ 4 სადგური იყო მოწყობილი – 4 დღის სავალი იყო.

დიდი ლაშქრობისათვის მზადებისას სარდლობა წინასწარ აწყობდა კონაკებს და ცდილობდა ამ სადგურების რიცხვი ისე გაეზარდა, რომ ყოველ დღის სავალზე დროებით მაინც ყოფლიყო თითო სადგური – კონაკი.

კ ო ნ ა კ ი – 1. მოხელე, რომელსაც ევალებოდა სალაშქრო მარშრუტზე ჯარისათვის მოემზადებინა სადგომები, სურსათი, წყალი და ფურაჟი. ამისათვის ადგილობრივ მცხოვრებლებს ახდე-ვინებდა საგანგებო გამოსაღებს, რომელსაც ავარიზი და ნუზლი

ეწოდებოდა. 2. როდესაც სულთანმა ლაშქრობდა, მისი ექვსი თული-დან (იხ. თული) ორი თული ერთი დღის სავალით წინ მიჰქონდათ. რომელიმე სანჯაყის ბეგს ან ვილაიეთის ფაშას დაავალდებდნენ თულებს ხლებოდა და შეემოწმებინა სადგურის – კონაკის მზადყოფნა; თუ საჭირო იყო, ზომები უნდა მიეღო სადგურის სრული მზადყოფნისათვის. ამ მოვალეობის შემსრულებელს კონაკჩის უწოდებდნენ ლაშქრობის დამთავრებამდე.

კონთოში, კონთუში – გრძელი, ვიწრო სახელოებიანი (უმეტეს შემთხვევაში ტყავის) ფარაჯა, რომელსაც ძირითადად თათართა ბეგები ატარებდნენ.

კორუჯი, კორუჯუ – ტყის მცველი, მცველი. ასე ეწოდებოდათ ლაშქრობებში დაბერებულ იანიჩარებს, რომლებსაც ბრძოლა აღარ შეეძლოთ, მაგრამ არც პენსიაზე იყვნენ გასული. მეჰმედ II ფათიჰამდე (1451 – 1481) ლაშქრობაში მიდიოდნენ, მაგრამ ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდნენ და ბანაკის კარვებს იცავდნენ. შემდეგში აღარც ლაშქრობაში მიჰყავდათ და სტამბოლისა და იანიჩართა ყაზარმების დაცვა ევალებოდათ. XVI საუკუნის ბოლოს 1000-მდე კორუჯი იყო და XVII საუკუნეში – მეტი. პენსიაზე გასულ იანიჩარს ოთურაკი ეწოდებოდა.

კორუჯი-ბაში – კორუჯიების მეთაური.

კოჯა – 1. მოხუცი, 2. ზორბა; 3. სახელგანთქმული.

კუთბალ-ეკთაბი, იხ. კუთბიეთი.

კუთბიეთი – „კუთბ“ – პოლუსი, უმაღლესი წერტილი. სუფიზმის მიმდევართა სულიერი მამების უმაღლესი ხარისხის ზოგადი სახელი. „კუთბალ-ეკთაბი“ ე. ი. „პოლუსთა პოლუსი“ – სუფიების მეთაური.

კულაჩი, კულაჯი – სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც გაშლილი ხელების თითების ბოლოებს შორის მანძილს უდრიდა; დაახლოებით ორი მეტრი. უმეტეს შემთხვევაში სიღრმის გასაზომად ხმარობდნენ.

კულუნბურნა, კოლომბორნა, იხ. ზარბაზნები.

კურნა – აბანოში ერთი კაცისთვის განკუთვნილი, ქვაში ამოკვეთილი ღრმული წყლისათვის.

ლივა – 1. დროშა; 2. სადროშო. იხ. სანჯაყი.

მავეუნა, მავნა, იხ. ხომალდები.

მათარაჯი (მათრაჯი)-ბაში – მათარაჯიების უფროსი. მათარაჯიები სულთნის, დიდვეზირის, იანიჩართა აღის,

სუკბან-ბაშის ამაღლებში იყვნენ. ლაშქრობის დროს ან სასახლის გარეთ მოწყობილ დღესასწაულებზე მათ თან დაჰქონდათ წყლით სავსე ჭურჭელი – მათარა და თავიანთ უფროსებს მიართმევდნენ ხოლმე. სულთნის მათარა ოქროსი იყო და წითელი ხავერდი ჰქონდა შემოკრული.

მათარაჯიების სალაშქრო ბრძანებების გადაცემასაც ავალებდნენ.

მათბაჰ ემინი – (მათბაჰ – სამზარეულო). სულთნის სასახლის სამზარეულოს ეწოდებოდა „მათბაჰ-ი ამირი“, რომელშიც სასახლის ყველა მოხელისა და მსახურისათვის ყოველდღიურ საჭმელებს ამზადებდნენ. სამზარეულოს მთავარ ზედამხედველსა და განმკარგულებელს **მათბაჰ ემინი** ეწოდებოდა.

მანნი – 1. საუცხოო მხატვრობა, რომელიც მანის (სახელგანთქმული მხატვარი-მინიატურისტი სასანურ ირანში) ნახელავს შეედრება. 2. თურქული ხალხური ოთხსტრიქონიანი სატრფიალო ლექსი. ძირითადად შვიდმარცვლიანი იყო და აუცილებლად გართიმულა იყო 1-ლი, მე-2 და მე-4 სტრიქონები, მე-3 – ურითმო.

მასთაჯი-ბაში – სასახლის მსახურების – მასთაჯიების უფროსი. მასთაჯიებს „ძოღურთქუებსაც (მემაწვნი)“ უწოდებდნენ. მათ ევალებოდათ სულთანისათვის განკუთვნილი რძის ნაწარმის სუფთად და გრილად შენახვა და სულთნისათვის მირთმევა.

მაჰქემე – სასამართლო, სასამართლო დარბაზი.

მედაჰი – სახალხო მთქმელი დღესასწაულებზე, ყავახანებში და ა. შ. ხალხური ზღაპრებისა და საგმირო ამბების თხრობისას ხმასა დგ ინტონაციას იცვლიდნენ და ისე წარმოადგენდნენ გმირებს. ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

მედრესე – მუსლიმური სასულიერო სასწავლებელი. მედრესეებს მეჩეთების გვერდით აშენებდნენ, ეფრო ხშირად კი შიგ მეჩეთში აწყობდნენ ხოლმე. მოსწავლეები მედრესეს სენაკში ცხოვრობდნენ, იმარეთში (იხ. იმარეთი) იკვებებოდნენ და მეჩეთში მეცადინეობდნენ. ოსმალეთში მედრესემ ჩამოყალიბებული სახე სულთან სულეიმან I-ის დროს მიიღო.

მედრესეში სწავლის დამთავრების შემდეგ შეეძლოთ ან ყადის თანამდებობა მიეღოთ, ან მედრესეს მასწავლებლისა (მუდარისი), ან ადმინისტრაციულ აპარატში ემუშავათ.

მადრესეს შესანახი ხარჯები მისთვის შეწირული ვაკუფებიდან გაიღებოდა.

მ ე ვ ლ ა ნ ა – სიტყვა-სიტყვით – „ჩ ვ ე ნ ი მ ე უ ფ ე“; ასე უწოდებდნენ მაღალგანათლებულ ღვთისმეტყველს, მასწავლებელს, იმამს. (აქ ყველგან მევლანა ჯელალ ედ-დინ **რუმის**).

მ ე ლ ა მ ი – მისტიკოსი, რომელიც ყოველივე ამქვეყნიური-სადმი ცინიკურად განწყობილი ფილოსოფოსის ცხოვრებას მისდევდა.

მ ე ნ ე ქ ს ი ლ ა, იხ. ხომალდები.

მ ე ს ნ ე ვ ი – 1. სპარსული ლექსი, რომელიც თურქულ პოეზიაში დაამკვიდრა ჯელალ ედ-დინ რუმიმ. წყვილსტრიქონიანი ლექსით იწერებოდა და გადმოცემული იყო სამიჯნურო-საგმირო ამბები, ან მორალური და რელიგიური საკითხები. 2. ჯელალ ედ-დინ **რუმის** ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოები, რომელიც სუფიზმის ტრაქტატს წარმოადგენს. 3. იდეურად და ფორმით ჯელალ ედ-დინ **რუმის** თხზულება „მესნევის“ ხასიათის თურქული ნაწარმოებები.

მ ე ქ უ რ ი წ ყ რ თ ა – „ზ ი რ ა ე“ ; სიგრძის ერთეული, რომელიც ხელის იდაყვიდან შუა თითის ბოლომდე მანძილის ტოლი იყო მუსლიმურ ქვეყნებში სხვადასხვა ზომისა იყო (75 – 90 სმ). ოსმალეთშიც სხვადასხვა იხმარებოდა (ეგვიპტური, სტამბოლური, მექური). მექურ წყრთას სამშენებლო საქმეში ხმარობდნენ.

მ ე ქ უ დ ი ნ ი – ნაწარმოების უნდა იყოს „მ ა ჯ დ უ დ-ი ნ“-იდან – ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს დ ი დ ე ბ ა და ტიტულად იხმარებოდა.

მ ი ლ ი – მანძილის საზომი. წყაროებში სხვადასხვანაირად არის განმარტებული: 1. მანძილი, რომელიც 1000 ზირას – წყრთას შეიცავდა – დაახლოებით 750 მეტრი. ათასი ნაბიჯი. 3. ფარსანგის 1/3. 4. საშუალო ნაბიჯით საათის 1/3-ში გავლილი მანძილი.

მ ი მ ბ ა რ ი, მ ი ნ ბ ე რ ი – მეჩეთში მიჰრაბის მარჯვნივ აღმართული კათედრა, რომელიც გაამაყებული იყო მარმარილოს, ქვის ან მოჩუქურთმებული ხისაგან. ამ მიმზარიდან აღავლენდა ხუტბას მეჩეთის ხატიბი.

მ ი ნ ა რ ე თ ი – მეჩეთის გვერდით აგებული მაღალი კოშკი, საიდანაც მუეძინი დღეში ხუთჯერ მოუწოდებდა ჯამაათს სალოცავად – აზანს იტყოდა.

მ ი ნ ბ ე რ ი, იხ. მიზარი.

მ ი რ ა ლ ე მ ი, „მ ი რ-ი ა ლ ე მ“ – სახელმწიფო მედროშეებისა და მემუსიკების **ბოლუქების** მეთაური. ლაშქრობისას წინ

მიუძღვოდა მედროშეებს და თეთრი ალამი ეჭირა. ახლადდანიშნულ ვეზირებს, ბეგლარ-ბეგებს და სანჯაყ-ბეგებს მირალემის ხელით უგზავნიდა სულთანი თანამდებობის ატრიბუტებს – დროშებსა და თულებს. სულთანი ცხენზე რომ ჯდებოდა, უზანგი მირალემს ეჭირა; ელჩების მიღებას და სხვა ცერემონიალს უსათუოდ ესწრებოდა. ზოგჯერ მნიშვნელოვანი დავალებით აგზავნიდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში. კანონით გათვალისწინებული იყო, რომ დაწინაურებული მირალემი სანჯაყის ბეგი უნდა გამხდარიყო. თუმცა, ხშირად ვეზირებიც ხდებოდნენ.

მ ი რ ა ბ ი – წყლის განმგებელი („მ ი რ“ – განმგებელი; „აბ“ – წყალი) მას „ს უ-ა ღ ა ს ი“-საც („სუ“ – წყალი, „აღ“ – ბატონი) უწოდებდნენ; მოხელე, რომელიც განაგებდა სარწყავი წყლის განაწილებას, მორწყვის რიგსა და თვალყურს ადევნებდა წყლის რაციონალურ ხარჯვას.

მ ი რ ზ ა – ირანში საკუთარი სახელის წინ აღიშნავდა მწერალს, მდივანს, მასწავლებელს, მოხელეს. სახელის შემდეგ უ ფ-ლ ი ს წ უ ლ ს. ოსმალეთში ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „შაჰ-ზადე“ – შ ა ჰ ი ს შ ვ ი ლ ი.

მ ი რ-ლ ი ვ ა – ერთთულიანი ფაშის სამხედრო წოდება, აგრეთვე – სანჯაყის (ლივას) ბეგი (იხ. სანჯაყ-ბეგი).

მ ი რ-მ ი რ ა ნ ი – იგივე ბ ე ღ ლ ე რ-ბ ე ღ ნ ე (ბეგლარ-ბეგი), ვ ა ლ ნ – ვილაიეთის განმგებელი; ვილაიეთის ჯარების სარდალი და სამოქალაქო საქმეების ხელმძღვანელი.

მ ი ფ თ ა ჰ ლ უ ლ ა მ-ა ღ ა ს ნ – („მ ი ფ თ ა ჰ“ – გასაღები) სულთნის პირადი აპარტამენტის ექვს დიდ ალას შორის რიგით მე-6 იყო. მას „ანაჰთარ ალასი“-საც („გასაღებების ალა“) უწოდებდნენ. ის თვალყურს ადევნებდა მსახურთა დისციპლინას და მათ წესიერ მუშაობას.

მ ი ჰ თ ე რ, მ ე ჰ თ ე რ – ოსმალთა ჯარის მემუსიკეები. მემუსიკეთა დასტაში იყო დიდი და პატარა დოლები, ზურნა, ნაღარა, საყვირი, მუსიკალური თეფშები.

მ ი ჰ მ ა ნ დ ა რ ი, მ ე ჰ მ ა ნ დ ა რ ი – მესტუმრე. ოსმალეთის სულთნისა და ირანის შაჰის სასახლის, ვილაიეთებისა და სახანოების გამგებლების, ქალაქების მოხელეები, რომლებიც ელჩებსა და საპატიო სტუმრებს შეეგებებოდნენ, მასპინძლობას უწევდნენ და საქმის მოგვარებაში ეხმარებოდნენ. ოსმალეთში ამ თანამდებობაზე უმეტეს შემთხვევაში კაფიჯი-ბაშიები ინიშნებოდნენ.

მიჰრაბი – მეჩეთის იმ კედელში გაკეთებული ნიშა, რომელიც მექასაკენ იყო მიმართული. მლოცველებს პირი მიჰრაბისაკენ ჰქონდათ და ისე ლოცულობდნენ. ეს სიტყვა მეჩეთების სათვალავის აღმნიშვნელიც იყო, მაგალითად: „ქალაქში შვიდი მიჰრაბია ნიშნავს: „ქალაქში შვიდი მეჩეთია“.

მოლა – („მევლანა“-დან ნაწარმოებია) 1. დიდად განათლებული სასულიერო პირი. 2. მაღალი რანგის ყადი, რომელიც დიდ ქალაქში იჯდა (ბელგრადში, სოფიაში, ანკარაში, ბურსაში). 3. მედრესეს მასწავლებელი (მუდარისი). 4. ქრისტიანულ ქვეყნებში ასე უწოდებდნენ ყველა მუსლიმ სასულიერო პირს.

მუდარისი – მასწავლებელი მედრესეში (იხ. მედრესე).

მუეზინ-ბაშა – სასახლეში, ვილაიეთების ფაშების კარზე მუეზინების მეთვალყურე და ხელმძღვანელი..

მუეზინი – მეჩეთის მსახური, რომელიც მინარეთის აივანიდან მრევლს სალოცავად მოუწოდებდა – აზანს წარმოსთქვამდა.

მუთასაფირი – 1. განმგებელი. 2. ქონების პატრონი. 3. სანჯაყის ბეგისა და ვილაიეთის ბეგლარბეგის (მირმირანის, ვალის) სინონიმი.

მუთეველი – ვაკუფების მოურავი. მუთეველის თანამდებობაზე ხშირად ვაკუფის შემწირავის მემკვიდრეები ინიშნებოდნენ და შემოსავლის ნაწილს იღებდნენ. მუთეველის საქმიანობას კონტროლს უწევდა ყადი.

მუთეფერიკა – 1. ნაწილი სულთნის პირად დაცვაში მსახურობდა. გარდა დაცვისა, მათ ევალებოდათ სულთნის სხვადასხვა ბრძანების შესრულება. სასახლის ყველაზე მნიშვნელოვან და საპატიო სამსახურად ითვლებოდა. ბაიაზეთ I-ის დროს (1389 – 1402) 40 კაცი იყო. ძირითადად ვეზირების, ბეგლარბეგების, დავთარდარებისა და სხვა წარჩინებულების შვილები იყვნენ. ისინი მხოლოდ სულთანსა და თავიანთ მეთაურს – მუთეფერიკა-ბაშის ემორჩილებოდნენ. დროთა განმავლობაში მათი რიცხვი გაიზარდა. XVI საუკუნეში 430 იყო და XVII საუკუნეში – 630. 2. იანიჩართა კორპუსის მუთეფერიკაები; ისინი სოლაკებისა და მონადირეების (შიქარ) ბოლუქებში ითვლებოდნენ და მათ სამსახურს მეთვალყურეობდნენ. 3. მუთეფერიკაები ეწოდებოდათ. აგრეთვე, დიდვეზირების, ვეზირების, ბეგლარბეგებისა და სანჯაყთა ბეგების ამაღლებაში მყოფ ადებსაც. მათ ახლდნენ ლაშქრობაში, ფაშების დროშები მიჰქონდათ, ბრძანებებს დანიშნულებისამებრ გადასცემდნენ.

მ უ ლ თ ა ზ ი მ ი – ილთიზამის მფლობელი ფეოდალი ი ლ-
თ ი ზ ა მ ი ეწოდებოდა იჯარით გაცემულ მიწას, ან გადასახადების
აკრეფის უფლებას.

მ ლ ქ ი – ასე ეწოდებოდა მიწას, ან უძრავ ქონებას და მათ
შემოსავალს, რომელიც ვინმეს სრული საკუთრების უფლებით და
სამემკვიდრეოდ ჰქონდა. შეიძლებოდა მისი გაყიდვა, ვაკუფად შე-
წირვა. ამ წესს მ ლ ქ ი ე თ ი ეწოდებოდა.

მ ლ ქ ი ე თ ი, იხ. მ ლ ქ ი.

მ უ მ ხ ა ნ ე – სანთლის სახელოსნო.

მ უ ნ შ ე – მ დ ი ვ ა ნი; ირანის სახელმწიფო დივანის მდივან-
მწიგნობარი. ევლია ჩელები განმარტავს: „ირანში რეის ულ-ქუთ-
თაბს მუწში ეწოდებოდა („ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“,
ნაკვ. 1 № გვ. 250) რეის ულ-ქუთთაბი ოსმალეთის მდივანმწიგ-
ნობართა მუშაობას განაგებდა (იხ.)

მ უ ს ა ჰ ი ბ ი, მ უ ს ა ი ბ ი – მეგობარი, თანამოსაუბრე, და-
ახლოებული პირი, ის, ვინც სულთანს კერძო ცხოვრებაშიც თან
ახლდა და მისი დაახლოებული პირი იყო.

მ უ ს ე ლ ე მ ი – მუსელებების ოჯახის წევრი. ეს იყო გლეხ-
თა ერთ-ერთი კატეგორია, რომლებსაც მიწის ნაკვეთები ეძლეო-
დათ ჯარის სამსახურის სანაცვლოდ. ხუთი მუსელიმიდან თითო რიგ-
რიგობით მიდიოდა ლაშქრობაში. მას სალაშქროდ აწყობდნენ და
უღლუფას აძლევდნენ დანარჩენები. ჯარის ადალში მსახურობდნენ,
ზარმაზნებს და საომარ მასალას ეზიდებოდნენ. სამსახურის სანაც-
ვლოდ გადასახადებისაგან თავისუფალი იყვნენ.

მ უ ს ე ლ ი მ ი – ქალაქის მმართველი, ვილაიეთის ან სანჯა-
ყის განმგებლის მოადგილე.

მ უ ს თ ა ყ ი მ ი – არაბული დამწერლობის სახეობა.

მ უ ს თ ა ს ე ნ ი – არაბული დამწერლობის სახეობა.

მ უ ს ტ ო უ ფ ი – ირანის საფინანსო უწყების გამგე.

მ უ ფ თ ე – მუსლიმთა სასულიერო წოდების წარმომადგენელ,
ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე. განსაკუთრებით რთული
იურიდიული საკითხების შესახებ წერილობითი დასკვნის – ფ ე თ-
ვ ა ს – შემდგენელი. მუფთიებს შორის უპირველესი იყო შეიხ-
ულ-ისლამი და მასაც ხშირად მუფთის უწოდებდნენ (იხ.).

მ უ ჰ ა ს ე ბ ე ჯ ი – მ ო ა ნ გ ა რ ი შ ე. საფინანსო უწყების
მოხელე. საფინანსო უწყების მთავარ კანცელარიას ბაშ-მუჰასებე
ეწყობოდა. მას ხელმძღვანელობდა ბაშ-მუჰასებეჯი, რომელიც ხა-

ზინის შემოსამადგასაედ.,ს აღრიცხვას და კონტროლს მერხები
ჯების საშუალებით აწარმოებდა

ევლია ჩელების მიერ მოხსენიებული ანატოლიის მუჰასებეჯი
ხელმძღვანელობდა ანატოლიაში არსებული, სულთნებისა და ვეზი-
რების მიერ ვაკუფად შეწირული მიწებისა და ქონების შემოსავ-
ლის ანგარიშწარმოებას და ანატოლიის ბეგლარ-ბეგების წარდგი-
ნების საფუძველზე გაცემული თიმარების საბუთების სისწორეს.

მ უ ჰ თ ა ს ი ბ-ა ღ ა/ი ჰ თ ი ს ა ბ-ა ღ ა – მუჰთასიბების უფრო-
სი (იხ. მუჰთასიბი).

მ უ ჰ თ ა ს ი ბ ი – მოხელე, რომელიც ბაზრის ფასებს ზედა-
მხედველობდა; თვალყურს ადევნებდა, რომ ხელოსნებსა და ვაჭ-
რებს დაეცვათ დადგენილი ფასები: ამოწმებდა საწონ და საზომ მო-
წყობილობას და თუ შეამჩნევდა მყიდველთა მოტყუების ფაქტებს,
სჯიდა დამნაშავეს.

ნ ა ი ბ ი – შარიათის სასამართლოს მოსამართლე; ყადის მო-
ადგილე, როდესაც იგი ადგილზე არ იყო. ნაიბი ეწოდებოდათ, აგ-
რეთვე, რუმელიისა და ანატოლიის ყაზიასკერების მოადგილეებს
(ყაზიასკერები ხშირად და ხანგრძლივი დროით სტამბოლში არ
იყვნენ ხოლმე).

ნ ა კ ი ბ ი – 1. შთამომავალი. 2. წინამძღვარი. 3. სამხედრო ნა-
წილის უფროსი.

ნ ა კ ი ბ უ ლ-ე შ რ ა ფ ი – მუსლიმური სასულიერო წოდე-
ბის ზედაფენის ერთი ნაწილი (შერიფები) თავის თავს მუჰამედის
პირდაპირ შთამომავლად თვლიდა. ამ ფენას სათავეში ედგა უხუ-
ცესი – ნაკიბ ულ-ემრაფი. ნაკიბ ულ-ემრაფები ქალაქებშიაც იყვ-
ნენ და როგორც ქალაქების წარჩინებულთა ინტერესების წარმო-
მადგენლები, დიდ როლს თამაშობდნენ. მათ შემოკლებით ნაკიბ-
საც უწოდებდნენ.

ნ ა კ ი ბ ე ნ დ ნ, ნ ა კ შ ი – შეიხ მეჰმედ ნაკიშბენდის მოძღვ-
რების მიმდევარი დერვიში.

ნ ა მ ა ზ ი – ლოცვა, რომელიც მართლმორწმუნე მუსლიმს
დღეში ხუთჯერ უნდა შეესრულებინა მეჩეთში ან სალოცავ ხალი-
ჩაზე ალიონზე (სალათ ას-სუმჰ), შუადღეს (სალათ აზ-ზუხს), დღის
მეორე ნახევარში (სალათ ალ-ასრ), მზის ჩასვლისას (სალათ ალ-
მადრიბ) და ღამის პირველ მესამედში (სალათ ალ-აშა).

ნ ა ჰ ი ე – ქვეყანა, მხარე, ოლქი; XVI საუკუნიდან – სასამარ-
თლო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ყაზაში შედიოდა და
რამდენიმე სოფელს აერთიანებდა.

ნ ე დ ი მ ი – 1. ტკბილმოუბარი. 2. სულთნის დაახლოებული პირი, რომელიც სულთანს ართობდა საიტერესო საუბრით; ნედი მეზი დიდ მოხელესაც ჰყავდათ; მაგალითად: ევლია ჩელები ერთ-ხანს არზრუმის ფაშის ნედიმი იყო. 2. იანიჩართა კორპუსში ახლად-ჩარიცხული.

ნ ო ვ რ უ ზ ი – ახალი წლის პირველი დღე (21 მარტი) ირანში, რომელიც გაზაფხულის ბუნიობას მოდიოდა; მუსლიმთა რელიგიური დღესასწაული, რომლის რიტუალით გათვალისწინებული იყო ორი სახის ზეიმი: სასახლის ცერემონიალით მოწყობილი და სახალხო ზეიმი. დღესასწაული ერთ თვეს გრძელდებოდა და 6 ნაწილად იყოფოდა – თითოში 5 დღით. ეს ხუთ-ხუთი დღე სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის დღესასწაული იყო პირველი ხუთი დღე – წარჩინებულებისა, მეორე – შაჰისა და ამ ხუთდღიანი მონაკვეთის პირველ დღეს ეწოდებოდა შაჰის (სამეფო) ნოვრუზი, ზოგჯერ – ხვარაზმ-შაჰის ნოვრუზი.

ნ ო ქ ა რ ი – 1. შეგირდი; 2. მსახური; 3. შეიარაღებული მსახური; 4. ციხისმცველი მეომარი ირანში.

ნ ა ა ა – მუდმივი, ჯამაგირიანი ქვეითი ჯარი, რომელიც იანიჩართა კორპუსის შექმნამდე არსებობდა. მის დაარსებას ჩანდარლი ყარა ჰალილს მიაწერენ. ჯარის ამ სახეობის მეომრები ლაშქრობის დროს დღიურად ორ ახჩას იღებდნენ. ლაშქრობის დამთავრების შემდეგ თავიანთ ქვეყნებში ბრუნდებოდნენ და სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. სამხედრო სამსახურის სანაზღაუროდ ყოველგვარი გადასახადისაგან გათავისუფლებული იყვნენ. იანიჩართა კორპუსის დაარსების შემდეგ ომიანობის დროს ზოგი თავის ქვეყანაში რჩებოდა გარნიზონებში, ზოგი ლაშქრის ზურგის სამსახურში იყო: საომარ მასალასა და სურსათს ეზიდებოდნენ, გზებს წმენდნენ, ხიდებს აშენებდნენ და ციხეებს ამაგრებდნენ. თიმარები ეძლეოდათ ჯერ ოც-ოც კაცს ერთად და XVII საუკუნეში – ოცდაათ-ოცდაათ კაცს. ლაშქრობისას ამ ჯგუფებიდან 5 კაცი ჯარში მიდიოდა და „ე შ ქ ი ნ ჯ ი“ ეწოდებოდათ; დანარჩენები სახლში რჩებოდნენ და მათ დამაკებს უწოდებდნენ მეთაურებს **ნ ა ა ა - ბ ე გ ე** ეწოდებოდათ.

ნ ა ა ა - ბ ა შ ი – მხოლოდ იანიჩართა 1 – 101 ორთების მეთაურებს ეწოდებოდათ ეს სახელი. დღიურად 24 ახჩას იღებდნენ გასამრჯელოს.

ნ ა ს ა კ ჩ ი – იანიჩარები, რომლებსაც ევალებოდათ სტამბოლში ჩამოსული უცხოელი ელჩებისა და მათი საელჩოების დაც-

ვა. გარდა ამისა, იანიჩართა კორპუსის სხვადასხვა ორთებს მორიგეობით წესრიგი უნდა დაეცვათ მათი განლაგების რიონში, ქალაქში ან ციხე-სიმაგრეში. ამისათვის გადასახადების გადამხდელები გასამრჯელოს აძლევდნენ.

დასი, დასინი – ყურანის 36-ე სურა, რომელსაც გარდაცვლილის მოსახსენებლად წაიკითხავდნენ ხოლმე. ეს სურა „ა“ – ا და „სინ“ – س – ასოებით იწყება და ამიტომ მას დასინს უწოდებენ.

აუზბაშე – ასისთავი.

აუთაჰი, იხ. ხომალდები.

აურთაქი – „აურ“ ნიშნავს: 1. ქვეყანა, მხარე. 2. სამშობლო. 3. საცხოვრებელი. 4. მომთაბარე ტომის მიწა, რომელიც ან სრული საკუთრება იყო, ან სამხედრო სამსახურის პირობით ეძლეოდა. ამგვარად, „აურთექი“ ნიშნავს აურთის მფლობელს. ევლია ჩელები ასე განმარტავს: „ეს მნსურლუს ტომები ყირიმის იურთაქები ე. ი. ყირიმის ნახევარკუნძულის მფლობელები არიან“ („ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1, გვ. 118).

აურთლული, აურთლული – მიწები, რომლებსაც სახელმწიფო აძლევდა დაპყრობილი ქვეყნების ადგილობრივ ფეოდალებს. ესენი ისლამს მიიღებდნენ, მიწას ინარჩუნებდნენ და ოსმალეთის მთავრობას დახმარებას უწევდნენ ქვეყნების დამორჩილების საქმეში. ეს მიწები მემკვიდრეობის წესით გადადიოდა. აშარის შემოსავალი მფლობელისა იყო, სამაგიეროდ იგი სამხედრო სამსახურში იყო და ფეოდალურ ლაშქართან ერთად გამოჰყავდა რაზმები აურთლულები იყო დიარბეჟირის, შეჰრიზორის ვილაიეთებში, აგრეთვე საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომლებიც ოსმალებმა მიიტაცეს. ევლია ჩელები წერს: „შავშეთის სანჯაყები აურთლული და ოჯაკლექსებია და მულქიეთის წესით არის მფლობელობაში“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1, გვ. 299).

აურექი – 1. მომთაბარე, მომთაბარე ტომი. 2. სწრაფი.

აუქი – 1. ტვირთი, საპალნე, ტყავის ტომარა. 2. თანხა, რომელიც 100 ათს ახჩას შეადგენდა (1687 წლამდე).

ოდა – 1. ოთახი. 2. იანიჩართა ყაზარმა. იანიჩართა ბოლუქებსა და ორთებს ცალკე ყაზარმები ჰქონდათ ჯერ ედირნეში და კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ – ძირითადად სტამბოლში. 3. ოდა ეწოდებოდა იანიჩართა იმ ნაწილებსაც, რომლებიც

ოდებში – ყაზარმებში ცხოვრობდნენ და ეს ტერმინი ორთას პარალელურად იხმარებოდა.

ო დ ა ბ ა შ ი – 1. იანიჩართა ყაზარმის განმგებელი ლაშქრობისას ცალკე კარავში იყო და იანიჩართა ოდის კარვები მის გარშემო ეწყობოდა. 2. სასტუმროს მოხელე, რომელიც სასტუმროს ოთახებს განაგებდა.

ო თ უ რ ა კ ი – 1. დამსხურებული იანიჩარი, რომელიც მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიას იღებდა. 2. ნიჩბიან ხომალდებზე მენიჩბის დასაჯდომი ადგილი.

ო ყ ა, ვ ა კ ი ე – წონის ერთეული, რომელიც სტამბოლში 400 დირჰემს – 1282 გრამს უდრიდა, ოსმალეთის სსვადასხვა მხარეში მისი წონა 200-დან 400 დირჰემამდე მერყეობდა.

ო ჯ ა კ ი – 1. კერია. 2. ოჯახი. 3. იანიჩართა კორპუსის საერთო სახელწოდება.

ო ჯ ა კ ლ ი ქ ი – სახელმწიფო მიწების კატეგორიაში შედიოდა და სამემკვიდრეოდ ეძლეოდა დაპყრობილი ტერიტორიის ფეოდალებს, ტომების ბელადებს. ძირითადად ეს იყო სანჯაყი, რომლის მფლობელი სამხედრო სამსახურში იყო და გადასახადების ნაწილი ეკუთვნოდა. ასეთი სანჯაყები აღმოსავლეთ ანატოლიაში შეიქმნა და იმ ადგილობრივ ფეოდალებს აძლეოდნენ, ვინც ოსმალეთს ეხმარებოდა ქვეყნის დამორჩილების საქმეში (ახ. იურთლუქი).

პ ო ლ უ ს თ ა პ ო ლ უ ს ი (კუთბ ალ-ეკთაბ) იხ. კუთბიეთი.

რ ა ბ ა თ ი – ციხის გარეუბანი, რომელიც გალავნით იყო შე მოზღუდული.

რ ა ი ა, რ ე ა დ ა – ქვეშევრდომები, XV – XVII საუკუნეებში ოსმალეთში ასე ეწოდებოდა გადასახადის გადამხდელ, ფეოდალურად დამოკიდებულ სოფლის მოსახლეობას, გლეხებს („რაია ვე **შეჰირლუ**“ – გლეხები და ქალაქელები) XVII საუკუნიდან, უმეტეს შემთხვევაში, ქრისტიანი მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინი.

რ ა ი ა თ ი – („რაიას“ მხოლოდითი რიცხვი.) გ ლ ე ხ ი.

რ ა მ ა ზ ა ნ ი – მუსლიმური კალენდრის მე-9 თვე; რამაზანის თვეში მუსლიმები მარხვას იცავენ (მზის ამოსავლიდან ჩასვლამდე საჭმელ-სასმელს არ ეკარებიან).

რ ა ფ ი ზ ი – მწვალეხელი. ასე უწოდებდნენ სუნიტები შიიტებს.

რ ე ი ს ი – 1. უფროსი, რაიმე საქმის განმგებელი: „რეის **ულ-ქაჟთთაბ**“ – სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და ა. შ. XVII

საუკუნემდე ასე ეწოდებოდა სამხედრო გემის მეთაურს, შემდეგ კი მათ კაფუდანებს უწოდებდნენ და რ ე ი ს ი სავაჭრო გემის მფლობელს ან კაპიტანს ეწოდებოდა.

რ ი ს ა ლ ე – წერილობითი მიმართვა, ტრაქტატი.

რ უ ზ ნ ა მ ე – დ ღ ი უ რ ი, დ ა ვ თ ა რ ი; საფინანსო უწყების კანცელარიის საბუღალტრო წიგნები შემოსულისა და გასავლისათვის, სხვადასხვა სახის გადასახადებისათვის და ა. შ.

რ უ ზ ნ ა მ ე ჯ ო – სახელმწიფო ხაზინის მოხელე ბაშ დავთარდარს ემორჩილებოდა „დიდი დავთრის“ (ბუღალტრული რუხნამე) ხელმძღვანელი – ბუღალტრული რუხნამეჯო, რომელიც განაგებდა ვაკუუმების, საიჯარო მიწებისა და ჯიზიას შემოსავლის აღრიცხვას. მისი მეთვალყურეობით ყოველდღიურად აღნუსხავდნენ „დიდ დავთარში“ შემოსავალს. საფინანსო უწყების დანარჩენ საქმიანობას განაგებდა მოხელე, რომელსაც „პაჯარა რუხნამეჯო“ ან „მეორე რუხნამეჯო“ ეწოდებოდა.

რ უ მ – 1. ბიზანტია. 2. მცირე აზია. 3. ანატოლია.

რ უ მ ო – ბერძენი; ბერძნული, ბიზანტიური ანატოლიური.

ს ა დ რ ა ზ ა მ ი – იგივე დიდვეზირი – სახელმწიფო დივანის ხელმძღვანელი, სახელმწიფოს პირველი დიდკაცი. იგი ხელმძღვანელობდა ქვეყნის მართვა-გამგეობას, საგარეო საქმეებს, სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნასა და გადაყენებას. ლაშქრობის დროს ოსმალეთის ჯარებს სარდლობდა და საპატიო ტიტულად – „სერდარ-ი ეკრემ“ ეძლეოდა.

სამსახურისათვის სახასო მიწები ჰქონდა, რომელთა წლიური შემოსავალი 2,5– 3 მილიონ ახჩას აღწევდა.

ს ა ვ ო ე ვ ო დ ო (ვოევოდალიქ) – თანამდებობა, რომელიც ვოევოდას უჭირა. ვოევოდები ეწოდებოდათ: 1. ეროპული ვილაიეთების ზოგ ბეგლარ-ბეგსა და სანჯაყის ბეგებს. 2. სანჯაყის ბეგის ხასების განმგებელს ერთ, ან რამდენიმე ნაჰიეში. 3. ბეგლარ-ბეგების, დიდვეზირების, სულთნის ხასების განმგებელს.

ს ა ნ დ ა ლ ი, იხ. ხომალდები.

ს ა ნ ჯ ა ყ – ბ ე გ ი – სანჯაყის მმართველი და ლაშქრობის დროს სანჯაყის ფეოდალური ლაშქრის მეთაური; სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში ვილაიეთის ბეგლარ-ბეგს ემორჩილებოდა. ზოგ სანჯაყ-ბეგს ერთთულიანი ფაშის ტიტული ეძლეოდა. სანჯაყ-ბეგს მუთასარიფსა და მირ-ლივასაც უწოდებდნენ.

ს ა ნ ჯ ა ყ ი – 1. დროშა, 2. სადროშო – სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ვილაიეთში შედიოდა.

ს ა რ ა ჯ ი – მეუნაგირე, ცხენის საკაზმის ხელოსანი. სულთნის სასახლის საჯინბოს მსახურთა შორის 200 სარაჯი იყო.

ს ა რ ა ჯ ხ ა ნ ა – უნაგირებისა და ცხენის მოსართავეების სახელოსნო.

ს ა რ ი ჯ ა – ასე ეწოდათ ვილაიეთების ფაშების საკუთარი ჯარის რაზმებს მეჰმედ II დროს (1451 – 1481) აჯანყებული სარიჯა-ფაშას სახელის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში ასე უწოდებდნენ იმ რაზმებს, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ ბრძანებას, ან რომლებიც დასაყრდენი გახდებოდნენ ხოლმე აჯანყებული ფაშებისა და სანჯაყის ბეგებისათვის. ევლია ჩელები მათ თავზეხელაღებულიება და ყალთაბანდებს უწოდებს.

ს ა ს უ ბ ა შ ო, იხ. **სუბაშო**.

ს ა ჰ ა ქ ი მ ო, იხ. ჰაქიმი.

ს ე ბ ი ლ ი – 1. გზა. 2. გზის პირას გაკეთებული; კეთილმოწყობილი წყარო, საიდანაც უფასოდ დაღევდა კაცი წყალს. 3. წყალი, რომელსაც უფასოდ არიგებდნენ გარდაცვლილის ნათესავები მისი სულის მოსახსენებლად.

ს ე ბ ი ლ - ხ ა ნ ა – ადგილი, სადაც უფასო წყალს – სებილს არიგებდნენ.

ს ე გ ა ჰ ი – სიმღერით წარმოთქმული ბეითები.

ს ე ი დ ი – მუჰამედის შთამომავალი.

ს ე კ ბ ა ნ ი – მეძალე, ძაღლებით მონადირე. იანიჩართა კორპუსის ერთი ძირითადი ნაწილი (კორპუსში სამი ძირითადი კატეგორია იყო). მეჰმედ II ფათიჰამდე (1451 – 1481) რეგულარული ჯარის დამოუკიდებელი კატეგორია იყო და მათი მეთაური სხვა ნაწილების მეთაურებზე უფროსად ითვლებოდა. მეჰმედ II ისინი იანიჩართა კორპუსს შეუერთა. რიგითი სეკბანები დღეში 6 – 8 ახჩას იღებდნენ. მათ შორის პრივილეგირებული იყვნენ 33-ე ბოლუქის სეკბანები, რომლებიც სულთანს სანადიროდ ახლდნენ ხოლმე. ესენი ძირითადად წარჩინებულთა შვილები იყვნენ (იხ. იანიჩარი).

სეკბანები ეწოდებოდათ აგრეთვე სასაზღვრო სამსახურის რაზმებს, ვილაიეთების და სანჯაყების მმართველთა ჯარების ნაწილებს, რომლებიც ჯამაგირს იღებდნენ. მათ დანაყოფებს, იანიჩართა სეკბანების ბოლუქებისაგან განსხვავებით, ბ ა ი რ ა ღ ე ბ ი ეწოდებოდათ. თითო ბაირაღში 60 სეკბანი იყო.

ს ე ლ ს ე ბ ი ლ ი – ნაკადული სამოთხეში; გემრიელი წყაროს წყლის აღსანიშნავად იხმარებოდა.

ს ე ფ ე რ ლ ე – სულთნის სასახლის მსახურთა ერთი კატეგორია. 1635 წელს, როდესაც მურად IV ერევანზე სალაშქროდ მიდიოდა, სასახლის იჩ-ოღლანების ნაწილი გამოჰყო და თან წაიყვანა. პირველ ხანებში მათი მოვალეობა იყო სასახლეში მცხოვრებთა თეთრეულის რეცხვა. შემდეგ მათი მოვალეობანი გაფართოვდა და გადაიქცა ორგანიზაციად, სადაც სასახლისათვის სხვადასხვა სპეციალობის მსახურებს ამზადებდნენ (მხატვრებს, მომღერლებს, მეჭიანურეებს, დალაქებსა და სხვ. მასახარები და ჯუჯებიც აქ შედიოდნენ).

ს ი ლ ა ჰ დ ა რ - ა ლ ა (იგივე სილაჰდარი) – „საჭურველთმცვითელი“, სულთნის საცხოვრებელი პალატის მსახურთა უფროსის – ჰასოდა-ბაშის შემდეგ პირველი მოხელე სასახლეში. ბაიაზეთ I ილდირიმის დროს (1389 – 1402) შემოიღეს ეს თანამდებობა. სასახლის ცერემონიალსა და საზეიმო აღლუმებზე სულთნის მარჯვნივ მოდიოდა ცხენით და მარჯვენა მხარზე სულთნის ხმალი ჰქონდა გადებული. მასვე ებარა სულთნის ყოველგვარი სახის იარაღი, უვლიდა და ინახავდა. გამუდმებით ახლდა სულთანს და მის უერთგულეს პიროვნებად ითვლებოდა. მათ ვეზირებად, ბეგლარბეგებად, იანიჩართა კორპუსის მეთაურებად, კაფუდან-ფაშებად აწინაურებდნენ.

ს ი ლ ა ჰ დ ა რ ე ბ ი – რეგულარული ცხენოსანი ჯარის მეორე ბოლუქს სილაჰდარები ეწოდებოდათ. მეჰმედ II ფათიჰის დროს მთავარ ბოლუქად ითვლებოდნენ და აღლუმების დროს უშუალოდ სულთანს მიჰყვებოდნენ. ლაშქრობისას წინ უძღოდნენ ჯარს და გზას სწმენდნენ, ხიდებს აკეთებდნენ და ამ საქმეში ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ. ეს ბოლუქი 260 ნაწილად იყოფოდა და თითო ნაწილში (რომელსაც, აგრეთვე, ბოლუქი ეწოდებოდა) 20 – 30 კაცი იყო.

ს ი ლ ა ჰ დ ა რ ე ბ ი ს ა ლ ა – სილაჰდარების ბოლუქის ყველა 260 ნაწილის მეთაური.

ს ი ლ ა ჰ დ ა რ ი, იხ. სილაჰდარ-ალა

ს ი მ ა ყ ი – ფერადი მარმარილო.

ს ი ფ ა ჰ ი – 1. მხედარი. 2. ფეოდალური ლაშქრის წევრი, თიმარის ან ზეამეთის მფლობელი (იხ. თიმარი). 3. „ექვსი პოლკის“ – რეგულარული ცხენოსანი ჯარის – პირველი პოლკის მეთაური.

ამათ „სიფაჰი“ ეწოდებოდათ. ფეოდალური ლაშქრისა-
გან განსხვავებით, ძირითადად წარჩინებულთა და მსხვილ ფეო-
დალთა შვილები იყვნენ; აქ შლიდნენ აგრეთვე, სასახლის დაწი-
ნაურებული მსახურები. პოლკი 300 ბოლქქად იყოფოდა და თითო
ბოლქქში 20 – 30 კაცი იყო. მათ ბოლქქ-ბაშიები მეთაურობდ-
ნენ. სიფაჰების მეთაური იყო სიფაჰ-ალ-ასი, რომლის თანა-
შემწე და სამეურნეო საქმეების გამრიგე იყო სიფაჰების ქეთხუდა.

სიფაჰ-ალ-არ-ს-ალ-არ-ი. ევლია ჩელები ამბობს:
„ირანში სარდალ ვეზირს სიფაჰ-ალ-არ-ი ეწოდება“ („მოგზაურობის
წიგნი“, ნაკვ. 1. გვ. 250).

სოლ-აკ-ი – იანიჩართა კორპუსის მე60, 61, 62-ე და 63-ე ორ-
თების (ოდეების) და მისი ჯარისკაცების სახელწოდება. თითო ორ-
თაში 100 ჯარისკაცი იყო. მათ მეთაურებს სოლ-აკ-ბაშ-ი ეწოდე-
ბოდათ. ესენი სულთნის მცველებად ითვლებოდნენ და ლაშქრობა-
ში მას ახლდნენ.

სოფ-ა – ქვის სკამი; კედელში გამოჭრილი ან შემადლებუ-
ლი ადგილი სახლის, მეჩეთის, აკლდამის, ჭის წინ, რომელიც ფეხ-
მორთხმით მოსასვენებელს წარმოადგენდა.

სოფ-ტ-ა – მედრესეს მსმენელი.

სუბაშ-ი – ორი მოავარი კატეგორია იყო: 1. „მირ-ი სუ-
ბაშ-ი“ – სახელმწიფო სუბაშიები – მოხელეები, რომ-
ლებიც ქალაქებში საპოლიციო საქმიანობას განაგებდნენ. დღისით
მეთვალყურეობდნენ ბაზრებს, სავაჭრო რიგებს, სახლებს. ამათ
ხელქვეითებსაც სუბაშ-ი ეწოდებოდათ (მაგ: ნაგვის საყრელის სუ-
ბაშ-ი). ასახაზიებთან ერთად ღამდამობით ქუჩებში დადიო-
და და საევო პირებს ჩხრეკდა, აპატიმრებდა. ამ საქმიანობაში
ყადის ემორჩილებოდა. 2. თიშ-არ-ი სუბაშ-ი სახედრო
ფეოდალი, რომელიც მშვიდობიანობისას დაბაში ან ციხე-სიმაგრე-
ში იჯდა და განაგებდა: ომის დროს სათავეში ედგა ფეოდალური
ლაშქრის რაზმს – 250 – 300 სიფაჰის – და ალ-აი-ბ-ე-ი-ს ემორ-
ჩილებოდა.

ამას გარდა, სუბაში ეწოდებოდა იანიჩართა შესავსებად მოწ-
ყობილ დწესებულების „აჯემი ოჯალ-ის“ უმცროს მეთაურს;
სუბაშ-ი იყო აგრეთვე რეგულარულ ჯარშიც, რომელიც ლაშქრო-
ბისას დისციპლინას და წესრიგს იცავდა და მშვიდობიან დროს გა-
დასახადების ასაკრეფად აგზავნიდნენ.

სულთ-ან-ი – 1. ოსმალთა სახელმწიფო მბრძანებელი, ფა-
დიშაჰი. 2. თურქულ ტომებში – უფლისწული, ტომის ბაღადი.

3. მაღალი თანამდებობის პირის საპატიო ტიტული მიმართვის დროს; როდესაც სულთნის დედის, ცოლების, ქალიშვილების სახელს ახსენებდნენ, სახელის შემდეგ სულთანს იტყოდნენ (მაგ., მურად IV-ის ერთ-ერთ ქალიშვილს კაჟა-სულთანი ერქვა).

ს უ ნ ა – მუსლიმური რელიგიური გადმოცემების ერთობლიობა, რომელიც შედგება მუჰამედის შესახებ მოთხრობებისაგან. ყოველ ასეთ გადმოცემას, რომელიც მუჰამედის გამონათქვამებს, საქციელს, მსჯელობას შეეხება, ჰადისი ეწოდება. ამ ჰადისების კრებულებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს IX საუკუნის შემდეგ და მუსლიმთათვის ყოველდღიური ცხოვრების საქმიანობისა და ყოფა-ქცევის სახელმძღვანელოდ იქცა. სუნა უწოდება, აგრეთვე, ტრადიციას, კანონს.

ს უ რ ა – ყურანი 114 თავისაგან შედგება და ყოველ მათგანს ს უ რ ა ეწოდება.

ს უ ფ ე – სიტყვა სუფი წარმოდგარია შალის ძამის სახელისაგან (ს უ ფ), რომელსაც იცვამდნენ მოხეტიალე მოქადაგები, ასკეტები, დერვიშები. სუფიები გაერთიანებული იყვნენ ორდენებში (ტარიკატ). სუფიობა, სუზიმის საერთო სახელწოდება იყო ისლამის წიაღში წარმოშობილი სხავდასხვა მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობისა.

ტ ა მ დ ა – სავაჭრო საქონელზე გადასახადი, რომელსაც ვაჭრები და ხელოსნები იხდიდნენ.

ტ ა რ უ ღ ა – სეფიანთა ირანში – მოხელე, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქსა და მის სანახებში, განსაკუთრებით ბაზრებში, წესრიგის დაცვას; იღებდა ღონისძიებას ბოროტმოქმედების აღსაკვეთად. ევლია ჩელები განმარტავს: „ირანში სუბაშინს ტარულა ეწოდება“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1, გვ. 250) იხ. სუბაშინ.

უ ლ ე მ ა – (მრავლ. ფორმა „ალიმ“-იდან) – ღვთისმეტყველები, ყურანის განმმარტებლები და მასწავლებლები. მუსლიმური სასულიერო წოდების ძირითადი კატეგორია.

უ რ ფ ი – ტრადიციებზე დამყარებული სამართალი, ადათი. ურფის გადასადები – ადათით გათვალისწინებული გადასახადები. ოსმალეთში ორი ძირითადი კატეგორია იყო გადასახადებისა: „რუსუმ-ი შერიე“ შ ა რ ი ა თ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი და „თექალიფ-ი ურფიე“ – უ რ ფ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი, რომელიც

ყველაზე მძიმედ აწვა მოსახლეობას; აჯანყებულთა ძირითადი მოთხოვნა სწორედ ურფის გადასახადებისაგან გათავისუფლება იყო.

უ ს ქ უ ფ ი – მაღალი, წვეტიანი ქუდი.

ფ ა თ ი ჰ ა (ალ-ფათიჰა) – ყურანის პირველი თავი (სურა), რომელსაც მუსლიმი ყოველგვარი საქმიანობის დაწყების წინ წარმოსთქვამდა.

ფ ა დ ი შ ა ჰ ი – ხელმწიფე სულთნის ოფიციალური ტიტულები იყო: ხ ა ნ ი, ს უ ლ თ ა ნ ი, ჰ უ ნ ქ ი ა რ ი (ხონთქარი), მაგრამ ხალხში ხშირად ტიტულად ფ ა დ ი შ ა ჰ ს ხმარობდნენ. სულთნები, თავის მხრივ, ფადიშაჰს უწოდებდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოების მბრძანებლებს.

ფ ა კ ი ჰ ი – მუსლიმური სამართლის – შარიათის კანონების მცოდნე.

ფ ა რ ს ა ნ გ ი, ფ ა რ ს ა ხ ი – სიგრძის საზომი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მანძილს აღნიშნავდა და საშუალოდ 6 კილომეტრი უნდა ვივარაუდოთ. ზოგი წყაროს მიხედვით იგი აღნიშნავდა 4 საათის სავალს, 12 ათას ნაბიჯს. ევლია ჩელები განმარტავს: „თითო ფარსანგი 12 ათასი ნაბიჯია („მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1. გვ. 254).

ფ ა რ ს ა ხ ი, იხ. ფარსანგი.

ფ ა შ ა – ბეგლარ-ბეგების, ვეზირების, საზღვაო ფლოტის სარდლის, დიდვეზირის და ზოგი სხვა დიდი სამხედრო და ადმინისტრაციული მოხელის ტიტული. მეჰმედ II ფათიჰამდე (1451 – 1481) ეს ტიტული მაღალი რანგის ღვთისმეტყველებსაც იძლეოდათ. XVI საუკუნის ბოლომდე სანჯაყის ბეგებსაც ფაშას უწოდებდნენ (ერთთულიანი ფაშა).

ფ ე თ ვ ა – წერილობითი პასუხი ან გადაწყვეტილება, რომელსაც მუფთი შარიათის საფუძველზე ადგენდა მნიშვნელოვანი და რთული იურიდიული საკითხის შესახებ. ფეთვა ენდა შეედგინა შეიხ ულ-ისლამსაც (მთავარ **მუფთის**) ომის გამოცხადების, დაზავების, სულთნის ტახტზე ასვლის ან გადაყენებისა და სხვა სახელმწიფო საქმეების კანონიერების დასასაბუთებლად ფეთვა კითხვა-პასუხის სახით დგებოდა.

ფ ე ნ ე ქ ი, იხ. ხომალები.

ფ ე შ თ ე მ ა ლ ი – წ ი ნ ს ა ფ ა რ ი; ზეწარი, რომელსაც აბანოში წელქვეით იხვევდნენ ხოლმე.

ფირო – 1. მოხუცი, მიხრწნილი. 2. რელიგიური ძმობის მეთაური, დერვიშთა ორდენის მეთაური. 3. ყოველგვარი საქმიანობის, ხელოსანთა ამქრების და სხვ. წამომწყები და თავკაცი.

ფიკათა, იხ. ხომალდები.

ქათიზი – მწერალი, გადამწერი, მდივანი.

სახელმწიფო დაწესებულებათა კანცელარიების მოხელე.

ქალანთარი – ქალაქის საპოლიციო სამსახურის უფროსი ირანში. ევლია ჩელები განმარტავს: „ირანში ალაი-ბეგს ქალანთარი ეწოდება“ („ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1, გვ. 250).

ქარიზი – მიწისქვეშა სარწყავი არხი.

ქაფირი – გიაური, ურწმუნო, ურჯულო. ასე უწოდებდნენ მუსლიმები სხვა რელიგიის მიმდევრებს, მათ შორის – ქრისტიანებს. ხშირად ასე უწოდებდნენ სუნიტები – ორთოდოქსალური ისლამის მიმდევრები – შიიტებს.

ქაღალდის გამგე – „ქალითჩი-ბაშა“, „ქალით ემინი“; სახელმწიფო დაწესებულებებში ქაღალდისა და სხვა საკანცელარიო ნივთების მომმარაგებელი და გამცემი.

ქეთხუდა – მამასახლისი, მოურავი. სასახლის, სახელმწიფო დაწესებულებების და სხვადასხვა სახეობის ჯარების მეთაურთა მოადგილეები, რომლებსაც ძირითადად სამეურნეო საქმიანობა ევალებოდათ (ხაზინის ქეთხუდა, გემსაშენის ქეთხუდა, დავთრის ქეთხუდა, ჩაუშების ქეთხუდა).

ქეთხუდა-ბეი – 1. დიდვეზირის თანაშემწე. 2. იანიჩართა აღის მოადგილე.

ქეთხუდა-ბერი – 1. ქეთხუდას თანამდებობის მოხელის მოადგილე. 2. პროვინციებში განლაგებული რეგულარული ცხენოსანი ჯარის უფროსი, რომელიც იმ არე-მარეზე ყველაზე მაღალი რანგის მეთაურად ითვლებოდა.

ქენდ – დაბა. „ამ ქვეყნებში (სამხრეთ აზერბაიჯანში – გ. ფ.) სიტყვა „ქენდ“-ს კასაბას ე. ი. დაბის მნიშვნელობით ხმარობენ“ („ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1, გვ. 218).

ქილა – საწყაო, რომელსაც ოსმალეთში მარცვლეულისათვის ხმარობდნენ. სხვადასხვა ქვეყანაში და ოსმალეთის სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა იყო. სტამბოლის ქილა 18 – 20 ოყას ე. ი. 25 კილოგრამამდე იწონიდა.

ქილარლი, ქილერჯი – სასახლის მსახურები, რომლებსაც ევალებოდათ ჰარემისა და სულთნისათვის ხორცეულის, შაქ-

რის, შარბათის, ბოსტნეულისა და სხვა საწვავის მომარაგება და შენახვა. მეჩირაღეებსა და მესანთლეებსაც ესენი ამარაგებდნენ.

ქ ი ლ ე რ ა ჯ ი - ბ ა შ ი – ქილერჯიების უფროსი. სულთნის სასახლის მსახურებს შორის (იხ. იჩ-აღა) რანგით მესამე მოხელე, რომელიც სასახლის საწყობებს განაგებდა, სამზარეულოს მუშაობასა და დამზადებული საჭმელ-სასმელების ხარისხიანობას მეთვალყურეობდა.

ქ ი რ ე ჩ ი - ბ ა შ ი – კირის გამომწველთა უფროსი.

ქ ი ს ა, ქ ე ს ე – 1. ქისა, პარკი. 2. ფულის სათვალავის მნიშვნელობითაც იხმარებოდა და 1687 წლამდე შეიცავდა 500 ახჩას, შემდეგ 500 ყურუმს ე. ი. 40 ათას ახჩას.

ქ უ ლ ა ჰ ი – მაღალი, კონუსის ფორმის წვეტიანი ქუდი შალის ნაჭრისაგან ან ქერქისაგან იკერებოდა.

ქ უ ფ ი – ქუფიური დამწერლობის წესით შესრულებული ნაწერი.

ღ ა ზ ე ლ ი, იხ. ყაზალი.

ღულამი – 1. მონა. 2. ტყვე-ბიჭი. 3. მსახური. 4. ფაშების საკუთარი რაზმების წევრები და ფეოდალთა მეომრები. 5. ირანის შაჰის ცხენოსანი გვარდიის მეომარი.

ყ ა დ ი – მოსამართლე, რომელიც შარიათის და ადათის საფუძველზე განსჯიდა. იურიდიული საკითხების გარდა, მის მოვალეობას შეადგენდა თვალ-ყური ედევნებინა ვაკუფების, მადაროების, გზების მშენებლობის, ბაზრებისა და სხვ. საქმეების განმგებელთა მუშაობისათვის. ყადიები განათლებას მედრესეში იღებდნენ და მათი იერარქიული გზა შემდეგი იყო: ნაჰიეს ყადი, სანჯაყის ყადი. ამის შემდეგ რომ დაწინაურებულიყო, მედრესეში უნდა ემუშავა მუდარისად და შემდეგ გახდებოდა ვილაიეთის ყადი; შემდეგ – ხუთი ქალაქის ყადი (კაირო, ალექსო, ედირნე, ბურსა, ფილიბე), მექასა და მედინას ყადი, გალათას ყადი, სტამბოლის ყადი, ანატოლიის ყაზი-ასკერი, რუმელის ყაზიასკერი და უმაღლესი თანამდებობა – შეიხულ-ისლამი. დღიური ჯამაგირი 60 – 70, 150, 300, 500 ახჩა იყო და ყადის რანგსა და თანამდებობაზე იყო დამოკიდებული. ამას გარდა, ყადიებს ეკუთვნოდათ იურიდიული აქტების შედგენისათვის აღებული გასამრჯელო.

ყ ა ზ ა – 1. ყადის თანამდებობა. 2. ის ტერიტორია, რომელზეც ვრცელდებოდა ყადის უფლებები. 3. სანჯაყში შემავალი ადმინისტრაციული ერთეული.

ყ ა ზ ა ლ ი – ერთ რითმაზე აგებული ლირიკული ლექსის სახეობა.

ყ ა ზ ო, ღ ა ზ ი – მუსლიმი, რომელიც ურჯულოების წინააღმდეგ მიწყობილ „წმინდა ომში“ – ღ ა ზ ა ვ ა თ შ ი მონაწილეობდა საპატიო ტიტული, რომელიც მიეკუთვნებოდა ამ ომში სახელმწიფო ვეჟილ ადამიანს.

ყ ა ზ ი ა ს კ ე რ ი – უმაღლესი მოსამართლე. მეჰმად II ფათიჰის დროს (1451 – 1481) ერთი ყაზიასკერი იყო. ამის შემდეგ – ორი. რუმელიის ყაზიასკერი ოსმალეთის ევროპული ტერიტორიის ყადიებისა და საერთოდ, მუსლიმური სასულიერო წოდების საქმიანობას განაგებდა. ანატოლიის ყაზიასკერი – ოსმალეთის დანარჩენი ტერიტორიისას. ანატოლიას ყაზიასკერის თანამდებობას სტამბოლის ყადიობიდან დაწინაურებული იღებდა რუმელიის ყაზიასკერობას – ანატოლიის ყაზიასკერის თანამდებობიდან დაწინაურებული შეიხ ულ-ისლამის თანამდებობაზე, წესით, რუმელიის ყაზიასკერს აწინაურებდნენ. დღიური ჯამაგირი 500 ახჩა ჰქონდათ და გარდა ამისა, მათ ეკუთვნოდათ იურიდიული აქტების შედგენისა და საბუთებზე ხელმოწერისათვის გათვალისწინებული გამოსაღები.

ყ ა ფ ა ნ ი – ბაზარში გამართული დიდი სასწორი.

ყ ი ბ ლ ა – მხარე, საითაც მუსლიმებს პირისახე ჰქონდათ მმართველი ლოცვის დროს. აქ – სამხრეთი.

ყ ო რ უ ჯ ო, იხ. კორუჯი.

ყ ო რ უ ჯ ი-ბ ა შ ო, იხ. კორუჯი-ბაშო.

ყ ი ლ ა ჩი. იხ. კულაჩი.

ყ უ რ უ შ ი – ვერცხლის ფული, რომელმაც ოსმალეთში 1687 წლიდან შეცვალა გაუფასურებული ახჩა. 80 ახჩას უდროდა. მანამდე ყურუმში (გროში) ეწოდებოდა ევროპის სახელმწიფოთა ვერცხლის ფულს, რომელიც ოსმალეთშიც ტრიალებდა. ევროპელები ოსმალურ ყურუმს პიასტრს უწოდებდნენ.

შ ა ბ ა ზ ი – მსახიობი, რომელიც თოჯინებს ათამაშებდა.

შ ა რ ი ა თ ი – მუსლიმური სამართალი; კანონთა კრებული, რომელიც ყურანზე და სუნაზე (იხ.) იყო დაფუძნებული.

შ ა ჰ ბ ე ნ დ ე რ ი, შ ე ჰ ბ ე ნ დ ა რ ი – ქალაქისა და ნავსადგურის ვაჭართა უხუცესი; სავაჭრო საქმიანობის განმგებელი.

შ ა ჰ ო, იხ. ბარბაზნები.

შ ა ჰ ს ე ვ ა ნ ი, შ ა ჰ ს ე ვ ე ნ ი – შ ა ჰ ის მოყვარული.

შ ა ჰ-აბას I-ის დროს (1587 – 1629) ასე უწოდებდნენ ყველას, ვინც

თავისი ნებით შედიოდა შაჰის სამსახურში და ასევე ეწოდებოდა ყიზილბაშური ტომების ზედაფენის წრმომადგენლებისაგან შექმნილ სამხედრო ორგანიზაციას.

შ ე ი ხ ი – (სიტყვასიტყვით – მოხუცი) 1. ტომის ბელადი. 2. მუსლიმი ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე; 3. მუსლიმური რელიგიური ორდენის (ტარიკატის) მეთაური.

შ ე ი ხ უ ლ - ი ს ლ ა მ ი – მუსლიმური სასულიერო წოდების მეთაური ოსმალეთში.

შ ე ი ხ უ ს - ს ა დ ა თ ი სეიდების (მუჰამედის შთამომავლების) უხუცესი.

შ ი თ ი ე, იხ. ხომალდები.

შ ი რ ა – ქიშიმისაგან დამზადებული გამაგრებული სასმელი.

შ უ ბ ი ა – აქ – მოცვავე დერვიშთა ორდენი თავყანსა სცემდნენ ალის, როგორც უკეთესს პირველ ოთხ ხალიფას შორის.

ჩ ა ი კ ა, შ ა ი კ ა იხ. ხომალდები.

ჩ ა კ ა ლ, იხ. ხომალდები.

ჩ ა რ ხ ჩ ო – ლაშქრის მეწინავე ცხენოსანი რაზმი.

ჩ ა რ შ ა მ ბ ა ბ ა ზ ა რ ო – ოთხშაბათობით გამართული ბაზრობა დასახლებული პუნქტის სახელწოდება.

ჩ ა უ შ ი – ბაიაზეთ I ილდირიმის დროს (1389 – 1402) დაარსდა ჩაუშთა ორგანიზაცია. ჩაუშები სხვადასხვა დავალებებს ასრულებდნენ: იგზავნებოდნენ ელჩებად, ბრძანებები და განკარგულებანი მიჰქონდათ პროვინციებში. სახელმწიფო დივანის სხდომას ემსახურებოდნენ. ჯარის სარდლების განკარგულებებს გადასცემდნენ რაზმების მეთაურებს.

ჩ ა შ ნ ა გ ი რ ი – მ ე ჭ ა შ ნ ი კ ე; სუფრის გამშლელი მსახური. სასახლის „გარე მსახურების“ კატეგორიაში შედიოდნენ. ერთი ნაწილი სულთანისათვის დამზადებულ საჭმელ-სასმელს ამოწმებდა და მეთვალყურეობდა; მეორენი სუფრას შლიდნენ და სულთანს ნაირანაირ საჭმელებს მიართმევდნენ. ამათი მოვალეობა იყო, აგრეთვე, დივანის სხდომების დროს დადვეზირისა და ვეზირებისათვის საჭმელ-სასმელის მართმევა. ესენი ემსახურებოდნენ ნადიმების დროს სხვა დიდ მოხელეებსაც. ჩაშნაგირად აწინაურებდნენ ქ ი ლ ე რ ჯ ი ე ბ ს, სულთნის მომსახურე პერსონალსა და ხაზინის სხვა იჩ-ალებს (შიდა ალებს). XVII საუკუნის შუა წლებისათვის სასახლეში ასზე მეტი ჩაშნაგირი იყო, რომლებიც დღეში 40 ახჩას იღებდნენ ჯამაგირად.

ჩაშნაგირთა მუშაობას ხელმძღვანელობდა ჩ ა შ ნ ა გ ი რ - ბ ა -

შ ნ, რომელიც სულთნის ყველაზე დაახლოებულ, სანდო ადამიანად ითვლებოდა და მუდამ თან ახლდა. ვალდებული იყო, გემო გაე-სინჯა ყოველგვარი საჭმელ-სასმელისათვის, სანამ სულთანს მიართმევდნენ. სულთნის მოწამლვა, ან თუნდაც საჭმლის წყენა, სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

ჩ ე თ ე ჯ რ – მოთარეშეთა (აკინჯიები) ცხენოსანი რაზმების (ჩეთე) მეომრები, რომლებიც საზღვრებთან იყვნენ განლაგებულნი, გამუდმებით ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგის მიწებს და მარცვავენენ მის მოსახლეობას. ომიანობის დროს ესენი ძირითადად მტრის ზერგში მოქმედებდნენ.

ჩ ე ლ ე ბ ნ – განათლებული, დახვეწილი ადამიანი. სულთან მეჰმედ I ჩელების დრომდე (1413 – 1421) სიტყვა „ჩ ე ლ ე ბ ი“ ერთვოდა უფლისწულის სახელს. ჯელალ ედ-დინ რუმის შთამომავლებსა და მევლევიელთა ორდენის წევრების მეთაურებსაც ჩ ე ლ ე ბ ნ ს უწოდებდნენ.

